წიგნის გამომცემლობა „შკოლა“

სიმონ ჟვარიანი

ქართველი ერის ისტორია

(XVIII—XIX საუკუნე)

ნაწილი I

ქუთაისი
ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სტამბა.
1919.

წიგნის გამომცემლობა „შკოლა“

სიმონ ჟვანიანი

ქართველი ერის ისტორია

(XVIII—XIX საუკუნე)

ტომი I

ქუთაისი
ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ტ-ბა
1918

12274

წინასიტყვაობა

ქართველი ერის ახალი ისტორია იწყება იმ ბნელი დროიდან, როცა მან ველარ შესძლო დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, ვერ შესძლო დაგლეჯილი ნაწილის გაერთიანება და მით ძლიერი მუსლიმის მოგერება. იგი იძულებული შეიქნა მიენდო თავისი ბედი ერთმორწმუნე რუსეთისთვის და შეეხიზნა თავი მის მფარველობაში, რაც მოხდა კიდეც მეთვრამეტე საუკუნის დაჯლეგს. **პატარა საქართველო თავისი ნებით შეუკავშირდა რუსეთს.** მრიგათ გადატეხა კოლხეთ-ივერიის სადი, თავისუფალი ცხოვრება, ერთგულ ნიადაგზე ადმოცენილი, და ამ ცხოვრებამ შეიდო ამიერიდან სულ სხვა ელფერი, რამაც ფერად დაჩაგრა და დასუსტეულა ქართველი ერის სული და შემოქმედება, მოსწყვიტა სადს ერთგულ ნიადაგს და გახადა გაბატონებული ერის მოსათ და მაჩანჩალათ.

ივერიის რუსეთთან დაახლოება დაიწყო ბევრათ უფრო ადრე, მე-XVI საუკუნის დამლევიდან, მაგრამ ამ დაახლოებამ და რუსეთის მფარველობამ მიიდო რეალური სახე მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ, როცა რუსეთის იმპერია საკმაოთ მოძლავრდა; ამავე დროს კი ქართლ-კახეთის პატარა სამეფო ერთიანათ დაიწრიტა სისხლით და დაიშრიტა ენერგიით სპარს-ოსმალეთის დიდ სახელმწიფოთა მიერ თავდასხმითი ბრძოლით. რუსეთის მფარველობით ქართველ ერს წყურდა მოეპოვა **მშვიდობიანი ცხოვრება და შეერჩინა თავისი მაღალი კულტურა, ენა, რჯული, პოლიტიკური ფორმა და არსებობა.** რუსეთის მეოხებით ქართველს სწადდა **ევროპის განათლებულ სახელმწიფოებთან დაახლოება და ევროპის მაღალი ცივილიზაციით ზიარება.** ქართველი ერის სულს სწყურდა **მშვიდობა, კულტურული შრომა, სინათლე და თავისუფალი შემოქმედება.** ამისთვის იგი ეძებდა შესაფერ გარემოს და მის შექმნას ის მოელოდა რუსეთის იმპერიისაგან, რომელიც პეტრე დიდის და ეკატერინე II-ის გენიოსობამ გამოგლიჯა აზიურ მტონარებას და დაუახლოვა განათლებულ ევროპას.—ამ წიგნის უმთავრესი მიზანია გადაუშალოს საზოგადოებას მოკლეთ ქართველი ერის ცხოვრების ჭეშმარიტი სურათი მე-XVIII საუკუნის ბოლო წლებიდან 1820 წლამდე და ამცნოს, თუ რა საშინელი ტრაგიზმი განიცადა ამ ერმა როგორც ერეკლე გმირის და გიორგი XII-ის მეფობაში, ისე მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, როგორ და რა პირობით შევიდა იგი რუსეთის იმპერიის მფარველობაში და როგორ შესრულეს ეს პირობანი თვით რუსის ხელმწიფემ და მთავრობამ, რა მიზეზებმა წარმოშვეს მთიულეთის, კახეთის და იმერეთის აჯანყებანი, მათი დარბევა და სისხლის ღვრა. ამრიგათ ეს წიგნი გავყავით ოთხ ნაწილათ: I, **საზოგადო მიმოხილვა ქართ-**

ველი ერის შესახებ; II, რუსეთი და საქართველო (მათი ურთიერთობა); **III, საქართველოს კუთხეთა აჯანყებანი** ; **IV, იმერეთის ამბები და ავტოკეფალიის მოსპობა.** ეოგველივე ამისათვის მოიხოება განსაკუთრებით რუსულ ენაზე დიდი მასალა, ხოლო დღემდე, სამწუხაროთ, არავინ შეხებია ჩვენში ქართულ ენაზე ამ ფრიად სათუთსა და მნიშვნელოვან საკითხს, არ მივიღებთ სახეში აჯ. ფრონელის მონოგრაფიებს მთიულეთისა და კახეთის აჯანყებათა შესახებ. ჩვენ შევეხეთ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ რამდენათ შევძელით მისი დაძლევა და ნათელყოფა, დეე ამის შესახებ თვით შეგნებულმა მკითხველმა დაგვდოს თავის პირუთვნელი მსჯავრი! აქ კი ვიტყვით ლათინთა მსგავსათ: feci, quod potui, ე. ი. გავაკეთე ის, რაც შემეძლო.

ავტორი

P. S. ვეცდებით აგრეთვე მომავალში მივაწოდოთ მკითხველთ ქართველი ერის ახალი ისტორიის მეორე ტომი, რომელშიაც ანუსხული იქნება ერის ცხოვრება 1820 წლიდან დღემდე, ე. ი. მთელი საუკუნის განმავლობაში. განსაკუთრებით კი შევჩერდებით მის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებაზე, მის პოლიტიკურ პარტიებზე და ამ პარტიათა მისწრაფება-იდეალებზე. ამრიგათ ორი ტომით დამთავრდება ქართველი ერის ახალი ისტორია.

ავტორი

1945

I საზოგადო მიმოხილვა ქართველი ერის შესახებ

1 ქართველები უძველეს დროში

ჩრდილოეთით სამარადისო თოვლით მოცული **ქავკასიონის** მაღალი ქედი, აღმოსავლეთ-დასავლეთით **შავი** და **ქასპის** ზღვები, სამხრეთით **მდ. არეზი** და **არარატი**,—აი ის ვრცელი გარემო, რომლის ფარგალში მოთავსებულა **ძველი საქართველო**! თბილი, საამური ჰავა, ფირუზი ცა, ჰარმონიულათ შეზავებული ველი და მთები, ცელქი მდინარენი და მრავალფეროვანი მცენარეები,—აი ის კურთხეული მხარე, სადაც ცხოვრობს ქართლოსიანთა მოდგმა, ერი რაინდი, მამაცი, მშვენიერი, უხვი, ნიჭიერი და თავაზიანი, მაგრამ ბარბაროსთა მიერ უხეშათ ძლეული და წამებული. **ამ ქოლხეთ-ივერიის** ტურფა ბუნებას აფერადებენ ზვრები, ბაღები, ყანები, და ძვირფას მცენარეთა პლანტაციები, რომელთაც დანათებს ცხუნვარე მზე, წყარო-ჩანჩქერნი ასხურებენ მათ ბროლის შხეფებს და დამღერიან თავის გიჟმაჟ მელოდიას. **მთ**ების გულიდან კი ამოხეთქილა ათასგვარი მადნეულობა და სამკურნალო წყლები.

ამ მშვენიერ წალკოტში ცხოვრობს ოდესღაც ლაღი, მდიდარი და განათლებული, დღეს კი ღარიბი და დაჩაგრული **ქ**ართველი ერი, რომლის ბოლო საუკუნეთა ისტორია მარტოოდენ გოლგოთაა და **საშინ**ელი წამება.

ბავეცნოთ მოკლეთ ამ ერის წარსულს.

პატარა ხალხთა შორის მსოფლიო ისტორიაში ერთი უუპირველესი ადგილი ეკუთვნის **ქ**ართველთ. **ეს** ერი ძლივს აღწევს დღეს **3 მილიონს** მაშინ, როდესაც ძველათ ეს იყო **2-3-ჯერ უფრო მეტი**. **შ**ძველეს დროში, დაახლოებით 3-4 ათასი წლის წინათ **ქრ.** მოსვლამდე, ქართველი ტომები ყოფილან მოფენილი **მესოპოტამიასა** და **მცირე აზიაში**, **უთამაშ**ია დიდი როლი წინა **ა**ზიასა და ჩრდილო **ა**ფრიკის ხალხთა **შორის**, რომელნიც იდგენ იმ დროს მთელი კაცობრიობის კულტურის სათავეში. **როგორ**ც ამტკიცებს მეცნიერთა ახალი გამოკვლევანი, ქართველი ერის ერთ დიდ **შ**ტოს, **ქართის** (ქალდის) და **სუმერ**ის სახელით შეუქმნია საკმაოთ განვითარებული სულიერი და ნივთიერი კულტურა და გადაუკია იგი **ა**შურ-**ბ**აბილონთათვის. **მ**ეორე დიდ შტოს კი, **ხეთებს** ანუ **ხეტებს** წარმოუშვიათ ძლიერი **სახელმწ**იფო და **დ**აუპყრიათ **დ**აახლოებით **2300** წელს

ქრ. წინ უზარმაზარი **ეგვიპტე**. ზოგიერთ მეცნიერთა აზრით ძველი **ტროია** და **ლიდიის** შესანიშნავი სამეფო უნდა ყოფილიყვნენ ქართველი მოდგმისანი. მცირე **აზიის ელინთა** ახალშენებს მიუღიათ მაღალი კულტურა უმთავრესათ ხეთებისგან. **ამიტომ** მართალია მეცნიერი **რიტტერი**, როცა ამბობს, „თუმც ელადას დიდი ღვაწლი მიუძღვის ევროპის კულტურის წინაშე, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ აღმოსავლეთით არსებობს ერი, რომელსაც კიდევ უფრო მეტი ღვაწლი მიუძღვის მთელი კაცობრიობის წინაშე და ეს ერია **საქართველო**.“—**რა** შესძინეს კაცობრიობას ძველათ ქართველმა ტომებმა?

1. **მ**ათ შექმნეს უძველეს დროში თვითარსი კულტურა, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ფორმები, ძლიერი სამეფონი, წარმოშვეს სამწერლო ნიშნები, **ლურსმული** და **იეროგრიფული**, განავითარეს სხვადასხვა ხელოვნება, განსაკუთრებით კი მუსიკა, ზეპირსიტყვაობა, ქანდაკება და ხუროთმოძღვრება, რომლებიც შეიქმნენ მომავალში ბერძენთა ხელოვნების აღორძინების პირველ ნიმუშებათ.

2. **მ**იამყნეს თავისი მაღალი კულტურა აღმოსავლეთით **ა**შურ-ბაბილონთა ძლიერ სახელმწიფოს და დასავლეთით **ე**ლინთა ახალშენებს, რომელთაც გადაიტანეს ეს კულტურა **მ**ეტროპოლიაში, ე. ი. თვით **ს**აბერძნეთში.

3. **მ**ოიგონეს პირველათ **რკინის მადნების დამუშავება, თუჯის და რვალის ანუ ფოლადის გაკეთება**. **ეს** ფრიად სამნიშვნელო ხელობა, ეს დიადი მეტალურგია შეასწავლეს თავის მეზობელ კულტურულ ერებს და ამ რიგათ წარმოშვეს მსოფლიო ისტორიაში **რკინის დიდებული ხანა** (პერიოდი), რამაც შემდეგ უუდიდესი როლი ითამაშა კაცობრიობის წინსვლასა და თანამედროვე ცივილიზაციაში.

4. **მ**ოიგონეს და შეასწავლეს მეზობლებს **კარტოგრაფია**, ე. ი. **გეოგრაფიული რუქების ხატვა**.

5. **გ**ზა ტკეცილებით და სავაჭრო ცენტრებით დაუახლოეს ერთმანეთს ირგვლივ მყოფი კულტურული ხალხები, მაგ. **ა**შურ-ბაბილონი, **ეგვიპტე, ფინიკია, პალესტინა, ელადა, მიდია, სპარსეთი** და სხ.-**ა**მიტომ ქართველ ერს სრულებით შეფერის ის დიდი ლეგენდა **ამირან-პრომეთეოსზე** რომელმაც მოსტაცა ღმერთებს ღვთაებრივი ცეცხლი, მისცა იგი უმწეო ადამიანს, თანაც შეასწავლა ყოველგვარი ხელობა და ხელოვნება. **ზ**ევსმა დასაჯა გმირი **პ**რომეთე-**ა**მირანი ასეთ თავხედობისთვის და **მ**იაჯაჭვა იგი **ქ**ავკასიონის კლდეზე, სადაც ტანჯულ გმირს დღესაც უჭლეტავს გულ-ღვიძლს შავი ყორანი.

ეს ამირან გმირი არის ის ქართველი ერი, რომელიც გმინავს **დღემდი ქ**ავკასიონის მთებს შეფარებული და მგლეჯავ ყვავ-ყორანებათ მას

დახვევია მოყვრის ნიღაბით მოვლენილი და შეხიზნული უცხო ტომები.

მე-XII—VII საუკუნოებში ქრ. წინ, მრავალ მიზეზთა გამო, იწყება ქართველ ტომთა დახევა ჩრდილოეთით, გადმოსახლება შავი ზღვის პირას და ამიერ-კავკასიაში, რასაც მოჰყვა რამდენიმე საუკუნით მათი კულტურული და პოლიტიკურ-ნივთიერი დაქვეითება. მაგრამ იმარჯვებს ბოლოს ქართველი ერის ძლიერი სული და მთელს ამიერ-კავკასიაში ორ ზღვას შორის ქმნის ოთხ სამეფოს, საკმაოთ ძლიერს და განვითარებულს; ესენია: **პონტი, კოლხეთი, ივერია** და **ალბანეთი**, რომლებიც პირველ საუკუნეში ქრ. წინ ძალით თუ ნებით შედიან **რ**ომის უზარმაზარ იმპერიის ფარგალში, ითვისებენ მის მაღალ კულტურას და **რ**ომ-**ი**ნდოეთისაკენ შარა-გზის გახსნით ეძლევიან ნივთიერ წარმატებას. კიდევ უფრო ადრე, მეოთხე საუკუნეში ქრ. წინ **ფარნაოზ გმირი ქართლოსიანი კოლხელი ქუჯის** დახმარებით ათავისუფლებს **ი**ვერიას მაკედონელთა ბატონობისაგან და ქმნის დამოუკიდებელ სამეფოს.

II ქრისტიანობა და კულტურულ-პოლიტიკური აღორძინება საქართველოში.

პირველ საუკუნეში მაშვრალ კაცობრიობას მოევლინა **იესო ქრისტე**. **მ**ისმა დიადმა მოძღვრებამ ძმობა-ერთობა-სიყვარულზე შეარყია ძველი მსოფლიო, დაამსხვრია კერპები, დაანგრია გარყვნილი **რ**ომი და ნაცვლად ამისა წარმოშვა სპეტაკი სარწმუნოება, სულიერი განახლება და მაღალი სათნოებანი, მოახდინა რწმენა-აზროვნებასა და საზოგადოებრივ წყობილებაში სრული რევოლიუცია.

ამ ახალ მოძღვრებას ქადაგებდენ **ს**აქართველოში პირველსავე საუკუნეში თვით ქრისტეს მოციქულნი; **ანდრია პირველ წოდებული** და **სიმონ კანანელი**. **ა**მ სარწმუნოების გამო ეწამა **ს**აქართველოს დიდებული შვილი **გიორგი კაპადოკიელი**, რომელსაც **წმ. გიორგის** სახელით მთელი **ს**აქართველო რაცხს უუდიდეს წმინდანათ, თაყვანს სცემენ მას **რ**უსეთი და მთელი **ე**ვროპა. **მ**ეოთხე საუკუნის დამდეგს წარმართ **ი**ვერიას ევლინება სარწმუნოებით აგზნებული **ს**აქართველოს უმანკო ასული **წმ. ნინო**; ხელით უპყრია ვაზის ჯვარი, ქადაგებს ახალ რჯულს, ახდენს სასწაულებს, ნათლავს **ქ**ართლ-**ქ**ახეთის ერსა და დიდებულთ.

მეხუთე საუკუნეში განამტკიცა **ი**ვერიის **ს**ამეფოს ძლიერება დიდმა მეფემ **ვახტანგ გორგასლანმა**. **მ**ანვე დაამარცხა **ო**ს-**ხ**აზარები და **ს**პარს-**ბ**იზანტიელნი, შემოიღო საერო და სასულიერო რეფორმები. **პ**ირველად **ვ**ახტანგის დროს ითარგმნა ქართულათ სასულიერო წიგნები. **მ**ანვე განათავისუფლა **ს**აქართველოს ეკლესია **ა**ნტიოქიის ეკლესიის ბატონობისაგან და მოუპოვა **ავტოკეფალია**.

მეექვსე საუკუნიდან იწყება საქართველოში სარწმუნოებრივი ბრძოლა სპარსელთა მიერ. ზოროასტრის რჯული ემუქრება ქრისტეს სარწმუნოებას. მაგრამ მოდიან ივერიაში 13 კაპადოკიელი განათლებული მამა **იოანე ზედაზნელის** თაოსნობით, ებრძვიან მედგრათ წარმართობას, აარსებენ მონასტრებს და აღრმავებენ ქართველი ერის სულში ახალ სარწმუნოებას. ამ რჯულის გამო სხვადასხვა დროს იდგმენ თავზე მოწამის გვირგვინს დიდი მამულიშვილნი: **ა**რგვეთის მთავრები **დავით და კოსტანტინე, არჩილ მეფე, ესტატე მცხეთელი, ქეთევან დედოფალი,** ქართლის მეფე **ლუარსაბ მეორე,** კახეთის ერისთავები: **შალვა ბიძინა, ელისბარ** და სხვანი მრავალნი, რომელნიც შერაცხა წმინდანებათ საქართველოს ეკლესიამ.

მეექვსე საუკუნის დამლევიდან საქართველოს ტახტზე ადის ბაგრატიონთა ახალი გვარი (დინასტია), ებრაელთა მეფის **დ**ავით წინასწარმეტყველის შთამომავალი. ეს გვარი აძლევს საქართველოს მრავალს დიდებულ მეფეებს, როგორიც იყვნენ მაგ., **დავით კუროპალატი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე, ბაგრატ დიდი, ვახტანგ სჯულმდებელი, სოლომონ** I და **ერეკლე გმირი.**

მე-VII-VIII საუკუნიდან ჩრდილო **ა**ფრიკას და დასავლეთ **ა**ზიას ეფინება **არაბთა** ბატონობა, რომელთა ხელში ვარდება აღმოსავლეთი **საქ**ართველოც. მე-IX-X საუკუნეში ქართველი ერი უხვათ სარგებლობს არაბთა განათლებით და მაღალი კულტურით. ქოლხეთ-ივერიაში თანდათან მტკიცდება ეროვნული შემეცნება, ერთობის შეგნება და გაერთიანების დიდი სურვილი. **დ**ა აჰა, მეათე საუკუნის დამლევიდან უკვე იწყება **საქ**ართველოს წვრილი სამეფო-სამთავროების გაერთიანება! ქართველი ერი თავისუფლდება არაბთა ბატონობისაგან **ბ**აგრატ III-ის გენიოსობით და უახლოვდება განათლებულ **ბ**იზანტიას, ეწაფება მის საერო და სასულიერო მწერლობას; **ბ**იზატია-**ა**რაბეთის სულიერ და ნივთიერ კულტურას, აარსებს **სირ**იასა და **საბ**ერძნეთში მონასტრებს და **აკ**ადემიებს, ხსნის თვით **საქ**ართველოში სხვადასხვა ტიპის შკოლებს, საოცარი სისწრაფით ქმნის ორიგინალურ კულტურას და ამ რიგათ ავითარებს ქართულ ენას, მწერლობას, ხელოვნებას და ფილოსოფიას, რომელნიც ავიდენ უმაღლეს წერტილზე მეთორმეტე საუკუნეში **დიდი თამარის** დროს. ეს არის ქართველი ერის **ოქროს საუკუნე**.

ჯიდევ უფრო ადრე **საქ**ართველოს უუდიდესი მეფე-ჯენიოსი, **დავით აღმაშენებელი** ათავისუფლებს სამშობლოს **სელ**ჯუკის თურქთა ველურ თარეშისაგან, ამარცხებს მათ რამდენჯერმე, იპყრობს მთელს **ამ**ერ-ჯაეკასიას, სომხეთს, მცირე **ა**ზიის ნაწილებს და სჭედს ერის და **სამ**ეფოს ძლიერებას შავი ზღვიდან **ქ**ასპის ზღვამდე, **დ**ერბენდიდან **ა**ზრუმამდე.

დიდი თამარის დროს საქართველოს სამეფოს გავლენას და მის ეროვნულ კულტურას ემორჩილებიან: ოსნი, ჩერქეზნი, ლეკნი და საერთოთ კავკასიონის მთის ხალხი. თამარის ძლევა მოსილობის წინაშე ქედს იდრეკდენ სპარსეთი და მცირე აზიის სულთანები, თამარის დროშის წინაშე გარბიან: ირანის შაჰი აბუბეკერი და თურქთა დიდი სულთანი ამაყი ნუქარდინი თავის ურიცხვი ლაშქრით.

პოლიტიკური თავისუფლების მზით უხვათ გაშუქებული კოლხეთ-ივერიის ეროვნული სული ამ მე-XI-XII საუკუნეში შლის ლაღათ ფრთებს შემოქმედების სფეროში, ქმნის ხელოვნებაში საოცარ ჩუქურთმებს, სურათ-მინიატურებს, დიდებულ ტაძრებს, შესანიშნავ საგალობლებს და პოეზიაში ტკბილ ჰანგოვან ქებათა-ქებას (შესხმას) და უკვდავ „ვეფხის ტყაოსანს“, ქმნის ჰუმანიზმის დიდებულ ხანას და ამრიგათ 200 წლით უსწრებს თვით იტალიის დიად რენესანს (განახლებას). **ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, ეფრემ მცირე, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩული, მიქელ მოდრეკილი, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი ფილოსოფოსი, სარგის თმოგველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი,**—აი ის დიდი მგოსნები და სულიერი ბუმბერაზნი, რომელნიც ქმნიან ქართველი ერის დიდებას სასულიერო მწერლობასა და ფილოსოფია-პოეზიაში! ამ საუკუნეში ბევრი რამ საგულისხმო შეითვისეს ქართველთაგან განათლებულმა ბიზანტიამ, ბალკანეთის სლავიანებმა და თვით რუსეთმაც, ე. ი. კიევის დიდმა სამთავრომ. ამ ოქროს საუკუნემ ნათლათ გვამცნო ქართველი ერის დიდი ნიჭი, უშრეტი ენერგია და ზენაარი შემოქმედება, მისი პოლიტიკურ-სოციალური მომზადება და დისციპლინა. თავისი მაღალი კულტურით და პოლიტიკურ-ეკონომიური ძლიერებით საქართველო გადაიქცა იმ დროს წინა აზიის ზარდამცემ სახელმწიფოთ თავის **რვა მილიონ ხალხით** და დაიკავა თითქმის უუპირველესი ადგილი ევროპა-აზიის დიდ სახელმწიფოთა შორის.

3 ქართველი ერის პოლიტიკური დაქვეითება და ხანგრძლივი ტრაგედია

დადგა მეცამეტე საუკუნე და უკუღმა დატრიალდა ქართველი ერის ბედი. მოიღუშა შავი ღრუბლით საქართველოს პოლიტიკური ცა. **დაიძრა** საშუალო **აზიიდან** კაცობრიობის **რისხვა, მონგოლთა ველური ურდონი.** ისინი ცეცხლით და მახვილით მოედვენ **აზიას** და **აღმოსავლეთ ევროპას. ეკვეთენ ჩინეთს, ინდოეთს, სპარსეთს** და **საქართველოს. ოკლე** დროში **დაიყპრეს** ეს **სახელმწიფონი** და **გაანადგურეს** ყოველივე ის, რაც **შექმნა** საუკუნეთა **სვლაში** ამ **კულტურულ ხალხთა** შრო-

მამ და გენიოსობამ. ამრიგათ ამ ველურთა თარეშის და 100 წლის ბატონობის გამო შეწყდა ქართველი ერის საღი და ბრწყინვალე თავისებური კულტურა, დაიმსხვრა საქართველოს სახელმწიფო, დანაწილდა იგი წვრილ სამეფო-სამთავროებათ, დაეცა მისი განვითარებული მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობა გაღატაკდა ერი ნივთიერათ და დაკნინდა სულიერათ; დაიკეტა შკოლები და აკადემიები, დაინგრა ციხეები, კოშკები, ტაძრები და მონასტრები; გატიალდა სოფლები და ქალაქები, გაწყდა ათიათასობით ხალხი; დაეცა ქართველი ერის განათლება. ეს იყო საქართველოს ცხოვრებაში მეორე ისტორიული რისხვა (კატაკლიზმი), რასაც შედეგათ მოჰყვა ერის სულიერი და ნივთიერი დაქვეითება.

ამ საბედისწერო დღიდან ქართველი ერის ცხოვრებაში იწყება თავგანწირული ბრძოლა არსებობისათვის—მისი ხანგძლივი საშინელი ტრაგედია, რომელიც მე-13 საუკუნიდან გრძელდება დღემდე. ამიტომ ის კი არ არის საკვირველი, თუ რათ ჩამორჩა ამრიგათ საქართველო განათლებულ ევროპას, საკვირველი და საოცარი ისაა, თუ როგორ გაუძლო 700 წელიწადს ამ პატარა ერმა ამდენ ბრძოლას, ამ უუძლიერეს მტერთა რისხვას და მოსპობის სურვილს!..

მართლაც ძნელათ მოიძებნება ერი მსოფლიო ისტორიაში, რომელსაც განეცადოს იმდენი ტრაგიზმი, ბრძოლა და ისტორიის ქარტეხილი, როგორიც ხვდა წილათ ბედშავ საქართველოს. მისი წამებანი ავიდა უმაღლეს წერტილზე განსაკუთრებით იმ დღიდან, როცა დაუპირდაპირა თავისი სარწმუნოება მუსლიმის ზარდამცემ ძლიერებას, რომელმაც შემუსრა მცირე აზიის ქრისტიანი სამეფონი, მაგ. სირია და სომხეთი, გახვია ისლამის ბურუსში ძავკასიონის მთის ხალხები და ამრიგათ რკინის რგოლივით შემოეკრა დაფლეთილ საქართველოს. ამავე დროს, ე. ი. მე-15 საუკუნეში დაეცა ბიზანტიის დიდი იმპერია და მის ნაცვლათ დაარსდა ძლიერი, მებრძოლი ოსმალეთი. ამიერიდან აიასოფიის მაღალ გუმბათზე წმიდა ჯვრის ნაცვლათ აიმართა ისლამის ნახევარი მთვარე. ამრიგათ შეწყდა დასავლეთით, ქართველი ერის სავალალოთ, ქრისტიანობის კანდელი; მისი შუქმფენი ადგილი მოიცვა სიბნელემ და ბარბაროსობამ, ქალ-ვაჟთა უგვანო ვაჭრობამ და ტლანქმა ძალმომრეობამ.

სწორედ დაუჯერებელია ის ფაქტი, თუ როგორ გაუძლო ნაწილებათ დაფლეთილმა საქართველომ მთელი შვიდი საუკუნე მუსლიმთა აბობოქრებულ ოკიანეს, მის შემმუსვრელ ტალღებს! სპარსი, არაბი, თურქი, მონგოლი, ოსმალო, ლეკი, ნეტა ვინ არ ცდიდა ქართველზე თავის მახვილს! ნეტა ვის არ სურდა აღმოეფხვრა ქოლხეთ-ივერიაში ქრისტეს სარწმუნოება, ან მოესპო სრულიად ქართველი ერი!

მე-15 საუკუნეში კაკობრიობის რისხვა, სისხლის მღვრელი ლანგ

თემური თავის ურიცხვი ჯარით **შვიდჯერ** შემოიჭრა საქართველოში, მოინდომა მისი გასრესა და აქედან **ევროპაში** შესევა, მაგრამ ეს **მუსლიმთა** შავი ტალღები დაიმსხვრენ ბაწია ფალავნის ფოლად გულზე. ქართველი ერი გადაურჩა ცოცხალი ამ ისტორიულ გრიგალს, ვით ობოლი ვაზი, და თავის გმირული თავგანწირვით უნებლიეთ იხსნა საშინელ ხიფათისაგან მთელი **ევროპა**. ქართველთან ბრძოლას **ლანგ-თემურმა** შეალია თავის ძალ-ღონე და დარჩა მიუღწეველი უმთავრესი მიზანი. **იგი ველარ შეესია ევროპას ქრისტიანობის** ამოსაფხვრელათ. **ამრიგათ ეწამა ჯვარზე ბატარა საქართველო, გადარჩა ხიფათს დიდი ევროპა, რომელმაც არ უნდა დაივიწყოს ქართველი ერის ასეთი ღვაწლი.**

კიდევ უარეს ხიფათში ჩავარდა **საქართველო** **რუსეთთან** დაახლოების გამო მე-XVII საუკუნეში. **ირანის** ლომმა **შაჰ-აბაზმა** ინება მისი მოსპობა და შემოესია აურაცხელი ჯარით, ააოხრა კიდეც მთელი **კახეთი**, **გაუწყვიტა 80.000 სული**, გადასწვა სოფლები და ქალაქები, დაანგრია ტაძრები და ციხე-კოშკები და **გარეკა სპარსეთში 150.000-დე ქალი და კაცი**, რომელთა სამი წილი გაწყდა გზაში შიმშილ-სიცივისაგან და რომლის ნაფლეთები დღემდე სცხოვრობენ **ფერეიდანში** (**სპარსეთში**). **მძვინვარე შაჰ-აბაზი**, **რუსის** შემოსვლის შიშით, კიდევ უარეს საქმეს უპირებდა **ქართლსა** და **კოლხეთს**, მაგრამ **დაიმსხვრა** **შაის** ურიცხვი ძალები, დაეცა ძირს ძლეული **ირანის** ლომი. **ამ** უმაგალითო ბრძოლაში ისევ ცოცხალი გადარჩა ქართველი ერი. **მისი** მხსნელი შეიქნა დიდებული გმირი **გიორგი საакაძე**.

ამიტომ მსოფლიო ისტორიამ სამართლიანათ უწოდა ქართველთ **ერი ჯვაროსანი**, **რომლის** ხანგრძლივი ისტორია მარტოოდენ უუსაშინელესი ბრძოლა და წამებაა.

4 საქართველოს რენესანსი და რუსეთთან დაახლოება

მე-XVIII საუკუნის დამდეგს ოდნავ ინათა **ქართველი** ერის ცხოვრებაში: შეწყდა მცირე ხნით სისხლის ღვართქაფი. **შეისვენა** ქართველის მარჯვენამ. **მან** ჩააგო ქარქაშში სისხლიანი ხმალი, ხელთ იპყრა კალამი და შეუდგა მწერლობას. **რომის** მისიონერთა და განათლებულ ქართველთა **მეოხებით** დაარსდა ქართული **სტამბები** **ჯერ** **რომში**, **შემდეგ** **კი** **მოსკოვში**, **კახეთსა** **და** **თბილისში** **და** **დაიბეჭდა** **მრავალი** **წიგნი**. **ბაიხსნა** **შკოლები** **და** **სემინარიები**, **გაიმართა** **ნელ-ნელა** **მოქალაქობრივი** **ცხოვრება**. **ეარმოიშვენ** **შესანიშნავი** **მწერლები** **და** **მოღვაწენი**, **მაგ.**, **არჩილ მეფე** — **მოსკოვში** **ქართული** **სტამბის** **დამაარსებელი** **და** **თეიმურაზ** I-ის **ცხოვრების** **ლექსათ** **დამწერი**; **იოსებ** **თბილელი** — „**დიდი**

მოურავიანის“ ავტორი, **სეხნია ჩხეიძე**-ისტორიკოსი, შემდეგ **ვახტანგ VI, სჯულმდებელი**, შემდგენელი კანონთა კოდექსის და **თ**ბილისში სტამბის დამაარსებელი. **მ**ისი ძე **ვახუშტი ბატონიშვილი**, შესანიშნავი გეოგრაფი და ისტორიკოსი, **საბა სულხან ორბელიანი** ფრიად განათლებული პირი **ე**ვროპაში ნამგზავრი, „სიბრძნე-სიცრუის“ ავტორი და ქართული დიდი ლექსიკონის შემდგენელი, **დავით გურამიშვილი**, გამოჩენილი მგოსანი-პატრიოტი, რომელიც ხალხური, სუბუქი ენით მოსთქვამს **ს**აქართველოს დაცემას და დაკნინებას. მე-XVIII საუკუნის ბოლოხანებში კი გამოჩენილი მწერლები იყვნენ: **ანტონ I კათალიკოსი**; რიტორი და ფილოსოფოსი, ავტორი „**მზამეტყველების**“ და „წყობილ სიტყვაობის,“ **გაიოზ ნაცვლიშვილი** და **დავით რექტორი** გვარათ **ალექსიძე**, რომელთაც თარგმნეს და შეადგინეს მრავალი სახელმძღვანელო შკოლებისათვის. **იოანე ბატონიშვილი** და **იოანე ხელაშვილი**—ენციკლოპედისტები, რომელთაც დასწერეს „კალმასობა“; **პაპუნა ორბელიანი**-ისტორიკოსი, **ბესიკი** (ბესარიონ ბაბაშვილი)—გამოჩენილი პოეტი, და მრავალი სხვა.

ამრიგათ მე-XVIII საუკუნეში მოხდა **ქართული მწერლობის** **რენესანსი** (განახლება). **ა**მ შესანიშნავ ხანას დაერქვა **ვერცხლის საუკუნე**.

ხანმოკლე იყო ეს შესვენება. **ქ**ვლავ საშინლათ მოიღუშა ზეცა, გამოჩდა შავი, **ს**აბედისწერო ღრუბლები. **ქ**ავკასიონის მთებს მოადგა ჩრდილო ბუმბერაზი, **რუსეთი**. **ჯ**ერ **რ**უსეთის იმპერატორმა **პეტრე დიდმა** გაუმართა ბრძოლა **ს**პარსელთ და ჩაითრია ომში ქართლის მეფე **ვ**ახტანგ მე-VI. **შ**ემდეგ კი იმპერატრიცა **ეკატერინე** II აუტეხა ომი **ო**სმალთ, სხვადასხვა დაპირებით მოხიბლა **ი**მერეთის მეფე **ს**ოლომონ დიდი და **ქ**ართლ-**ქ**ახეთის მეფე **ე**რეკლე გმირი. **ძ**ვირათ დაუჯდათ ქართველ მეფეებს ეს რაინდობა და **რ**უსეთის დახმარება. **მ**ათ გადაიმტერეს ორი ვეშაპი: **ს**პარსეთი და **ო**სმალეთი. **თ**ვით **რ**უსეთმა კი უმტყუნა მათ და არამცთუ არ მოაშველა დაპირებული ჯარი, თვით **ს**აქართველოში მყოფი **რ**უსის მხედრობაც კი მოითხოვა **უ**კან და დასტოვა **ე**რეკლე მეფე **ა**ს**პ**ინძასთან **5,000** კაცით **30,000** ოსმალთა ჯარის წინაშე. **ჩ**ვენი მეფეების ასეთი მარცხი დამთავრდა მტერთა შემოსევით, **ქ**ართლ-**ქ**ახეთის აოხრებით, დასუსტებით **დ**ა შემდეგ პროტექტორატით და **1783** წლის ტრაქტატით, **მ**ას შემდეგ **ა**ღა-მამადხანის რისხვით და **თ**ბილისის აოხრებით **1795** წელს, ბოლოს კი **ს**აქართველოს **რ**უსეთთან შეკავშირებით **1801—1810** წლებში. **ჩ**რდილოეთის ორთავიანი არწივი დაეპატრონა სისხლით დაცლილ **ქ**ოლხეთ-**ი**ვერიას, **ა**მირანივით ტანჯულს და მიჯაჭულს **ქ**ავკასიონის ქედზე...

ამ **დ**ღიდან **იწ**ყება კვლავ **ახალი ხანა, ახალი ტრაგედია** ქართველი

ერის ტანჯულ ცხოვრებაში. **ის მოკვდა პოლიტიკურათ; შეიმუსრენ მისი სამეფო-სამთავრონი, წაერთვა ბაგრატიონთა დინასტიას მეფობა და ბატონობა. მოისპო საქართველოში ეროვნული მართვა-გამგეობა, შკოლა და სამსჯავრო. წაერთვა ქართულ ეკლესიას თავისუფლება და 400 მილიონ მანეთათ ღირებული უძრავი და მოძრავი ქონება.** ამიერიდან იგი დაექვემდებარა **რ**უსეთის უწმინდეს სინოდს. **ერ**თი სიტყვით, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს **ქ**ოლხეთ-**ი**ვერიაში მშვიდობიანი გზით მოხდა ის, რაც ვერ ჩაიდინეს ათას წელთა სვლაში იარაღით ხელში **ა**ზიის უუსაშინელესმა მტარვალებმა და ბარბაროსებმა...

ქართველი ერის შინაურ ცხოვრებაში ტლანქათ ჩაერიენ და გაბატონდენ უცხო პირები, უცხო ტომის მოხელენი, რომელთაც დაადვეს ხალხს ფრიად მძიმე ბეგარა და შეზღუდეს ერის თვითმოქმედება, პროგრესიული წინსვლა და შემოქმედება. **ქ**ართველ ერს დაადვეს პირზე კლიტული, გაუყარეს ხელ-ფეხში ხუნდები, შეაკვეცეს ფრთები მის ოცნებასა და აღმაფრენას, უკულმართათ მომართეს მისი შკოლები და სამსჯავრონი. **ბ**აბატონდა ტურფა **ს**აქართველოში რუსის მექრთამე ჩინოვნიკი და ტლანქი პოლიციელი, „როზგი“, მათრახი და საპყრობილე... **დ**ამყარდა **ქ**ოლხეთ-**ი**ვერიაში უზომო ხარკი, პიროვნების ფეხ-ქვეშ გათელვა, უსაზღვრო მექრთამობა, მშვიდობიან მცხოვრებთა ულმობელი დარბევა და აწიოკება, რასაც **ძ**ოჰყვა **მ**თიულეთის, ქახეთის და **ი**მერეთის აჯანყებანი, სისხლის-ღვრა და აწიოკება... **მ**იუხედავათ ამისა, მოყვრის ნიღაბით მოვლენილმა ბატონმა ვერ მოჰკლა **ქ**ართველი ერის ცხოველი სული! იგი კვლავ ცოცხალია და იმედით სავსე! ამ საშინელ პირობებშიაც კი მან შესძლო და შექმნა მდიდარი ლიტერატურა, წარმოშვა დიდებული მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, როგორიც იყვნენ, მაგ., **ნ**იკოლოზ **ბ**არათაშვილი, **დ**იმიტრი **ყ**იფიანი, ილია **ჭ**ავჭავაძე, **აკ**აკი **წ**ერეთელი, **ვ**იორგი და **რ**აფიელ **ერ**ისთავი, **ალ**ექსანდრე **ყ**აზბეგი, **ვ**აჟა-**ფ**შაველა, **დ**იმიტრი **ბ**აქრაძე, **გ**აბრიელ **ე**პისკოპოსი, **ია**კობ **გ**ოგებაშვილი, **სერ**გეი **მ**ესხი, **არ**ჩილ **ჯ**ორჯაძე, **ე**გნატე **ნ**ინოშვილი და მრავალი სხვა.

5 ქართველი ერის აწმყო და მომავალი

ბაცრუებულმა **ი**მედებმა, ტლანქმა ძალმომრეობამ და ყოვლის მხრიდან ულმაგალითო ცარცვა-გლეჯამ გააღვიძეს ქართველი ერი. **ი**ს უკვე გამოვიდა უმოქმედობის და მცონარობის ჯანყიდან, გაახილა ფართოთ თვალი, დაინახა და იცნო თავისი მტრები და მოკეთენი. **ი**ს მიხვდა ბოლოს, თუ რა საშინელ უფსკრულის პირას დგომილა შიგ გადასაჩეხათ. **რ**უსული შკოლა ეკლესია, სასამართლო და მთელი მართვა-გამგეობის წესი, ემუქრებოდა **ქ**ართველს გარუსებას ბ გადაგვარებას. **ბ**ამიჯვნის ბ კონფისკაციის სა-

ხით რუსებმა წაართვეს კერძო პირთ აურაცხელი მიწა-მამული და შერაცხეს სახაზინოთ. **ა**გრეთვე სახაზინოთ შერაცხეს საეკლესიო, სამონასტრო, სამეფო და ზოგიც სამთავრო მამულები; ამ უუმდიდრეს ადგილებზე კი დაასახლეს ასი-ათასობით **ს**ომეხი, **რ**უსი, **ბ**ერმანელი, **ბ**ერძენი და სხ., რომ ამრიგათ აეჭრელებიათ საქართველოს ტერიტორია, მოეშორებიათ შავ-ზღვას, დაესუსტებიათ ქართველი ერი და დაებადათ მკვიდრთა და ჩასახლებულთა შორის შური და მძულვარება. **ე**ს გარემოება კი დიდათ ხელს უწყობდა **რ**უსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელიც მტკიცეთ ასრულებდა **რ**ომაელთა დევიზს: divide et impera! ე. ი. გაჰყავ, განხეთქილება დაბადე ხალხთა შორის და იბატონეო...

და ეს უსამართლო ჩასახლება ჩვენს სამშობლოში ხდებოდა იმ დროს, როცა თვით ქართველი ერი საშინლათ იტანჯებოდა უმიწობით, სული ეხუთებოდა და არ იცოდა; სად შეეფარა თავი. **ი**ყო ისეთი მაგალითებიც **ა**ფხაზეთში და სხვაგან, რომ აჰყარეს სოფლებიდან მკვიდრი მცხოვრებნი და დაასახლეს მათზე შიდა გუბერნიებიდან მოყვანილი რუსები, რომელთაც იმდენი მიწები აქვთ თავის ქვეყანაში, რომ არ იციან რა მოუხერხონ. **ა**სეთი ტლანქი და ვერაგული პოლიტიკა იწვევდა ქართველ ერში დიდ უკმაყოფილებას რუსის მთავრობისადმი და მძულვარებას ჩამოსახლებულთა მიმართ. **მ**ფარველობით და დიდი დახმარებით იმ თავითვე ფრიად გაალაღეს ჩვენში გადმოსახლებულნი, განსაკუთრებით კი, **სომხები**, რომლებმაც დიდათ ისარგებლეს ქართველი ერის სისუსტით, გულკეთილობით, სიუხვით და მინდობილობით, აგრეთვე ისარგებლეს დიდათ **ა**მიერ-**კ**ავკასიის ომებით, თავის ვაჭრული უნარით, ჩარჩობით, მევახშეობით და სხვადასხვა მანქანებით შეიძინეს ჩვენში დიდი მამულები, მილიონები და დღეს ისე გათამამდენ, რომ ჩვენი მორიდებაც აღარ აქვთ.

ამდენმა უსამართლობამ ტ გაჭირვებამ გამოაღვიძა ქართველი ერი; მან შეიგნო ეროვნული დაჩაგვრა, **ს**იმხის ბურჟუაზიის ვერაგობა, კლასობრივი სიმწვავე და ერთობის ძალა; ირკვევა თანდათან მძლავრათ მისი ეროვნული შემეცნება. **მ**ან კიდეც შექმნა ორი პოლიტიკური პარტია: **სოციალ-დემოკრატიული** და **სოციალისტ-ფედერალისტური**, დღეს გაბედულათ იცავს გათელილ უფლებებს და დამცირებულ პიროვნებას. **მ**ან ნათლათ შეიგნო, რომ მორჩილებით, შებრალებით, თხოვნით და ვედრებით ვერაფერს მიიღებს, რომ სხვისი იმედით ცხოვრება სიყალბეა და სრული დაღუპვა. **ა**მიტომ ქართველი ერი დღეს გაბედულათ და სამართლიანათ თხოულობს იმას, რაც დაჰკარგა იძულებით, რაც წაართვეს ძალით თუ ნებით ამ ასი წლის წინათ. **მას სწადია თავის ეროვნული სახის შერჩენა, თავის ეროვნული კულტურის და ეროვნული ეკონომიკის განვითარება.** **მ**ან ცხოვლათ შეიგნო უკვე, თუ რა

დიადი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ გარემოს კულტურისა და ნივთიერი დოვლათის შექმნაში. **ქართველი ერის არსებობის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ფართო ავტონომია და ავტოკეფალია, ე. ი. პოლიტიკური და ეკლესიური თვითმართველობა. მას სურს აღადგინოს ის კანონიერი უფლებანი, რაც აღნიშნულია 1783 წლის ტრაქტატში,** ვიმეორებთ, **ამ უფლებათა მოპოებას მედგრათ საჭიროებს ქართველი ერის ნორმალური ზრდა და პროგრესი.**

ამ 115 წლის განმავლობაში ქართველმა ერმა მრავალ გზით დაუმტკიცა **რ**უსეთს თავის ერთგულება და თავგანწირვა. **ამ** ერმა მისცა **რ**უსეთის იმპერიას თავდადებული გმირები და სამხედრო გენიოსები, როგორიც იყვნენ, მაგ., **თ. პეტრე ბაგრატიონი, თ. პავლე ციციშვილი, თ. დიმ. და გრიგოლ ორბელიანები, ძმანი ფანჩულიძეები, თ. ზაქარია ჭავჭავაძე, თ. ნიკა ამილახვარი, ს. კვინეტაძე** და მრავალი სხვა. **ქ**ართველი **ჯ**არის ავანგარდმა დაამარცხა **შამილი** და დაიპყრო მთელი **ک**ავკასიონი, ქართველი მხედრობა უძღოდა წინ **რ**უსის **ჯ**არს **ს**პარსთა და **ო**სმალთა წინააღმდეგ აურაცხელ ომებში, იცლებოდა სისხლით და ჰფენდა **რ**უსის დროშას დიდების შარავანდედს, **და ეს დიდი ამაგი ქართველი ერისა დაივიწყა რუსეთის მთავრობამ და საზოგადოებამ!.. ** **ᲓᲐ** ახლა კიდევ, უუსაშინელეს მსოფლიო ომის დროს **300.000 ვაჟკაცნი, ს**აქართველოს საუკეთესო შვილნი, სიმღერით და ცეკვა-თამაშით წავიდენ ბრძოლის ველზე **რ**უსეთის იმპერიის მტრების, **ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ** და **ᲝᲡᲜᲐᲚᲔᲗᲘᲡ** წინააღმდეგ, გაწყდენ იქ ათიათასობით, ისახელეს თავი და საარაკო მოქმედებით გმირული სული ჩაუდგეს **რ**უსეთის მხედრობას, რაც აღნიშნეს კიდეც ჟურნალ-გაზეთებში თვით **რ**უსის მწერლებმა და გამოჩენილმა სარდლებმა.

მიუხედავათ სასტიკ პირობათა, ქართველმა ერმა არამც თუ ისახელა თავი სულიერი კულტურის აღორძინებით, არამედ ეს ერი საოცარი უნარით და ძლიერებით გამოდის დღეს ვაჭრობა-მრეწველობის ასპარეზზე, ირაზმება და ებრძვის უცხოელთა გაბატონებულ კაპიტალს, ქმნის საოცარი სისწრაფით სხვადასხვა სახის კოოპერატივებს, ე. ი. საკრედიტო, სამეურნეო მომხმარებელ ამხანაგობებს და ამრიგათ ბადებს ნივთიერ დოვლათს. **თ**უ აქამდე მცონარის, მფანტავის და ბედოვლათის სხეულს ატარებდა ქართველი, ამიერიდან იგი სულ სხვა პიროვნებაა: **მუშა, საქმიანი** და **ყაირათის მცოდნე. ᲓᲦᲔᲡ** ამ ერის სულის სიღრმეში ხდება დუღილი; ერი ირკვევა თანდათან და ვამოდის პარტიების მიერ მობერილ სოციალიზმის ბურანიდან, ოცნების ვარდისფერ სფეროდან ეშვება ძირს და პოულობს დასაყრდნობათ რეალურ ნიადაგს. **ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲗ** ამ მსოფლიო ომის დროს, ამ პოლიტიკურსა და კულტურულ-ეკონომიურ დუღილში ჩამოიქნება და ჩამო-

ყალიბდება **ახალი საქართველო**, ფხიზელი, მშრომელი, მხნე, ნიჭიერი და ეროვნულათ ცნობიერი... ქართველი ერის ცხოვრება იწვევს დღეს და მზათ არის წარმოშვას კიდევ **ორი არასოციალისტური პოლიტიკური პარტია**; ერთი უნდა წარმოიშვას ქართველი **ბურჟუაზიისა** და **თავად-აზნაურობის** წრეებიდან, მეორე კი თვით ქართველი **მშრომელ ხალხისაგან**. პირველ პარტიის ირგვლივ უნდა შეჯგუფდენ: ქართველი ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. მეორე პარტიის ირგვლივ კი უნდა შეგროვდეს თვით **ქართველი ერის მასსა**, ე. ი. **სოფლის მშრომელი გლეხობა, წვრილი მუშა-აზნაურობა, წვრილი ვაჭარ-მრეწველნი, ხელოსნები და მათი ინტელიგენცია**, ე. ი. **დაბა-სოფლების მასწავლებელნი, მეურნენი** და **მოხელნი**; ამ პარტიის დროშის ქვეშ უნდა მოიყაროს თავი **სახალხო კოოპერატივებმა**, ე. ი. **წვრილი კრედიტის, სამეურნეო, სახელოსნო** და **მომხმარებელმა ამხანაგობებმა**, ერთი სიტყვით ყველა იმ ელემენტებმა, რომლებიც დღეს შეცდომით განაწილებული ყავთ ჩვენს სოციალისტურ პარტიებს, ან დგანან მათ გარეშე. ამ ახალი პარტიის სახელწოდება იქნება **ეროვნულ-დემოკრატიული ანუ ხალხოსნური პარტია**. ამ პარტიის უმთავრესი მიზანი იქნება: **წმინდა ხალხოსნურ მისწრაფებათა განსასიერება ეროვნულ ფარგალში**. აშრიგათ ამ პარტიის ირგვლივ უნდა შეჯგუფდეს **ქართველი ერის 80%-ი** მაინც, ე. ი. **რვა მეათედი ნაწილი** და ამიტომ ეს პარტია იქნება საქართველოში **ყველაზე უფრო ძლიერი, მკვიდრი**. აი, სწორეთ ამ პარტიის შექმნას მედგრათ თხოულობს თვით ქართველი ერის ჭეშმარიტი ინტერესი. ასეთი პარტია არსებობს ყველა განათლებულ ერში; მაშ ასეთი ეროვნულ-ხალხოსნური პარტია უნდა არსებობდეს ჩვენშიაც! ეს არის თვით ისტორიის კანონი. უამპარტიოთ ფერხდება ქართველი ეროის წინსვლა და რაც უფრო ადრე დაარსდება იგი, მით უკეთესი, მით უფრო მეტი ძალა და უნარი მიეცემა თვით ქართველი ერის საქმიანობასა და შემოქმედებას.

ასეთია დღეს ქართველი ერი. **იგი** ღირსია **უკეთესი** ცხოვრებისა და მომავლის. **ერი**, რომელმაც შექმნა წარსულში მაღალი კულტურა, სახელმწიფო ფორმები, ბევრი დიდებული რამ და მოვიდა დღემდე ცოცხალი ნიჭით, ძალ-ღონით სავსე და სულით მოძრავი, ასეთი ერი უსათუოთ დასძლევს ყოველივე დაბრკოლებას, ყოველგვარ ხუნდებს და გაიკაფავს გზას უკეთეს მომავლისკენ. **წარსულში** მრავალ გმირთა **ბ** გენიოსთა შემქნელი ქართველი ერი, ერი ქებული მამაცობით, ერი რაინდი და ჯვაროსანი, ერი ერთ დროს თითქმის მთელი კაცობრიობის კულტურის დროშის მჭერელი, ერი სულით უკვდავი — ასეთი ერი შესძლებს კვლავ წარმოშვას თავის სკუთარი პოლიტიკური არსებობა, ააყვავოს თავისებური კულტუ-

რა, შეიტანოს საკუთარი სხივი მსოფლიო ისტორიაში და თამამათ ჩაებას მოწინავე ხალხთა ფერხულში.

დ ი დ ე ბ უ ლ ი ა მ ბ ე ბ ი

ეს ნაშრომი უკვე წლის წინათ დაწერილი მქონდა, როცა მოხდა ისტორიაში უდიდესი ამბები. მსოფლიო ომის სიმძაფრემ და ბერმანელის გმირულმა მარჯვენამ დაამსხვრიეს თიხის ფეხებზე მდგარი ჩრდილოეთის ბუმბერაზი. რუსეთის იმპერია — ეს ევროპის ჟანდარმი და უდიდესი საფრთხე. წარმოიშვა რუსეთის დიდი რევოლიუცია თავის საშინელებით. 27 თებერვალს 1917 წელს დაეცა ძირს ულმობელი მტარვალი, დაიმსხვრა სამუდამოდ ბოროტების ტახტი; ბოლო მოეღო რუსის მეფის დახავსებულ რეჟიმს, განიავდა ხიშტებზე, მათრახზე და სახრჩობელაზე დამყარებული უზარმაზარი იმპერია. მეფეს გვირგვინთან ერთად დაენარცხა მიწას გულგანგმირული ორთავიანი არწივი. ამოისუნთქეს შვებით დამონებულმა ერებმა, გაშალეს ლაღად დროშები და აღტაცებით უგალობეს ზევსური დიდებულ თავისუფლებას.

ამ წელიწადნახევარში მოხდა დიდი მოვლენანი, ატრიალდა საოცარი სისწრაფით ისტორიის ჩარხი: გამოეყვენ რუსეთს თანდათანობით **ფინეთი ლიტვა, უკრაინა, დონი, ყუბანი, ყაზანი, ციმბირი, კავკასიონის გადაღმა ხალხები, აგრეთვე კავკასია** და ბოლოს **საქართველოც**. ამათ შექმნეს დემოკრატიული რესპუბლიკები, ზოგმაც კონსტიტუციური სამეფონი და იწყეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება.

ასრულდა ჩვენი წინაგრძნობა: კიდევ მარტში 1917 წელს საქართველოში დაარსდა არასოციალისტური, **ეროვნულ-დემოკრატიული პარტია** თავის რეალური პროგრამით და სამშობლოს იდეალით. ეს ნორჩი პარტია მედგრათ შეუდგა მოქმედებას, მოკლე დროში მოიპოვა დიდი გავლენა და თანაგრძნობა; მას მიემხრენ როგორც ვაჭარ-მრეწველნი, ისე უმთავრესად ინტელიგენცია და მრავალი სოფლის გლეხობაც.

ამავე დროს ყველაზე უფრო გაბედული რევოლიუციური ნაბიჯი გადადგა საქართველოს სამღვდელოებამ; მან მოახდინა დიდი კრება მცხეთაში 10 აპრილს 1917 წელს, განშორდა საჯაროთ რუსეთის ეკლესიას, გამოაცხადა **ავტოკეფალია** და აღადგინა **ქათალიკოსობა**; აგვისტოში ამავე წელს მოახდინა დიდი კრება თბილისში, და აირჩიეს სრულიად საქართველოს ქათალიკოსად **ეპისკოპოზი კირიონი**, რომელიც დიდი ზეიმით ეკურთხა მცხეთაში 1 ოქტომბერს იმ ვე წელს. საქართველოს საღვთ ელოების ასეთ რევოლიუციონურ ნაბიჯს მხარი დაუჭირა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ.

თვით რევოლიუციონურ რუსეთში მართვა-[illegible] ჩაიგდეს ხელ-

ში ჯერ „**მენშევიკ**“ — **სოციალ-დემოკრატებმა** და **სოციალ-რევოლიუციონერებმა**. ამათი ბელადები შეიქნენ **კარლო ჩხეიძე**, **ირაკლი წერეთელი** და **კერენსკი**. მაგრამ რუსის ხალხის (ველიკოროსიის) უმეცრებამ, ველურმა ბუნებამ და რბევა-ნგრევის ალღომ ააცდინეს რევოლიუცია წმინდა დემოკრატიულ გზას, შექმნეს საშინელი ანარქია და ამ სახით დააქანეს რუსეთი ხრამში გადასაჩეხად. **ეს** ანარქიის ალი და კორიანტელი, ეს უაზრო ჟლეტა და რბევა ჯერაც არ შეწყვეტილა **რუსეთში**. **ამრიგათ** მოუმზადეს ნიადაგი უკიდურეს რეაქციას, ე. ი. ძველი რეჟიმის, მონარქიის აღდგენას. **17** ოქტომბერს **1917** წელს დაეცა **რუსეთში** რევოლიუციის რომანტიზმი, დაეცა ჰუმანიური კოალიციური მთავრობა, მათ ნაცვლად კი გამეფდა „**ბოლშევიზმი**“, რომელსაც სათავეში ჩაუდგენ **ლენინი**, **ტროცკი** და **ჯუღაშვილი** თავის წითელი ტერორით და სისხლის ღვრით. **ბოლშევიკებმა** მათრახებით გარეკეს იანვარში **1918** წ. **პეტროგრადში** მოწვეული **რუსეთის** დამფუძნებელი კრება, და შეიქნენ ქვეყნის ბატონ-პატრონი. **დავლა** დასცეს **რუსეთის** მსხვილ მეურნეობას, ბანკებს, ვაჭრობას **და** მრეწველობას, გააბატონეს მუშა, წარმოშვეს პროლეტარიატის დიქტატურა და მოიწადინეს საყოველთაოდ სოციალიზმის დამყარება. **ასეთმა** მოქმედებამ **და** უნიადაგო ცდამ დასეტყვა **საწარმოვო** ძალები **და** **წარმოშვა** **უსაზღვრო** სპეკულიაცია, **უკიდურესი** **სიძვირე** **და** **ბნელი** **ანარქია**, **რამაც** **რუსის** **არსებაში** **გააღვიძა** **საშინელი** **მხეცი**, **შექმნა** **ჯოჯოხეთი** **და** **დააჩქარა** **რუსეთის** **სრული** **დამსხვრევა**, **ამასთანავე** **წარმოშვა** **საერთაშორისო** **და** **სამოქალაქო** **ომები**, **მიიყვანა** **რუსეთი** **ბრესტ-ლიტოვსკის** **სამარცხვინო** **ზავამდე** **და** **თვით** **რევოლიუცია** **სრულს** **გაკოტრებამდე**.

1917 **წელს** **ივნისიდან** **სპარს-ოსმალთა** **საზღვრებიდან** **დაიძრა** **თითქმის** **ერთი** **მილიონი** **რუსის** **ჯარი**; **იგი** **გარბოდა** **რუსეთისკენ** **ცარცვა** **რბევით**, **მკვლელობით** **და** **აწიოკებით**. **ბარ** **ზოგავდა** **გზაში** **არაფერს** **და** **ანადგურებდა**, **რაც** **კი** **ხვდებოდა**.

რუსის **ჯარის** **წასვლამ** **ხელი** **შეუწყო** **იმას**, **რომ** **ამიერ-კავკასია** **ჩამოსცილებოდა** **რუსეთს**, **გამოეცხადებია** **სრული** **დამოუკიდებულობა** **და** **დაარსებია** **დემოკრატიული** **რესპუბლიკა**, **რაც** **მოხდა** **კიდეც** **თებერვლის** **დამდეგს** **1918** **წელს** **და** **რასაც** **სათავეში** **ჩაუდგენ** **უმთავრესად** **ქართველი** **სოც. დემოკრატები**.

19 **ნოემბერს** **1917** **წელს** **მოხდა** **ჩვენში** **ერთი** **დიდი** **ეროვნული** **აქტი**; **საქართველოს** **ყოველი** **კუთხიდან** **შეიკრიბენ** **თბილისში** **ყველა** **წოდების** **და** **საზოგადო** **დაწესებულებათა** **წარმომადგენელნი**, **გამოაცხადეს** **საქართველოს** **ავტონომია** **და** **დააარსეს** **ეროვნული** **საბჭო**, **რომლის** **თავმჯდომარეთ** **ერთხმად** **იქნა** **არჩეული** **ნოე** **ჟორდანია**. **ეს** **დიადი** **კრე-**

ბა მოხდა სახაზინო თეატრში და გამოიწვია მთელ საქართველოში დიდი ზეიმი და აფრთოვანება. პირველად ამ დღეს შეიმკო ოლხეთ-ივერიის დაბა-ქალაქები საქართველოს **ეროვნული დროშებით** შავ-თეთრი ალმით. ამგვარივე ეროვნული საბჭოები დააარსეს ამავკასიონის მთის გადალმა ხალხებმა, ამიერ-ამავკასიაში კი თათრებმა, სომხებმა და ამავკასიის რუსებმა. კიდევ უფრო ადრე დაარსდა ფედერალისტთა მეოხებით, **ქართველ მხედართა კავშირი**, რამაც ხელი შეუწყო ქართველი ჯარის გაეროვნებას.

მეტად სუსტი, ნაძალადევი და უდღეური გამოდგა ხელოვნურად შექმნილი ამიერ-ამავკასიის ცენტრალური რესპუბლიკა, რომელშიაც შედიოდენ სხვადასხვა სულით, მისწრაფებით და პოლიტიკური სანატრონით გაჟღენთილი ეროვნებანი: **ქართველები, თათრები, რუსები** და **სომხები**. ამავკასიელ რუსებში იმ თავითვე ჩაისახა ბოლშევიკური სული და გაღვივდა ძველი იმპერიალისტური ლტოლვა; თათრების საქციელმა ნათლად გამოარკვია **ოსმალეთის** ორიენტაცია; სომხები კი ჩვეულებრივ გაეხვიენ ქამელეონის ფერცვალა ქერქში და აწარმოეს ორპოფა პოლიტიკა; ისინი ხან რუსებისკენ იხრებოდენ და ხან **ინგლისელებისაკენ**, აშკარად მტრობდენ **თათრებს** და ატყვილებდენ **ქართველებს**; ყველგან და ყველაფერში კი ეძებდენ მხოლოდ თავის პირად სარგებლობას. ასეთმა ვიწრო ეგოისტურმა პოლიტიკამ, ასეთმა ავანტიურამ საშინლად გაამწვავა საქმე სომხებსა და თათრებს შორის, წარმოშვა სისხლის ღვრა და გაანადგურა თვით სომხის ერი, რომლის ნაფლეთები ზოგი შეეფარენ **საქართველოს** და ზოგიც გადაესახლენ ჩრდილო-ამავკასიაში. ეს გადასახლება კი იყო რაღაც სტიქიური ხალხის ძრწოლით გამოწვეული.

დარჩა მარტოდ ქართველი ერი, რომელიც ამ მოზღვავებულ მტერთა შორის, ისტორიულ მოვლენათა წყვდიადში და რევოლიუციის ქარტეხილში, ხელის ფათურით ეძებდა გამოსავალ გზას. **და** აჰა, სულიერმა კულტურამ, კეთილ-გონიერებამ და სიცოცხლის ალღომ მას მოაძებნია ეს გზა! ეს გზა იყო **რუსეთისა და ამიერ ამავკასიის ერებისგან სრული გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფო ცხოვრების შექმნა.** ეს დიდებული აქტი მოხდა **26 მაისს 1918 წელს**. საქართველომ გამოაცხადა თავის სუვერენობა, ე. ი. **დამოუკიდებლობა** და შექმნა **დემოკრატიული რესპუბლიკა** პარლამენტით ანუ ეროვნული საბჭოთი. **საბჭოს** თავმჯდომარეთ იქნა არჩეული **კარლო ჩხეიძე,** სამინისტროს სათავეში კი ჩაუდგენ ჯერ **ნოე რამიშვილი** და შემდეგ **ნოე ჟორდანია. როგორც** საბჭოში ისე სამინისტროში მთავარი ადგილი დაიჭირეს ს.-დემოკრატებმა, მათშივე შეევიდენ აგრეთვე სხვა პარტიების წარმომადგენელნიც.

საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იცვნეს უკვე ბერმანიამ, მისმა მოკავშირეებმა და ბოლო დროს თვით **რუსეთმაც.**

II რუსეთი და საქართველო

რუსის მთავრობის პოლიტიკა საქართველოში

ქართველი ერის ცხოვრებაში მე-XVIII საუკუნე დაიწყო მზიანი დღეებით. ქართლის ტახტზე ავიდა განათლებული მეფე **ვახტანგ VI.** მან მოახდინა სხვადასხვა რეფორმები და გაეცნო ევროპის ცხოვრებას კათოლიკე ბერებისა და ქართველ მოგზაურთა მეოხებით, ხელი შეუწყო სწავლა-განათლების გავრცელებას სტამბის დაარსებით, შკოლების გახსნით და მწერლობის აღორძინებით. **მაგრამ**, სამწუხაროთ, ვახტანგმა ვერ ვამოიჩინა პოლიტიკური შორსჭვრეტა და შეიქნა რუსეთის დიპლომატიის სხვერპლი.

1721 წელს რუსეთის იმპერატორმა **პეტრე დიდმა** გამოუცხადა ომი **სპარსეთის შაის გუსეინს.** ორთავემ დახმარება სთხოვეს ვ ხტანგს. ქართლის მეფემ მოახდინა დიდებულთა კრება, რომელმაც ვახტანგთან ერთათ გადასწყვიტა დახმარებოდა **პეტრე** დიდს. ვახტანგი დიდი ჯარით გაემართა მტრისკენ. აქ კაი ხნის ლოდინს შემდეგ გაიგო, რუსის ხელმწიფეს შეუკრავს ზავი **სპარსეთ**ს შაისთან და თავის ჯარი დაუბრუნებია **ასტრახანს**; თავის მოკავშირე ვახტანგი კი დასტოვა ღვთის ანაბარათ. **რ**უსის ხელმწიფის ასეთმა მოულოდნელმა საქციელმა თავზარი დასცა ვ ხტ ნგ მეფეს. ამ შემცდარი მოქმედებით მან საუკუნოთ გადიმტერა **სპ**არსეთი და ოსმალეთი. სპარსეთის **შ**აიმ წაართვა მეფობა ვახტანგს, უბოძა ქართლი ქახეთის მეფე **კოსტანტინეს**, მისცა ჯარი და უბძანა შესეოდა ქართლს. იმედ გაცრუებული ვ ხტანგი იძულებული გახდა თავის ოჯახობით და 1200 თავად-აზნაურით გადასახლებულიყო **რუ**სეთს. **ამ** რიგათ ვახტანგი თავის რაინდული საქციელით შეიქნა პირველი სხვერპლი **რ**უსის მთავრობის პოლიტიკისა, რამაც დიდი ზიანი მოუტანა როგორც ქართლს, ისე მთელ საქართველოს და წარმოშვა დინასტიური შფოთი და განხეთქილება ორ სამეფო გვარს შორის. **ი**მავე პეტრე დიდმა შეუკრა ზავი ოსმალოა სულთანს და დასტოვა მის მძიმე უღელში მთელი **ს**ასავლეთი და **სამ**ხრეთი ს ქართველო. ორივე შემთხვევაში **რ**უსეთის ბატონს ამოქ ედებდა მხოლოდ თავისი საკუთარი სახელმწიფოს ინტერესები და სრულიადაც არ ცხელოდა ს ქართველოსთვის, არ დარდობდა, დაიღუპებოდა იგი, თუ არა. რუსეთის ასეთი პოლიტიკა ვერ შეიგნეს ვერც ვახტანგ მე-VI და ვერც **ე**რეკლე მე-II.

რუსის პოლიტიკის კიდევ ახალი სხვერპ ნი შეიქნენ **ი**მერეთის მეფე **სოლომონ** I და ქართლ-ქახეთის ძეფე **ერეკლე გ**მირი.

მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში **ი**მერეთის ტახტზე ავიდა შესანიშნავი მეფე სოლომონ დიდი, ქართლ-ქახეთის ტახტზე კი გენიო-

სი სარდალი ერეკლე II. ამათ ალაგმეს ზვიადი ფეოდალები, ჩააქრეს შინაური უთანხმოება და შეთქმულობა, შემოიღეს სხვადასხვა საკეთილო რეფორმები, როგორიც იყო, მაგ., მორიგე ჯარის დაარსება, გახსნეს სტამბები, დაარსეს შკოლები, სემინარიები და სხ. ამ ორმა გამოჩენილმა მეფე-სარდალმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია სამეფოს გაფართოება-გაერთიანებას და მეზობელ ერებს. იმ დროს მთელი იმერეთი, ბურია-სამეგრელო და მესხეთი იყო ოსმალთა ბრჭყალებში, ქართლ-კახეთი კი სპარსეთის ხელში. მეფე სოლომონმა შეკრიბა ჯარები, გაუმართა ომი ძლიერს ოსმალეთს, დაამარცხა რამდენიმე ალაგას მტრის ჯარები, წაართვა იმერეთში ციხეები და განსაკუთრებით ხრესილთან ოსმალთა ლაშკარს მიაყენა ისეთი მარცხი, რომ სრულიათ გაითავისუფლა თავი სულთანის ბატონობისაგან.

ასეთივე ამბები ხდებოდა აღმოსავლეთ-საქართველოშიაც. აქ ერეკლე მეფემ დაიწყო თავის მოქმედება ლეკთა წინააღმდეგ და მრავალი გამაჯვებით გასწმინდა ქართლ-კახეთი იმათ თარეშისაგან. მანვე დაიპრო და შეიერთა განჯა, ყაზახი, ერევანი, შამშადილი დი თითქმის ამიერკავკასიის ყველა სახანოები. ბულით სურდა მთელი მესხეთის შემოერთებაც, რომელიც იმ დროს ხელში ეკავა სულთანს. ამ დროს სპარსეთის ტახტზე იჯდა დიდი სარდალი ნადირ შაჰ. იგი მეტათ კარგი თვალით უცქეროდა ერეკლე მეფეს, იწვევდა ხშირათ სპარსეთში და უგზავნიდა ფეშკაშებს; აგრეთვე იშველიებდა ომებში, ავღანთა, ყანდაართა და ინდოელთა წინააღმდეგ, სადაც ერეკლე გმირმა გაითქვა დიდი სახელი.

როცა ასე კარგათ მიმდინარეობდა საქართველოს სამეფოთა საქმეები და მტკიცდებოდა მათში სამეფო ძალა, წესი და ერთობა, როცა ხანგრძლივი ტანჯვის, შინაური შფოთისა და შემოსეულ მტერთა მიმართ სისხლის ღვრის შემდეგ ქართველმა ერმა ამოისუნთქა თავისუფლათ და შეუდგა მოქალაქობრივ ცხოვრებას და კულტურულ აღორძინებას, სწორეთ ამ დროს მას დაატყდა თავს ახალი საშინელი რისხვა ისევ რუსეთის ბზაკვრული პოლიტიკის სახით.

ამ დროს რუსეთში ბძანებლობდა ეკატერინე დიდი, რომელსაც ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონდა ოსმალებთან ყირიმის გამო. რუსის მთავრობამ მოისურვა ჩაება ამ ომში საქართველოს სამეფოები, რომ ამ სახით დაესუსტებია თურქები და ადვილათ გაემარჯვა მტერზე. ამ მიზნით ეკატერინე დიდმა და მისმა მთავარსარდლებმა პოტემკინმა და პანინმა გამართეს მიწერ-მოწერა ჩვენ მეფეებთან. სხვადასხვა დიპლომატიური ხრიკებით ადვილათ გააბრიყვეს და ჩაითრიეს ომში როგორც მეფე სოლომონი, ისე ერეკლეც. ამათ ალარ გაიხსენეს შახტანგ VI-ის შეცდომა და ოჯზე დამტყდარი უბედურება, შეწყვიტეს სულთანთან კეთილი განწყო-

ბილება და იწყეს საომრათ მზადება. **ეკატერინე** დიდმა გამოუგზავნა აჭათ დასახმარებლათ 4000 მხედრით ღენერალი **ტოტლებენი,** კაცი ფრიად ინტრიგანი, ამაყი, მზაკვარი და **ლაჩარი.** მან დახმარების ნაცვლათ ასტეხა შფოთი და კინკლაობა **საქართველოს** მეფეებთან, იწყო ცილისწამება და მათი უბრალოთ დაბეზღება **რუსის** მთავრობასთან, დაუშინა ზარბაზნები **ქუთაისის ციხეს** სრულიად უმიზეზოთ, მიატოვა **ასპინძასთან** მეფე **ერეკლე** 5000 კაცით ბრძოლის დაწყებამდი **ოსმალთა** ჯარის 30.000 კაცის თვალწინ და **ანანურის** გზით გაეშურა **რუსეთს ეკატერინე** დიდის ბრძანებისამებრ. **ამავე** დროს **რუსის** მთავრობა შეეკრა ზავით **ოსმალთ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატით;** ამრიგათ მთელი საქართველო ჩააგდო საშინელ ხიფათში და მისცა ჩასანთქავათ პირდაღრენილ ვეშაპს...

ეს საგულისხმო ამბავი მოხდა 1774 წელს.

— „**რუსეთმა** შეკრა ზავი **თურქებთან** და მისცა მათ მთელი **იმერეთიო**“, ვკითხულობთ **მარი ბროსეს** ისტორიაში (მემუარებში). — „ბევრი ამბობს, რომ **რუსის ჯარი** განგებ იყო გამოგზავნილი **საქართველოში,** რომ ქართველი მეფეები ჩაეთრიათ **თურქებთან** ომში და შემდეგ ეს ჯარი გაეყვანათ უკანვეო,“ ვხედავთ **ლეოვის რაპორტში** **პანინის** მიმართ.

რა მოჰყვა ასეთ უცნაურ ღალატს? თუმცა მცირე ჯარით **ერეკლე** მეფემ საარაკოთ გაიმარჯვა **ასპიძასთან** და დაამარცხა **ოსმალთა** დიდი ლაშქარი, მაგრამ **რუსეთთან** დამეგობრებამ და მიწერ-მოწერამ საუკუნოთ გადაამტერა ორივე მეფეს **ოსმალეთი** და **სპარსეთი,** აგრეთვე აამხედრა **ლეკებიც.** **ამის** გამო 24 **აგვისტოს** 1774 **წელს** თვით **ერეკლე** მეფე სწერს **პანინს** ვრცელ ბარათს, აღნიშნავს თუ როგორ შეასრულა სიტყვა, დაეხმარა ჯარით **რუსეთს,** ამ მოქმედებით კი გადაიმტერა საუკუნოთ **ოსმალეთი, სპარსეთი** და **დაღესტანი,** ამ რიგათ საშინელ განსაცდელში ჩააგდო თავის სამეფო, სთხოვს **რუსეთის** დედოფალს შველას და ჯარით დახმარებას. — „**ამიტომაო** **თურქები,** როგორც **შხამიანი** **გველები** **გვეხვევიან** ირგვლივ, **სპარსელნი** **გვიცქერენ,** **როგორც** **ბრაზიანი** **ლომები.** **ლეკები,** კი ილესვენ კბილებს **ჩვენს** **წინააღმდეგ,** **როგორც** **ეშიერი** **მგლები.** **ყველანი** **ერთათ** **ბორგვენ** **შურისძიებით,** **რადგან** **ჩვენ,** **ქართველებმა** **დავარღვიეთ** **ზავი** **მათ** **მიმართ** **და,** **თუ** **ისინი** **მოგვსპობენ** **მე** **და** **მთელ** **საქართველოს,** **მაშინ** **ვინ** **აგებს** **პასუხს** **ღვთის** **წინაშე,** **ან** **რა** **სარგებლობა** **ექნება** **ამით** **რუსეთის** **იმპერიას?** **ამიტომ** **მოიღეთ** **მოწყალება** **ჩვენს** **მართმადიდებელ** **ხალხზე.** **მე** **და** **სრულიად** **ჩემი** **ქვეყანა** **ვსასოებთ** **ღმერთზე** **და** **ყოვლად** **მოწყალე** **რუსეთის** **იმპერატრიცაზე**“, ათავებს ამ სიტყვებით თავის წერილს მეფე **ერეკლე.**

ჯარის გამოგზავნის და დახმარების ნაცვლათ, ამ წერილის პასუხათ,

რუსის მთავრობამ გამოუგზავნა მეფე ერეკლეს **ქუჩუკ-კაინაჯის ტრაქტატის ასლი...--ერეკლე** გმირმა არ დააჩაგვრინა მტერს თავი. ერთი მუჭა რაზმით იგი თავგანწირვით ებრძოდა როგორც ლეკებს, ისე სპარსელთ და იმარჯვებდა მათზე, მაგ., ზანჯა-ერევანში. მაგრამ მოხუცდა ივერიის ლომი, დაუძლურდა მეტათ ერეკლე გმირი; ის დასუსტდა გონებითაც და ჩაიდინა ოთხი ისეთი დიდი შეცდომა, რასაც მოჰყვა საქართველოსთვის საბედისწერო შედეგი: 1. **ერეკლემ არ შეიერთა იმერეთ-გურია-სამეგრელო და ამრ-გათ არ გააერთიანა საქართველო, როცა ამის შემთხვევა მიეცა იმერეთის მეფე სოლომონ დიდის სიკვდილის შემდეგ და როცა ამგვარი წინადადებით მიმართეს მას კოლხეთის დიდებულთა დეპუტაციამ. 2. ერეკლე მეფემ გაუყო თავის შვილებს საუფლისწულოთ ქართლ-კახეთი და მით დააუძლურა სამეფო. 3. თავის მ. სამე ცოლის დარეჯან დედოფლის შთაგონებით შესცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი და მით დაბადა ძმებს შორის დინასტიური შუღლი და განხეთქილება და 4. არ სცნო ირანის შაჰით ყაჯარი აღა-მამადხანი, რითაც გამოიწვია მისი საშინელი რისხვა და თბილისის აოხრება.**

საჭიროთ მიგვაჩნია მოკლეთ აღვნიშნოთ აქ ის თათბირი, რომელიც მოახდინა მეფე ერეკლემ კოლხეთის შეერთების გამო.

მეფე სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთმა საქართველომ ითხოვა ივერიასთან შეერთება და დესპანებათ გაუგზავნა ერეკლე II-ს ექვთიმე ბენათელი, დოსითეოს ჭუთათელი, სარდალი ძაიხოსრო წერეთელი, პაატა მიქელაძე, სახლთ ხუცესი ზურაბ წერეთელი, სეხნია წულუკიძე, იოანე, აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ძაიხოსრო ჯაფარიძე და ფიცის კაცნი ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი დ სხ. ერეკლემ შეკრიბა დიდებულნი პალატში და მოახდინა დიდი კრება. პირველი და ძლიერი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანის. მას მიემხრენ ანტონ კათალიკოზი, სარდალი დავით ორბელიანი, სოლომონ ლეონიძე, ძიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, ჯარდან ჩოლოყაშვილი და სხ.

— „მეფე სდუმდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა, აკურთხევდა აზრთა ამათ, ზეგარდმო შთაგონებულთა დესპანთადმი და იმერთა ერისა. „ნუ ჰყოვნი მეფეო! იტყოდა ჭაბუა, **მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ერი** იმერთა ითხოვს ერთობას და კავშირსა, ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვნასა?! **ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება,**“ ამბობს თავის თხუზულებაში **პლატონ** იოსელიანი. შეერთების წინააღმდეგი იყვნენ ზოგიერთი დიდი თავადები და თვით **დარეჯან** დედოფალი, რომელსაც იმერეთის

ტახტი სურდა თავის შვილიშვილისთვის. იოანე მუხრან ბატონმა წამოიძახა კრებაზე: „ჩვენ, ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოუაროთ იმერეთსაო!“

მოხდა მეორე კრება. ახლაც ჭაბუა ოერბელიანი და ანტონ ქათალიკოზი უმტკიცებდენ მეფეს შეერთების დიად მნიშვნელობას. ასეთივე აზრის იყო თვით ტახტის მემკვიდრე გიორგი. მაშინ მეფე ერეკლე აღსდგა და ბრძანა: თხოვნასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ ვავიხდი ახალსა მტერსა, რომელიც უნდა იყოს შვილიშვილი ჩემი იმერთა ტახტისთვის გამზადებული. დესპანნო,—წავედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ, დავსვამ იმერეთის ტახტზე შვილიშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით თვისით იქნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა.“

ასე უკულმართად დაბოლოვდა დასავლეთ საქართველოს დესპანობა და შეერთების უზენაესი აზრი! და ეს დიდი მარცხი მოუვიდა მოხუცს ერეკლეს უმთავრესათ თავის მეუღლის დარეჯან დედოფლის შთაგონებით, რომლის ახლო ვეზირი იყო სომეხი ოსეფა ყორღანაშვილი. ამ სომხისავე შედგენილი იყო ის უკულმართი ანდერძი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რამაც დაბადა საშინელი შუღლი ერეკლეს შვილებს შორის, მოკლა პოლიტიკურათ, გადაჩეხა უფრსკულში ივერია და მასთან მთელი საქართველო.

ასეთმა უტაკტობამ და პოლიტიკურმა სიბეცემ აიძულეს ერეკლე მეფე ეთხოვა რუსეთის პროტექტორატი (მფარველობა) და შეეკრა კიდეც მასთან ტრაქტატი (პირობით) 24 ივლისს 1783 წელს. ამ პროტექტორატმა კიდევ უფრო გააბრაზა საქართველოს მტრები. დიდი თხოვნა მუდარას შემდეგ ერეკლეს მოუდის რუსეთიდან მაშველი ჯარი მხოლოდ ორი ბატალიონი ღენერალ ბურნაშოვის მეთაურობით, ისიც მარტოოდენ 1878 წელს. მაგრამ ბანჯისკენ გალაშქრების დროს ბურნაშოვი, ბრძანებისამებრ, თავისა ჯარით სტოვებს საქართველოს და ხელმეორეთ აგდებს მოხუც ერეკლეს საშინელ ხიფათში.

1792 წელს ადის ირანის ტახტზე ხოჯა აღა-მამად-ხანი. მას სურს მოხიბლოს ერეკლე მეფე ფეშკაშებით და სხვადასხვა დაპირებით; იგი თხოულობს ერეკლესაგან ერთგულებას და რუსეთთან მოშორებას, მაგრამ ივერიის მეფე, როგორც უზადო რაინდი, რჩება ისევ რუსეთის ერთგული და თხოულობს შველას შურისძიებით აბობოქრებულ ირანის წინააღმდეგ. ეს შველა მიიღო მხოლოდ 3 წლის შემდეგ, ე. ი. 1 ოქტომბერს 1795 წელს. რუსის ხელმწიფემ უბძანა ღენერალ გუდოვიჩს ქავკასიონის საზღვარზე დახმარებოდა მეფე ერეკლეს ორი ბატალიონით, მაგრამ გვიანღა იყო. ამ დროს კრწანისის ველი უკვე შეღებული იყო ქართველთა გმირული სისხლით და თბილისი აოხრებული აღა-მამად-ხანის მიერ...

ამ საშინელ ამბებს ვეღარ გაუძღო მძიმე კაეშნით მოცულმა ერეკლეს გულმა და 11 იანვარს 1798 წელს ტანჯული მეფე გარდაიცვალა **თელავში** მწარეთ დატირებული ქართველი ერის მიერ.

კიდევ უფრო ადრე შეთქმულის ბასრმა მახვილმა გული გაუპო საქართველოს მოსისხლე მტერს აღა-მამად-ხანს.

ასე დასრულდა მე-XVIII საუკუნის დამლევს ქართველი ერის ტრაგედიის მეორე აქტი!..

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ერეკლე მეფის გმირობას აღტაცებაში მოჰყავდა პრუსიის მეფე **ფრიდრიხ დიდი.** ხშირად ამბობდა იგი: დასავლეთით მე ვბრძანებლობ, აღმოსავლეთით კი უძლეველი მეფე ერეკლე გმირია და ქართველთა ვაჟკაცობით ამხნევებდა ბრძოლის ველზე თავის ჯარს. ერეკლეს გმირობით გაოცებული იყო **რ**უსეთის იმპერატრიცა ეკატერინე დიდი. ამ თავის გაოცებას იგი უზიარებდა საფრანგეთის დიდ ფილოსოფოს **ვოლტერს** და მთელს ევროპას. მაგრამ ვერ უშველა შინაურ უთანხმოებით გაბზარულ ივერიას მეფის ზღაპრულმა გმირობამ და მისმა საარაკო გამარჯვებამ მცირე ჯარით სპინდასთან, ბანჯა-ერივანში და ბოლოს ქრწანისის ველზე ლეკთა და სპარს-ოსმალთა წინააღმდეგ: ძლიერი იყვნენ საქართველოს მტრები. მუსლიმთა მძლავრი ტალღები, შურისძიებით აღორძილნი, ეხეთქებოდენ სისხლით დაცლილ ივერიას რუსეთთან დაახლოების გამო. მძიმეთ დაავადებულ ქართლ-კახეთის სამეფოს ვეღარ შველოდა მოხუცი მეფის და მის ვაჟკაცთა თავგანწირული გმირობანი, ვერც 300 ხევსურის შეფიცვა, გმირ ლეონიდეს ჭაბუკთა მზგავსათ, და ზვარაკათ შეწირვა ქრწანისის ველზე. შავი ლანდივით მას უკვე ევლებოდა თავზე ჩასანთქავათ ბასრი კლანჭებით ფრთებ გაშლილი ორთავიანი ოეთრი არწივი.

II სახელმწიფო ხელშეკრულება ანუ ტრაქტატი, 1783 წელს დამტკიცებული

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფე ერეკლე იძულებული გახდა დაახლოვებოდა **რ**უსეთს და შესულიყო მის **მფარველობაში,** ანუ **პროტექტორატში.** **რ**უსის მთავრობას თავის მხრივ მეტათ სურდა ფეხი ჩაედგა **ა**მიერ-**კ**ავკასიაში, რათა უფრო ადვილათ დაესუსტებია **სპარსეთი** და **ოსმალეთი;** მომავალში ჩახთქა კიდეც ეს ორი სახელმწიფო.

აღმოსავლეთ **ე**ვროპის ტიალ მინდვრებზე, ვრცელ ჭაობებსა და **უ**სიერ ტყეებში ადვილათ გაიზარდა **თ**ათრების მძიმე უღლიდან განთავისუფლებული **რ**უსეთი ანუ **მ**ოსკოვის სამეფო და მალე გადაიქცა უზარმაზარ **ი**მპერიათ; ხოლო მისი შინაგანი წყობილება იყო მეტათ სუსტი,

თვით ხალხი ფრიად ჩამორჩენილი როგორც პოლიტიკურათ, ისე სოციალურათ და ეკონომიურათ. მისი მეურნეობა იყო ფრიად დაქვეითებული. **რუსის ხალხი** გმინავდა **ბატონყმობის** საშინელ ზვირთებში და მთელს **იმპერიაში** იყო **გაბატონებული პოლიციელი** და **მათრახი**. **ყოვლად უვარგისი ბიუროკრატიული მექანიზმი, უცხოელ ავანტიურისტების ბატონობა** და **უსაზღვროთ მექრთამე ჩინოვნიკები,**—აი რა ახასიათებდა **იმ** დროს **ბ უუფლებო** რუსეთს! პეტრე დიდისა **ბ ეკატერინე II**-ის გენიოსობამ და ფართო რეფორმებმა გერმანულ ყაიდაზე ბევრი ვერაფერი შესძინეს **უკულტუროს** და ათასი წლის მონობაში დაჩლუნგებულ **რუსის** ხალხს, ხოლო წარმოშვეს **ბიუროკრატიის** და **პოლიციის უსაზღვრო ბატონობა, მილიტარიზმი, იმპერიალიზმი, ზრდის შეუკავებელი სურვილი, სხვა ხალხთა** და **სამეფოთა ჩანთქმის საშინელი** მადა.

რუსეთის იმპერია სტიქიურათ მოგორავდა სამხრეთით, რომ ერთი მხრით ჩაეგდო ხელში „ცარგრადი", ე. ი. მშვენიერი **სტამბოლი**, ეს შავი და მარმარილოს ზღვების კლიტე და ობოლი მარგალიტი, რათა ამ რიგათ დაპატრონებოდა ერთიანად **შავი ზღვის ნაპირებს** და მოეპოვა გასავალი გზა **ხმელთაშუა ზღვასა** და **ატლანტის ოკეანეში**, მეორე მხრით კი **კასპის ზღვას** და იკაფავდა გზას მდიდარ და უზარმაზარ ინდოეთისკენ. **რუსეთის** ამგვარი **პოლიტიკა** წარმოიშვა **პეტრე** დიდის დროს და ასეთი ლტოლვა აშკარათ გამოირკვა **ეკატერინე** დიდის მეფობაში. **სწორეთ** რუსეთის **ასეთი მიზანი შეიქნა საბედისწერო საქართველოსთვის! ამ** მიზანს **ემსხვერპლენ ჯერ საქართველოს** მეფეები **ვახტანგ VI, სოლომონ** დიდი **და ერეკლე** გმირი, **შემდეგ** კი **მთელი საქართველო. სწორეთ** ამას მოჰყვა ფატალურათ ჯერ ქოლხეთ-**ივერიის** სამეფო-სამთავროების **დასუსტება** და **ქართლ-კახეთის** პროტექტორატი და **შემდეგ სპარს-ოსმალთა** სასტიკი **შურისძიება**, დინასტიური **შუღლი** და **ბოლოს საქართველოს სრული** დაკავშირება **რუსეთის** იმპერიასთან.

შევეხოთ პროტექტორატს. **ეს** მფარველობის აღმნიშვნელი **სახელმწიფო** პირობა, ანუ **ტრაქტატი** დამტკიცდა **გეორგიევსკის ციხეში 24 ივლისს 1783 წელს. ეს** ტრაქტატი დაიდვა **ერეკლე** მეფესა და **რუსეთის** იმპერატრიცა **ეკატერინე** მე-**II** შორის. **მას** ხელი **მოაწერეს ეკატერინე** დიდის მხრივ **რუსეთის** ღენერალმა **პავლე პოტემკინმა** და **ერეკლე II**-ს **მხრივ სპასალარმა** თ. **ივანე ბაგრატიონმა** და **მანდატურთ უხუცესმა** თ. **გარსევან ჭავჭავაძემ**.

ტრაქტატი, 1783 წელი

„24 ივლისი. პირობა ესე დადგენილი მის იმპერატორობით უდიდებულესობასა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს შორის“

„რუსეთის იმპერია, თავის ერთ მორწმუნოების გამო, იყო უძველეს დროიდან ქართველ ხალხთა და მათ უგანათლებულეს ბძანებელთა დამხმარე და თავშესაფარი მეზობელთა ძალმომრეობისაგან. ასეთმა მფარველობამ წარმოშვა ის დამოკიდებულება, რომელიც ნათლათ ჩანს რუსეთის საიმპერატორო ტიტულში. მისმა იმპერატორობით უდიდებულესობამ ეკატერინე II-მ საკმაოთ აღნიშნა ამ ხალხთა მიმართ თავის უზენაესი კეთილნება და დიდსულოვნება მათ საკეთილდღეოთ, თავის ფრიადი მაკადინობით განათავისუფლა ისინი მონობის უღლისაგან* და ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე თეიმურაზის ძის თხოვნის შესახებ მიღებისა **უზენაეს მფარველობაში** თვით ერეკლე მეფის, მის მემკვიდრეთა და სამეფოთა, რომელზედაც უნდა გავრცელდეს რუსეთის იმპერატორთა უმაღლესი უფლება, ყოვლათ მოწყალეთ კეთილინება, რათა შეუკრან ზემოხსენებულ ქართლ-კახეთის მეფეს **მეგობრული** პირობა, რომლის ძალით ერთი მხრით მისმა უგანათლებულესობამ ერეკლე II-მ უნდა სცნოს როგორც თავის თავსა და თავის მემკვიდრეებზე, ისე სრულიად ქართლ-კახეთსა და სხვა მის კუთხეებზე მისი უდიდებულესობის და მის მემკვიდრეთა **უზენაესი** **უფლება** და აღნიშნოს ზეიმით და გარკვევით თავის ვალდებულებანი რუსეთის იმპერიის წინაშე, მეორე მხრით კი თვით მისმა უდიდებულესობამ უნდა განამტკიცოს ზეიმითვე, თუ რა სარგებლობა ეძლევა მისი უხვი და ძლიერი მარჯვენით ზემოხსენებულ მეფეს, მის მემკვიდრეებს და ხალხებს. და ბოლოს მისმა იმპერატორობით უდიდებულესობამ კეთილინება და ამ ტრაქტატის დადების რწმუნებულათ დასახა უგანათლებულესი თავადი ბრიგოლ პოტემკინი, რომელმაც თავის მხრით თავის უფლებანი მიანდო ღენერალ პავლე პოტემკინს; მისმა უგანათლებულესობამ ერეკლე მეორემ თავის მხრით აირჩია რწმუნებულებათ ღენერალი თ. იკანე ბაგრატიონი და თ. ბარსევან ჭავჭავაძე. ზემოაღნიშნული რწმუნებულნი შეუდგენ საქმეს ღვთის შეწევნით, დაადგინეს და ხელი მოაწერეს შემდეგ არტიკულებს (მუხლებს):

არტ 1. მის უგანათლებულესობა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II თვით (ს) თავის მემკვიდრეთა სახელით უარს ყოფს საუკუნოთ ყოველივე დამოკიდებულებას სპარსეთის მეფის, ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს წინაშე (ს) მით აცხადებს საქვეყნოთ, რომ იგი არ ცნობს არც თავის თავზე, არც

*) რომელმაც თავის მხრით თავის უფლებანი მიანდო ღენერალს პავლე პოტემკინს.

თავის მემკვიდრეთა მიმართ არავის ბატონობას თვინიერ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის და მისი ტახტის უმაღლეს მემკვიდრეთა **უზენაეს უფლებისა** და **მფარველობისა**. ამასთანავე აღუთქვამს რუსეთის ტახტს ერთგულებას და დახმარებას ყოველ დროს, როდესაც კი მოსთხოვენ მას.

არტ. 2. მისმა იმპერატორობით უდიდებულესობამ მიიღო რა მის უგანათლებულესობისაგან ასეთი გულწრფელი აღთქმა, ნაცვლათ პირდება და აიმედებს მას თავის იმპერატორობითი სიტყვით, როგორც თავის მემკვიდრეთა ნაცვლათ, რომ მათი მოწყალეობა და მფარველობა არას დროს არ მოაკლდებათ ქართლ-კახეთის უგანათლებულეს მეფეებს, რის დასამტკიცებლათ მისი უდიდებულესობა ხდის ვალდებულათ თავის თავს, რომ სავსებით დაიცვას მისი უგანათლებულესობის ერეკლე II სამეფოსა და სამფლობელოთა მთლიანობა; ამასთან ერთათ ეცდება შეუერთოს ის ქვეყნებიც, რომლებიც იქნებიან შეძენილი რაიმე გარემოებით სხვადასხვა დროს.

არტ. 3. იმ გულწრფელობის დასამტკიცებლათ, რითაც აღიარებს მისი უგანათლებულესობა ქართლ-კახეთის მეფე სრულიად რუსეთის იმპერატორთა უზენაეს უფლებას და მფარველობას, ზემოხსენებული მეფე და მისი მემკვიდრენი ვალდებული არიან ტახტზე ასვლის დროს აცნობონ მაშინვე რუსეთის იმპერატორს და გამოითხოვონ თავის ელჩების საშუალებით მეფობაზე დამტკიცება და ინვენსტიტურა, რის შესახებ გაეგზავნება მეფეს წერილობითი სიგელი, ხმალი, ბრძანებლობის კვერთხი, მანტია ანუ ყარყუმის მოსასხამი და დროშა რუსეთის საიმპერატორო ღერბით, რომლის შუაგულში იქნება გამოსახული საქართველოს სამეფო ღერბი. ეს სამეფო ნიშნები გადაეცემა ან მეფის ელჩებს, ან და საზღვარზე მდგომ რუსის გამგეობის ხელით გაეგზავნება მეფეს, რომელიც ვალდებულია მათ მიღებისთანავე, რუსეთის მინისტრის თანადასწრებით დიდის ზეიმით აღიაროს ფიცი რუსეთის იმპერიის ერთგულობაზე და სცნოს რუსეთის იმპერატორთა უზენაესი უფლება და მფარველობა იმ წესით, რომელიც აღნიშნულია ამ ტრაქტატში. ეს წესი უნდა აღასრულოს თვით მეფე ერეკლე თეიმურაზის ძემ.

არტ. 4. თავის ერთგულობის დასამტკიცებლათ რუსეთის იმპერიის წინაშე, მისი უგანათლებულესობა ქართლ-კახეთის მეფე, როგორც შესული რუსეთის მფარველობაში ბ მყოფი მის უზენაეს უფლების ქვეშ, აღთქვამს, არ იქონიოს არავითარი ურთიერთობა მეზობელ მთავრებთან საზღვარზე მდგომ რუსის მთავარმართებლის და მეფის კარზე მყოფ იმპერატორის მინისტრის დაუკითხავათ და შეუთანხმებლათ. და თუ ვინცობაა მეზობელ მა მთავრებმა გამოგზავნეს დესპანები, ან წერილები, ამათ შესახებ მე-

ფემ უნდა კითხვის რჩევა მოსაზღვრე რუსის მთავარ-მართებელს და იმ-პერატორის მინისტრს, თუ როგორ გაისტუმროს დესპანები, ან რა პასუხი გასცეს მათ წერილებზე.

არტ. 5. რომ უფრო ადვილი იქნეს ყოველივე ურთიერთობა და შეთანხმება რუსეთის საიმპერატორო სასახლესა და საქართველოს სამეფოს შორის, მის უგანათლებულესობის მეფის სურვილია იყოლიოს, საიმპერატორო სასახლეში თავის **მინისტრი** ანუ **რეზიდენტი**. მისი იმპ. უდიდებულესობა ღებულობს **რა** ამას მოწყალეთ, აღთქვამს, რომ ასეთი პირი იქნება მიღებული სასახლეში თანაბრათ სხვა დიდ მთავართა მინისტრებისა, ამასთანავე ნებულობს თავის მხრით იყოლიოს აგრეთვე მეფის კარზე რუსეთის მინისტრი ანუ რეზიდენტი.

არტ. 6. კეთილ ინება და სცნო რა თავისი უზენაესი უფლება ბ მფარველობა ქართლისა და საქართველოს სამეფოებზე, მისი იმპ. უდიდებულესობა აღთქვამს თავისა და თავის მემკვიდრეთა სახელით: 1. ამ სამეფოთა ერნი იყოლიოს მჭიდრო კავშირსა და სრულს თანხმობაში თავის **იმპერიასთან**, ამის გამო მათი მტრები ჩასთვალოს თავის საკუთარ მტრებათ, რისთვისაც ზავი, რუსეთსა და **ოსმალეთს**, **სპარსეთს**, ან სხვა სახელმწიფოს შორის დადებული, უნდა იყოს გავრცელებული საქართველოს სამეფოებზედაც, 2. **ქართლ-კახეთის ტახტის პატრონნი და მასზე მჯდომარენი უნდა იყვნენ აუცილებლივ უგანათლებულესი მეფე ერეკლე თეიმურაზის ძე**, მისი სახლის მემკვიდრენი და შთამომავალნი, 3. **სამეფოს შინაგანი მართვა-გამგეობა, სამართალი და სამსჯავრო, აგრეთვე ყოველივე გადასახადები უნდა დარჩეს მის უგანათლებულესობის ქართლ-კახეთის მეფის სრულს უფლებასა და სარგებლობაში. ამასთანავე ეკრძალებათ რუსეთის სამხედრო თუ სამოქალაქო მართველთ, ჩაერიონ სამეფოს შინაურ საქმეებში, ან მოახდინონ რაიმე განკარგულებანი.**

არტ. 7 მისი უგანათლებულესობა ქართლ-კახეთის მეფე იღებს რა მოწიწებით მის **იმპერატ** უდიდებულესობისაგან დაპირებას, აღთქვამს თავისა და თავის შთამომავლობათა მხრით: 1. იყოს მუდამ მზათ თავისი მხედრობ თ მისი უდიდებულესობის სასამსახუროთ, 2. **რუსეთის** უფროს მართველებთან იქონიოს მარად ურიერთობა შესახებ მის უდიდებულესობის მიმართ სამსახურისა, დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებანი და დაიფაროს თავის სამეფოში **რუსეთის** ქვეშევრდომნი ყოველივე შეურაცყოფა-შევიწროებისაგან, 3. პატივი სცეს ამ სამეფოს მოხელეებს ჩინებით და დაწინაურებით დამსახურების გამო უმთავრესათ **რუსეთის** **იმპერიის** წინაშე, **რომლის** მფარველობაზე არის დამოკიდებული **ქართლ-კახეთის** მშვიდობა და კეთილდღეობა.

არტ. 8. დასამტკიცებლათ თავისი საგანგებო ხელმწიფობრივი მოწყალებისა მის უგანათლებულესობის მეფისა და მის ხალხთა მიმართ და ამ ერთმორწმუნე ერის რუსეთთან ერთობის გასამტკიცებლათ, მისი იმპ. უდიდებულესობა კეთილათ ნებულობს და ანიჭებს იმათ ქათალიკოსს (უფროს არქიეპისკოპოზს) მერვე ადგილს რუსეთის არქიელთა შორის, სახელდობრ ტობოლის არქიეპისკოპოზის შემდეგ, ამასთანავე ყოვლად მოწყალეთ აძლევს მას რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრობის ხარისხს. შესახებ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა და რუსეთის სინოდთან ურთიერთობისა შედგენილ იქნება ცალკე არტიკული.

არტ. 9. მისი იმპ. უდიდებულესობა თავის მოწყალებას ავრცელებს მის უგანათლებულეს მეფის ქვეშევრდომ თავად-აზნაურებზე და ანიჭებს მათ რუსეთის იმპერიაში იმავე უფლებას და უპირატესობას, რაც აქვთ მოპოებული რუსის კეთილშობილ წოდებას. მისი უგანათლებულესობა, მეფე, იღებს რა მადლობით ამ მოწყალებას თავის ქვეშევრდომთა მიმართ, ვალდებულათ რაცხს თავის თავს წარუდგინოს მის უდიდებულესობის სასახლეს ყველა კეთილშობილ გვართა სია, რათა ამ რიგათ შეიძლებოდეს გაგება, თუ რომელ მათგანს რა განსაკუთრებითი უფლება აქვს მინიჭებული.

არტ. 10. ქართლ-კახეთის ყველა მკვიდრებს შეუძლიათ დაესახლონ რუსეთში, წავიდენ იქ და დაბრუნდენ უკან დაუბრკოლებლივ. მოლაპარაკებით ან იარაღით განთავისუფლებულ ქართველთ თურქთა, სპარსთა ან სხვა ხალხთა ტყვეობისაგან ეძლევათ უფლება თავისუფლათ წასვლისა, სადაც მათ სურთ, ოღონ უნდა გადიხადონ ყოველივე ხარჯი მომხდარი მათ გამოსასყიდათ და სამგზავროთ. ამასვე აღთქვამს მისი უგანათლებულესობა მეფე, რა ა აღასრულოს წმინდათ ასეთივე მოქმედება შესახებ რუსეთის ქვეშევრდომთა, რომელნიც კი ტყვეთ იქნებიან ჩავარდნილი მეზობელ ხალხებთან.

არტ. 11 ქართლ-კახეთის ვაჭრებს შეუძლიათ თავისუფალი ვაჭრობა მთელს რუსეთში და სარგებლობენ ისეთივე უფლება-უპირატესობით, როგორიც აქვთ მინიჭებული რუსეთის ნამდვილ ქვეშევრდომთ. თავის მხრივ მეფე აღთქვამს საზღვარზე მდგომ რუსის მთავარმართებელთან ან მის უდიდებულესობის მინისტრთან შეთანხმებით გაუადვილოს რუსეთის ვაჭრებს თავის საბძანებელში ან სხვა ადგილებში მიმოსვლა და ვაჭრობა, ვინაიდან, თუ ასეთი გარკვეული დადგენილება არ იქნა, პირობა მეფის ვაჭართა უპირატესობის შესახებ კარგავს ძალას.

არტ. 12. პირობა იწერება სამარადისოთ. მაგრამ, თუ ვინცობაა, საჭიროებამ მოითხოვა რაიმეს შეცვლა ,ნ ჩამატება ურთიერთ სარგებლობისათვის, ეს უნდა მოხდეს ორივე მხრის შეთანხმებით.

არტ. 13, ამ ტრაქტატის რატიფიკაცია (ე. ი. უზენაესი მოწონება და დამტკიცება) უნდა მოხდეს ექვს თვეში დღიდან ხელის მოწერისა, ან უფრო ადრე, თუ კი ეს იქნება შესაძლებელი.

დასამტკიცებლათ რისა ქვემორე ამის ხელის მომწერმა რწმუნებულებმა, თავიანთ უფლების მიხედვით, მოაწერეს ხელი არტიკულებზე და დააკრეს მათზე თავიანთი ბეჭდები გეორგოევსკის ციხეში 24 ივლისს 1783 წელს.

(შემდეგ მოხსენებულია ქართლ-კახეთის მეფეთა ფიცის ნიმუში).

უმაღლესათ დამტკიცებული დამატებითი არტიკული (მუხლი) მეფე ერეკლე მეორესთან დადებულ პირობაზე, 30 სექტემბერი 1783 წელი. (იხ. კანონთა სრული კრებული № 15.840).

ქართლ-კახეთის მეფეთა გვირგვინის კურთხევის და მირონის ცხების შესახებ.

„ვინაიდან ქართლის და კახეთის მეფენი უძველეს დროიდან იკურთხებოდენ სამეფო გვირგვინით და იცხებდენ მეფობის წმინდა მირონს, ამიტომ მისი იმპ. უდიდებულესობა თავისა და თავის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეთა სახელით არამც თუ ყოვლად მოწყალეთ აძლევს უფლებას მოხსენებულ მეფეებს აღასრულონ ეს საეკლესიო წესი, არამედ, დასამტკიცებლათ თავის განსაკუთრებულ კეთილ სურვილისა, ანიჭებს მათ, გარდა საიმპერატორო ინვენსტიტურის ნიშნებისა მეფობის შესახებ, რაიცა მოხსენებულია ტრაქტატში, აგრეთვე ჩვეულებრივ სამეფო გვირგვინს, რომელსაც ხმაროობდა მისი უმაღლესობა ამ ჟამათ მბძანებელი მეფე ერეკლე მეორე, და ამავე გვირგვინით უნდა ეკურთხონ მეფეთ მათი უგანათლებულესობა შემკვიდრენი მეფე ერეკლესი. მისი უმაღლესობა მეფე ერეკლე იღებს ამ უზენაეს მის იმპ. უდიდებულესობის მოწყალებას სათანადო სასოებით და მადლობით, აღთქვამს თავისა და თავის მემკვიდრეთა სახელით, რომ წესი გვირგვინის კურთხევისა და მირონცხებისა თავის შთამომავლობათა შესახებ მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი აღიარებენ ტრაქტატში აღნიშნულ ფიცს რუსეთის საიმპერატორო ტახტის ერთგულობაზე და მიიღებენ უზენაესათ დამტკიცებულს იმპერატორის სიგელსა და ინვენსტიტურას.

ეს არტიკული უნდა იყვეს ამრიგათვე პატივდებული როგორც ტრაქტატის სხვა მუხლები (არტიკულები). დასამტკიცებლათ ამისა იმ ტრაქტატის ხელმოსაწერათ უფლებით აღჭურვილმა რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი ამ არტიკულზე და განამტკიცეს იგი თავიანთი ბეჭდებით“.

აი ის დიდმნიშვნელოვანი ტრაქტატი, რომელიც დაედვა საფუძვლათ აღმოსავლეთ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას! ამ ტრაქტატის

ძალით ქართლ-კახეთის საქეფო შედის **თავის ნებით** რუსეთის იმპერატორის უფლებასა და მფარველობაში. ამიერიდან **რუსეთის** იმპერატორი ხდება ივერიის მეფის **სიუზერენი** (ბძანებელი), ეს უკანასკნელი კი მისი **ვასალი**, ე. ი. ხელქვეითი. ქართლ-კახეთის სამეფოს სათავეში სამუდამოთ რჩება იგივე დინასტია, **ბაგრატიონთა გვარი** ე. ი. **მეფე ერეკლე** და მისი **შთამომავლობა; სამეფოს შინაური მართვა-გამგეობა რჩება მეფის სრულ უფლებაში. რუსეთის** მინისტრ-**ჩინოვნიკებს არა აქვთ არავითარი უფლება ჩაერიონ** მეფის **საქმეში** და **მოახდინონ** რაიმე **განკარგულებანი.** მეფეს სრული უფლება აქვს ეკურთხოს მეფეთ ჩვეულებისამებრ, იცხოს სამეფო მირონი, დაიდგას თავზე გვირგვინი, ავიდეს სამეფო ტახტზე, გამოსცეს კანონები, **განაგოს სრულიად თავისუფლათ და უკანტროლოთ** თავის **სამეფო. ეს** არის **ივერიის სამეფოს შინაური წყობილების** კანონმდებლობის და **მართვა** გამგეობის **სრული** დამოუკიდებლობა. **ასეთივე** დამოუკიდებელი **რჩება ივერიის ეკლესიაც** თაკის **კათალიკოსით. ხოლო** ტახტზე ასვლის დროს მეფე აღიარებს ფიცს **რუსეთის** იმპერატორის ერთგულობაზე და იღებს იმპერატორისაგან სიგელს და ინვენტიტურას, ე. ი. სამეფო ნიშნებს: გვირგვინს, დროშას, ხმალს, კვერთხს და ყარყუმის მანტიას. კათალიკოსს კი ეძლევა რუსეთის უწმინდესი სინოდის წევრობის ხარისხი.

ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფე **შეზღუდულია მხოლოდ თავის გარეშე პოლიტიკაში**; მას არ შეუძლია რაიმე დამოკიდებულება იქონიოს მეზობელ მთავრებთან და სახელმწიფოებთან რუსის იმპერატორის მაღალ მოხელეთა დაუკითხავათ და ნებადაურთველათ. რუსეთის მტრები მან უნდა აღიაროს თავის მტრებათ, **რუსეთის** მეგობრები კი თავის მეგობრებათ. აგრეთვე თავის ჯარით უნდა დაეხმაროს საჭიროების დროს რუსეთის **იმპერიას**. ასევე უნდა მოიქცეს **რუსეთის** იმპერატორიც: უნდა გაუწიოს ივერიის სამეფოს ყოველგვარი მფარველობა, ჯარებით დახმარება და დაიცვას იგი სპარს-ოსმალთა და სხვა მეზობელთა ძალმომრეობისაგან; თანაც უნდა შეიერთოს **მას** ის კუთხეები **ამიერ-კავკასიაში**, რომელთაც დაიპყრობს ან წაართმევს **სპარსეთსა** და ოსმალეთს. ამასთანავე ქართველ თავად-აზნაურთ, ვაჭრებს და ხალხს **რუსეთის** იმპერატორი ანიჭებს იმავე უფლებებს, **რუსეთში** მყოფობის დროს, რაც აქვთ ბოძებული თვით **რუსის** ხალხსა და თავად-აზნაურთ.

დაიდვა ეს **სახელმწიფო** ტრაქტატი **ივერიასა** და **რუსეთს** შორის, **მაგრამ** მარტო ქაღალდზე აღნიშნულმა **პირობამ**, **რეალურ** დახმარების **უქონლობის** გამო, ვერ იხსნა **ქართლი** **სპარსთა** შურის ძიებისაგან და **თფილისი** **აღამამადხანის** მიერ აოხრებისაგან!.. მიუხედავათ ამისა, მალე

სრულს დავიწყებას მიეცა ეს სახელმწიფო ტრაქტატი, ასეთი ზეიმით დადებული ერეკლე მეფესა და ეკატერინე მეორეს შორის. დაირღვა იგი რუსის მთავრობის მხრივ და მით უკუღმა დატრიალდა საქართველოს ბედის ჩარხი.

III. ივერიის სამეფოს რუსეთთან შეკავშირება.

როგორც აღვნიშნეთ, 1798 წელს საუკუნოთ განისვენა ივერიის მოჭირნახულემ ერეკლე გმირმა. იგი დიდის პატივით დაასაფლავეს მცხეთას სვეტი ცხოვლის ტაძარში. შეწყდა მისი მჭექარე ხმა, ჩაიგო ქარქაშში მისი მკვეთრი ხმალი, რომელიც შიშის ზარს სცემდა საქართველოს მტერს. გმირის სიკვდილს მოჰყვა ტახტის მემკვიდრე ძმებს შორის შინაური განხეთქილება, მტრების გათამამება, შიმშილი, ჟამი (შავი ჭირი), ხალხის გაჟლეტა, არეულობა და სხვა მრავალი უბედურება. საშინლათ აიწეწა ქართლ-კახეთის შინაური და გარეშე საქმეები. უჰწეო ხალხი გმინავდა დიდ ფეოდალთა ძალმომრეობისაგან და გადასახადების სიმძიმის გამო. სუფევდა თვითნებობა და უკანონობა, დინასტიური განხეთქილება და დამლუპველი ინტრიგები. ამ საერთო ორონტრიალში აღარავის ესმოდა ქებული მამული შვილის ერეკლე მეფის ვეზირის **სოლომონ ლეონიძის** ფხიზელი ხმა: ზოგს ხელი გაეშვირა ჩრდილოეთით, ზოგიც შველას ეძებდა სამხრეთით და აღმოსავლეთით...

ამგვარ მძიმე პიროებებში ტახტზე ავიდა სნეული, სულით და სხეულით უძლური, ერეკლეს უფროსი ვაჟი **გიორგი** XII. ბევრი და გემრიელი საჭმელი, ლოცვა-ვედრება, მონასტერში სიარული, ხატები და საწირავი, ღვდლები და ბერები,—აი რა შეადგენდა უკანასკნელი მეფის მისწრაფებასა და ბედნიერებას! მას ძლიერ ცოტა რამ ესმოდა სამეფოს რთული საქმეების და ნაკლებათ აინტერესებდა ისინი. სისხლით დაცლილს, აწეწილ ივერიას კი ამ დროს ეჭვერებოდა სულ ხვა მეფე, აღჭურვილი ძლიერი სულით, უშრეტი ენერგიით, მძლავრი ნებით, ფართო სახელმწიფო ჭკუა-გონებით და დიპლომატიური ნიჭით. მხოლოთ ასეთ მეფეს შეეძლო გადაერჩინა ქართლ-კახეთი და მასთან მთელი საქართველო ისტორიის დამლუპველ ტალღებისგან, აეშორებია საშინელი მარცხი, რომელიც საბედისწეროთ თავს ატყდებოდა ტანჯულ ივერიას.

გიორგი XII-ის ტახტზე ასვლით ქართლ-კახეთი გაიყო ორ მოპირდაპირე ბანაკათ: ერთი მხრით დიდების მოყვარე ერეკლეს ქვრივი, (გიორგი XII-ის დედინაცვალი) **დარეჯან დედოფალი** და მისი შვილები: **იულონ, ვახტანგ, ფარნაოზ, ალექსანდრე და მირიანი**, მეორე მხრით კი **გიორგი** XII და მისი შვილები: **დავით, იოანე, თეიმურაზ და ბაგრატი**. ორივე მხარემ გაიჩინა მომხრეები გავლენიან თავადებსა და სამღვდე-

ლოებაში, შეუდგენ იდუმალ და აშკარა მოქმედებას. მთელი ეს უბედურება კი წარმოშვა მემკვიდრეობის წესის შეცვლამ, რომელიც ძალათ ჩაადენია დაუძლურებულ მეფე ერეკლეს მისმა ცოლმა დარეჯანმა. მეფის უკანასკნელი ანდერძის ძალით ტახტზე უნდა ასულიყო გიორგის XII ის შემდეგ მისი შვილი დავითი კი არა, არამედ მისი ძმა იულონი. მემკვიდრეობის წესის ასეთი შეცვლა შეიქნა საბედიწეროთ მთელი საქართველოსთვის.

ტატხზე ასვლის შემდეგ გიორგი მეფემ მიმართა აზიურ ხრიკს: დაადასტურა მამის ანდერძი მემკვიდრეობის შესახებ, მოხიბლა ამით და შეირიგა დროებით, თავის დედინაცვალი; ამავე დროს კი გაგზავნა კაცები რუსეთს და სთხოვა იმპერატორს 1783 წლის ტრაქტატის ძალით თავის დამტკიცება ივერიის მეფეთ, სამეფო ინვენსტიტურა და ჯარი, აგრეთვე თავის უფროსი ვაჟის დავითის დანიშვნა ტახტის მემკვიდრეთ, რომელიც იყო რუსის სამსახურში არტილერიის ღენერალათ. რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა სცნო კანონიერათ მეფის ასეთი მოთხოვნილებანი, დაამტკიცა ივერიის ტახტის მემკვიდრეთ დავით, თვით მეფეს და მის სახლობას კი გაუგზავნა სამეფო რეგალიები და ორდენები. აგრეთვე გამოგზავნა მთელი პოლკი ღენერალ ლაზარევის თაოსნობით და სასახლის მინისტრათ კავალენსკი.

მეფის ასეთმა საქციელმა საშინლათ ააშფოთა მისი ძმები. ზოგი შათგანი გაიქცა იმერეთს, ზოგი ახალციხეს, ზოგიც დაღესტანსა და სპარსეთს და იქიდან იწყეს მეფის წინააღმდეგ მოქმედება. ამათ აამხედრეს კიდეც ლეკთა ბელადი ომარხანი, რომელიც წამოვიდა საომრათ 15000 კაცით, მაგრამ დამარცხდა მდ. ირორზე რუს-ქართველთა შეერთებული ჯარის მიერ.

ძმებისა და დედინაცვლის ასეთმა გაბედულმა იერიშმა ძლიერ ჩაიფიქრა გიორგი XII. ეს სულით უძლური მეფე გაენდო თავის მესაიდუმლე სამღვდელო პირთ, უფროსი ვაჟის და დიდებულთა დაუკითხავათ გადაწყვიტა რუსეთთან მჭიდრო დაკავშირება, ე. ი. რუსეთის სრულ ქვეშევრდომობაში შესვლა მთელი სამეფოთი ამ პირობით, რომ ივერიის მეფეთ დარჩენილიყო საუკუნოთ მხოლოდ იგი და მისი ოჯახის შთამომავლობა, ამით სურდა აეცილებია თავიდან ის ხიფათი, რასაც უმზადებდენ ძმები. გიორგი მეფის ასეთი აჩქარებული გადაწყვეტილება შეიქნა საბედისწერო სრულიად საქართველოსთვის. ასეთი განაჩენით მან მოჰკლა პოლიტიკურათ ქართველი ერი და გაუთხარა სამარე თავის სამშობლოს... ეს საშინელი განაჩენი კი იყო ლოგიკური შედეგი უკულმართი ანდერძისა ტახტის მემკვიდრეობის შესახებ...

გიორგი მეფემ 1799 წელს წარგზავნა რუსეთს თავის სამი რწმუნებული; **გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი** და **ელიზბარ ფა-**

ლავანდიშვილი. ამათ წარუდგინეს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფ როტსოპჩინს ბიორგი მეფის სახელით ნოტა ანუ თხოვნითი მუხლები, დამყარებული მეფის წერილობით რწმუნებაზე. ამ რწმუნებით სიგელში ბიორგი მეფე სწერდა შემდეგს: „სრულიად ჩემი სამეფო და საშფლობელონი მიეცით რუსეთის იმპერატორის სრულ ბრძანებლობასა და მზრუნველობაში, ისე, რომ ამიერიდან საქართველოს სამეფო უნდა იყოს ისეთ ვითარებაში, როგორც რუსეთის სხვა პროვინციები. ამასთან ერთად უმდაბლესათ სთხოვეთ რუსეთის იმპერატორს, რათა დამარწმუნოს მან წერილობითი აღთქმით, რომ სამეფო ღირსება არ აეხლება ჩემს ოჯახს, არამედ ეს მეფობა გადავა მამიდან შვილზე ისე, როგორც ესიყო ჩემი წინაპრების დროს. სთხოვეთ აგრეთვე ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს, რათა მიბოძოს მე და ჩემს შვილებს სამკვიდროთ სოფლები რუსეთის იმპერიაში და შესაფერი ჯამაგირიც“.

აი მოკლეთ ბიორგი მეფის რწმუნებულთა მიერ წარდგენილი ნოტას შინაარსი:

,,ჩვენი მეფე კიდევ მამის ერეკლე მეფის სიცოცხლეში საიდუმლოთ ატარებდა თავის უაღრეს მისწრაფებას შესულიყო თავის სამეფოთი რუსეთის იმპერატორის სრულს დამოკიდებულებასა და ქვეშევრდომობაში. ამიტომ მეფემ დაგვავალა ჩვენ, რათა მოგიძღვნათ უქვეშევრდომილესი მადლობა უზენაეს მოწყალებისათვის და წარმოგიდგინოთ შემდეგი თხოვნა:

1. მის უმაღლესობას ქართლ-კახეთის მეფე ბიორგის, დიდებულთ, სამღვდელოებას და ხალხს სურთ სამუდამოთ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა, აღთქვამენ შეასრულონ წმინდათ ყოველივე ის, რაც ევალებათ რუსეთის ქვეშევრდომთ, არ უარყონ არავითარი კანონი, ბრძანებანი და სცნონ რუსეთის იმპერატორი თავის საკუთარ ხელმწიფეთ.

2. მეფე უქვეშევრდომილესათ თხოულობს, რათა სამეფოს ჩაბარების შემდეგ, ისა და მისი მემკვიდრენი დასტოვონ ტახტზე მეფის ხარისხით, რადგან თვის ნებით შევიდენ რუსეთის ქვეშევრდომობაში. მიეცეს ამ მეფეთ უმთავრესი მართვა-გამგეობა თავის სამეფოში იმ კანონებით, რომელნიც გაეგზავნება მათ იმპერატორის სასახლიდან.

3. მეფე თხოულობს შესაფერ ჯამაგირს და სოფლებს რუსეთში. საქართველოს სამეფოს შემოსავალი კი გადადის იმპერატორის სრულს უფლებაში ჯარების შესანახათ და ადგილობრივი საჭიროებისათვის; აგრეთვე მემამულეთ მიეცეს საღავათი სახელმწიფო გადასახადებში.

4. მეფისა და სამეფოს ქვეშევრდომათ მიღებისათანავე პირველ ხანებში საჭიროა გაიგზავნოს სამეფოს დასაცავათ 6.000 ჯარის-კაცი თავის არტილერიით.

5. საქართველოს ყველა ციხე სიმაგრენი უნდა გადავიდეს რუსის ჯარისა და ციხის თავთა ხელში.

6. უნდა გაიგზავნოს ფორტფიკაციის მცოდნე პირები საჭიროების მიხედვით ახალ ციხე-სიმაგრეთა ასაგებათ.

7. ურჩიონ ქართველ ხალხსაც თავად-აზნაურთ შევიდენ რუსის საშხედრო სამსახურში, ხოლო მიეცეს მათ ნება პირველ ხანებში მაინც ატარონ ეროვნული სამოსელი.

8. გაიგზავნოს საქართველოში მცოდნე პირები ოქროს, ვერცხლის და სხვა მადნეულთა დასამუშავებლათ,

9. მეფე თხოულობს გაადიდონ ზარაფხანა, ან დასტოვონ იგი ძველ წესებზე და მოსჭრან ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფული, რომლის წალმა მხარეზე უნდა იყოს იმპერატორის ვენზელი, მეორე მხარეზე კი საქართველოს ღერბი.

10. სურსათი ჯარებისთვის ან უნდა დამზადდეს დროით, ან უნდა იყიდებოდეს ბაზრის ფასათ.

11. მიეცეს ბრძანება რუსის ჯარების უფროსთ დაიცვან ქართველებთან ერთათ სამეფოს საზღვრები მეზობელ ხალხთა თავხედობისაგან.

12. ვინაიდან ბანჯა-ერევნის სახანოები შეადგენენ უძველეს დროიდან საქართველოს სამეფოს ნაწილს და იხდიან ხარჯს, ამიტომ მიეცეს ნება ქართველ ჯარს დაეხმაროს მათ მტრების წინააღმდეგ.

13. როგორც ეს სახანოები, აგრეთვე სხვა მოსაზღვრე სახანოებიც, როგორც კი გაიგებენ იმპერატორის ასეთ მოწყალებას, თავის სარგებლობისათვის შემოვლენ რუსეთის ქვეშევრდომობაში.

14. საქართველოში მყოფმა რუსის ჯარის სარდალმა უბრძანოს ოსმალეთის და ახალციხის ფაშას, რათა არ იყოლიოს ლეკები და არც გაუშვას ისინი საქართველოს საზღვრებში.

15. საქართველოს სამეფოს თავად-აზნაურთ, სასულიერო წოდებას, ვაჭრებს და მოხელე ხალხს უნდა მიეცეს იგივე კანონიერი უფლებანი, რაც მინიჭებული აქვთ რუსეთის ქვეშევრდომთ.

16. რადგან ჩვენში არ არის წესათ ხალხის სულობით აღწერა, ამიტომ არ შეგვიძლია ახლა წარმოვადგინოთ თუ რამდენი სულია სამეფოში თავადი, აზნაური, სამღვდელო პირნი, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები. ამის შესახებ დაწვრილებითი სია იქნება შედგენილი და წარმოდგენილი მომავალში.

თუ რაიმე აკლია ამ ჩვენ მიერ წარმოდგენილ მუხლებს, ყოველივე იქნება შევსებული ადგილობრივ რუსეთიდან გაგზავნილ იმპერატორის რწმუნებულის მიერ. ჩვენ კი ჩვენს სამეფოსთან დაშორების გამო არ შეგვიძლია ყველაფერი მოვისაზროთ და შევავსოთ.“

აი ის ნოტა, რომელიც წარუდგინეს რუსეთის მინისტრს გიორგი მეფის რწმუნებულებმა! ეს ნოტა მოიწონა პავლე I-მა 19 **ნოემბერს 1800 წელს**. 23 ნოემბერს კი იმპერატორი პავლე სწერს **გიორგი XII** რესკრიპტს, რომელშიაც აღნიშნავს თავის მოწონებას ნოტას შესახებ და თავის კეთილგანწყობილებას მეფისა და სამეფოს მიმართ, უსურვებს მეფეს კარგათ ყოფნას და სხ. ამავე დროს გაგზავნეს საქართველოში ორი რწმუნებული, **ბ. ავალიშვილი** და **ე. ფალავანდიშვილი** იმ მიზნით, რომ **„თუ გიორგი მეფე მართლაც იმავე აზრისაა ამ ჟამათ, რაც მოხსენებულია მის რწმუნებულთა ნოტაში, და სურს სამუდამოთ შესვლა რუსეთის მფარველობასა და ქვეშევრდომობაში იმავე უფლებით და სარგებლობით, როგორც სხვა ქვეშევრდომნი, იმ შემთხვევაში მეფემ უნდა გამოგზავნოს სამადლობელი სიგელი, რომელშიაც სამივე რწმუნებული უნდა მოიხსენიოს ელჩებათ. იმათი მოსვლისთანანე იქნება შედგენილი ორივეს მხრივ სავალდებულო საიმპერატორო აქტი (ტრაქტატი).“**

ეს რესკრიპტი მაჩვენებელია იმის, რომ თვით რუსეთის იმპერატორს და მის მთავრობას არ ეჯერათ, თუ ასე ადვილათ ჩაუვარდებოდათ ხელში ივერიის მთელი სამეფო.

გიორგი მეფის ასეთმა აჩქარებულმა გადაწყვეტილებამ ფრიად ააშფოთა ივერიის საუკეთესო მამულიშვილნი, განსაკუთრებით კი **სოლომონ ლეონიძე, ჭაბუა ორბელიანი, დავით სარდალი, ოთარ ამილახვარი** და მათ შორის იტალიელი **პატრი ნიკოლა რუტილიანი**, რომელიც დაახლოვებული იყო **გიორგი XII**-თან და უშლიდა მას საქართველოს რუსეთთან შეერთებას. **ეგი** აგონებდა მეფეს, რომ **რუსთა** წესი და ჩვეულებანი იქნება **მეფისთვის** სამძიმო, რომ **დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო.** სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქნების დაცინებული და საიცხველი. **უცხო ნათესავი პატრონათ ქვეყნისა მოყვანილი შექმნის ერსა მტერად, მდევნელად და მაწუხებლად.** მამაშვილური მთავრობა მეფეთა გადაიქცევა მამინაცვლისა და დედინაცვლისა სახედ სიყვარულისა უგვანისა და ბუნებისაგან არაოდეს აღსარებულისა. **რუსნი შემოატანენ პირველადვე მძიმესა უღელსა და დასდებენ ქვეყანასა კისერსა, მოითხოვენ დიდთა ხარჯთა, რომელთაც თქვენ ვერ შესძლებთ. მაშინ თქვენი მამულნი და ყმანი გაისყიდებიან ბარაბანით და მკვდარნი თქვენი დაიმარხებიან მუსიკითა“.**

დიდათ საგულისხმოა ის, რომ თვით **გიორგის** სიცოცხლეში, 15 ნოემბერს **1800 წ.** **პავლე I**-მა **რესკრიპტით** უბრძანა **ქავკასიის** საზღვრებზე მდგარს მთავარ **სარდალს** ღენერალ **კნორინს** ჯარების გაგზავნა **საქართველო-**

ში და განკარგულების მოხდენა, რომ „**როგორც კი მიიცვალოს გიორგი მეფე, ჩემი ბრძანების მიღებამდე არავინ იქნას გამოცხადებული მის მემკვიდრეთ და საქართველოს მეფეთაო.**“

ეს რესკრიპტი აშკარათ გულისხმობს, რომ რუსის ხელმწიფეს და მის მთავრობას წინდაწინვე გადაწყვეტილი ქონებიათ მოესპოთ ქართლ-კახეთში მეფობა და ეროვნული მართვა-გამგეობა, მოეხდინათ სამეფოს სრული ოკუპაცია (დასაკუთრება) და რუსეთის ჩვეულებრივ გუბერნიებად გარდაქმნა. იმპერატორ პავლე I-ს ისე სწყუროდა საქართველოს ხელში ჩაგდება, რომ მან ალარ მოუცადა რწმუნებულთა ჩასვლას ივერიაში და იქიდან მეფის თანხმობის სიგელის მოტანას, არ მოუცადა არც მეფის სიკვდილის ამბავს და უკვე 18 იანვარს 1801 წელს მანიფესტით გამოაცხადა საქართველო რუსეთის იმპერიასთან შეერთებულათ. **ამ რიგათ მოხდა ივერიის სამეფო წყობილების ძალდატანებით მოშლა და იმპერიასთან შეერთება.** მოყვარის ნიღაბით მოვლინებულ მა ლალმა საქელმწიფომ დაჩაგრა და ჩაკლა დაუძლურებული სამეფოს წრფელი იმედები, რწმენა და თვითარსებობა! განმეორდა მსოფლიო ისტორიაში კიდევ ერთი უსამართლო აქტი! მეთვრამეტე საუკუნის დამლევს მოხდა კულტურული ერის პოლიტიკური სიკვდილი!.. მისი მესაფლავენი შეიქნენ საკუთარი მეფე გიორგი XII და რუსეთის იმპერატორი პავლე I.

საესებით ახდა პატრი ნიკოლას გონივრული მხილება, რომელიც ვერ შეიგნო გიორგი მეფემ; თვით ეს საქართველოს მოყვარე პატრი განაძევეს რუსებმა ივერიიდან 22 ნოემბერს 1801 წელს. გიორგი XII-ს, როგორც ღვთის მოსავს და ფრიად პატიოსან ადამიანს, სწამდა რუსთა რაინდობა და მაღალი სათნოებანი, რაც სინამდვილემ, სამწუხაროთ არ გაამართლა, და რუსის მთავრობა იმ თავითვე შეუდგა პირობის დარღვევას ივერიის მეფის და სამეფოს წინაშე.

IV. რუსეთის მართვა-გამგეობის დამყარება ივერიაში.

მიიცვალა სნეული გიორგი XII; მალე მიჰყვა მას პავლე I-იც. მეფის სიკვდილით კიდევ უფრო აიარა და აიწეწა ქართლ-კახეთი. ერთი მხრით დარბოდენ ლარეჯან დედოფლის შვილები და აფიცებდენ ხალხს იულონის ერთგულობაზე, მეორე მხრით კი მოქმედობდენ ლავითის მოშხრენი. გზა-კვალ დაბნეული ხალხი და თავად-აზნაურობა ველარას იგრებდენ, არ იცოდენ, ვინ ეცნოთ მეფეთ, ვისთვის მიეცათ ფიცი. **ყველა** ამას დაერთო ის, რომ თვით მეფე გიორგის სიკვდილის დღეს ღენ. **ლაზარევმა, ქნორინგის** ბრძანებით, უცებ ჩააყენა სასახლეში შეიარაღებული დარაჯები, შეკრიბა თავის ბინაზე ტახტის მემკვიდრე ლავით, **ივერიის** დიდებულნი და **ჩაუკითხა** რუსულათ იმპერატორის პავლე I-ის რეს-

კრიპტი, რომ არავინ დაენიშნა ტახტის მემკვიდრეთ. სანამ სიტყვებს თარჯიმანი გადათარგმნიდა ქართულად, უცებ გამოვიდა რუსულის კარგათ მცოდნე **სოლომონ ლეონიძე** და ხმა მაღლა აუწყა კრებას, რომ ლაზარევმა მოულოცა ბატონიშვილს დავითს საქართველოს მეფობაო. სცნო თუ არა ეს ლაზარევმა, ხელმეორეთ წაუკითხა კრებას იმპერატორის ბრძანება, მასთან სთხოვა ლეონიძეს, ნუ ერევით ჩემს საქმეშიო. მაგრამ ქებული მამულიშვილი არ დაცხრა; ის გამოვარდა გარეთ; იწყო სირბილი თფილისის ქუჩებში და დაურიგა ხალხს თავის მიერ შეთხზული იმპერატორის მანიფესტი დავითის ტახტზე ასვლის შესახებ. ლაზარევმა დაატუსაღა ლეონიძე და აუწყა ამის შესახებ ღენ. კნორინგს. ლაზარევის მიერ წაუკითხულმა რესკრიპტმა კიდევ უფრო არავ-დარია საქმე და გაამწვავა მდგომარეობა. იულონის და დავითის მომხრენი არ ცხრებოდენ; ისინი დარბოდენ ქართლ-კახეთში და კვლავ განაგრძობდენ ხალხის დაფიცებას მეფის წულთა ერთგულობაზე. ამრიგათ რამდენიმე თვის განმავლობაში სუფევდა სრული ანარქია. ლეკთა და ყაჩაღთა ბრბონი თავისუფლათ დათარეშობდენ ქართლ-კახეთში და არბევდენ ხალხს, ილაჯგაწყვეტილს და გაღატაკებულს ამდენი უბედურებით.

1795—1801 წლები იყო ივერიის უუსაშინეოესი ხანა. მტერთა შემოსევამ, ლეკთა თარეშმა, დარბევამ, შიმშილმა, ჭირმა და დინასტიურმა შფოთმა საშინლათ დასეტყვა ქართველი ხალხი და თითქმის გაანახევრა იგი. მან აღარ იცოდა, ვის მიჰკედლებოდა, ვინ ეცნო მეფეთ, სად მოეპოვა მშვიდობის ნავთსადგური. ასე დაეცა და დაიღუპა ერთ დროს ძლიერი და მშვენიერი ივერია უკანასკნელ მეფეთა პოლიტიკური სიბეცით და რუსეთისაკენ ხელის პოტინით...

ამ არეულობის დროს საჭირო იყო სულით და გონებით ძლიერი ტახტის მემკვიდრე, რომელსაც მაშინვე უნდა მიეღო ზომები და კურთხეულიყო მეფეთ. სამწუხაროთ ასეთი არ იყო დავით ბატონიშვილი, რომელიც ჰამლეტის მზგავსათ ორეოფობდა და ელოდა იმპერატორის ბრძანებას; დიდი მამულიშვილი სოლომონ ლეონიძე კი ურჩევდა მტკიცე ზომების მიღებას და ტახტზე ასვლას. „ჰქმენით რაც არის საქმნელი; აჩვენეთ ყველას ძალი და ძლიერება თქვენი; აქ გმართებთ გამოჩენა; დუმილი თქვენი და სისუსტე აძლიერებს თქვენთა მტერთა. ეხლავე უბრძანე დაიფიცონ მორჩილებაზე! **ნუ ჰკარგავ მეფობასა და ნუ ღუპავ ქვეყანასა!** ვინ არის მოცილე მეფობისა?! რუსეთმან ადრევე აღგიარა მემკვიდრეთ და პირობითა გაქვს უფლება მიიღო კვერთხი მეფობისა.“ ასმენდა ასეთ გონივრულ სიტყვებს **სოლომონ** ლეონიძე; ამასვე ურჩევდა მას **ივანე** სარდალი. **მაგრამ** **დავით** ბატონიშვილი არ უსმენდა ამ ბრძნულ რჩევას და უჯერებდა მხოლოდ რუსის ღენერალ

ლაზარევს, რომელიც წინააღმდეგი იყო მისი გამეფებისა. პირიქით, ვი-ღაც უმზგავსო პირთა 'მთავგონებით ეს ღირსეული მამულიშვილნი და მათ შორის სარდალი ოთარ ამილახვარი ჩააგდო საპყრობილეში. მაგ-რამ აქაც არ ცხრებოდა სოლომონ ლეონიძე; იგი გაიძახოდა მოთქმით და გლოვის ხმით: „დავითმა დაღუპა ოჯახი მეფეთა, გამოსჭრა ყელი მე-ფობასა, დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისიო“.

სოლომონ ლეონიძე გაიქცა საპყრობილედან, გადვიდა იმერეთში და შეეხიზნა მეფე სოლომონს.

— 16 თებერვალს 1801 წელს ღენ. ლაზარევმა სიონის ტაძარში შეკრიბა თფილისის მცხოვრებნი და წირვის შემდეგ წაუკითხა რუსულათ და ქართულათ პავლე იმპერატორის მანიფესტი, რომლითაც ივერია სა-უკუნოთ უერთდებოდა რუსეთს. ისმენდა ამ საბედისწერო მანიფესტს, და სდუმდა უმწეო და დაობლებული ქართველი ერი; იგი არ მოელოდა ამას... ამ მანიფესტის კითხვის დროს ანტონ II ქათალიკოსი იდგა თურ-მე სახე მოღუშული და მწარეთ დამწუხრებული, იდუმალი ცრემლებით იგი დასტიროდა სამშობლოს პოლიტიკურ სიკვდილს... იყვნენ ქართველ-თა შორის ისეთებიც, რომელთაც არ წყინდათ ეს მანიფესტი, რადგან მოელოდენ რუსის მთავრობისაგან ჯილდოს და ორდენებს. ამ მანიფესტ-მა ნამდვილი სიხარული და ბედნიერება მოჰფინა განსაკუთრებით სომ-ხებს. იმათ ქათალიკოსმა იოსებ არღუთაშვილმა ამ მანიფესტის გამო გადაიხადა ვანქის ტაძარში საზეიმო წირვა აურაცხელ სომეხთა თანადა-სწრებით და წარმოსთქვა მგზებარე სიტყვა, რომლითაც აღნიშნა სომხის ხალხის უსაზღვრო სიხარული და ნეტარება, გამოწვეული საქართვე-ლოს რუსეთთან შეერთებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სომეხთა წარჩინებულმა პირებმა თვით იოსებ არღუთა'შვილის თანხმობით თავის პოლიტიკით და მეცადინობით ძლიერ შეუწყვეს ხელი ივერიის სამეფოს სიკვდილს და რუსეთის ბატონობის დამყარებას მთელ საქართველო'ში, რაც რუსის მთავრობამ დაუფასა კიდეც: გადმოასახლა შემდეგ წლებში ოსმალეთ-სპარსეთიდან საქართველო'ში ასი ათასობით სომეხი და მისცა მათ დიდი უფლებანი. იოსებ არღუთაშვილს და მის მომხრეთ სურდათ რუსის იარაღით და ქართველთა სისხლით აღედგინათ სომხეთის სამეფო. მეფეთ იოსები სახავდა კიდეც თავის ძმის წულს სოლომონს, რომ-ლისთვისაც საიდუმლოთ გაამზადებია რუსეთში სამეფო გვირგვინი. ივერიის ნამგვრეებზე მათ სურდათ აღედგინათ თავისი ბედნიერება, ამიტომაც ეგებებოდენ ისეთი აღტაცებით რუსის ბატონობას საქართველო'ში და უწყობდენ ხელს ყველაფერში.

ღენ. ლაზარევი მეტათ აჩქარებდა დედოფალთა და ბატონიშვილ-თა რუსეთ'ში გადასახლებას. ამის შესახებ სწერდა მოხსენებებს კნო-

რინგს, რომელიც იყო ამავე აზრის. ქნორინგმა მისცა წინადადება ბატონიშვილთ თავის ნებით წასულიყვნენ პეტროგრადს, სადაც მიიღებდენ ჯილდოს, სოფლებს და შესაფერ ჯამაგირს. დავითის ძმებმა Iოანემ, ბაგრატმა და მირიანმა მართლაც განაცხადეს რუსეთში წასვლის სურვილი და წავიდენ კიდეც 9 მარტს. Iერეკლე მეფის შვილები კი ამ დროს ცხოვრობდენ: Iემურაზი, ბიორგი ბ ვახტანგი—ლუშეთში, Iულონი, ფარნაოზი და Iალექსანდრე კი შეფარებოდენ Iმერთა მეფეს სოლომონ II-ს 296 კაცით. ლაზარევმა გაუგზავნა მათ თ. მაჩაბელი და მისცა რუსეთში გადასახლების წინადადება, აღუთქვა მრავალი ჯილდო და პატივი. მათი პასუხი იყო მოკლე: „**ჩვენთვის ბევრათ სჯობია დავიხოცოთ Iმერეთში, ვინემ გადვესახლოთ რუსეთშიო.**“ Iულონმა კი შეუთვალა დავითს: „ტყვილა ბრიყვობ და ნავარდობ ტახტის მემკვიდრის ხარისხით! უბედურო, შენ უკვე დაჰკარგე მთელი სამეფო! ჩვენ ახლა გვიწვევენ რუსეთში და შენც მალე მიგიპატიჟებენ იქო.“ მალე გამართლდა ეს მწარე სიტყვები.

პავლე I-ის შემდეგ 1801 წელს **რუსეთის** ტახტზე ავიდა ფრიად გულკეთილი, დიდსულოვანი და განათლებული პირი **ალექსანდრე I,** კაცი იდეალებით და სამართლიანობით აღფურვილი, ხოლო ნორჩი, და გამოუცდელი სახელმწიფო საქმეებში, ამიტომ დამჯერე და სხვების გავლენის ქვეშ მყოფი. **Iმპერატორმა Iალექსანდრემ** სულ სხვა თვალით შეხედა **Iვერიის** საკითხს; იგი ჩედავდა დიდ უსამართლობას ამ სამეფოს **რუსეთთან** შეერთებაში. — „**არა მაქვს არავითარი უფლება ბაგრატიონთა დინასტიას წავართვა გვირგვინი და სამეფო, ქართველ ერს კი პოლიტიკური თავისუფლებაო,**“ ამბობდა გადაჭრით უზადო რაინდი ახალგაზდა Iმპერატორი. Iამავე აზრის იყვნენ მისი ახლო მეგობრები ევროპულათ განათლებული და ფაქიზი ზნეობის ახალგაზდები: **გრაფი კოჩუბეი, ს. ვორონცოვი** და **თ. ჩარტორიისკი.** ხოლო ასე არ ფიქრობდენ **რუსეთის** ძველი პოლიტიკოსები და გავლენიანი მინისტრ-ღენერლები: **პლატონ** და **ვალერიან ზუბოვი, გრაფი როსტოპჩინი, ქნორინგი** და სხვ. Iესენი შეადგენდენ სახელმწიფო საბჭოში დიდ უმეტესობას, ესენი იყვნენ მატარებელნი **რუსეთის** Iმპერიალიზმის პოლიტიკისა, მათ მხარეზე იყო გამოცდილება და სხვადასხვა ხრიკების ცოდნა. **მათ** ამოქმედებდათ მარტოოდენ სახელმწიფოს ვიწრო ინტერესები. **Iამიტომ** წინდაწინ შეიძლებოდა თქმა, თუ **რომელი** მხარე გაიმარჯვებდა. Iესენი დაჟინებით თხოულობდენ **Iვერიის რუსეთთან Iეერთებას.** Iაქვე იყვნენ ბიორგი მეფის რწმუნებულებიც—ეს **საქართველოს** Iმავე ყორნები: **ბარს. ჭავჭავაძე, ბ. Iავალიშვილი** და **Iლ. ფალავანდიშვილი;** ესენი თხოვდენ Iმპერატორს **Iვერიის** შეერთებას, რაც უნდა აღნიშნულიყო სახელმწიფო ტრაქტატით.

იმპერატორი ალექსანდრე I შევიდა რუეევაში; არ იცოდა, ვის მიმხროდა, არ იცოდა, შეერთებია საქართველო თუ არა. ამ სერიოზული საკითხის შესახებ ორჯერ მოხდა თათბირი სახელმწიფო საბჭოში. საქართველოს შეერთების მომხრეთ მოყავდათ შემდეგი საბუთები: 1. მეფის და სრულიად ქართველი ერის სურვილია და უმდამბლესი თხოვნა რუსეთთან შეერთების შესახებ, 2. ამ შეერთებით ივერიაში შეწყდება დინასტიური განხეთქილება, აილაგმება სამეფოს მეზობლები და თვით სამეფოში დამყარდება სასურველი მშვიდობა, 3. ამ შეერთებას ითხოვს თვით რუსეთის იმპერიის ღირსება, როგორც ძველადვე საქართველოს მფარველის, 4. საქართველოს სამეფოს აღარ შეუძლია დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, იგი მეტათ დაუძლურდა; ის იძულებული გახდება ან შეუერთდეს ოსმალეთს, რაც დიდათ საზარალოა რუსეთისათვის, ან და შეიქნეს მტაცებელ მეზობელთა ლუკმათ, 5. საქართველო წარმოადგენს დიდ ბუნებრივ სიმდიდრეს და მასში იპოვება აურაცხელი მადნები, 6. გაფართოვდება რუსეთის ვაჭრობა სპარსეთსა და ინდოეთში, 7. საქართველოს შეერთებით რუსეთი ადვილათ აღაჯმავს ქავკასიონის ხალხებს, დაასუსტებს ოსმალეთს და სპარსეთს, 8. ივერიის შეერთებას ლოგიკურათ მოჰყვება დასავლეთ საქართველოს შეერთებაც; ეს რიგათ მთელი ამიერ ქავკასიაც ჩავარდება რუსეთის ხელში და სხ.

ამ მწარე სიტყვებით რუსეთის მინისტრებმა ანდერძი აუგეს ცოცხალ ივერიის სამეფოს.

— 15 აპრილს 1801 წელს სახელმწიფო საბჭოში ხელმეორეთ გადაწყდა აღმოსავლეთ საქართველოს ბედი; მას კვლავ მიუსაჯეს პოლიტიკური სიკვდილი. გადაწყდა საბოლოოთ ივერიის რუსეთთან შეკავშირება. ამ განაჩენს მიემხრო თვით იმპერატორი ალექსანდრე I. მათ აღარ მიიღეს სახეში არც 1783 წლის ტრაქტატი, არც ბიორგი XII ის ნოტა, არც ბატონიშვილი დავითის თხოვნა იმპერატორის მიმართ, რომ იგი ეცნოთ, აღთქმისამებრ, ივერიის მეფეთ. ხოლო ფორმისათვის გამოგზავნეს საქართველოში ღენ. ქნორინგი გამოსარკვევათ: 1. მართლაც ივერიის ყველა წოდებას თავის ნებით სურს რუსეთთან შეერთება, თუ ეს ზოგიერთ პირთა ძალდატანებაა, 2. შეუძლია თუ არა ჭარლთ ქახეთის სამეფოს დამოუკიდებელი ცხოვრება? ეს იყო სნეულის ფორმალური დიანგოზი. ივერიის სამეფოს მაჯის შემტყობათ გამოგზავნეს ისეთი პირი, რომელსაც წინდაწინვე გადაწყვეტილი ქონდა მისი სიკვდილი.

ქნორინგი ჩავიდა საქართველოში, გადააყენა ბატ. დავითი სამეფოს გამგეობისაგან, დანიშნა დროებითი მართველობა ხუთი კაცისაგან, რომელშიაც შედიოდენ მდივანბეგები თ. ზაალ ბარათაშვილი, სულხან და ეგნატე თუმანიშვილები, იოანე ჩოლოყაშვილი და თფილისის

ნაცვალთა უხუცესი დარჩო ბებუთაშვილი და ისევ მალე დაბრუნდა რუსეთში. მან მიიტანა სახელმხემწიფო საბჭოსთვის სასურველი ამბავი: ივერიის სამეფოს დამოუკიდებელი ცხოვრება არ შეუძლია და ქართველი ხალხის საერთო სურვილია რუსეთთან შეერთებაო. ნ მდვილათ კი ივერიის მეფეს, ტახტის მემკვიდრესა და ერს სურდათ რუსეთის პროტექტორატი (მფარველობა), პოლიტიკური არსებობა და არა სრული შეკავშირება. მათი უაღრესი სურვილი იყო ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი, ეროვნული მართვა-გამგეობა, ეკლესიის სრული შეუხებლობა და იმ წესზე დატოვება, როგორც იყო წინათ. მეფის და ერის ასეთი სურვილები ნათლათ აღნიშნულია როგორც 1783 წლის ტრაქტატში, ისე გიორგი XII-ის რწმუნებულთა ნოტაში. მაგრამ რუსის მთავრობამ ვაქელა ქართველი ერის და მეფის სურვილები, აღიარა მთელი ივერია რუსეთის ნაწილათ და გუბერნიათ.

— ჩავიდა თუ არა ქნორინგი პეტროგრადში, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გამოსცა 12 სექტემბერს 1801 წელს თავისი ცნობილი მანიფესტი. ამ მანიფესტში აღნიშნულია თუ რა მფარველობას უწევდა წინეთ რუსეთი საქართველოს, როგორ ეხმარებოდა და იცავდა მეზობელთაგან. მოხსენებულია ოზურ ხანის დამარცხება, ივერიის რუსეთთან შეკავშირება პავლე I-ის დროს 18 იანვარს მანიფესტით, თუ რა ხიფათი მოელოდა სამეფოს დინასტიური განხეთქილებით და სურვილი ქართველი ხალხისა რუსეთთან შეერთების შესახებ. — „ეველა ამ გარემოებამ ჩვენ იძულებული გაგვხადა არ დაგველუპა ერთმორწმუნე ერი, რომელმაც გადასცა თავის ბედი რუსეთის დიდსულოვან მფარველობას. თქვენი იმედები ამხანათ არ იქნება მოტყუებული. არც ძალთა მომატებისათვის, არც ანგარებისათვის, არც უმისოთაც უუდიდეს იმპერიის საზღვრების გადიდებისათვის ვიღებთ ჩვენს თავზე საქართველოს სამეფოს მართვა-გამგეობის მძიმე ტვირთს. მხოლოდ ერთად-ერთი ღირსება, პატივი და კაცმოყვარება გვაკისრებენ ჩვენ წმინდა მოვალეობას, ვ სმინოთ ტანჯული ერის ვედრება, დავაცხროთ მისი წამებანი და დავაარსოთ საქართველოში მართველობა, რომელსაც შეეძლება დაამყაროს სამართალი „პიროვნების და საკუთრების ხელუხლებლობა და მიანიჭოს ყოველ ადამიანს კანონის ძალით მფარველობა.“

ამავე მანიფესტით იმპერატორი ნიშნავს ღენ. ქნორინგს ივერიის მოადგილეთ-მართველათ და იმედობს, რომ ქართველი ერი მოიპოვებს ასეთი მართველის მეოხებით მშვიდობას და ბედნიერებას. ყოველივე შემოსავალი და გადასახადი უნდა დარჩენილიყო სამეფოში მართვა-გამგეობის და ადგილობრივ ხარჯების დასაფარავათ. ბოლოს გულკეთილი იმპერატორი მიმართავს ქართველ ერს ლოცვა-კურთხევით და უსურვებს მშვი-

დობას, ნივთიერს და გონებრივ განვითარებას, სამართლიანობის დამყარებას და ბედნიერ მოქალაქებრივ ცხოვრებას.—„თქვენი მშვიდობა და კეთილდღეობა იქნება ჩვენივის ერთადერთი ფრიად სასიამოვნო ჯილდო,“ თავდება ამ საალერსო სიტყვებით. ეს ტკბილ-მწარე მანიფესტი, რომელშიაც გამოხატული იმპერატორის კეთილი სურვილები და იმედები მალე დაჭკნენ რუსის გაიძვერა და მექრთამე ჩინოვნიკების ტლანქ ხელებში და გარდიქცენ ქართველი ერისთვის შხამათ და გესლათ.

— ამ მანიფესტთან ერთათ დამყარდა ევერიაში უმაღლესი გამგეობა, ქართლ-კახეთი გადაიქცა ერთ ქართულ გუბერნიათ და გაიყო ხუთ მაზრათ. თითოეულ მაზრაში დაწესდა სასამართლო, სათემო პოლიცია „კაპიტან-ისპრავნიკების“ უფროსობით, ქალაქებში კი დაინიშნა მოლარე, ციხის თავი (კომენდანტი) და ნაცვალი, ე. ი. პოლიციის უფროსი. უმაღლესი ბრძანებით საქართველოს საქმეები უნდა ეწარმოებიათ, ქართველთა ჩვეულების მიხედვით, მეფე ვახტანგის კანონებით. აგრეთვე უმაღლესათ ებრძანა მთავარმართებელს შეუმსუბუქოს სასჯელი დამნაშავეთ, მოსპოს წამებანი და სიკვდილით დასჯა. კეთილმა ხელმწიფემ შეიწყნარა ქართველ ბატონიშვილთა თხოვნა და მისცა მათ სამშობლოში დაბრუნების ნება, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ სცნო მავნებელათ ასეთი ნებართვა და იმპერატორმაც დაამტკიცა საბჭოს განაჩენი; ბატონიშვილები დარჩენ ისევ რუსეთში; მათ წაერთვათ სამეფო გვარი **ბაგრატიონი** და მონათლეს იგინი უგანათლებულეს თ-**დგრუზინსკებათ**. საქართველოს რწმუნებულით და სხვა რუსეთის ერთგულ ქართველ თავადებს ებოძათ მაღალი ჩინი, ორდენები და უხვი ჯილდო; იწვოდა მამაპაპეული ოჯახი და სამშობლოს გამცემნი ითბობდენ ხელებს... ხოლო კვენსდა დაგმინავდა ათასი წლობით ტანჯული ქართველი ხალხი. მასთან ერთათ ღვრიდა მდუღარე ცრემლებს და დასტიროდა თავის სამშობლოს ბედს დიდი მამული შვილი **სოლომონ ლეონიძე**. დაღესტნის ოთვლიან მთებში კი ბორგავდა, ვით დაჭრილი ლომი, რუსეთის მტერი პირქუში **ალექსანდრე ბატონიშვილი**.

V. რუსის ჩინოვნიკების თარეში საქართველოში.

საქართველოს მეფე-დიდებულნი მეტათ კარგი აზრის იყვნენ ერთ მორწმუნე რუსის ხალხზე, მთავრობასა და მარჯვა-გამგეობაზე, რადგან სრულიად ვერ იცნობდენ მათ. მწარე სინამდვილემ გააცრუა მათი რწმენა-იმედები. ჯერ კიდევ ვახტანგ მე-VI იგემა რუსეთის იმპერატორის „რაინდობის“ სიტკბო. შემდეგ კიდევ უარესი დღე დაადგათ სოლომონ I-ს და ერეკლე გმირს. ამათ საკმაოთ იწვნიეს საქართველოში გამოგზავნილის რუსის პირველი ჩინოვნიკის, ღენერალი **ტოტლებენის** „პატიოსნება“ და „ადამიანობა.“ ქართველები შემდეგ გაეცვნენ რუსის ჩინოვნი-

კებსაც, მაგრამ ყველას გადააჭარბა, თავის საარაკო უზრდელობით და ანგარებით **Ივერიის** მეფის სასახლეში მინისტრათ გამოგზავნილმა **კოვალენსკიმ**. **Თ**ფილისში მოსვლისთანავე ეს რუსის იმპერატორის მინისტრი თავის დამტვერული ქურქით და თფილი ჩექმებით პირდაპირ შეიჭრა სადარბაზოთ მეფე **Გ**იორგი XII-თან, რომელმაც დიდის ზეიმით დაუნიშნა აუდიენცია—მიადგმევინა სავარძელი ზედ მეფის გვერდით და ჩაბძანდა შიგ იმ რიგათ, რომ მისი დამტვერული წაღები და მუხლები ეხებოდენ მეფის ფეხებს. **რ**უსის ელჩის ასეთმა უცნაურმა საქციელმა ფრიად გააოცა მეფე, ბატონიშვილები და თავად-აზნაურობა. **ა**მათ ეწყინათ ** კ**ოვალენსკის ასეთი უზრდელობა. **მ**აგრამ მათ განცვიფრებას არ ქონდა საზღვარი, როცა იგივე **კ**ოვალენსკი იმავე მტვერიანი სამოსელით შევიდა მეფის მეუღლის მარიამ დედოფლის დარბაზში, შესვლისთანავე დახედა საათს, და რადგან 12 საათი იყო, დაიძახა რიხიანათ:-„ახლა საადმირალო საათია და დრო არის გადავკრათო“! **რ**უსეთის მინისტრს მაშინვე მიართვეს **არაყი**.

კოვალენსკის საარაკო მოქმედებანი ამით არ დამთავრდა. **მ**ოხელ მეფე **Გ**იორგიმ გამართა ნადიმი და დაპატიჟა **კ**ოვალენსკი. **ა**მან უარი შეუთვალა მეფეს, ავათ ვარო და სტუმრად გაუგზანვა თავისი მოხელენი. **თ**ვითონ კი ჩუმათ შეიპარა ქალების განყოფილებაში და ფარულათ უმზერდა მუაჯირიდან სუფრაზე მსხდომ ლამაზ ბანოვანთ. **კ**ოვალენსკის ასეთ გმირობას აღგვიწერს თვით რუსის ჩინოვნიკი **სოკოლოვი**.

საქართველოს მეფეთა კარზე ყოფილან ელჩებათ მრავალ უკულტურო ხალხთა, მაგ. სელჯუკის თურქთა, მონგოლთა, თურქმენთა და ლეკთა დესპანნი, მაგრამ ასეთი, როგორიც იყო **კ**ოვალენსკი, ჯერ არ ენახათ ქართველებს.

ასე ბრწყინვალეთ დაიწყო **Ივ**ერიაში რუსის მინისტრის და მაღალ ჩინოვნიკის საარაკო მოქმედებანი!..

საზოგადოთ ცნობილია, როცა რომელიმე სახელმწიფო ან სამთავრო ჰგზავნის სხვაგან ელჩათ თავის კაცს, სცდილობს გაგზავნოს ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა მცოდნე, გონიერი, ნიჭიერი, დარბაისელი და მეტათ ზრდილობიანი ადამიანი. **ყ**ოველივე ამას მოკლებული იყო **კ**ოვალენსკი.

„**ზ**რდილობით“ **კ**ოვალენსკის არ ჩამორჩა უკან მისი თანამედროვე **ლენ**. **ლ**აზარევი, რომელიც შემდეგ ისე გაკადნიერდა, რომ, როცა მიანდვეს **მ**არიამ დედოფალს გამოუცხადე **რ**უსეთში გადასახლებაო, ეს „უზადო რაინდი,“ შეიჭრა სასახლეში ხიშტიანი სალდათებით, მივარდა დედოფალს, სტაცა ფეხში ხელი და სურდა გადმოეთრია ტახტიდან. **ა**სეთი უდიერი მოქცევა ვერ აიტანა სულით ძლიერმა **ს**აქართველოს დე-

დოფალმა; იელვა უცებ ხანჯალმა მის ხელში და გულგაპობილი ლაზარევი იქვე დაეცა მკვდარი.*)

— ბევრს სიმკაცრეს და ბოროტებას სჩადიოდა აგრეთვე ახალი მთავარმართებელი **კნორინგი**.

მაგრამ თვით **ლ**აზარევს, **კ**ოვალენსკის და **კ**ნორინგს თავის სიმკაცრით და მხეცობით გადააჭარბეს რუსის კაპიტან-ისპრავნიკებმა. მაგ., სოფ. **ჭ**ამურს ერთმა ისპრავნიკმა გაბაწრა ოსები და ძალათ შეაჭამა ძალლების სალაფავი, რომელიც შეაზავა ამრიგათ: მოატანია გობი, ჩაასხა შრატი, ჩაყარა შიგ დაკუწული კატები და შეაზავა ყოველნაირი სისაძაგლით. **შ**ემდეგ გადუწვა ოსებს რვა სახლი და დაღუპა ცეცხლში 300 კოდი ქერი. **ა**მგვარი მტარვალობა წაამწარეს გამხეცებულ ისპრავნიკს: იგი მოკლეს ნიჩბების ცემით გამწარებულმა ოსებმა.

ზემოხსენებულ რაინდებს მოედევნენ **რ**უსეთიდან მათსავით უზრდელი, უმეცარი, მკაცრი, ლოთი, გარყვნილი და მექრთამე ჩინოვნიკები. **ა**მათ უზომო თარეშს, კადნიერებას და უნამუსობას არ ჰქონდა საზღვარი. **ე**სენი იტაცებდენ ქართველ ქალებს, ძალათ ართმევდენ ხალხს სარჩო-საბადებელს, აყენებდენ მათ ბინებზე სალდათებს, აკეთებინებდენ უფასოთ სამხედრო გზებს, გაყავდათ ურმებით შორეულ ბეგარაზე, იღებდენ **უ**ზომო ქრთამებს, ლანძღავდენ და სცემდენ ქალსა და კაცს. ერთი სიტყვით რუსის ჩინოვნიკები და მათი ქეშიკები იქცეოდენ ისეთი მხეცობით, რომლის მზგავსი ჯერ არ ენახა ქართველ ხალხს.

ეჭვი არაა, იმ თავითვე დავიწყებას მიეცა 12 სეკტემბრის მანიფესტში გამოთქმული **ა**ლექსანდრე იმპერატორის აღთქმა, ნუგეში და დაპირებანი. **რ**უსის ჩინოვნიკების მოსვლისთანავე გაქრა **ს**აქართველოში სამართალი, მფარველობა, პიროვნების და საკუთრების ხელუხლებლობა, — ეს მაღალი მცნებანი, ასე მ[illegible]ფიოთ გამოთქმული იმპერატორის მანიფესტში; ნაცვლათ ამისა დამყარდა ხალხის დარბევა, აწიოკება, ცემა. ტყეპა, ნამუსის ახდა, ცარცვა-გლეჯა დაუსჯელი თარეში... ქართველ ერს აეხადა უფლება და გარდაიქცა რუსის ჩინოვნიკების საბუთალოთ... კეთილნ[illegible] ხელმწიფემ ალბათ არ უწყოდა, თუ ვის ხელით იქნებოდა მისი მანიფესტის და დაპირებათა აღსრულება...— „**ღ**მერთი მაღლაა, ხელმწიფე კი შორსაო“, თავხედათ გაიძახოდენ **ს**აქართველოში მოსული რუსის ჩინოვნიკები და სჩადიოდენ ყოველგვარ სიმხეცეს და უსამართლობას. **უ**მეცარი, ლოთი, გაიძვერა, ფლიდი, ქურდი, ავაზაკი, ცრუ და გარყვნილი **ა**რსებანი, **რ**ომელთაც ალარ ედგომებოდათ თავის სამშობლოში, — აი **რ**ო-

*) **პ**ლ. **ი**ოსელიანის თქმით, **ლ**აზარევის მკვლელი ყოფილა თითქო მარიამ დედოფალის კარის კაცი **ნ**ი**კ**ო **ხ**ი**მ**შ**ი**ა**შ**ვ**ი**ლ**ი, **რ**ომელიც შემდეგ გადავარდნილა **ა**ხალციხეში.

გორი რიანდები მოევლინენ ბედშავ Ივერიას რუსის ჩინოვნიკის სახით! სწორეთ ამ სიტყვებით ახასიათებენ ამ ჩინოვნიკებს თვით რუსის განათლებული და პატიოსანი მოხელენი, მაგ., სოკოლოვი, ლოფიცკი, ნ. დუბროვინი, პ. ციციანოვი, მარკიზ პაულიჩი, და სხ. (იხ. „აქტები,“ ტ. I. და II.) — ბევრი შავ-ბნელი დღე განიცადა ჩვენმა უბედურმა სამშობლომ, ბევრჯერ ითარეშეს ჩვენში აზიის მტარვალებმა და იმათმა ველურმა მხედრობამ, მაგრამ ამ ბარბაროსთ არ უქნიათ ის, რაც ჩაიდინეს ჩვენში მოყვრის ნიღაბით მოვლენილმა რუსის ჩინოვნიკებმა და სალდათებმა. მოკლე ხანში ამათ შეაძულეს ქართველ ხალხს რუსის მთავრობა და მოანატრეს წარსული ცხოვრება. ამათვე გამოიწვიეს თავის მხეცობით მთიულეთის და ქახეთის აჯანყებანი, რასაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი და სისხლის ღვრა, ხალხის დარბევა, აწიოკება და ფეხქვეშ გასრესა.

ლოფიცკის სიტყვით, ქართველები ვერ პოულობდენ სამართალს რუსის ჩინოვნიკებთან, ხალხი სწუხდა, რომ ვერ მიაღწია იმ კეთილ დღეობას, რასაც ისე მხურვალეთ ელოდა რუსის მთავრობისაგან. აქტებში ვტყობულობთ, რომ საქართველოს მართველმა ქოვალენსკიმ ქრთამებით იმდენ ფულს მოუყარა თავი, რომ შეისყიდა რაც საქართველოში მატყლი იშოვებოდა, რათა მიეყიდა მოგებით სახაზინო მაუდის ქარხნისათვის. სოკოლოვი იხსენიებს ამავე ქოვალენსკის ფრიად საძაგელ კაცათ და კვირობს, თუ როგორ უთმობდენ მას ქართველები ამდენ უზრდელობასა და ბოროტებას. მისივე სიტყვით, „ქოვალენსკი ყველას უზრდელათ ეკიდებოდა, როგორც მეფეს და მის სახლობას, ისე ხალხს, ყველას ერთრიგათ ეუბღალა სახელი და თავმოყვარეობაო.“

— „რუსის მოხელეთა ბოროტმოქმედება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. ახალი მთავრობის უვარგისობა დღითიდღე მატულობდა და ხალხი ძალაუნებურათ ძველ დროს სიამოვნებით და თან სინანულით იგონებდა. სასამართლოებში ქართველებს ლანძღავდენ და ხშირათ მომჩივან-მოპასუხეს კიდეც სცემდენ. საკმაო იყო ვისმეზე მცირე ეჭვი შეეტანათ, მაშინვე დაატუსაღებდენ, ხელებს ზურგზე გაუკრავდენ თოკით, კისერზე საბელს მოაბამდენ და ისე ატარებდენ ერთი ქალაქიდან მეორეში. ამასაც არ სჯერდებოდენ რუსის ჩინოვნიკები; ისინი სოფლებიდან იტაცებდენ ქალებს და აუპატიურებდენ,“ ამბობს ისტორიკოსი ნ. დუბროვინი.

ცნობილი ქოვალენსკი მეორეთ გამოგზავნეს Ივერიაში ქნორინგთან ერთათ აპრილში 1802 წელს. — „ათი თვის განმავლობაში ქოვალენსკიმ, ჭირივით შეაძულა ქართველებს რუსები და მათი მართვა-გამგეობა. მისმა ბოროტმოქმედებამ მოთმინება დაუკარგა ქართველებს და აღუძრა სურვილი, რითაც შეეძლოთ, ევნოთ რამე რუსებისათვის,“ სწერს პ. ციციანოვი მინისტრ ქოჩუბეის და თან უმატებს: — „ბოდიშს ვიხდი, რომ

შეგაწუხეთ ᲙᲝᲕᲐᲚᲔᲜᲡᲙᲘᲡ საზიზღარი საქციელის აღწერით, რომლის სახელიც შეიქნა უმთავრეს ბუდეთ, საიდანაც იგზავნება გამოძიების, დატუსაღების და ქონების ჩამორთმევის უქაზებიო.“

1803 წლის დამდეგს საქართველოს მთავარმართებლათ დანიშნეს დამსახურებული ღენერალი თ. **პავლე ციციანოვი** (პ. ციციშვილი), ფრიად განათლებული პირი და შესანიშნავი სარდალი, კაცი დიდათ ნიჭიერი, სულით ძლიერი, ხასიათით მტკიცე, მასთან ტომით ქართველი, ხოლო რუსეთში დაბადებული და აღზრდილი. პ. ციციანოვს უყვარდა საქართველო; იგი მას ეძახდა თავის „სამშობლოს.“ სურდა დაემყარებია მასში მშვიდობა და სამართალი, მაგრამ, როგორც რუსის ღენერალი, მართავდა ქვეყანას რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის საზომით. წინათ ის იღებდა მონაწილეობას მრავალ ომებში. ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ დიდი ეძახდა ᲪᲘᲪᲘᲐᲜᲝᲕᲡ „ᲩᲔᲛᲡ ᲦᲔᲜᲔᲠᲐᲚᲡ.“ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲣᲒᲝᲠᲝᲕᲘ აღტაცებული იყო მისი ვაჟკაცობით და ხშირათ ეტყოდა თავის ჯარს: „იბრძოლეთ ისე, როგორც იბრძვის გმირი და უშიშარი ღენერალი თ. პ. ციციანოვიო“. ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲪᲘᲪᲘᲐᲜᲝᲕᲛᲐ დაითხოვა სამსახურიდან ᲙᲝᲕᲐᲚᲔᲜᲡᲙᲘ და მის ნაცვლათ დანიშნა მისი ძმა, რომელმაც მალე მიჰყო ხელი ქრთამებს. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲛᲐ დაითხოვა ეს პირიც.

3—4 წლის განმავლობაში ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ გამოცვალეს ხუთი სამოქალაქო მართველი, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა პატიოსანი. ძმათა ᲙᲝᲕᲐᲚᲔᲜᲡᲙᲔᲑᲘᲡ შემდეგ თავი ისახელეს თ. ᲕᲐᲚᲙᲝᲜᲡᲙᲘᲛ, ᲢᲐᲠᲐᲡᲝᲕᲛᲐ და ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲛᲐ; ესენიც მალე გარეკეს სამსახურიდან და ზოგი მისცეს კიდეც სამართალში. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘᲕᲔ მისცეს აგრეთვე ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ კამენდანტი ᲩᲔᲠᲜᲝᲕᲘ, როგორც მეტათ უზნეო და მექრთამე. ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ხომ თავისუფლათ ნავარდობდენ წვრილი მოხელენი. ᲐᲥ სამართალი და გამგეობა იყო კაპიტან-ისპრავნიკების და მდივანბეგების ხელში, რომელთა სამარცხვინო მოქმედებანი ანუსხულია აქტებში. ᲡᲐᲥᲛᲘᲡ წარმოება და სასამართლო იმ თავითვე დამკვიდრდა ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე, რასაც მოჰყვა საქმეთა არევ-დარევა, ხალხის ზიანი და დიდი უკმაყოფილება. ᲐᲡᲔᲗ პირების ხელში ქართველები სამართალს ვერ პოულობდენ, ამიტომ სწუხდენ და დრტვინავდენ. ᲒᲐᲰᲥᲠᲐ სამუდამოთ მეფობის დროის ჩქარი და სწორი სამართალი; ახლა მსაჯულს და მომჩივანს არაფერი ესმოდათ ერთმანეთის. ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ კი მთელი თვეობით და წლობით გრძელდებოდა. ᲐᲡᲔᲗᲘ უგვანო მართვა-გამგეობა აღელვებდა ხალხს. ᲘᲒᲘ უკვე ხმა მაღლა გაიძახოდა რუსების შესახებ: **„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲡᲣᲚᲐᲜ, ᲘᲡᲔ ᲬᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲜᲝ!“** მაგრამ რუსები არ მიდიოდენ; მათ მეტათ გაუტკბათ საქართველოში ყოფნა. ᲘᲕᲔᲠᲘᲐ შეიქნა მათთვის ოქროს სარწმისათ და ზღაპრული არგონავტების მზგავსათ ლაღათ ეწაფებოდენ მის სიმდიდრეს.

რუსის ასეთმა უცნაურმა სამსჯავრომ მეტათ შეაწუხა თავად-აზნაურობაც. ამათ რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით იმპერატორს: მოგვაშორე კაპიტან-ისპრავნიკები და აღგვიდგინე დაპირებული ვახტანგ მეფის კანონებზე დამყარებული სასამართლოო. მაგრამ მათი თხოვნა-ვედრება რჩებოდა ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

საქართველოს მთავარმართებელის ბ ციციანოვის უმთავრესი ყურადღება მიმართული იყო საზღვრების გამაგრება-გაფართოებაზე, თურქ-სპარსთა წინააღმდეგ ომებზე და განსაკუთრებით ლეკებზე, რომელნიც თავისუფლათ დათარეშობდენ ქართლ-კახეთში და იკლებდენ სოფლებს. ამიტომ ციციანოვი ვერ აქცევდა შესაფერ ყურადღებას ივერიის შინაურ მართვა-გამგეობას. იმპერატორის მანიფესტმა, სამეფოს ძალდატანებულმა შეერთებამ, ნაძალადევმა ფიცმა და უმთავრესათ კი უზნეო ჩინოვნიკებმა შეაძულეს რუსის მთავრობა ქართველ ერს, გამოიწვიეს დიდი უკმაყოფილება და დაბადეს ამბოხების თესლი. ჯიდევ 1802 წელს ოაიწყო კახეთში მღელვარება. ამას ხელს უწყობდენ მრეკლე მეფის ქვრივი დარეჯან დედოფალი და მისი შვილები: იულონი, ფარნაოზი და ალექსანდრე. პირველი ორი იყვნენ იმერეთში და იქიდან მოქმედობდენ; ალექსანდრე კი გადავარდა სპარსეთში და დაიმსახურა **ფატალი-შაის** დიდი სიყვარული და პატივისცემა: ალექსანდრე შეიქნა რუსების დაუძინებელი მტერი, ოცნებობდა ივერიის განთავისუფლებაზე და სამეფოს აღდგენაზე. მას ბევრი მომხრე ყავდა მთაშიაც; განსაკუთრებით ლეკებს უყვარდა იგი. ვით ზღაპრული რაინდი, ვით ძველი გმირი მურიდატი, ალექსანდრე ბატონიშვილი დარბოდა მთასა და ბარში, ყველგან სთესდა აჯანყებას და რუსეთისადმი სიძულვილს. მას სპარსეთის შაი პირდებოდა დიდ ჯარებს და ამ დაპირებით აიმედებდა იგი 1804 წელს აჯანყებულ მთიულეთს. ალექსანდრეს ეძახდენ უკვე „**საქართველოს მეფეს.**“

ციციანოვის აზრი იყო მოეშორებია ივერიიდან და გადაესახლებია რუსეთს მეამბოხე ბატონიშვილები და დედოფლები. იგი ყოველივე ღონეს ხმარობდა ამის მისაღწევათ. მას სწამდა, რომ ამით დამყარდებოდა ივერიაში სრული მშვიდობა. მიზანს მიაღწია კიდეც: მოკლე დროში მან იხელთა და გადაასახლა რუსეთს ორივე ძმა, იულონი და ფარნაოზი, ხოლო ალექსანდრე ვერ ჩაიგდო ხელში. ორივე დედოფალი კიდევ უფრო ადრე გაგზავნა რუსეთს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა უდიერათ მოეპყრა მარიამ დედოფალს ღენ. ლაზარევი. თავის ღირსების დამცველი დედოფალი გაგზავნეს ქ. ყურსკს **ბელოგოროდის დედათა მონასტერში**; რამდენიმე წელს შემდეგ მისცეს ცხოვრების ნება მოსკოვში, სადაც მიიცვალა 1851 წელს. მისი ნეშთი დიდის პატივით გადმოასვენეს ქართველებმა და დაკრძალეს მცხეთის ტაძარში.

ასეთი იყო პირველი ნაბიჯი რუსული მართვა-გამგეობისა აღმოსავლეთ საქართველოში, რასაც შედეგათ მალე მოჰყვა მთიულეთის და ქახეთის აჯანყებანი და საშინელი სისხლის ღვრა.

IV იმერეთის ამბები

იმერეთის მეფე სოლომონ II და რუსეთის მთავრობის პოლიტიკა

როგორც ვიცით, მე-18-ტე საუკუნის მეორე ნახევარში ქოლხეთი ანუ დასავლეთი საქართველო იყო დაგლეჯილი 5 ნაწილათ, ე. ი. **იმერეთის სამეფო** და სამთავროები: **გურია, სამეგრელო** (ოდიში), **სვანეთი** და **აფხაზეთი**. ესენი ხშირათ კინკლაობდენ და ასუსტებდენ ერთმანეთს, რაც მეტათ ხელს უწყობდა ოსმალეთს და შემდეგ **რუსეთს**.

იმერეთის მეფე სოლომონ I მიიცვალა უძეოთ 1784 წელს. ერეკლე მეფის რჩევით სოლომონმა სიცოცხლეშივე იშვილა და სცნო ტახტის მემკვიდრეთ თავის 12 წლის ძმის-წული **დავითი**, არჩილის შვილი; ეს **დავითი** იყო დედით ერეკლე მეფის და **დარეჯან** დედოფლის შვილისშვილი. **იმერეთში** ამ დროს იყო მეტათ გავლენიანი თავადი სარდალი **პაპუნა წერეთელი**. ამის შთაგონებით **იმერეთის** ერმა მოითხოვა მეფეთ **სოლომონ** I-ის მეორე ძმის-წული, **ბიორგის** შვილი **დავითი**, უკვე დაქორწინებული 29 წლისა. **იგი** იყო თვით **პაპუნა წერეთლის** ცოლის ძმა. ამ **დავითს** დაუჭირეს მხარი **მაქსიმე კათალიკოსმა**, **რუსეთის** წარმომადგენელმა **ბურნაშევმა** და გაამეფეს **იმერეთში**, რასაც მოჰყვა პარტიობა და განხეთქილება საქეფოში. ახალმა მეფე **დავითმა** მოისურვა **ერეკლე** II-ის მაგალითით **რუსეთის** მფარველობაში შესვლა. ამ აზრით გაგზავნა **პეტროგრადს ეკატერინე** დიდთან ელჩებათ სახლთუხუცესი **თ. ზურაბ წერეთელი**, პირველი მდივანბეგი **დავით კვინიხიძე** და ქათალიკოზი **მაქსიმე**.

ამავე დროს არ ცხრებოდა ტახტის კანონიერი მემკვიდრე **დავით** არჩილის ძე, მას მიემხრენ ახალ მეფეზე გაჯავრებული თ. **პაპუნა წერეთელი** და თ. **სეხნია წულუკიძე**, მიმართეს დასახმარებლათ **ახალციხის** ფაშას **სულეიმანს** და ლეკთა ბელადს **ომარ ხანს**. ამათ სიხარულით მიიღეს მონაწილეობა დინასტიურ განხეთქილებაში და 1786 წელს ზამთარში ჩაბარეს 1000 თურქი და 500 ლეკი. ახალი მეფე **დავითი** თავის რაზმით გაეშურა მტრის წინააღმდეგ და დაამარცხა სასტიკათ. **პატარა დავითი** გაიქცა **ახალციხეს**. ამ ხანებში **დავით** მეფემ მიიღო **რუსეთიდან ჯილდოთ 4000 ოქრო**, **პატარა დავითს** კი მისცეს წინადადება წასულიყო **რუსეთს**, რომ ამრიგათ დამყარებულიყო **იმერეთში** მშვიდობა. **ტახტის** მემკვიდრე **დავითმა** უარყო ასეთი წინადადება და განაგრძო ბრძოლა. **მან** მფარველობა სთხოვა **ერეკლე** მეფეს და **ოდიშის** მთავარს **გრი-**

გოლ დადიანს. ამათი დახმარებით 1790 წელს დაამარცხა **დ**ავით მეფე, განდევნა **ი**მერეთიდან და თვით ეკურთხა მეფეთ **სოლომონ** II სახელით.

ახლა შეუდგა სამზადისს განდევნილი მეფე. **შ**ემოესია **ი**მერეთს დაქირავებულ ლეკთა და თურქთა ჯარით, დაამარცხა **სო**ლომონ II, განდევნა და კვლავ გამეფდა. **ს**ოლომონ II გაიქცა **თ**ბილისში და შეაბრალა თავი **ბ**აბუას. **ე**რეკლემ მისცა ჯარი **ივანე ბ**ატონიშვილის სარდლობით. **ა**მათ დაამარცხეს **დ**ავითის დაქირავებული რაზმი, **დ**ავითი განდევნეს **ა**ხალციხეში და პირობა დაადებიეს, რომ არაოდეს არ გაუწევ და წინააღმდეგობას. **ა**მ რიგათ **ი**მერეთის ტახტზე ავიდა ისევ **სო**ლომონ II. **დ**ავით მეფემ განიძრახა **სო**ლომონ II სიკვდილი და გაუგზავნა მკვლელი. **ე**ს ბოროტება დროზე გაუგეს. **დ**ავითმა შეფიცა ერთგულობა **სო**ლომონს და მძევლათ მისცა თავის 3 წლის ვაჟი **კოსტანტინე**, რომელიც მეფემ დაატუსაღა **მუხურის ციხეში** (**რ**აჭაში). **დ**ავითი მაინც არ დაცხრა და შეატაკა **სო**ლომონს **ბ**რიგოლ **დ**ადიანი, რომელიც 2—3 ჯერ დამარცხდა კიდეც. **დ**ავით მეფე იმედობდა ოსმალთა დახმარებით ტახტის დაბრუნებას და ემზადებოდა საომრათ. **ა**რც **სო**ლომონს ეძინა; ამან მოიწვია დასახმარებლათ ზარბაზნებით **ე**რეკლეს შვილი **ალექსანდრე**, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ შესწყვიტა ძმათა შორის უაზრო სისხლის ღვრა: 1795 წელს თებერვალში **დ**ავითი უეცრივ გარდაიცვალა ყვავილით **ა**ხალციხეს. **ა**მრიგათ შეწყდა **ი**მერეთში დინასტიური შფოთი და სისხლის ღვრა, რაც ძირს უთხრიდა სამეფოს. **ხ**ალხმა ამოისუნთქა თავისუფლათ.

სოლომონ II შეუდგა სამეფოს გონივრულათ მართვას. **ე**ს ჭაბუკი მეფე იყო ჭკვიანი, გამჭრიახი, შორსმჭვრეტი დიპლომატი და სამშობლოს მოყვარული. **მ**ისი უზენაესი ზრუნვა იყო, დასავლეთ **საქ**ართველოს გაერთიანება და ერთ სამეფოთ გარდაქმნა. **ი**მავე დროს იგი თვალყურს ადევნებდა ორს ვეშაპს, მის ჩასანთქავათ მოვლენილს, **რუსეთს** და **ოსმალეთს**. **ი**გი კარგათ გრძნობდა, რომ დაგლეჯილ **საქ**ართველოს ნაწილები ცალ-ცალკე ვერ გაუმკლავდებოდენ ბათ. **საჭ**ირო იყო სამეფო-სამთავროების შეერთებული მოქმედება. **ა**მ მიზნით **სო**ლომონ II კიდევ 1790 წელს შეეკრა ტრაქტატით (პირობით) **ე**რეკლე მეფეს და **ბ**ურია-**სა**მეგრელოს მთავრებს. **ა**მ ტრაქტატის ძალით **საქ**ართველოს მეფე-მთავრები აღიარებდენ ერთობას გარეშე მტერთა წინააღმდეგ, პირდებოდენ ერთმანეთს დახმარებას მშვიდობის დასადგენათ და აღუთქვამდენ ზრუნვას **ერ**ის კეთილდღეობისათვის. **ა**მას შემდეგ **სო**ლომონმა მოისურვა **რ**უსეთთან მეგობრული კავშირი და ამ მიზნით გაგზავნა ელჩათ ცნობილი მგოსანი **ბ**ესიკი (**ბ**აბაშვილი), **ი**მერეთს გადმოხიზნული.

ტრაქტატის ძალით სოლომონ II უნდა დახმარებოდა ერეკლე მეფეს 1795 წელს ალამაჰმადხანის წინააღმდეგ. მართლაც 2000 მხედრით იგი გაჰყვა ერეკლეს ერევნისკენ შაის წინააღმდეგ.

ივერიის სამეფოს შეერთების შემდეგ რუსეთმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია დასავლეთ საქართველოს. მას სურდა ჩაეგდო ხელში ეს გემრიელი ლუკმაც და ამ რიგათ გამხდარიყო სრულიად ამიერ-კავკასიის ბატონ-პატრონი. ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ჩარეულიყო იმერეთის შინურ საქმეებში, სხვადასხვა ხრიკებით დაეჭირა იგი, მაგრამ იმავე დროს უნდა ემოქმედნა ფრთხილათ, რომ არ გაებრაზებია ოსმალეთი, როგორც იმერეთ-ბურია-სამეგრელოს ძველი სიუზერენი. რუსეთის ასეთი პოლიტიკის გამსახებელი შეიქნენ ჯერ პ. ციციანოვი და შემდეგ ტორმასოვი. რუსეთს მალე მიეცა შემთხვევა ჩარეულიყო იმერეთის შინაურ საქმეებში: დავით მეფის ქვრივმა ანნამ 1801 წელს სთხოვა მფარველობა ივერიის მთავარმართებელს ღენ. კნორინგს თავის შვილის კოსტანტინეს განთავისუფლების შესახებ. კნორინგმა მოსთხოვა სოლომონ II-ს ბატ. კოსტანტინეს განთავისუფლება. ამის ნაცვლათ სოლომონმა მოითხოვა რუსის ჯარით დახმარება ბრიგოლ დადიანის წინააღმდეგ, რომელთანაც ქონდა შუღლი და განხეთქილება ლეჩხუმის გამო. ამავე დროს იმერეთის მეფეს შეფარებოდენ ერეკლე მეფის შვილები იულონი, ფარნაოზი და ალექსანდრე. ეს გარემოებაც ძლიერ წყენდა რუსეთის მთავრობას. ყოველივე ამან გამოიწვია რუსეთის ჩარევა იმერეთის შინაურ საქმეებში და გადაწყვიტა სამეფოს ბედი.

ოდიშ-იმერეთის ქიშპობის ვაშლათ გადაიქცა ლეჩხუმი. ძველათ იგი ეკუთნოდა იმერეთს, შემდეგ დადიანმა წაართვა იგი იმეროა მეფეს და გაიხადა თავის პროვინციათ. ახლა სოლომონ მეფე უმთავრესათ ცდილობდა დაებრუნებია უკანვე ეს მოზრდილი მხარე. მტრების სასიხარულოთ და ქოლხეთის დასალუპავათ მოხდა დიდი ბრძოლა და განხეთქილება იმერეთსა და სამეგრელოს შორის. ამ ბრძოლაში ჩარიეს ახალციხის ფაშა და აფხაზები. ხან იმერეთი იმარჯვებდა, ხან ოდიში. ბოლოს სოლომონ მეფემ მოკრიფა ძალა, დაამარცხა ზედიზედ ბრიგოლ დადიანი 1802 წელს და წაართვა თითქმის მთელი ლეჩხუმი. ამ გარემოებამ 1803 წელს აიძულა ბრ. დადიანი ეთხოვა მფარველობა რუსის ხელმწიფისთვის და მიმართა პ. ციციანოვს. რუსის მთავრობა აღტაცებით მიეგება ბრ. დადიანის სურვილს. ჯილდოთ მიართვეს ალექსანდრე ნეველის ორდენი და გაუგზავნეს ჯარი. 2 დეკემბერს 1803 წელს ბრ. დადიანმა პირობის ქაღალდს ხელი მოაწერა, 4 დეკემბერს კი ფიცი მიიღო რუსთ ხელმწიფის ერთგულობაზე. 4 ივლისს 1804 წელს ალექსანდრე იმპერატორმა რესკრიპტით დაამტკიცა სამეგრელოს სამთავროს შეერთება და

მისი მთავრის ხელშეკრულობა. ამ რიგათ სამეგრელოს რუსეთთან შეერთებამ დააჩქარა იმერეთის სამეფოს დაცემაც.

იმერეთს უკვე ორი მხრით შემოერტყენ რუსები; ამათ ხელში ეკავათ ოდიში და ქართლ-კახეთი. ამ გარემოებამ მეტათ ჩააფიქრა სოლომონ II. რუსეთის უზარმაზარ იმპერიასთან გამკლავება მას არ შეეძლო. ოსმალეთს თითქო არ სურდა ემზირა ამ ამბებისთვის და ძალათ იფარებდა ხელს თვალებზე; მას არ უნდოდა ომი რუსეთთან. სპარსეთი მეტათ ძაბუნი გამოდგა და მარცხდებოდა ყველგან. ძველ მეტოქეთა ასეთი სისუსტე ფრიად ხელს უწყობდა რუსეთის ბატონობის დამყარებას ამიერ-კავკასიაში. ულმობელმა ბედისწერამ უკვე დაკენტა იმერეთის სამეფო; ამ ერიდან მისი დღეები იყო დათვლილი. ამას ყველაზე უკეთ ხედავდა შორსგამჭვრეტი მეფე სოლომონი. ამიტომ ცდილობდა პროტექტორატით მაინც დამთავრებულიყო სამეფოს პოლიტიკური არსებობა. ამ მიზნით მეფე იძულებული შეიქნა გაეგზავნა პეტროგრადს მასთან შეფარებული დიდი მამულიშვილი **სოლომონ ლეონიძე** და ეთხოვა მფარველობა. მეფეს აშინებდა აგრეთვე კოსტანტინე ბატონიშვილის მეტოქეობა. სოლომონ II ცდილობდა დაესწრო დადიანისთვის ტრაქტატის შეკვრაში, ამიტომ აბრკოლებდა მოლაპარაკებას დადიანსა და პ. ციციანოვს შორის. სოლომონი იქამდიც კი მივიდა, რომ მოაკლევინა დადიანის შუაკაცი. ამ ამბავმა მეტათ განარისხა ალექსანდრე იმპერატორი. მაშინვე შესწყვიტეს მოლაპარაკება მეფის ელჩ ლეონიძესთან, მისწერეს პ. ციციანოვს რუსის ჯარით დაეჭირა იმერეთი და დაეტუსაღებია მეფე. პ. ციციანოვი სიხარულით მაგრამ ფრთხილად შეუდგა იმერეთის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით მან გამოგზავნა საზღვარზე გრენადერის პოლკი. ამასთანავე მისწერა ბარათი იმერეთის მთავარსარდალს თ. ქაიხოსრო წერეთელს: იმერეთს ქარტეხილი უქადის ჩრდილოეთიდან, მაგრამ შეიძლება ასცილდეს მეფე სოლომონის მორჩილების გამოცხადებით. თუ ყველაფერი მშვიდობიანათ გათავდება, მაშინ მზე წინანდელზე უფრო გააბრწყინებს იმერეთის სამეფოს; მაშინ სოლომონის მეფობა არ აიმღვრევა არც ერთ საათს მის სიცოცხლეში და ჭალარით შეიმკობა მისი უვნებელი ტახტი". პ. ციციანოვს მორიგებით უნდოდა საქმის გათავება, რადგან ბანჯაზე გამარჯვებული ეშურებოდა ერევნის აღებას, იმერეთთან ომი კი მას ჩაითრევდა და ბევრ დროს დააკარგვინებდა.

საქმის ასეთი მსვლელობა არ დარჩა სასიამოვნოთ სოლომონ II-ს. მან სწრაფაი გაუგზავნა პ. ციციანოვს დესპანებათ **ქაიხოსრო წერეთელი** და **სეხნია წულუკიძე** და სთხოვდა რუსეთის ქვეშევრდომობას იმ პირობით, რომ ლეჩხუმი დარჩენილიყო იმერეთის სამეფოს ფარგალში. პ. ციციანოვი არ დათანხმდა ამ პირობაზე. მან მისცა მეფეს მოსაფიქ-

რებლათ 12 დღის ვადა და თავის მხრივ გავზავნა ქუთაისში პორუჩიკი გრაფი მ. ვორონცოვი. იგი პატივისცემით მიიღო მეფემ, მაგრამ გამოგზავნილ პირობას ხელი არ მოაწერა. მას სურდა ლეჩხუმი უსათუოდ დარჩენილიყო მის ხელში.

რაკი მოლაპარაკებით ერაფერი გამოვიდა, პ. ციციანოვმა მიმართა ჩვეულებრივ ოინს: მან მოისურვა იმერეთის დიდებულთა მოსყიდვა; ამ მიზნით უხვათ მოაბნია ოქრო და ვერცხლი. ეს უხვი საჩუქრები წაიღო იმერეთში და დაურიგა გავლენიან თავად-აზნაურთ და სასულიერო პირთ. რუსეთის მომხრემ თ. გიორგი აბაშიძემ, რომელიც ორი თვე ცხენიდან არ ჩამომხტარა, ისე დადიოდა ზორსა და ქუთაისს შუა.

ბზინვარე ოქრომ იქონია ნამდვილი სასწაული, მოხიბლა და გაუორგულა მეფეს ბევრი გავლენიანი თავადი და მათ შორის ყველაზე უფრო ძლიერი პირი სახლთ-უხუცესი (სასახლის მინისტრი) თ. ზურაბ წერეთელი, რომელიც იმ კადნიერებამდიც მივიდა, რომ რუსების დახმარებით ოცნებობდა იმერეთის სამეფო გვირგვინზე. ამან კიდევ უფრო ჩააფიქრა და მოხარა მეფე. სოლომონმა მოისურვა პ. ციციანოვის პირადათ ნახვა და მოლაპარაკება. ისინი შეხვდენ ერთმანეთს ქართლის საზღვარზე დაბა ლაზნაურაში 19 აპრილს 1804 წელს. სოლომონმა კვლავ მოითხოვა ლეჩხუმი. მეფის ასეთმა დაჟინებამ გააფიცხა პ. ციციანოვი; მან შესწყვიტა მოლაპარაკება და დაემუქრა: „ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს ბრძოლის ველზე“-ო. მეორე დღესვე შეუსია ჯარი იმერეთის სოფლებს და ძალათ ფიცი მიაღებინა მცხოვრებთ რუსის ხელმწიფის ერთგულობაზე. ასეთმა მოვლენამ კიდევ უფრო შეაშინა სოლომონი. მან კვლავ ინახულა პ. ციციანოვი 25 აპრილს და დასთანხმდა იმ პირობაზე, რომ ლეჩხუმი დარჩენილიყო მის უფლებაში იმპერატორის განკარგულებამდი. ამას შემდეგ სოლომონმა მიიღო ფიცი თავის ამალით და ხელი მოაწერა სათხოვარ მუხლებს (აქტს). ბახარებულმა მთავარმართებელმა მიართვა მეფეს ალმასებით შემკული ალექსანდრე ნეველის პირველი ხარისხის ორდენი.

ასე გადაწყდა 25 აპრილს 1804 იმერეთის ბედი!

აი სოლომონ მეფისაგან ხელმოწერილი აქტი და დამტკიცებული ალექსანდრე იმპერატორის მიერ!

1. მე სოლომონ II, ბაგრატიონთა ჩამომავალი, მეფე სრულიად იმერეთისა და კანონიერი მფლობელი იმერეთის სამეფოისა, ამ აქტის ხელმოწერის დღიდან ფიცითი დაპირების აღსრულების შემდეგ თვით და ყოველი ჩემი კანონიერი მემკვიდრეებით და სრული ჩემი სამეფოთი ვენდობი სამკვიდრო და ერთგულ ყმობას და ქვეშევრდომობას უმაღლესის

სრულიად რუსეთის იმპერიის აწ ბედნიერათ მფლობელს უუგანათლებულეს და უუმორჭმულეს დიდს ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე პავლეს ძეს, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს და მის მაღალ მემკვიდრეებს.

2. მეორე მუხლში სოლომონ მეფე თხოულობს, რომ მოიღოს იმპერატორმა წყალობა, რათა იგი და მისი მემკვიდრენი აღჭურვილ იყვნენ იმერეთის მეფის უფლებით და იმპერატორის მიმართ ერთგულობის მოვალეობით, რისთვისაც გააბედნიერონ იგი და მისი მემკვიდრენი უზენაესი წყალობის სიგელით (ღრამატით). ამასთანავე უნდა იყოს აღნიშნული ბურიის ხელქვეითობა იმერეთის სამეფოს წინაშე.

3. მეფე თხოულობს, რომ იმერეთის სამეფოში მას ეკუთნოდეს სამართლის წარმოება და მიეცეს მას კანონი, რითაც უნდა დაისაჯონ კაცის მკვლელნი, ტყვეთა გამყიდველნი, ქურდნი და ავაზაკნი, რადგან სიკვდილით დასჯა რუსეთში აკრძალულა ღენ. ციციანოვის სიტყვითაო.

4. მეფე თხოულობს რუსის ჯარს სამეფოს მტერთაგან დასაცავათ და მშვიდობის დასადგენათ.

5. ოქრო-ვერცხლის მადნებიდან მიეცეს მეფეს შემოსავლის რაიმე წილი.

6. მიეცეს აგრეთვე ნაწილი ახალ გაშენებული ქალაქების შემოსავლიდანაც

7. პირდება იმპერატორს ერთგულებას.

8. ვალდებული ვარ რუსის ჯარს ავუშენო და გავუკეთო სახლებიო.

9. ამ ჯარს უნდა ვაძლიო პური, ღომი, ქერი და თივა იაფ ფასადაო.

10. მადნების დასამუშავებლათ იაფ ფასად ვუშოვო მუშებიო.

11. უფლება ეძლევა რუსის ფლოტისათვის ისარგებლონ ტყეებით, მხოლოდ უნდა გადაიხადონ მეფის სასარგებლოთ მცირე ბაჟი ხეების მოსაჭრელი და გასატანი.

12. ოდიშიდან წამოყვანილ ტყვეებს დავაბრუნებ და დადიანს მამულზე არ შევედავებიო.

13. ბავწმენდ გზას ქართლისკენ, ოდიშისა და ფოთისკენ დ კარგათ შევინახავ.

14. კოსტანტინე დავითის ძეს ვუთმობ მამულს, რომელსაც ეწოდება საბატონიშვილო.

15. მეფე თხოულობს, რომ კოსტანტინე ბატონიშვილი გადაასახლონ ან ქართლში, ან რუსეთში, მისკენ შესაფერი განათლება და მით იმერეთს მოაშორონ აღელვების მიზეზი.

16. ნავსადგურიდან იმერეთზე გატარებულ საქონელზე ბაჟს არ ავიღებ, ხოლო მომეცეს რუსეთის საბაჟო შემოსავლიდან დანიშნული ნაწილი.

17. აკრძალულ იქმნას მცხოვრებთა გადასვლა იმერეთიდან ქართლში.

ამ მუხლებს ხელს ვაწერ და ფიცით ვპირდები იმპერატორს ერთგულებას იმერეთის მეფე სოლომონ II.

ამ აქტს ალექსანდრე I-მა მოაწერა ხელი 4 ივლისს 1804 წელს დ მეფის სახელზე გამოსცა წყალობის სიგელი, სადაც ნათქვამია: „ვისმინე რა თხოვნა თქვენი და თქვენის ქვეშევრდომ ხალხისა შესახებ მიღებისა ჩვენს ხელმწიფობასა ქვეშე და საუკუნო ქვეშევრდომათ ჩვენი იმპერიისა, რისთვისაც თქვენ იმერეთის უპირველეს თავადებით მიიღეთ ფიცი ჩვენსა და ჩვენს მემკვიდრეების წინაშე, უუმოწყალესათ ვინებეთ და დაგამტკიცეთ, ჩვენო საყვარელო ერთგულო მეფევ იმერეთისავ სოლომონ, ამ თქვენს ხარისხში, რომელიც ჩვენ მიერ ამ მოძებულ სიგელის ძალით თქვენი მემკვიდრენიც მარად ჟამს ჩვენგნით ვალდებულნი არიან მიიღონ და ჩვენი ბრძანება აასრულონ. მოგანდობთ რა იმერეთის ხალხის გამგეობას სიმშვიდით და სიმართლით, გიმტკიცებთ სრულის ძალით ყველა თქვენს სათხოვარ მუხლებს, უზენაესათ გიცხადებთ და ჩვენი იმპერატორობითი სიტყვით გპირდებით, რომ თქვენ დ თქვენი იმერეთის ხალხი, ვითარცა ჩვენი ერთგული ქვეშევრდომნი და ყველა თქვენი მომავალი მემკვიდრენი დავიცვათ თქვენი მტრისაგან, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ და თქვენი მემკვიდრენი იქნებით ერთგულნი და თქვენი მოვალეობის პირნათლათ აღსრულებაში დარჩებით შეურყეველნი.“

ამ ხანებში მიიცვალა ბრიგოლ დადიანი და მთავრათ შეიქნა მისი შვილი ლევანი, რომელიც გაათავისუფლეს რუსებმა აფხაზთა მთავრის მძევლობისაგან. მან მიიღო ფიცი რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ლიტვინოვმა მიართვა მას იმპერატორის სიგელი, დროშა, ხმალი და წმ. ანნას პირველი ხარისხის ორდენი. აგრეთვე შეფიცეს ერთგულება რუსის ხელმწიფის მიმართ აფხაზეთის თავადებმა, ლევან და მანუჩარ შერვაშიძეებმაც. ამავე დროს რუსებმა მოხერხებით გამოსტაცეს ხელიდან ოსმალეთს ფოთი.

29 მაისს 1804 წელს პ. ციციანოვმა აცნობა გურიის მთავარს მამია გურიელს: „რადგან იმერეთი შეუერთდა რუსეთს, ამიერიდან გურიაც, როგორც მისგან დამოკიდებული, რუსეთის მფარველობას ექვემდებარებაო. ამ რიგათ გურია და სამეგრელო გარდაიქცენ რუსეთის პროვინციებათ. ხოლო იმერეთის საქმე არ იყო ჯერ საბოლოოთ გამორკვეული: სოლომონ მეფე ისევ რაჭაში იყო, მას არ სურდა გაეგდო ხელიდან ნატვრის თვალი ლეჩხუმი.

XI იმერეთის არეულობა და რუსეთთან შეერთება

ქველა თითქო შეურიგდა თავის ბედს, მხოლოდ ვერ ისვენებდა სოლომონ II. იგი ვერ ურიგდებოდა რუსეთთან შეერთების აზრს. მას სურდა სამეფოს ეროვნული არსებობა. მასთან ის აშკარათ ატყობა, რომ ბ. ციციანოვი ღალატობდა თავის სიტყვას და უპირებდა ლეჩხუმის ხელიდან გამოცლას. ამიტომ მეფე შეუდგა თადარიგს და გამართა ჩუმათ მიწერ-მოწერა ახალციხის ფაშასთან და ოსმალეთთან. ეს არ დარჩა საიდუმლოთ რუსის მთავრობას. მის თვალში მეფე სოლომონი ხდებოდა ფიცის გამტეხი და მოღალატე.

8 თებერვალს 1806 წელს, როგორც ვიცით, ბაქოში მოკლეს ბ. ციციანოვი. ამ ამბავმა სიხარულით აავსო იმერეთის მეფე და დაუბადა სხვადასხვა იმედები, მაგრამ დაასწრო რუსის ღენერალმა **რიკგოფმა**, ჯარით დაიკავა ქუთაისი და დაბა მარანი. ამ გარემოებამ ააღელვა იმერეთი. მეფეს აქეზებდენ რუსების წინააღმდეგ განსაკუთრებით ორი გავლენიანი პირი: **სოლომონ ლეონიძე** და **ალექსანდრე ბატონიშვილი**, — ეს დაუძინებელი მტრები რუსების ბატონობისა საქართველოში. ბ. ციციანოვის სიკვდილმა გამოიწვია არეულობა მთაშიაც, მაგრამ მალე დანიშნეს მთავარმართებლათ ღენერალი ბუდოვიჩი, რომელიც მხნეთ შეუდგა საქმეს.

მეფე სოლომონმა მოიშორა თავიდან რუსების მომხრე ზურაბ წერეთელი და დაიახლოვა თ. **როსტომ ნიჟარაძე**. მეფემ მოსთხოვა ღენ. რიკგოფს ქუთაისიდან ჯარების გაყვანა. ბუდოვიჩი კი არწმუნებდა სოლომონს, ჯარები თქვენი პიროვნების დასაცავად გვიყენიაო. თანაც ცდილობდა მოეხიბლა სოლ. ლეონიძე ჯილდო-ოქროებით, მაგრამ ლეონიძე ზიზღით უარყოფდა მთავარმართებლის მოსყიდვას და აქეზებდა მეფეს რუსების წინააღმდეგ. ზურაბ წერეთელი ხომ პირველი ჯაშუში შეიქნა რუსებისა და ჩუმათ ატყობ ნებდა ბუდოვიჩს მეფის საიდუმლო განზრახვას. ამის გამო ბუდოვიჩმა მისწერა ღენ. რიკგოფს, დაეჭირა მეფე და გაეგზავნა თბილისს. სოლომონმა გაიგო ეს ამბავი, დასტოვა მაშინვე ქუთაისი, შეეფარა მთიან ადგილებს და დაიწყო უფრო გაბედვით მოქმედება რუსის მთავრობის წინააღმდეგ.

ბუდოვიჩმა გამოგზავნა ქუთაისში კიდევ ბატალიონი ჯარი. ამან კიდევ უფრო შეაშფოთა სოლომონი. იგი მიხვდა, რომ ამ ახალი ჯარის გამოგზავნა მოასწავებდა მის ტახტიდან ჩამოგდებას. ამიტომ ისევ მოიმხრო ზურაბ წერეთელი და მისი პირით შეუთვალა ბუდოვიჩს, რომ ინანიებს თავის შეცდომებს და პირდება ხელმწიფეს ერთგულებას. მთავრობამ მოსხოვა ამანათები. მაშინ სოლომონმა გაიწია ახალციხისკენ, კვლავ მოითხოვა ლეჩხუმის დაბრუნება და ჯარების გაყვანა ქუთაისიდან. ამ

დროს სოლომონმა მიიღო სულთნის ფირმანი და მდიდარი ფეშკაშები. მასთან ახალციხის ფაშა ურჩევდა შესულიყო ოსმალეთის მფარველობაში. ამან გაამხნევა სოლომონი და მისწერა რიკგოფს საყვედურით სავსე წერილები, რომ ივი მოსტყუვდა — არ შეუსრულეს დაპირება, არ დაუბრუნეს ლეჩხუმი, წაართვეს ძუთაისის სასახლე, შიგ ჩააყენეს საღდათები და როსკიპი დიაცები, თვით მეფე კი უსახლკარო აფარებს თავს ტყესა და ღრეს — „ამაზე მეტი დამცირება-ღა იქნებაო?“ ათავებს სოლომონი ამ სიტყვებით თავის წერილს.

ამ სამართლიანი საყვედურის პასუხათ იყო ალექსანდრე იმპერატორის ბრძანება: გადააყენეთ სოლომონი ტახტიდან, ცოლ-შვილით რუსეთში გამოგზავნეთ, იმერეთში კი დანიშნეთ „დროებითი მართველობა“ რუსეთის ერთგული თავადებისა და რუსის შტაბაფიცრის მონაწილეობითაო.

მიიღო თუ არა იმპერატორის ასეთი ბრძანება, ბუდოვიჩი სწრაფათ შეუდგა საქმეს. მან საჭიროთ დაინახა თ. ზურაბ წერეთლის მიმხრობა, უბოძა მას პოლკოვნიკის ჩინი და დაუნიშნა 200 მანეთი წლიურ პენსიათ, აგრეთვე დაპირდა პირველ ადგილს დროებით მართველობაში. მაგრამ ეს ჯილდო-დაპირებანი არ აკმაყოფილებდა ზვიად ფეოდალს, რომელიც იმერეთის ტახტზე ოცნებობდა, თუმც იმავე დროს რუსებსაც უქნევდა კუდს და აჩვენებდა თავს მეტათ ერთგულ კაცათ. ერთი სიტყვით ეს გაიძვერა თავადი ერთსა და იმავე დროს ლმერთსაც უნთებდა სანთელს და ეშმაკსაც, რუსებთანაც ჯაშუშობდა და სოლომონსაც თითქო ეწეოდა: ნამდვილათ კი იცავდა მხოლოდ თავის ჯიბის და კუჭის ინტერესს. ამასობაში მიიცვალა ღენ. რიკგოფი და მის ნაცვლათ რუსის ჯარის უფროსათ იმერეთში დაინიშნა ცნობილი მტარვალი ღენ. თ. დიმიტრი ოლრბელიანი, ზურაბ წერეთლის პირადი მტერი. მას ებრძანა „საიდუმლო ხრიკებით“ ჩაეგდო ხელში სოლომონ მეფე და გაეგზავნა თბილისს, რადგან რუსის ჯარის სიმცირის გამო აშკარა ომს მასთან ვერ ბედავდენ.

დ. ოლრბელიანმა აცნობა ტყეში მოხეტიალე მეფეს, რომ სურს პირადათ ნახვა და ბუდოვიჩის წერილის გადაცემა. ისინი შეხვდენ ერთმანეთს წინაველში მდ. ყვირილასთან. მეფე გადაჭრით უარს ამბობდა. იგი გაურბოდა ბუდოვიჩის და ოლრბელიანის დაგებულ მახეს. მეფე თანახმა იყო დესპანები გაეგზავნა პეტროგრადს იმ პირობით, თუ დაუბრუნებდენ ლეჩხუმს და შეკრავდენ ახალ ტრაქტატს. ამრიგათ ამ შეხვედრამ უნაყოფოთ ჩაიარა.

1809 წელს ბუდოვიჩის ნაცვლათ კავკასიის მთავარმართებლათ დაინიშნა ღენ. ტორმასოვი, საკმაოთ ნიჭიერი და ენერგიული კაცი, მასთან გაწვრთნილი რუსულ ა... ლიტიკაში. ზურაბ წერეთლის რჩევით მან მიმართა იმერეთის თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას პროკლამაციით,

რომელშიაც აღნიშნული იყო სოლომონ მეფის ურჩობა და მოითხოვდა მათგან რუსეთისადმი ერთგულებას. ეს პროკლამაციები დაარიგეს ყველგან იმერეთში, მაგრამ ერზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. პირიქით იმერლები უფრო თანაგრძნობით მოექცენ თავის დევნილ მეფეს. ზურაბ წერეთელმა ჩუმათ აცნობა სოლომონს, რომ პროკლამაციით რუსს მთავრობა ალარ ცნობს მას და ამრიგათ მეფის ბატონობას იმერეთში ბოლო ეღებაო.

გამწარებულმა მეფემ მოიხმო ტყეში იმერეთის თავად-აზნაურნი, შეიარაღებული ხალხი და შეეკითხა: „გსურთ თუ არა ძმებო, დავრჩე მეფეთ და თუ გსურთ, მოსათმენია თუ არა ის დამცირება რასაც მე და თქვენ რუსები გვაყენებენო?“ იმერეთის ხალხმა გამოუცხადა მეფეს სრული თანაგრძნობა. მეფის დროშის ქვეშ დადგენ ერთბაშათ 6000 ვაჟკაცი და შეფიცეს ერთგულება.

იმერთა ასეთმა საქციელმა ააფრთოვანა სოლომონი. მან გაუგზავნა ახალციხის ფაშას სელიმს თავის სიძე თ. მალხაზ ანდრონიკაშვილი, რაჭის ერისთავი და როსტომ ნიჟარაძე, სთხოვა დახმარება რუსების წინააღმდეგ. ამავე დროს მეფის ერთგულნი სეხნია წულუკიძე, ძაიხოსრო წერეთელი და სხვანი აღელვებდენ ხალხს რუსთა წინააღმდეგ. სოფელ აფხელაურში მათ შეკრიბეს ლეჩხუმის და ოდიშის თავად-აზნაურნი, საასულიერო პირნი და დააფიცეს სოლომონ მეფის ერთგულებაზე. მეფის ასეთი მზადება და მოქმედება აცნობეს რუსის მთავრობას იმერეთის ორმა აზნაურმა გოგია და მამუკა ორჯონიკიძეებმა. მსენი სწერდენ: „იმერეთი დიდ ღალატს უპირებს რუსის მთავრობასაო. პირველი მოღალატე და ხალხის ამბოხებელი თ. ძაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე და როსტომ ნიჟარაძეაო, რომლებიც იმერეთ-ლეჩხუმსა და ბურია-სამეგრელოში აფიცებენ ხალხს სოლომონ II ს ერთგულებაზეო.

დაფაცურდა რუსის მთავრობა და მიიღო საჭირო ზომები. მოძრაობა მოედვა მთელს იმერეთს. 5 ივლისს 1809 წელს იმერთა რაზმი დაეცა სოფ. ალუდუანში სურამში მიმავალ კაზაკებს და დახოცა ბევრი. სექტემბერში როსტომ წერეთლის და ლევან აბაშიძის რაზმი დაეცა ძართლში სოფ. ძვებთან რუსის არტილერიის ტრანსპორტს. 23 ოქტომბერს გამოგზავნეს იმერეთში პოლკ. სიმონოვიჩი ორი ბატალიონი ჯარით. მასვე დაავალა ტორმასოვმა, როგორმე შეიპყარი მეფე სოლომონიო. ცოტა ხანს შემდეგ გადააყენეს დიმიტრი ორბელიანი და მის ნაცვლათ იმერეთში რუსის ჯარების უფროსათ დანიშნეს სიმონოვიჩი, რომელმაც დაიახლოვა ზურაბ წერეთელი და მოქმედებდა მისი რჩევით. სოლომონმა კი შეაჩერა მოძრაობა გაზაფხულამდე, მით უმეტეს, რომ ფოთში დამარცხდა შერიფ-ფაშა და ამან შეაცვლევინა მეფეს თავისი გეგმა. ზურაბ წე-

რეთლის ორჭოფობა კი აყენებდა რუსის მთავრობას გამოურკვეველ პირობებში და ეს გარემოება ხელს უწყობდა მეფეს. იგი კვლავ განაგრძობდა თავის საყვედურებს რუსის მთავრობის მიმართ, რომ დაარღვიეს პირობა, არ გადასცეს ლეჩხუმი, უდიერათ ექცევიან მას, განდევნეს ქუთაისიდან, დაუქციეს სასახლე და სხვა ამისთანები. ამგვარი შინაარსის წერილი მეფემ გაუგზავნა ტორმასოვს სოფრონ მიტროპოლიტის ხელით იანვარში 1810 წელს. მაგრამ მეფის წერილებს და საყვედურებს ყურადღებას აღარ აქცევდა ზვიადი მთავარმართებელი. იგი დაჟინებით ითხოვდა სოლომონის შეპყრობას. ამის გამო სიმონოვიჩმა და ზურაბ წერეთელმა შეადგინეს მეფის დაჭერის გეგმა. იგი უნდა ჩაეგდოთ ხელში ლაქუცით, ტკბილი სიტყვით და დაპირებით ლეჩხუმის დაბრუნების შესახებ. მიიტყუილებდენ თუ არა მეფეს ქუთაისში, მაშინვე გაგზავნიდენ თბილისში. ამავე დროს რუსებს უნდა მიემხროთ თავისკენ რაჭა და ზურიასამეგრელო; რაჭა უნდა გადაეკათ ზ. წერეთლისთვის. თანაც იგზავნებოდა ბორიდან იმერეთში რუსის ჯარი, რომელსაც უნდა დაეფიცებია გზა და გზა იმერეთის ხალხი რუსის ხელმწიფის ერთგულებაზე.

მიუხედავათ ამ მზადებისა ტორმასოვმა კიდევ სცადა მეფესათ წერილით მშვიდობიანი მოლაპარაკება და მისი დაყოლება შემდეგ პირობებზე: 1. წარუდგინოს სიმონოვიჩს სამი დღის ვადაში დესპანებათ პეტროგრადს გასაგზავნათ ქოსტანტინე ბატონიშვილი, სოლომონ ლეონიძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი, ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე და როსტომ ნიჟარაძე, 2. ბადავიდეს დაუყონებლივ ქუთაისს საცხოვრებლათ; 3. გაუგზავნოს იმპერატორს დესპანთა ხელით თხოვნა მადლობის გამოსაცხადებლათ, რომ კეთილინება და მიიღო იმერეთი თავის ქვეშევრდომათ, მოინანიოს მეფემ თავის საქციელი და აღუთქვას სრული ერთგულება. „მაშინ შეგრჩებათ იმერეთის ძართვა იმ უფლებით, რომელიც ტრაქტატით გაქვსთ დათმობილია, წინააღმდეგ შემთხვევაში ხმლით დაგიმორჩილებთ, გაუგონარს გავდევნი სამეფოდან და მოვაწყობ ერთგულ იმერთა საქმესაო.“ ათავებს თავის წერილს ამ მუქარით ღენ. ტორმასოვი. თუ სამი დღის ვადაში მეფე არ მისცემდა სიმონოვიჩს სასურველ პასუხს, მაშინ იგზავნებოდა იმერეთში ახალი ჯარი და თანაც მიმართავდენ პროკლამაციით, რომელშიაც აღნიშნული იქნებოდა მეფის დანაშაული, ამის გამო მისი ტახტიდან ჩამოგდება და სამეფოდან გაძევება.

ტორმასოვის წერილი გაეგზავნა მეფე სოლომონს მოკილევსკის ხელით. ეს რუსის მოხელე ინახულა მეფემ სოფ. ვარციხეში, აქ მოხდა ფრიად საინტერესო საუბარი სოლომონსა და რუსის გაქნილ ჩინოვნიკს შორის. მეფე თანახმა იყო გაეგზავნა ელჩები რუსეთს და განეცხადებია

ერთგულება იმპერატორისთვის, მხოლოდ იმ პირობით თუ დაუბრუნებ-დენ ლეჩხუმს და გაიყვანდენ იმერეთიდან რუსის ჯარს.

— „ეახ, ჯარს გავიყვანთ, მხოლოდ დავსტოვებთ იმდენს რამდენიც საჭირო იქნება თქვენს დასაცავათ“, უთხრა მოგილევსკიმ.

— „ეს სრულებით საჭირო არ არის თქვენის მხრივ: მე იმდენათ ლონიერი ვარ, რომ არამც თუ თათრების, არც ერთი მეზობელი სახელმწიფოსი არ მეშინია და ყოველთვის იმედი მაქვს, რომ რუსის ჯარის დაუხმარებლათ დავძლევ მათ, მაგრამ აქ სულ სხვა აზრი აქვს რუსის მთავრობასო,“ უპასუხა (ხარეთ მეფემ.

— „ეიდევ გირჩევთ, სამი დღის ვადაში გაგზავნეთ რუსეთში დეპუტაცია, მოაწერეთ ხელი ტრაქტატს, შეფიცეთ იმპერატორს ერთგულება, გაათავისუფლეთ ბატ. ეოსტანტინე, გადმოდით და დაბინავდით ეუთაისში. თუ ამას არ იზამთ, მაშინ იმპერატორის გადაწყვეტილებაა წაგერთვას ძალით სამეფო და დამყარდეს იმერეთში მშვიდობიანობა, ამ მიზნით ჩვენი ჯარი უკვე მზათ არის; ერთი ნაწილი სურამშია, მეორე კი ეუთაისის გარშემო. მასთან ბურია და სამეგრელო ჩვენკენაა და, როგორც კი ვაცნობებთ, იბრძოლებენ ჩვენთან ერთად, თანაც გახსოვდეთ, რომ ერთგულობისთვის რუსის მთავრობა **დიდ ჯამაგირს დაგინიშნავთ** და **ხელმწიფეც არ მოგაკლებთ თავის წყალობას**,“ — არ ეშვებოდა მეფეს ასეთი სიტყვებით მოგილევსკი.

ამაზე მეფემ უპასუხა გადაჭრით: „**მომცენ იმერეთში მეფობის ნება, გაიყვანონ იმერეთიდან თავისი ჯარი, მეტი მათგან მე არაფერი მოწყალება არ მინდა და არც ველიო.**“ და როცა მოგილევსკიმ კვლავ მიიპატიჟა მეფე ეუთაისში საცხოვრებლათ, სოლომონმა წამოიძახა გაოცებით: „რაო, რაო? რას მეუბნებით?! რას მირჩევთ?! გადვიდე საცხოვრებლათ იქ, სადაც რუსის ჯარი სდგას?! არა, ეგ შეუძლებელია! ეიახ, ყოველად შეუძლებელი! ნეტა რათ მთხოვთ იმას, რაც არაფრის გზით არ შემიძლია ავასრულო!“ ბოლოს ისიც დაუმატა რაინდმა მეფემ: „თუ მართლაც იმპერატორს ასე ვძულვარ და არ სურს იმერეთის მეფეთ დავრჩე, მომწეროს ბარათი და მაშინ მე თვით დავანებებ თავს ჩემს სამეფოს და გავშორდებიო.“

ასე დამთავრდა საუბარი მეფესა და რუსის მოხელეს შორის. ამასთან ერთად მოგილევსკი უნაყოფოთ ცდილობდა მოეხიბლა ბ მიემხრო თავისკენ მეფის გავლენიანი პირნი ფულებით და სხვადასხვა დაპირებით.

მეორე დღეს მეფემ განაახლა საუბარი მოგილევსკისთან და უთხრა: „მე ყველაფერს შევასრულებ, ეუთაისშიაც გადმოვალ, ელჩებსაც გავგზავნი, მხოლოდ ბატონიშვილს ეოსტანტინეს ვერ გავათავისუფლებ. ეუთაისშიაც მხოლოდ მაშან გადმოვალ, როცა დაბრუნდება დეპუტაცია

და წერილობით საბუთს მომიტანს ხელმწიფისგან, რომ იმერეთის მეფეთ დამტოვა მისმა იმპერატორობით უდიდებულესობამ და მასთან უზრუნველმყოფს რუსეთის ჯარისაგან.“ მოგილევსკი დაბრუნდა ქუთაისში და ყოველივე აუწყო სიმონოვიჩს. ისინი დარწმუნდენ, რომ ასე ადვილათ ვერ ჩაიგდებდენ ხელში ნდობა დაკარგულ მეფეს. ამიტომ მაშინვე შეუდგენ ომის სამზადის, თანაც აცნობეს სამეგრელოს დედოფალს და მამია გურიელს დახმარებოდენ რუსებს ჯარით.

არც სოლომონს ეძინა; გაგზავნა ახალციხეს შერიფ ფაშასთან სვიმონ, ქაიხოსრო და ბერი წულუკიძეები და სთხოვა დახმარება.

20 თებერვალს იმერეთში შემოვიდა ორი გზით რუსის ჯარი მაიორ პრიბილოვის და რეუტის უფროსობით. ქუთაელი მიტროპოლიტი, ზურაბ წერეთელი და სხვა მრავალი თავად-აზნაურნი გამოცხადდენ პრიბილოვთან; მოისმინეს პროკლამაცია და მიიღეს ფიცი რუსეთის ერთგულებაზე.

მეფემ გაიგო ეს ამბები, შეშინდა, ხალხი არ გადამიდგეს, განაახლა მოლაპარაკება რუსებთან. იმავე დღეს, ე. ი. 20 თებერვალს პროკლამაცია გამოაცხადეს ქუთაისშიაც და დიდის ზეიმით დააფიცეს ხალხი იმპერატორის ერთგულებაზე. ხალხი გულგრილათ შეხვდა ამ ცერემონიას.

მეფე ოყევაში შევიდა; სწუხდა, ბორგავდა, აღარ იცოდა რა ექნა. თვითონ მას სურდა დამორჩილებოდა თავის მწარე ბედს და აღარ დაეღვარა უბრალოთ ქრისტიანთა სისხლი. ის კარგათ გრძნობდა, რომ ამ ბრძოლით არაფერი გამოვიდოდა და ტყვილათ გაიჟლიტებოდა იმერეთის ხალხი. მაგრამ მას გვერდით უდგენ და აქეზებდენ საომრათ ალექსანდრე ბატონიშვილი და სოლომონ ლეონიძე. ხოლო თებერვალი არ იყო აჯანყების მოსახდენათ შესაფერი დრო. ამიტომაც ცბიერი და ორპირი ზურაბ წერეთელი წერილებით არწმუნებდა ტორმასოვს, რომ იმერეთის დაჭერა გადაედო ზამთრისთვის, რადგან გაზაფხულზე დიდი დაბრკოლება შეხვდება რუსის ჯარსო.

24 თებერვალს მოვიდენ ქუთაისში ბენათელი მიტროპოლიტი და სეხნია წულუკიძე. ამათ გადასცეს სიმონოვიჩს მეფის წერილი, რომელშიაც სთხოვდა: 1. მისი შუა კაცები გაეგზავნათ ტორმასოვთან, რომ მას პირადათ ენახა მეფე სოფ. ვახანში, 2. დროებით შეეჩერებიათ ხალხის დაფიცება ხელმწიფის ერთგულობაზე. მეორე პირობა რუსებმა უარყვეს, მეფის დესპანები კი გაგზავნეს სურამს ტორმასოვთან.

სოლომონ მეფე იყო გამაგრებული ს. ვარციხეში 4000 ცხენოსანი კაცით. რუსის ჯარი ლ გურულ-მეგრელთა მილიცია ფრთხილათ ერტყმოდენ მას ყოველი მხრიდან და იკავებდენ მეფის გასაქცევ გზებს. რუსები განაგრძობდენ ხალხის დაფიცებას, თანაც უცხადებდენ: ურჩსა

და მოლალატეს სამუდამოთ წაერთმევა ყმა და მამულიო. ასეთმა მუქარამ იქონია გავლენა მეფის მომხრეთა რიცხვი დღითი-დღე კლებულობდა. 5 მარტს რუსის ჯარმა დაიჭირა ჭყვიში და მიადგა ვარციხეს. მეფე გაიქცა სოფ. ბაღდათში. მოულოდნელათ სოფ. ხანში გაჩდენ რუსები. ამ რიგათ მოესპო სოლომოს ერთად— ერთი გასაქცევი გზა ახალციხისკენ, სადაც ადრევე უშველეს თავს ბ შეეფარენ მალხაზ ანდრონიკაშვილი და სოლ. ლეონიძე.

8 მარტს სოფ. ზეინდარს სიმონოვიჩთან მოვიდენ მეფის ელჩები, ბენათელი და სეხნია წულუკიძე და განუცხადეს, რომ სოლომონი უარს იტყვის სამეფოს გამგეობაზე, თუ წერილობით დაპირდებიან, რომ იმერეთში დასტოვებენ და მისცემენ საცხოვრებლათ მისგანვე დასახლებულ მამულს. სიმონოვიჩმა უარი შეუთვალა და ურჩია მეფეს ესდოს ტორმასოვს და წავიდეს მასთან თბილისში. სოლომონი იძულებული გახდა მიეღო ასეთი პირობა და მოისურვა სიმონოვიჩის და მოგილევსკის პირადათ ნახვა. ამათ შეფიცეს მეფეს ჯვარსა და სახარებაზე, რომ არ დაატყვევებენ და გზაზე სამეფო პატივს არ მოაკლებენ. 12 მარტს მეფე მიენდო რუსებს.

15 მარტს სოლომონი წავიდა თავის ცოლის მამულში საზანოში, სადაც დარჩა სამ დღეს და აქედან მოგილევსკის და 500 ერთგული იმერლის თანხლებით გასწია სურამს. ს. ბეკამთან მიიღო ცნობა, რომ ტორმასოვი ელის მას ბორში.

დიდი სულიერი წამება განიცადა გზაში სოლომონმა. იგი მეტათ ნანობდა, რომ მიენდო რუსებს. მისი გრძნეული გული კარგ არას ეუბნებოდა. ამიტომ სოფ. ლირბთან მან სცადა ოსეთში გაპარვა. შეუტყო მოგალევსკიმ და გამოუცხადა მეფეს, რომ ამიერიდან იგი რუსთა მცველების ხელშია. „სახელოვანი ტყვე“ მოიყვანეს სოფ. ვარიანში, სადაც დახვდა ტორმასოვი, ამან გამოუცხადა მეფეს, რომ იგი თავის ბედის გადაწყვეტას უნდა ელოდეს თბილისში. ბორში მეფის მხლებელნი დაფიცეს რუსეთის ეთრგულობაზე და უკანვე დააბრუნეს ასი კაცის გარდა, რომელნიც დასტოვეს მეფესთან. თბილისშ მეფე დააყენეს თ. სუმბათაშვილის სახლში მტკვრის პირას და ირგვლივ შემოავლეს რუსის დარაჯები, რამაც ფრიად გააოცა მეფის მხლებელი თავად-აზნაურნი სიმონოვიჩის ფიცის შემდეგ.

რამდენიმე კვირის შემდეგ მიტროპოლიტთა კრებამ მოითხოვა მეფე სოლომონის იმერეთში დაბრუნება. ტორმასოვმა უპასუხა მათ, რომ „იმერეთი სამუდამოთ შეერთებულია რუსეთის იმპერიასთან და მეფის ნაცვლათ ინიშნება დროებითი გამგეობაო“. ამავე დროს ტორმასოვმა უბრძანა სიმონოვიჩს, სოლომონ I-ის ქალი ლარეჯან დედოფალი შვილებით გაეგზავნა თბილისს. მეფე სოლომონი და ბატ. კოსტანტინე ტორმასოვს

უნდა გადაესახლებია რუსეთს, სადაც დაენიშნებოდა მათ პენსია და საცხოვრებლათ სოფლები. მთავარმართებლის სიხარულს არ ქონდა საზღვარი, რომ ძლიერს ჩაიგდო ხელში მოტყუებით და ტყვეთ ყავდა იმერეთის ურჩი მეფე. დიდი მადლობა გამოუცხადა რუსის ჯარს, სიმონოვიჩი კი წარადგინა ღენერლის ჩინზე.

მალე ჩაშხამდა ტორმასოვს სიხარული: მისი გვირგვინოსანი ტყვე მოულოდნელათ გაუსხლტა ხელიდან და გაიქცა ახალციხეს. ეს მოხდა **10 მაისს ღამის ორ საათზე.** ვერ იხსნეს მეფე გაპარვისაგან სასტიკმა ზომებმა და რუსის ერთგულმა დარაჯებმა. გამწარებული ტორმასოვი იგლეჯდა თმას, სჯიდა მართალს და დამნაშავეს. ამ დროს კი ლაღათ მყოფი მეფე სოლომონი ახალციხის მთებიდან ახალ აჯანყებას აწყობდა.

XII იმერეთის აჯანყება და სოლომონის ბოლო

საინტერესოა სოლომონ II-ის გაპარვა; ეს მოხდა ამრიგათ: წინა ღამეს 6 იგოლ ერისთავმა და როსტომ წერეთელმა ვერის მინდვრებიდან მოარეკინეს ცხენები მეჩეთის ნანგრევთან, რომელიც ექვს ნაბიჯზე იყო ქალაქის გალავნის კარებიდან. ძაკუცა აბაშიძემ აუხსნა ბოქაულს ბარათაშვილს, რომ ეს ცხენები სჭირდებათ მცეფის კაცებს იმერეთში წასასვლელათ. მეორე ღამეს სოლომონმა თავი მოიავათმყოფა და ადრე შევიდა თავის ოთახში, გაიხადა ტანისამოსი და დაწვა. ღამის 10 საათზე ძაიხოსრო წერეთელი შევიდა მეფესთან და ჩუმათ აცნობა, რომ ყველაფერი მზათ არისო. მეფის მოსამსახურე ტაბუკაშვილმა მიართვა სოლომონს ადრევე დამზადებული უბრალო სამოსელი. მეფის ძვირფასი ტანსაცმელი კი მისცეს უბრალო სამოსლის მომტანს მედუქნე სომეხს **ბეჟან მურასოვს.** მეფის ლოგინში დაწვა მისი ერთგული მსახური. მეფე შეიმოსა უბრალო კაცათ, შეიმურა სახე ნაცრით, აიღო ხელში დოქი და გავიდა ბაღში ძაიხოსრო წერეთლის ოთახიდან. მას შეეფეთა ორი დარაჯი, რომელთაც სოლომონმა თამამათ უპასუხა, რომ იგი მეფის ნსახურია და მიდის მტკვარზე წყლის მოსატანათ. მეფე გავიდა ქუჩაზე; აქ მას უცდიდა პოლიციელის სამოსლით ერთი იმერელი. ამან გაატარა მეფე ქალაქით და მიიყვანა გალავნის კარებთან, სადაც გააჩერა ისინი დარაჯმა, მაგრამ რაკი დაინახა პოლიციელი, გაუშვა ორივე გარეთ. აქ დახვდენ მეფეს ოთხი წერეთელი, აბაშიძე და ერისთავები, 23 ცხენოსნით, მოახტა მეფე სოლომონი თავის ცხენს და გასწიეს ახალციხისკენ **თრიალეთის** გზით. ბაცილდენ რა თრიალეთს მათ შეხვდა ლეკი მაჰმად ბელადი თავის რაზმით. ეცენი ახლდენ მეფეს და 13 მაისს მშვიდობით მიიყვანეს ახალციხეში სოფ. ქოტელს, სადაც იყო ალექსანდრე ბატონიშვილი.

სოლომონ მეფის გაპარვამ თავზარი დასცა **ტორმასოვს**, **თ**ბილისის გუბერნატორს **როზენს**, **თ**ბილისის კომენდანტს **კომნენს** და მთელს რუსის ჩინოვნიკობას. **ა**მ ამბავმა ძლიერ **ა**ღელვა **თ**ვით **ა**ლექსანდრე იმპერატორი. **ბ**ანსაკუთრებით იგი გრძნობდა თავს შეურაცყოფილათ, როცა გაიგო, **რ**ომ ამაყ **სოლ**ომონს გაეგდო თავის ოთახში იმპერატორის მიერ **1804** წელს ბოძებული ორდენი **ა**ლექსანდრე **ნ**ეველისა, ალმასებით მოჭედილი.

იმპერატორის ბრძანებით სამხედრო სამართალში მისცეს **რ**ოზენი, კომნენი, პოლიციელთა უფროსი **ბ**არათაშვილი, დარაჯები და საერთოდ ყველანი, ვინც ნებით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყო მეფის გაპარვას. **რ**ოზენი იცვნეს უდანაშაულოთ, კომნენი დაითხოვეს სამსახურიდან და დაატუსაღეს **5** თვით, **ბ**არათაშვილს ჩამოართვეს აზნაურობა და გაგზავნეს სალდათად, პოლიციელთ **ა**ვთანდილოვს, **ე**რივანსკის, **ა**ენტელეევს და მედუქნე **ბ**ურასოვს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მეფის მსახურს **ტ**აბუკაშვილს და დალაქს **ს**ალამაძეს ჩამოხრჩობა შეუცვალეს ციმბირში გაგზავნაზე. **ა**სისთავს **ფალავანდიშვილს** სასამართლომ ვერ დაუმტკიცა დანაშაული და „ღმერთს მიანდო მისი საქმე.“ **ა**მ განაჩენზე **ტ**ორმასოვმა თავის ხელით მიაწერა: „**დახვრიტეთ**“!

ასე ძვირათ დაჯდა მეფის გაპარვა. **მ**აგრამ ეს იყო დასაწყისი. **ა**მიერიდან ორივე მხარე ვარდებოდა დიდ ხიფათში. **ბ**ანსაკუთრებით **ი**მერეთს უნდა შეეწირა დიდი მსხვერპლი და შესწირა კიდეც.

მეფე **სოლ**ომონმა და **ა**ლექსანდრე **ბ**ატონიშვილმა დაამზადეს ვრცელი წერილები და მიმართეს მხურვალე მოწოდებით რუსების წინააღმდეგ **ი**მერეთის ხალხს, თავად-აზნაურთ და სამღვდელოებას. **ე**ს ორი მებრძოლი რაინდი ითხოვდენ იმერთაგან თავგანწირულ ბრძოლას, რომ არ დადგომოდათ ისეთი დღე, როგორც ქართლელებს, „რომელნიც რუსთა გავლენით წითელ პარასკევს ხორცს სჭამენ და ხორცით იწვიან. **რ**უსები დაპირდენ მათ ოქროებს, ახლა კი ლარიბსა და მიცვალებულზედაც ყველას სამ-სამ მანეთს ართმევენ, სახლებს ეპატიურებენ და ამცირებენ. ასეთი დღე მოგელით თქვენც, თუ დამივიწყებთ თქვენს კეთილ მოყვარესო.“

აი რას სწერს მეფე **17** მაისს ძუთათელ მიტროპოლიტს **დოსითეოსს**. **ა**მ წერილში ნათლად ჩანს მეფის სულისკვეთება, გონებრივი სიფხიზლე, რუსის პოლიტიკის შეგნება, თავის ერის და სამშობლოს სიყვარული. „**მ**ეფე სრულიად **ი**მერთა **სოლ**ომონ უსამღვდელოესს მარჯვენს სასოებით ამბორის ყოფას მოგახსენებთ. **მ**ერმეთ როდესაც გადაწყვეტით გული დავაჯერე, რომ **რ**უსეთს მისტუმრებდენ, თქვენის მოშორებისა და **ი**მ**ერ**ეთის **საუკუნოთ დატ**ოვების **ცეცხლი ჩემს გ**ულს **მ**ოეგ**ზ**ნა; **ცას ქვეშეთს დიდ**ებას **თქ**ვ**ენთ**ან **ყ**ოფნა, **თ**ქ**ვ**ენ**თ**ან **სიხ**ა**რ**ული, **თ**ქ**ვ**ენ**თ**ან

სიცოცხლე და სიკვდილი ვარჩიე. ჩემი თავი გადავსდევ და ათს ამ თვეს, ლამის ორ საათს ღვთის მოწყალებით ქალაქიდან გამოვედით ოთხნი წერეთელი, ორნი ძმანი ერისთავები და ლაბუაშვილი მათის კაცებით, ოცდა სამი ცხენიანი, აქ,—ახალციხეში მშვიდობით მოვედით. თქმად შეუძლებელია დიდთა და მცირეთაგან ერთობით ჩემის მისვლისათვის ამათი სიხარული. აწ თქვენთაგან და მთელად იმერეთისაგან ჩემი საწადელი ეს არის,—მე თუ სხვა სამსახური რამ დამიკლია იმერეთისთვის, ეს კი ყველამ იცით, რომ თქვენის პატივისცემისა და სიყვარულისაგან არაოდეს ჩემი გული არ გამაძღარა. აწ კიდევ სიკვდილისა და განსაცდელისათვის, თავი გადავსდევ თქვენთან სიცოცხლისათვის. ამაზედაც ფიცით გარწმუნებთ, რომ თუ იმერეთს ჩემის დაკარგვით ბედნიერება და თავისუფლება მიეცემოდეს, როგორც მე თქვენის მოუშორებლობისათვის თავი გამოვიმეტე, ისე თქვენთვის დაკარგვას სასიხარულოთ მივიღებდი; მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, რომ როგორც სხვა თქვენი მეზობელნი იმათ (ესე იგი რუსების) ხელში უნუგეშოთ კვნესიან და დღე-და-დღე ოჯახის პატივიდან მდაბლდებიან. სახლის და ცოლ-შვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულდასმული შეიქმნენ, მერე უმწარესი და ყოველს მეზობლებზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ, დღეს რომ პატივსა სცემენ, ხვალ ყოველ ქვეყნისაგან იმერეთში უმეტესად დაკრძალულ ცოლ-შვილის პატიოსნებას უპატიოთ გახდიან. შეხედეთ საქართველოს, რომელიც პირველში ფიცითა და ოქროთი მოატყუეს და დღეს აღარც სიმდიდრე უხარიან, აღარც თავისი სახელი და სიკვდილს ნატრულობენ. ყველამ იცით, რომ (რუსნი) თავის ჩვეულებას თქვენთვის არ გამოცვლიან; არც თქვენს მამა-პაპას არ იცნობენ, არცა აქვსთ სიყვარული და გულის შეტკინება, რომელიც მე მაქვს, გიცნობთ და მიცნობთ.“

„ეს არის დღე ერთგულებისა და ჩვენთვის დანთხეულთა მამა-პაპათა თქვენთა სისხლთა განახლებისა, რომ განთავისუფლებისა თქვენისათვის გამოაცხადოთ ერთგულება თქვენი, რომლითაც აქამდე ყოველს ქვეყანაზე იმერეთი ჩანებული ყოფილა მემკვიდრის მეფის ერთგულობაზე და უმეტესათ თქვენი ოჯახი და თვით თქვენ ჩვენთვის თავდადებული ბრძანებულხართ. ნუ დაიდებთ საუკუნოთ საძრახისს საქმეს და ნუ დაიღუპებით ქართლსავით, რომელნიც დიდ პარასკევს ხოცს სჭამენ და ხორციელათ დატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ. გაისარჯეთ თქვენებურათ, ოჯახი დიდი თუ მცირე, თქვენი მოკეთებული და თქვენი სა-

მწყსო. Იმერეთში ყველანი განამტკიცეთ და თქვენი ჩემზედ მაძაშვილური სიყვარული და შემძლებლობა დღეს გამოაცხადეთ. Თუ დამაჯერებთ, მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხო ჯარებს აღარას დავეძებ, რომ ღვთისა და თქვენი შესაწუხებელი საქმე არ მოხდეს და როგორც თქვენგან პასუხი მომივა, ამად გული დააჯერეთ **თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა გავასრულო, იცოდეთ.**

Ამგვარი შინაარსის გრძნობიერი ბარათები მისწერა შეფემ Იმერეთის მიტროპოლიტებს, მრავალ თავად-აზნაურთ და თვით მოღალატე ზურაბ წერეთელსაც კი. Ელვასავით მოედო მთელს Იმერეთს აჯანყების ცეცხლი. Რუსის ტყვეობიდან გაქცეული, დატანჯული მეფე Სოლომონი შეიმკო მათ თვალში დიდების შარავანდედით. Მან მოიპოვა ფრიადი თანაგრძნობა და პატივისცემა. Ღენ. Სიმონოვიჩს აეყარა პატივი და დაეკარგა რწმენა ფიცის გატეხისათვის მეფის წინაშე, რუსის შეუსაბამო მართვა-გამგეობამ გზა-კვალი დაუბნია და გაუკრუა იმედები. Მექრთამე ჩინოვნიკებმა ხომ სულ-ერთიანად შეაძულეს ხალხს რუსეთის მთავრობა. Ასეთ პირობებში, ეჭვი არაა, Სოლომონი შეიძენდა მომხრეებს და მართლაც მრავალი ხალხი იარაღ ასხმული დადგა მეფის დროშის ქვეშ. Ასე გაშინჯეთ თვით ზურაბ წერეთელიც კი შეიქნა გარეგნობით Სოლომონის მომხრე, თუმც იმავე დროს კავშირს არ სწყვეტდა რუსებთან და ჩუმათ ყველაფერს აგებინებდა Ტორმასოვს. Ერთი სიტყვით, ამ აჯანყების დროს ყველაზე უფრო სამარცხვინო როლს თამაშობდა ეს პატივმოყვარე და სამშობლოს მოღალატე Საჩხერელი თავადი.

Ასეთმა ამბებმა ძლიერ ჩააფიქრა რუსის მთავრობა. Დაფაცურდენ Ტორმასოვი და Სიმონოვიჩი. Მოამზადეს ჯარები, შეკრეს მეფის შემოსასვლელი გზები, დაატუსაღეს Ზოთში მეფის მეუღლე **Მარიამ დედოფალი,** მისი და Მიქელაძის მეუღლე და მეფის და—Ანდრონიკაშვილის ცოლი. Დაატუსაღეს გაქცეულ თავად-აზნაურთა ოჯახები და მათი მამული ჩარიცხეს სახაზინოთ. Მიმართეს Იმერეთის მიტროპოლიტებს და ურჩევდენ მეფის ღალატს, გაავრცელეს ყველგან პროკლამაციები, რომლითაც უცხადებდნენ ხალხს, თავად-აზნაურთ, სამღვდელოებას მოსპონ Სოლომონთან კავშირი და ერთობა. Მეფის წერილების მიმტანთ პირდებოდენ ჯილდოს, მეფის მომხრეებს ემუქრებოდენ „როზგით," ციმბირში დაკარგვით და ქონების ჩამორთმევით რუსის ერთგულთა სასარგებლოთ.

Ვერ გასჭრა ამ სასტიკმა ზომებმა. Იმერელი გლეხი და თავად-აზნაური ათასობით შეიარაღებულნი მიდიოდენ მეფე Სოლომონთან, სისხლს ღვრიდენ საყვარელი მეფისთვის და პოლიტიკურ თავისუფლებისათვის. Თავადების მეთაურობით აჯანყებულნი გროვდებოდენ წითელ რაზმებათ

და ეცემოდენ იმერეთში გაბნეულ რუსის ჯარებს. აგრეთვე შეკრეს ქართლ-კახეთში მიმავალი გზები. ქაიხოსროო აბაშიძის სარდლობით მოიქმედ რაზმს, 2000 კაცს, სიმონოვიჩმა მიუსია ს. ლოსიანთხევთან მაიორი **კალატოზიშვილი** ორი როტით, რომელთაც ჩაესაფრენ ვიწროებში რაზმელები, მოუკლეს და დაუჭრეს 50 სალდათი; მოკლეს თვით ქალატოზიშვილი. 24 ივნისს ტორმასოვმა მიაშველა სიმონოვიჩს ქართლიდან ორი როტა სალდათი და ერთი ზარბაზანი მაიორ **კრიუანოვსკის** სარდლობით. ამათ დახვდა გზაზე იმერთა რაზმი და მოხდა ცხარე შეტაკება, მოუკლეს რუსებს 20 კაცი და დაუჭრეს 48, მაგრამ მაინც ჩამოვიდენ ქუთაისში. ამ ხანებში რაზმელები დაეცენ კაპიტან **სუხანოვის** როტა ს. ბაღდადთან და მიაყენეს დიდი ზარალი. ივნისის დამდეგს ჩამოვიდა იმერეთში მეფე **სოლომონი** ლეკთა და ოსმალთა რაზმით. რამდენიმე მოკლული რუსის თავი მადლობის ნიშნათ მეფემ გაუგზავნა **შერიფ** ფაშას. საქმე გამწვავდა. საყვარელი მეფის ჩამოსვლამ ააფრთოვანა ხალხი. მთელი იმერეთი ზღვასავით ღელავდა. რუსის ჯარს გაუჭირდა საქმე. მაშინ ტორმასოვმა საჩქაროთ მოაშველა **სიმონოვიჩს** ორი ბატალიონი ღენ. **დიმიტრი ორბელიანის** უფროსობით, რომელსაც დაევალა ყოველგვარ საშვალებით მიემხრო ბურია-სამეგრელო, **„აჯანყებულნი კი ვინც დაიჭიროთ, ზოგი ჩამოარჩვეთ და ზოგიც ციმბირში გადაკარგეთო.“** ასეთი მინდობილობა სრულებით შეეფერებოდა ისეთ მტარვალს, რომელმაც ორი წლის შემდეგ რუსის მთავრობის ბრძანებით სისხლით შელება და გადაბუგა მთელი ქახეთი.

29 ივნისს **ორბელიანი** თავის ჯარით მოვიდა **სურამს**. აქ სცნო, რომ გზები შეკრულია. ამიტომ ჯარი გაჰყო ორათ: ერთი ბატალიონი და ორი ზარბაზანი ჩააბარა მაიორ **ტიხოცკის**. იგი წამოვიდა ალის გზით ძორტოხზე, მეორე ბატალიონი კი ფაცანის ხევით წამოიყვანა თვითონ, მასვე შეუერთდა გზაზე მაიორი **პრიბილოვი** ოთხი როტა სალდათით. რაზმელები დახვდენ ვიწროებში **რუსის** ჯარებს და ძვირათ დაუსვეს **იმერეთში** შემოსვლა. **დიდი** ჟლეტა და სისხლის ღვრა მოხდა **ალის** ხეობაში. **ოთხი** დღე და ღამე იყო განუწყვეტელი სროლა. მეტათ დაზარალდა **რუსის** ჯარი; დამარცხდებოდა საშინლათ, რომ ბედზე არ მოსწრებოდა **სურამიდან** მაშველი რაზმი. **დიდის** გაჭირვებით შეერთდა **დამპალოს ველზე** ორათ გაყოფილი **რუსის** ჯარი. აქ მოხდა **სასტიკი** ბრძოლა: ოთხი ვერსის მანძილზე მდ. ძირულამდი ეკვეთენ იმერლები **რუსის** მხედრობას ზარბაზნებით შეიარაღებულს. **ორივე** მხარეს მოუხდა **დიდი** ზიანი; **რუსებს** მოუკლეს და **დაუჭრეს 117 კაცი**. **აქვე** მოკლეს **აჯანყებულთა** ბელადი **აზნაური გოდაბრელიძე**. **რუსის** ჯარის გატარება ამ ხეობაში **შეუძლებელი** შეიქნა. **ორბელიანი** იძულებული გახდა **დაებრუნებია** ჯარი.

სურამში. რუსების დამარცხებამ ალის ხეობაში და დამპალოს ველზე დიდი აღტაცება გამოიწვია მთელს იმერეთში და გაამხნევა აჯანყებულთა ბელადნი. მალხაზ ანდრონიკაშვილმა და როსტომ წერეთელმა მიულოცეს მეფეს მტერზე გამარჯვება. ტორმასოვს კი სულ ცოფი აყრევინა პირიდან ამ საზარო ამბავმა. სასტიკათ გაუწყრა იგი დ. ორბელიანს და ჯარების უფროსობა მისცა ღენ. როზენს. მაგრამ სანამ ტორმასოვის ბრძანება მოვიდოდა, ორბელიანმა გასწია იმერეთში ვახანის ხეობით, გავიდა მოლითის წყალზე 22 ივლისს, შეებრძოლა ჩხერის ციხესთან 3000 რაზმელს, დაამარცხა და გაფანტა. ამ ომში მოკლეს რაზმელთა ერთი ბელადი დიმიტრი აბაშიძე.

აქ ჩხერთან მოეწია ორბელიანს ღენ. როზენი ჩაიბარა ჯარის უფროსობა და გასწია ჭუთაისისკენ. ჩიტურზე მას დახვდა რაზმით ქაიხოსრო წერეთელი, მაგრამ დამარცხდა, მოუკლეს 200 კაცი და ოსმალთა რაზმის უფროსი სულეიმან ბეი. ამ ბრძოლაშივე მოკლეს „რუსეთის მტერი“ ქიაიხოსრო აბაშიძე, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია რუსის ჯარში. დამარცხებული რაზმელები ქ. წერეთლის მეთაურობით გაეშურენ მეფესთან სოფ. მაღლაკში. 29 ივლისს როზენმა გაჰფანტა ჭუთაისთან რაზმელები და შევიდა ქალაქში.

2—3 დღის შემდეგ როზენმა გაგზავნა ჯარით სიმონოვიჩი მეფის შესაპყრობათ. სიმონოვიჩი წავიდა რიონის მარჯვენა ნაპირით. იმავე დროს ხუთი როტა და 50 კაზაკი პრიბილოვის სარდლობით გაიგზავნა გელათისკენ. 4 აგვისტოს სოფ. რიონთან პრიბილოვი შეხვდა აჯანყებულთ, რომელთაც სარდლობდა თვით მეფე. შეიქნა ცხარე ბრძოლა. რუსებს გაუჭირდათ საქმე. მაგრამ მათ მოეშველა ჭუთაისიდან სიმონოვიჩი ორი როტა ჯარით. ლამით რუსები მიეპარენ ჩუმათ მეფის რაზმს და გაფანტეს. სოლომონი გაიქცა ნალარევს. პრიბილოვი და სიმონოვიჩი დაედევნენ მას და დაამარცხეს ბელათთან გამაგრებული რაზმელები. მეფე შეეფარა სოფ. გოგს, გაგზავნა რუსთა ბანაკში დავით მიტროპოლიტი და ითხოვა შერიგება. სიმონოვიჩმა უყურადღებოთ დასტოვა მეფის თხოვნა და გამოუდგა დასაჭერათ. 17 აგვისტოს განდევნა რაზმელები სოფ. ბოგიდან, გამოედევნა და დაამარცხა იმერთა და თურქთა რაზმი ს. ბაღდადთან.

სეკტემბრის დამდეგს მიყუჩდა იმერეთი. ჩაქვრა აჯანყების ალი. იმერთა სისხლში ჩაიხრჩო ხალხის უზენაესი სურვილები და მეფე სოლომონის მისწრაფებანი. ძალამ და ყვითელმა ოქრომ გაიტანა თავისი. ზარბაზნებმა ჩაკლეს ერის თავისუფლება. ჭუმბარებმა დაატრიალეს უკუღმა იმერეთის ბედის ჩარხი.

ბედკრული მეფე სოლომონი მცირე რაზმით შეეფარა ხანის ხეობას. აქ ელოდა ჯარს ოსმალეთიდან, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ტორმასოვის აზრით ქვეყნის დასამშვიდებლათ საჭირო იყო მეფის ხელში ჩაგდება. ამიტომ სწერდა სიმონოვიჩს ეხმარა საშუალებათ **ოქრო, მახვილი, ორდენები, ძალა** და **ყოველგვარი ხრიკი.** ასეთი შინაარსის ბრძანება არაერთხელ ჩაუვარდა წინათ ხელში თვით მეფე სოლომონს, რამაც მეტათ შეუცვალა გული რუსის მთავრობაზე.

მეფე გამაგრდა ხანის ხეობაში 1500 კაცით. რუსები მაინც არ ეშვებოდენ. 24—25 დეკემბერს მაიორი უშაკოვი ძლიერი რაზმით დაეცა ხანის ხეობას, დაანგრია ზარბაზნებით შესავალი და გაფანტა მეფის მცველნი, სოლომონი გაიქცა ახალციხეს.

ასე დამთავრდა ეს აჯანყება იმერეთში! რუსებმა დაჰკარგეს ამ ბრძოლაში 20 ოფიცერი და 392 სალდათი მოკლული და დაჭრილი. ბახარებულმა ტორმასოვმა მანიფესტით გამოაცხადა იმერეთის შეერთება და მისწერა სიმონოვიჩს სწრაფათ მოეწყო იქ რუსული მართვა-გამგეობა ივერიის მზგავსათ. ამავე დროს ტორმასოვის ბრძანებით გადაასახლეს ქ. ვორონეჟას (რუსეთს) სოლომონ მეფის მეუღლე **მარიამ დედოფალი,** მისი და **მაია** და **სოლომონ I-ის ქალი დარეჯანი,** სამეფო გვარეულობის დანარჩენი წევრნი კი გადაიყვანეს საცხოვრებლათ თბილისში. ტორმასოვს სურდა აგრეთვე ციმბირში გაეგზავნა აჯანყების მოთავენი, მაგრამ სიმონოვიჩმა ურჩია არ დაესაჯა �in ასე სასტიკათ, ვინაიდან ასეთი მკაცრი ზომები სასურველ ნაყოფს არ მოიტანს, პირიქით უფრო გაამწვავებს საქმეს და გააბრაზებს რუსის მთავრობის წინააღმდეგ მათ შვილებსა და ნათესავებსაო. „ამით ჩვენ ხალხში ნდობას დავკარგავთო“. ტორმასოვი დაეთანხმა სიმონოვიჩის გონივრულ რჩევას და აპატია ყველას დანაშაული.

დამარცხებული მეფე სოლომონი დიდის პატივით მიიღეს ახალციხეში. ქალაქი ჩირაღდნით გაანათეს. მაგრამ რუსის ჯარი მოადგა ახალციხის საფაშოს და მეფე იძულებული გახდა წასულიყო ერევანს, აქედან შეეფარა აზრუმს, სადაც სულთანმა დაუნიშნა მუდმივი ბინა. ამ ხანებში მიიცვალა ახალციხეში მისი ერთგული **სოლომონ ლეონიძე** და ამ საუკეთესო ქართველის დაკარგვამ ფრიად დაამწუხრა და დაობლა სულით მარტოთ დარჩენილი და სამეფოდან გადახვეწილი სოლომონი. მას თანდათან ჩამოეცალენ თავის მხლებელი თავად-აზნაურნი და დაბრუნდენ იმერეთში. დაობლებულ მეფეს აქაც არ ასვენებდენ მისი მტრები. ტორმასოვის ჩაგონებით აზრუმის ფაშამ შეავიწროვა მეფე; 1812 წელს იგი გაიპარა ტრაპიზონს, რომლის ფაშამ **ოსმან-ხაზინდარ-ოღლიმ,** ქართველმა მაჰადიანმა დიდი პატივით მიიღო ეული მეფე. აზრუმის ფაშას კი, მეფის ცუდათ მოპყრობისათვის, სულთანის ბრძანებით მოჰკვეთეს თავი.

მაგრამ დიდ ხანს არ დასცალდა აქ ცხოვრება ტანჯულ გვირგვინოსანს. სამშობლოს მოშორებამ, სამეფოს დაკარგვამ, ტლანქმა ძალმომრეობამ, სულით ობლობამ, ჯავრმა და კაეშანმა ადრე დაასნეულეს რაინდი მეფე და მოუღეს ბოლო 42 წლის ვაჟკაცს. **7 თებერვალს 1815 წელს** შავი ზღვის პირათ შორეულ ტრაპიზონში განისვენა სამარადისო ძილით სამშობლოდან დევნილმა **სოლომონ II-მ. Ი**გი ჩაესვენა სამარეს ნათესავთაგან დაუტირებელი. მხოლოდ ზღვის ტალღები ცრემლათ ეფრქვევიან მეფის სავანეს და ჩასძახიან ძოლხეთის კვნესას და წამებას... ასაფლავია ეს მაღალი სულის ადამიანი იქვე ბერძენთა ეკლესიის გალავანში, სადაც უბრალო ძეგლზე ქართულად აწერია: **„საფლავსა ამას შინა მდებარე იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩყიე.**

— **„ჰსაჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა.** (ფსალ 34.)

— **„მომიხსენეთ მე, ძმანო, საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ.“**

ძეგლის მეორე გვერდზე აწერია: „განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კდემულ საფლავსა ამას შინა ტომისაგან **Დ**ავითისა. შთამოსრული **ბ**აგრატიონი, ძე **ა**რჩილისა, სრულიად **ი**მეროა მეფე **ს**ოლომონ, რომლისთვისაცა ვითხოვ შენდობას. 7 თებერვალს **1815** წელსა (ქორონიკონი ჩყიე).“

ილარიონ **ქ**ართლელი ამრიგათ აგვიწერს მეფის უკანასკნელ დღეებს: „თუმცა სულთანი აღუთქვამდა ტახტის დაბრუნებას და **ნ**აპოლეონის შეტაკება იმედს უღვიძებდა სამშობლოში დაბრუნებისას, მაგრამ **ი**მერეთიდან მოსულმა ცნობამ გული აუცრუა ტანჯულ მეფეს, ეძია მოსვენება **ს**აქართველოში. **თ**ავად-აზნაურობა უთვლიდა მას **ტ**რაპიზონს, რომ ნულარ იფიქრებს იგი სამეფოში დაბრუნებას ოსმალეთის ჯარით. **დ**ა მეფემაც დალია სული უცხოეთში, დანატრებულმა სამშობლოს ცასა და თანამემამულეთა ნახვას.“

შემდეგი საგულისხმო სიტყვებით ახასიათებს მეფე **ს**ოლომონს პროფ. **ა**ლ. **ხ**ახანაშვილი: „ასე ტრაღიკულათ.გაათავა თავისი სიცოცხლე მეფემ, რომელიც გამსჭვალული იყო სიკეთე მოეტანა ქვეყნისათვის და სამსახური გაეწია ხალხისათვის. **ნ**დობა და სიყვარული, რომელიც მოპოვებული ჰქონდა მას ხალხში, ამტკიცებს, რომ იგი არ იყო ჩვეულებრივი ბატონი, კერძო ინტერესით აღსავსე,—მას ხელმძღვანელობდა **ი**მერეთის კეთილდღეობა, და თავის ძალ-ღონით, შეგნებითა და მოუდრეკელობით ემსახურა მას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდის. **დ**ედა-აზრად მისის მოქმედებისა შეიქნა სურვილი დამყარდეს ძლიერი შეერთებული სამეფო

დასავლეთ საქართველოისა და შემდეგ გამტკიცებულის წეს-წყობილებით თავისი გავლენა გადაიტანოს აღმოსავლეთ ივერიაზედაც.“

„დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.“ ასე გულსაკლავათ დამთავრდა მზგავსათ ივერიისა, დასავლეთ საქართველოს, ოდესღაც დიდებული ქოლხეთის პოლიტიკური თავისუფლება. გაჰქრა მისი მეფობის ბრწყინვალე შარავანდედი. ისტორიის ულმობელმა გრიგალმა, ურიცხვმა მტრებმა და პატივმოყვარე თავადებმა იგი დაგლიჯეს წვრილ სამეფო-სამთავროებათ და მით დაუკარგეს ერთობა და ძლიერება, დასცეს ნივთიერათ და სულიერათ. ისტორიის უხილავმა მარჯვენამ დამართა მშვენიერ ქოლხეთს საბედისწერო დამბლა. წასრული საუკუნის დამდეგს მას უკვე დასტრიალებდა ჩასანთქავათ ჩრდილოეთის ორთავიანი არწივი. ასეთ პირობებში ვერას გახდებოდა ქვეყნისთვის თავდადებული მაღალგონიერი მეფე სოლომონი. მისი კეთილშობილი ცდა სამშობლოს გაერთიანებისა და პოლიტიკურ თავისუფლების შესახებ უნდა დამთავრებულიყო მარცხით და უბრალო სისხლის ღვრით. ამაოდ განიცადა რაინდმა მეფემ და მისმა ერმა საშინელი ტრაგიზმი. ბნელმა უმეცრებამ და ერთობის შეუგნებლობამ დაღუპეს დიადი საქმე და იდღესასწაულეს გამარჯვებით ტლანქი ძალმომრეობა. ქვნესოდა, სტიროდა ქოლხეთის ერი, ხაროობდენ და იცინოდენ მოყვრის ნიღაბით მოვლენილი ყირიმზი ბატონები.

III საქართველოს კუთხეების აჯანყებანი

VI მთიულეთის აჯანყება

I.

ივერიის ერი გმინავდა რუსეთის მართვა-გამგეობის მძიმე უღლისაგან. ყველაზე მეტათ ეს სიმძიმე დააწვა მთის ქართველთ, ამ კავკასიონის ლაღ შვილებს, მცხოვრებთ დარიალის ხეობაში. ამათ სხვათა შორის დაადვეს მძიმე ბეგრათ სამხედრო გზის კეთება, ხიდების შეკეთება, თოვლის გადახვეტა და სხ. ეს მძიმე ბეგარა ისე ითრევდა ამ ღარიბ ხალხს, რომ დრო არ რჩებოდათ საზრდოს მოსაპოებლათ. თუმც ამ შრომისათვის მცირე საფასიც იყო დანიშნული, მაგრამ ეს მცირე რამეც არ ეძლეოდათ. ამას ერთოდა ხალხის უზომო შეურაცყოფა, კაცების ცემა და ქალების ნამუსის ახდა. ვეღარ გაუძლეს ამდენ საზიზღრობას და ბოროტებას გამწარებულმა მთიელებმა! აივსო მოთმინების ფიალა და აჰა, 1804 წელს მაისის დამდეგს აღმართეს **აჯანყების დროშა.** ეს იყო საქართველოს ერთი პატარა კუთხის ნამდვილი რევოლიუცია. ამათ მოიწადინეს **რუსეთის** ბატონობის დაცემა და განთავისუფლება მონობის მძიმე უღლისაგან.—**ან სიკვდილი, ან თავისუფლება!** აი, რა ეწერა მთიულ-

თა წითელ დროშაზე! მთიულთა რამდენიმე ოემი, მშიერი და უიარაღო გმირულათ გაუმკლავდა რუსეთის გაწვრთნილ პოლკებს და ზარბაზნებს, რამდენჯერმე დაამარცხა კიდეც რუსის ჯარი, მაგრამ იძლია ბოლოს. ბმირთა სისხლით შეიღება მქუხარე თქრგი და თეთრი არაგვი.

მიზეზი, თუ რამ ააჯანყა მთიულეთი აღნიშნულია მოხსენებაში, რომელიც წარუდგინეს იმათ აჯანყების დროს მაზრის უფროსს **თორნიკე ერისთავს**. აი ზოგიერთი ადგილები იმ მოხსენებიდან:

1. „კაცისგან თითქმის მოუთმენელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე სამინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავწმინდეთ.

2. ჩვენგან გაკეთებულ გზაზე წვიმისაგან შეიქნა ტალახი; გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს. ამ დაფენილ ფიჩხში ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოჰკლეს.

3. მოვიდა თოვლი და ამოავსო ჩვენგან გაკეთებული გზა. ისეთ დროს მიგვიყვანეს საკეთებლათ, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვტანა, კიდევ ტიმოთემ ხმლის ცემით მიგვყარა; წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა.

4. მოვიდენ 80 სალდათი და 12 ცხენიანი ყაზახი. ამათ უნდებოდათ დღეში სალდათს 10 საკლავი და ყაზახთ 2 საკლავი. ძათამს, ყველსა და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5. ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა. მხოლოდ ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი.

6. **ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდენ.**

7. ბვიბრძანეს და ოთხი საკირე დავწვით.

8. თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო და იქიდან გავიგონეთ: წინ ჩვენ უნდა წავეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი, ჩვენს უკან სალდათი და შემწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გადავერეკენით. დედაკაცნი და რომელნიც წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლათ კირი მათ უნდა ვაზიდვინოთო.

9. **დაგვიდეს ფიცი შვიდი წლის სითარხნე (ბეგარისგან განთავისუფლება), არც ეროი წელიწადი დაგვაცალეს. წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსი და სხვისაც დებულებისა მაგიერათ სულ თეთრი (ფული) გამოგვართვეს ორი წლისა ერთად, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსათ ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანიეს თეთრი და წაიღეს, გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი,**

ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთ ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

10. ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა უფასოთ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს.

11. ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ; ჩაფარიც თავიანთი ცხენით უნდა მეყვანათ და მოეყვანათ. ქერსა და თივას უფასოთ გვართმევდენ და ცხენსაც უქირაოთ და კულიერიც ჩვენი ცხენით დაყვანდათ.

ჩვენ ამ ზემოხსენებულის მწუხარებისაგან, რომელნიც ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთს ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ. ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენლის მწუხარებისაგან, **ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლშვილი შიგ ჩავყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას, მათრახით სიკვდილს და ჩვენი ცოლების უწესოს საქმით დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, მარტო მთიულეთში ცემით 23 კაცი მომკვდარა სხვას გარდა.** თქვენს ბრწყინვალებას ვსთხოვთ, რადგან ჩვენის საქმის შესატყობლათ საქართველოს მმართებლისაგან წარმოგზავნილი ბრძანდებით, ეს ჩვენი წერილი მათსვე ბრწყინვალებას წარუდგინოთ“.

აი მთიელის გულიდან ამოხეთქილი შიშველი სიმართლე! ამ მწარე მოხსენებას განმარტება აღარ ეჭივრება. აქედან ნათლათ ჩანს, თუ რა საშინელ გაჭივრებასა და წამებაში ლევდა სულს მთიულეთი! რა აუტანელ მონობას და ბოროტებას განიცდიდა ლაღი მთის შვილი, განთქმული გულადობით, მხნეობით და ვაჟკაცობით! ისინი იძულებული გახადეს თავის საკუთარი ეკლესიებიც კი გაეცარცვათ, თავის ხატებიც კი გაეფცქვნათ რუსის ხაზინის სასარგებლოთ. ამ საბრალო მთიულებს კლავდენ ცემით, მათ ცოლებს, დებსა და შვილებს ხდიდენ ნამუსს იმათ თვალწინ; ართმევდენ ხალხს სარჩოს, არჩობდენ მძიმე ბეგარით და ბოლოს აყრასა და გადასახლებასაც კი უპირებდენ... დაჩაგრულ-დამონებული უმწეო ხალხი ნატრობდა ნამუსიან სიკვდილს, აპირებდა ცეცხლში დაწვას ცოლშვილით და ამას შემდეგ განა საკვირველია თუ იმათ შეიძულეს რუსები და აღმართეს აჯანყების დროშა?! ამაზე შორს ხალხის ბიბლიური მონობა, ხალხის უსასტიკესი ტანჯვა-წამება ველარ წავიდოდა!.. ასეთ დაუჯერებელ რამეებს არ შვრებოდენ ჩვენში თვით აზიის უსაშინელესი ბარბაროსნიც კი, ამგვარი მაგალითები არ სჩანს საქართველოს გრძელს ისტორიაში... და აი, ყოველივე ამას სჩადიოდენ ევროპიაში მოყვ-

რათ მოვლენილი რუსის სახელმწიფოს მართლმადიდებელი ჯარი და ჩინოვნიკები!...

ამ დროს მრისხანე ბ. ციციანოვი ებრძოდა თავის ჯარებით ერევანთან სპარსეთის შაის და როცა გაიგო მთიელთა აჯანყება, ლმობიერებისა და მიზეზის გამოკვლევის ნაცვლათ აჯანყების ჩაქრობა მიანდო ცეცხლითა და მახვილით ქსნის და არაგვის ერისთავებს, ამ რუსის მთავრობის ერთგულ ყმებს, და მისწერა მათ შემდეგი: **„მახვილით აჰკაფეთ, ლუკმა-ლუკმა ასჩეხეთ და აკუწეთ მეამბოხენი! ნუ დაინდობთ, ნუ შეიბრალებთ მაგ ავაზაკებს და ბარბაროსებს! სახლ-კარი გადაუბუგეთ ცეცხლით! ბრძოლის დროს განდევნეთ ყოველივე აზრი შებრალებისა და შეწყნარებისა“...**

ნეტა როგორი უნდა ყოფილიყვნენ რუსის დანარჩენი სამხედრო პირნი და მოხელენი, როცა მათი მეთაური, ევროპიულათ განათლებული ბ. ციციანოვი იძლეოდა ასეთ ველურ განკარგულებას ბედშავ მთიულთა მოსასპობათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონებმა მოისურვეს ხალხის ფეხქვეშ გასრესა და ისინი კი გაფართხალდენ... ამ „ლმობიერ“ სიტყვებში ჩვენ ვკნობილობთ იმ დროის რუსის მხედარს და ჩინოვნიკს...*)

II

აჯანყებულთა რიცხვი პირველ ხანებში ძლივს აღწევდა 1000 კაცამდი. ამათ უმთავრესი ყურადღება მიაქციეს სამხედრო გზას და სულ ერთიანად გააფუჭეს იგი, რომ შეეჩერებიათ რუსის მაშველი ჯარის შემოსვლა ჩრდილოეთიდან. აჯანყებულთ მეთაურობდენ **ლევან ნაზლაიძე, სამუკა** და **ბურდული**. რევოლიუციონერებმა გამოატანიეს ხევის ბერებს მათი უწმინდესი ხატი **ლაშარის ჯვარი**, გაშალეს სამხედრო დროშები და დაიფიცეს: გავწყდეთ ერთიანად, ოღონდ კი რუსების ბატონობას ბოლო მოუღოთო. შეირყა მთა და იწყო ომისთვას მზადება. მათ მიემხრო თავის 300 კაცით ჩიმის მფლობელი ოსი **ახმეტ დუდარეკო**, შესანიშნავი ვაჟკაცი და გაუწია აჯანყებულთ დიდი დახმარება. დუდარეკომ შეკრა გზა **ლარიალის** ხეობაში და შეაჩერა ჩრდილოეთით რუსის ჯარები, ამავე დროს თავის ვაჟკაცებით თავგანწირვით იბრძოდა მთიულთა ბანაკში, თანაც გზავნიდა წერილებს ქართლში, კახეთსა და იმერეთში, იწვევდა ყველას საშველათ რუსების წინააღმდეგ.

არ მიემხრო აჯანყებულთ მყინვარის ბატონი **გაბრიელ ყაზბეგი**; ოჭრომ და მაიორის ჩინმა აუბა თვალები და გახადა რუსის მთავრობის

*) მთიულეთის და კახეთის აჯანყებანი აწერილი აქვს ვრცლათ თავის შესანიშნავ წიგნებში **ალ. ფრონელს**, სათაურით: **„მთიულეთი 1804 წ.“** და **„ამბოხება კახეთისა“**.

ყურმოჭრილ მონათ. მაგრამ იაფად არ დაუსვეს რუსის ასეთი ერთგულობა. 3000 მთიული 17 ივლისს დაეცენ სტეფანწმინდას, აიკლეს ციხე და დაატყვევეს შეხიზნული პოლ. **დრენიაკინი** რუსის ჯარით. მთიულებმა აფრინეს კაცები და იწვევდენ საშველათ **თუშ-ფშავ-ხევსურთ** და **ჯუშეთის** მხარეს, მაგრამ რუსის ერთკულ თავადების შთაგონებით იმათ თითიცარ გაანძრიეს, რომ დახმარებოდენ თავის მოძმეთ და საერთო ძალით გადაეგდოთ მონობის მძიმე უღელი. ხოლო აჯანყებულთ მხარში ამოუდგენ **არაგველები სამ ძმათა კობიაშვილთა** და **გრიგოლ ყარანგოზიშვილის** მეთაურობით. მხოლოთ ესენი არ მოერიდენ საფრთხეს და სიკვდილს, რაინდულათ გაუწოდეს ხელი თავგანწირულ ძმებს. **ამ** სამ გმირთა სახელებია: **გოშპარ, დიმიტრი** და **ფურმიშხან კობიაშვილები**. **ესენი** შემდეგ **შეიპყრეს** რუსებმა და შებორკილნი დაამწყვდიეს **ანანურის** ციხეში, მაგრამ **ალდგომა** დღეს გასტეხეს ბორკილები, გადმოხტენ მაღალ კოშკიდან და გაიქცენ, მხოლოდ **გოშპარმა** მოიტეხა ფეხი.

მთიულებმა შეკრეს **თბილისიდან** და **ქავკავიდან** მიმავალი გზები და დარაზმულნი წამოვიდენ რუსის პოსტებზე დასაცემათ. **პირველი** შეტაკება მოხდა **კაიშაურთან**. **აქ** იდგა კაზაკთა მცირე რაზმი. **აჯანყებულებმა** დახოცეს კაზაკები ორის გარდა; ესენი გაუსხლტენ ხელიდან. **აქ** **ქაიშაურში** დაიღვარა **პირველათ** რუსის სისხლი; **აქ** იძია **შური** **გამწარებულმა** მთიულმა. **თოფის** გრიალით მან **ამცნო** ქვეყანას, **რომ** სძულს მონობა, **ვერ** იტანს დარბევას და **მტარვალობას**, **რომ** ისიც **კაცია** და **არავის** **შეარჩენს** **თავის** **შერცხვენას**.

აჯანყებულთა **რიცხვი** **საოცრათ** **მატულობდა**, **თიბათვის** **დამდეგს** **ავიდა** **4000-დე**; **ცუდათ** **შეიარაღებულნი** **მთიულნი** **შემოერტყენ** **ჯუშეთს**, **ანანურს**, **კობს**, **ლარსს**, **ლომისას** **და** **სტეფანწმინდანს**, **გაუმართეს** **თავგანწირული** **ომი** **რუსის** **გაწრთვნილ** **მხედრობას**, **შეიარაღებულს** **კარგი** **სისტემის** **თოფებით** **და** **ზარბაზნებით**; **ბევრს** **მთიულს** **კი** **თოფის** **ნაცვლათ** **ხელში** **ქონდათ** **მხოლოდ** **შინდის** **კეტი**. **ამ** **დროს** **საქართველოს** **მართველთან** **და** **თ.** **ციციანოვის** **თანაშემწეთ** **იყო** **ღენ.** **ვალკონსკი**, **უნიჭო**, **ვერაგი** **და** **ლაჩარი** **ადამიანი**. **მან** **გაგზავნა** **აჯანყებულთა** **წინააღმდეგ** **ღენ.** **ტალიზინი** **ერთი** **ბატალიონი** **ჯარით**. **მეორე** **მხრით** **შეუტიეს** **აჯანყებულთ** **რუს-ქართველი** **ჯარით** **თორნიკემ**, **შანშემ** **და** **ელიზბარ** **ერისთავებმა**. **ამათ** **მოუხდათ** **შეტაკება** **ლომისას** **მთასთან**. **ამ** **ბრძოლაში** **მოკლეს** **მთიულთ** **სარდალი** **გმირი** **ბურდული**. **აჯანყებულებმა** **ვერ** **აიღეს** **სიმაგრე** **და** **მცირე** **ზარალით** **დაიხიეს** **უკან**.

11 ივნისს შეიბნენ **ციხის ძირთან** ტალიზინი და მთიულები. მართალია რუსის ღენერალს არ ჰყავდა დიდი ჯარი, მაგრამ მისი ძალა იყო ზარბაზნებში. ამათი ყუმბარები ანგრევდენ მთიულთა საფრებს და შექონდათ მათ ბანაკში დიდი ზიანი. მეორე დღეს მოხდა ხელახალი ბრძოლა. რუს-ქართველებმა გაიმარჯვეს ზარბაზნების წყალობით და აჯანყებულნი იძულებული გახდენ დაეხიათ ჭარტალის ხეობისკენ. აქ კი მათ გადაეღობა ახალი ჯარით შტაბს-კაპიტანი **პიტკევიჩი**. მთიულნი მოექცენ ორ ცეცხლ შუა. დამორჩილებას მათ არჩიეს ნამუსიანი სიკვდილი; იბრუნეს პირი და შეუტიეს ორივე ჯარს. შეიქნა სასტიკი ბრძოლა და ჟლეტა. იძლიენ მთიულნი და გაიფანტენ, თუმცა მტერსაც მისცეს დიდი ზიანი. ტალიზინმა მათ გამოადევნა ჯარით თ. **პეტრე ორბელიანი**, რომელმაც შეასრულა ის, რაც დააკლო რუსის ღენერალმა. ამ ბრძოლაში თავი ისახელეს რუსის მხრივ თ. პეტრე და ზურაბ ორბელიანმა, თ. თეიმურაზ მუხრანბატონმა, თ. ლუარსაბ სუმბათაშვილმა, თ. იოსებ მელ.ქიშვილმა, ალ. შაბურიშვილმა, ჯორაშვილმა, ბერძნიშვილმა და სხვებმა, რომელთაც შეიღებეს ხელები მოძმეთა სისხლით და ჯილდოთ მიიღეს რუსის მთავრობის ქება-დიდება, ჩინი და ორდენები. ტალიზინის სიტყვით, — „თ. პეტრე ორბელიანი მეხივით ეცემოდა აჯანყებულთ და მუსრს ავლებდა, სანგრები და სიმაგრენი მრავალი წაართვა და დაუნგრიაო.“

ამ 4—5 დღის შეტაკებით რუსის მთავრობა დარწმუნდა, რომ მთიულებთან ბრძოლა და აჯანყების ჩაქრობა ასე ადვილიც არ იყო, მით უმეტეს, რომ ერთ შეტაკებაში 4 ივლისს ამათ სასტიკათ დაამარცხეს რუსის მაიორი **მელლა**, რომელიც იძულებული გახდა დაეყარა ფოფიარალი, ზარბაზნები და გაქცეულიყო ბორისკენ.

ივნისის ბრძოლამ და რუსის ჯარების გამარჯვებამ ვერ ჩააქრო აჯანყება. მთიულებმა კვლავ მოკრიბეს ძალა და 3000 კაცით დაეცენ ლომისასთან მაიორ **მელლას**; ამას მალე მოეშველა ჯარით **ლუნკევიჩი**. ამ ბრძოლაში სასტიკათ დამარცხდა რუსის მხედრობა და გამარჯვებულ მთიულებს დარჩათ მთელი ბანაკი.

ამ დროს ლეკთა ბრბონი თავისუფლათ დათარეშობდენ უპატრონი ქართლ-კახეთში, იკლებდენ მცხოვრებთ, აოხრებდენ სოფლებს და მიყავდათ ტყვეთ ქალი და კაცი. მარტო კახეთს შემოესია 1000 ლეკი. მეორე მხრით თბილისს-ერევნის გზა-შარაზე სპარსთა ცხენოსან რაზმით დანავარდობდა **ალექსანდრე ბატონიშვილი**,—ეს რუსის დაუძინებელი მტერი, იტაცებდა სურსათს, ანადგურებდა რუსის ტრანსპორტებს და შიშის ზარს სცემდა ქარავნებს. ეს უშიშარი რაინდი დაქროდა მთასა და ბარში, თავის მგზებარე სიტყვით და წერილებით აგიზგიზებდა დარიალის ხეობაში დანთებულ კოცონს. მანვე გასწყვიტა მაიორ მონტრეზორის რაზ-

მი 350 კაცისაგან შემდგარი და წაართვა სამი დიდი ზარბაზანი. ამ უეცარმა გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია როგორც მთაში, ისე სპარსეთში, ხოლო თმები აგლეჯია ღენ. Ციციანოვს. ამ გამარჯვებამ აამხედრა რუსების წინააღმდეგ ბორჩალოს თათრებიც. ახლა კი დადგა ჟამი სრულიად მოსპობილიყო რუსის მხედრობა და სამუდამოთ გამქრალიყო რუსის ბატონობა საქართველოში. და თუ ეს არ მოხდა, ამის მიზეზი იყო უშიშარი ღენ. პ. Ციციანოვი, რომლის ჭკუამ და გენიოსობამ იხსნა რუსის ჯარი განადგურებისაგან და რუსის მთავრობას შეანარჩუნა ბატონობა ამიერ-ძავკასიაში. ამ რკინის ხასიათის და მკვეთრი ჭკუის მქონე კაცმა სასწაულებრივ ჩააქრო ყოველ მხრივ აგზნებული ცეცხლი და იხსნა რუსის არმია დაღუპვისაგან.

აჯანყებულთა სუსტი მხარე იყო სამი რამ: **მათ არ ჰქონდათ ფული და სურსათი, არ ჰქონდათ შესაფერი იარაღი და არ ყავდათ გამჭრიახი და სულით ძლიერი სარდალი**, რომელსაც ქონებოდა გავლენა მთასა და ბარში, შეძლებოდა მათი გაერთიანება და აჯანყების გაძლიერება. იმ დროს ასეთი კაცი მთელს საქართველოში იყო ერთად ერთი; ეს იყო **ალექსანდრე ბატონიშვილი**,—ეს ქართველი ჰანიბალი, რომელიც შეუდრეკელი ენერგიით და სიმამაცით წააგავდა თავის დიდებულ მამას, ხოლო აკლდა მისი სამხედრო გენიოსობა. ეს უშიშარი რაინდი ერთგვარი აღტაცებით უყურადათ როგორც სპარსელთ, ისე ბორჩალოს თათრებს, როგორც მთიულებს, ისე მთელ დაღესტანს. ის იყო საოცარი ორგანიზატორი ჯ აჯანყების მომწყობი. მისი გრძნობით სავსე ბარათები და ცეცხლ ნთებარე პროკლამაციები ხიბლავდენ და გმირობის სულს უდგამდენ აჯანყებულთ მთიელთ და შემდეგ ქახეთს. მაგრამ მას ვერ ვხედავთ აჯანყებულთა ბანაკში, მათ ბელადათ. ალექსანდრეს დიდხანს აჩერებდა თავის სიახლოვეს სპარსეთის ბრძანებელი ფატალი შაჰ და პირდებოდა დიდ ლაშქარს ხოლო ეს დაპირება რჩებოდა მარტოოდენ დაპირებათ.

თვით ფატალი შაჰმ გაგზავნა აჯანყებულთ ფირმანი, რითაც ამხნევებდა მათ და პირდებოდა ჯარებს, 200,000 კაცის გაგზავნას დასახმარებლათ ბატ. ალექსანდრეს სარდლობით. ამ ფირმანში შაი მეტათ უდიერათ იხსენიებს რუსებს; იგი ეძახის მათ „ავზნიან ერს“, „წყეულ გიაურებს“, „ეშმაკის გზა დაბნეულ მიმდევართ“, „გარყვნილ გიაურ რუსებს“ და სხ. ერთ ფირმანში სწერს შამმადილის ხანს:—„მოვიწვიეთ ჩვენს წინაშე სარდალი პირ-ფული-ხანი და ბატ. ალექსანდრე მირზა, ჩავბარეთ 20.000 ძლევამოსილი მეომარი და ვუბრძანეთ წასვლა საქართველოში, რათა გაჟლიტონ გიაური რუსნი და გასწმინდონ ქვეყანა იმ საძაგელ არსებათაგან.“ მიუხედავთ რუსებისადმი ასეთი მწვავე სიძულვი-

ლისა გაუბედავი შაი მეტათ ზოზინობდა, რითაც ისარგებლა პ. ციციანოვმა; დაიბარა ზღვით და ხმელეთით რუსის ლაშქარი და ჩააქრო მთიულეთის აჯანყება.

III

ივლისსა და აგვისტოში მთაში ისევ გაძლიერდა აჯანყება. მეტათ გაუჭირდათ მათ წინააღმდეგ რუსის ჯარებს. ლენ. ვალკონსკიმ აფრინა კაცი იმპერატორის წინაშე, სთხოვა ჯარების მოშველება, ამასთან ერთად გამართა მოლაპარაკება ზავის შესახებ აჯანყებულ მთიულებთან და შუამავლათ გაგზავნა ორი ღირსეული პირი, თ. **რევაზ ერისთავი და მიტროპოლიტი ამბროსი ნეკრესელი**; ამავე დროს კი შეუსია ჩუმათ მთიულებს ლენ. ტალიზინი ჯარით და ააკლებია უპატრონოთ დარჩენილი სოფლები. ბამხეცებულმა სალდათებმა უწყალოთ გაჟლიტეს და ხიშტებზე ააგეს ბავშები და დედა-კაცები. ლენ. ვალკონსკის ასეთმა ველურმა საქციელმა ფრიად გააოცა და ააღელვა შუამავალნი, რ. ერისთავი და ამბროსი ნეკრესელი. ამათ ძლივს დააღწიეს თავი ცოცხალი და მოვიდენ თბილისს.

ვალკონსკის ასეთმა უპირობამ და ველურობამ მეტათ გააბრაზა მთიულნი. მათ მიემხრენ **კარჩოხის და ქსნის ხეობის ქართველნი**, შეფიცეს ძმობა და ერთობა და საერთო ძალით შეუდგენ მზადებას. 12—13 აგვისტოს აჯანყებულნი გაემართენ დუშეთის და ანანურის ასაკლებათ. ლომისასთან ისინი ეკვეთენ მაიორ მელლას მხედრობას და სასტიკათ დაამარცხეს. მელლამ მიანება თავი ხარბაზნებს და გაიქცა თბილისს, რითაც მეტათ გააბრაზა თ. ციციანოვი.

ამ დროს ლინიიდან დაიძრა დონელ კაზაკთა პოლკი **რიშკოვის** სარდლობით, მთიულნი დაესხენ თავს, გასწყვიტეს ნახევარი პოლკი, ხელთ იგდეს ცხენები, იარაღი და ტყვეთ 80 კაზაკი. ამ ახალმა დამარცხებამ თავზარი დასცა მთავარმართებელს და მის თანაშემწეებს. დაფრთხენ რუსის ჩინოვნიკები და მაზრებიდან მოაწვენ თბილისს. მთიულებმა შეკრეს გზა ანანურამდე და გაჩდენ თბილისის სიახლოვეს. შიშმა შეიპყრო თბილისის მოქალაქენი. მაგრამ ეს იყო აჯანყებულთა უკანასკნელი აფეთქება. ამ დღიდან უკუღმა დატრიალდა მათი ბედის ჩარხი.

დაიძრა ლინიიდან რუსის ჯარები შავი ზღვით და ქავკავის გზით. ზღვით მოსულმა ჯარმა გადმოიარა სამეგრელო-იმერეთი და გაემართა დუშეთის გზით. მეორე მხრით ქავკავით წამოსული რუსის ძლიერი ჯარი თავის ზარბაზნებით რკინის რკალივით აწვებოდა მთიულთ. სეკტემბრის დამდეგს ბატონიშვილი ფარნაოზი მოვიდა სტეფანწმინდას, მაგრამ გვიანღა იყო.

ალექსანდრე იმპერატორი სწერდა ფალკონსკის: — „ისარგებლე ქართველების დაუდევრობით და თავქარიანობით, მიმართე იმ საშუალებას, რომელსაც ხშირათ ჩაუდენია სასწაული მაგ ქვეყანაში, უბოძე ჯილდო ფული, ჩინი და ორდენი, დაპირდი უფროს კაცებს ჯამაგირს და სხ. ამგვარი ჯილდო ჯამაგირი დროებით მაინც დაამშვიდებს აღელვებულ ხალხს, დააკარგვინებს ურთიერთ ნდობას და წაჰკიდებს ერთმანეთსო“.

იმპერატორის ასეთი დაპირება არ ეჭვრებოდა საქართველოს ბედის მესვეურთ. ასეთ „გონივრულ“ საშუალებას ხშირათ მიმართავდენ ხოლმე. და მართლაც რუსის ფული, ჩინი, ორდენი, ჯამაგირი და დაპირებანი, — ეს ბრჭყვიალა ავანგარდი სჩადიოდა ჩვენში ნამდვილ სასწაულს. ასეთმა თილისმამ უფრო მჭიდროთ მოაკიდებია ფეხი რუსის მთავრობას ქოლხეთ-იბერიაში, ვინემ ხიშტებმა და ზარბაზნებმა. ყვითელმა ოქრომ და ზიზილა ჩინ-ორდენებმა გაუორგულეს ქართველ მეფეებს ბევრი გავლენიანი თავადი, აზნაური და სასულიერო პირი, დაუხშეს მათ გონების თვალი, შეაძულეს საკუთარი სამშობლო, ქართველი ერი და აღვრევიეს მოძმის სისხლი რუსეთის დროშის საკეთილდღეოთ. ამიტომ აღარ გვიკვირს ფატალი შაის უცნაური საქციელი, როცა მას ერეკლეანთან ტყვეთ ჩაუვარდა სარდალი თ. იოანე ორბელიანი. დაინახა თუ არა მის გულზე რუსის იმპერატორის ჯილდო, ანნას ვარსკვლავი, შაი მივარდა ორბელიანს, მოგლიჯა ვარსკვლავი, გადისროლა შორს და შესძახა გესლიანათ: „არამზადავ, ამისათვის ულალატე შენს მეფესა და ქვეყანასაო!“

16 ოქტომბერს თვითონ პ. ციციანოვი დაიძრა ჯარებით ანანურისკენ. ქავკავიდან კი ერტყმოდა მთიულებს ლენ. ნესვეტოვი ქვეითა ჯარით, ზარბაზნებით და კაზაკებით. ამათ უკან მოსდევდა ჯარითვე ლენ. გლაზენაპი. რუსის ლაქარი თან აკეთებდა გაფუჭებულ გზას, წამხდარ ხიდებს და თან ებრძოდა აჯანყებულთ. რუსებმა იანდათან აიღეს გამაგრებული ადგილები: ლარიალი, ლარსი, ყაზბეგი და ბოლოს სიონთან მოხდა დიდი ბრძოლა. ბატონიშვილი ფარნაოზის სარდლობით მთიულები შეეფარენ სიონის ციხე-კოშკებს. აქ კაზაკთა პოლკის უფროსმა ბიხალოვმა სძლია მთიულთ და მოუკლა ასი კაცი. ბეორე დიდი მარკხი მოუხდაფ აჯანყებულთ სამხრეთით ქ. დუშეთთან. ამრიგათ ისინი შეჯგუფდენ ანანურთან, სადაც უკანასკნელათ უნდა შებმოდენ რუსის ჯარს. აქ გაიმართა მოლაპარაკება ზავის შესახებ, რადგან შებმა და სისხლის ღვრა უკვე უაზრობა იყო.

თავგანწირულს ბატ. ფარნაოზს სურდა ჩაეთრია აჯანყებაში თუშ-ფშავ-ხევსურები, მაგრამ რუსის ძლიერი ჯარებით შეშინებული ხალხი აღარ გაჰყვა მას. მაშინ ფარნაოზი იძულებული გახდა გაქცეულიყო სპარ-

სეთს ქახეთის გზით. პ. ციციანოვმა მას დაადევნა დასაჭერათ დაგეშილი თავადები. მართლაც დემურჩალოსთან, თბილისიდან 40 ვერსზე, მტკვრის პირას ბრიგადირმა თ. თამაზ ოერბელიანმა შეიპყრო ფარნაოზი თავის ამალით, გაბაწრული ჩამოიყვანა თბილისს და წარუდგინა მთავარმართებელს, რომლის ბრძანებით ისინი ჩაყარეს საპყრობილეში. ბატონიშვილს დაუნიშნეს ულუფათ დღეში ხუთი მანეთი, მაგრამ ამაყმა ფარნაოზმა არ მიიღო ეს რუსის წყალობა, რითაც მეტათ გააბრაზა პ. ციციანოვი. ამან კიდევ უფრო ადრე ხელში ჩაიგდო ბატონიშვილი იულონი. აპრილში 1805 წელს ორივე ბატონიშვილი ციციანოვმა გაგზავნა რუსეთს, იულონი ქ. ტულას, ფარნაოზი კი ქ. ვორონეჟს. მთავარმართებელმა სამგზავროთ ორივე ძმას გაუგზავნა ფული და ქურქები. მაგრამ ფარნაოზმა თავზე გადაახალა ყველაფერი და შეუთვალა: „თავი დამანებეთ, თქვენი არაფერი მინდაო“.

ასე დამთავრდა ჭაბუკი ფარნაოზის რაინდული ცხოვრება თავის უბედურ სამშობლოში.

1804 წელს ოქტომბერში გათავდა ყველაფერი. დადუმდა მკვრგვინავი მთა, ჩაქვრა აჯანყების ცეცხლი, ძალამ გაიტანა თავისი. პატარა მთიულმა მოკაკვა თითი და გააგდო ხელიდან სისხლიანი მახვილი. იგი გულის ფანცქალით ელოდა თავის ბედს. ბაკეთდა წამხდარი სამხედრო გზა, გაიღო ფართოდ დარიალის კარები, იწყეს თავისუფალი მიმოსვლა მგზავრებმა და რუსის ჯარმა. პ. ციციანოვმა ანანურში დაიბარა აჯანყებულნი, პირადათ უნდა გესაუბროთ, დაგარიგოთ და ჭკუა გასწავლოთო. მაგრამ შიშით არავინ გამოცხადდა. მთიულებმა კარგათ იცოდენ თუ რას ნიშნავდა პირადათ ნახვა და საუბარი. მრისხანე ციციანოვმა დაიმშვიდა გული, დაუნიშნა მთიულებს მოურავათ **გრიგოლ კობიაშვილი** და დაუბრუნდა თბილისს. კიდევ უფრო ადრე აჯანყებულ მთიულთა და ოსთა ზოგიერთ სოფლებს მან შეუსია ჯარი და ააოხრა. აი რას სწერს ამის შესახებ ლოფიციკი ალექსანდრე იმპერატორს: „პ. ციციანოვის ჯარმა მრავალი სოფელი ააოხრა, დააწიოკა და ტყვეთ წაიყვანა გლეხთა მრავალი სახლობა. ეს ამოდენა ხალხი დაამწყვდიეს ბორის ციხეში და რადგან საკმაო საზრდოს არ აძლევდენ და თვით ციხეში საშინლათ ციოდა, სულ ერთიანად გაწყდაო.“ მართლაც არამც თუ ბორის, მთელი ქართლ-კახეთის ციხე-საპყრობილენი აავსეს შეთქმულ-აჯანყებულით. ვისზედაც კი ერთიფიორი ეჭვს შეიტანდენ, ან თუ ვისმეს მტროზით დააბეზღებდენ, მაშინვე განუსჯელათ სტაცებდენ ხელს და უკრავდენ თავს ციხეში. „თელავს, სიღნაღს, ბორსა და თბილისს ალაგი აღარ იყო, სად ჩაესხათ შებყრობილნი და გაბაწრულნი, მოხელეთ გონება დაკარგეს, ამოდენა ხალხი სად მოვათავსოთ, ან იმდენი ჯარისკაცი სადაა, რომ ამათ უყარაულონო“, ამბობს ალ. ფრონელი თავის შესა-

ნიშნავ წიგნში. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი მსხვერ-პლი მოჰყვა შედეგათ მთიულთა აჯანყებას და რამდენი ხალხი დაიღუპა ტყვეულ-უბრალოთ.

ამ პოლიტიკურ ტუსალთა დანაშაულის და თვით აჯანყების მიზეზთა გამოსარკვევათ ბ. ციციანოვმა დანიშნა **საიდუმლო კომისია**, რომლის სახელი შიშის ზარს სცემდა ყოველ ქართველს. ამ კომისიის მთავარგამგეთ იყო **ტარასოვი** და წევრებათ **ხორჯევსკი** და **ნაგელი**. აქტებში მოხსენებულია 70-მდე გავლენიანი პირი, რომელთაც მოაწყვეს აჯანყება, ან მიიღეს შიგ მონაწილეობა. უადგილობის გამო ვერ მოგვყავს აქ მათი სახელი და გვარი. ვიტყვით მხოლოთ, რომ მათში ერია ბატონიშვილთ გარდა ქართლ-კახეთის მრავალი თავად-აზნაური, მაგ., ვახვახიშვილები, ანდრონიკაშვილები, ჭავჭავაძე, ჯანდიერი, ვაჩნაძე, მაჩაბელი, ამირაჯიბი, ქურული, კოპიაშვილები, გულიაშვილი, მამაცაშვილი, თუმანიშვილი, ბაბიდაური, ზედგინიძე, ბებურიშვილი და სხ.

საიდუმლო კომისიის მუშაობა გაგრძელდა წელიწადზე მეტს და არავინ იცოდა, თუ რით გათავდებოდა დამნაშავეთა ბედი, რომელნიც აუტანელ პირობებში ეყარენ ცივსა და ნესტიან ციხეებში. ამ დროს ტარასოვი მისცეს პასუხისგებაში ბოროტმოქმედების გამო, საქართველოს მართველად დანიშნეს **ლიტვინოვი**, რომელსაც მიანდვეს საიდუმლო კომისიის თავმჯდომარობაც. ამან ავათ თუ კარგათ დაამთავრა საქმე და იმუამდგომლა იმპერატორთან, რათა პატიებოდათ ყველას დანაშაული, როგორც შეუგნებელ ხალხს და ისეთებს, რომელთაც არ ესმით თუ რაა სამშობლო" (?!).

ნ. დუბროვინი გადმოგვცემს, რომ ხელმწიფეს ვითომც შეუწყნარებია ლიტვინოვის თხოვნა და უპატიებია აჯანყებულთათვის დანაშაული. რამდენათ მართალია ეს აზრი, ან ეპატია თუ არა ყველას დანაშაული, ჩვენ არ ვიცით; აქტებში არაფერია ამის შესახებ. ეს კი ცხადია, რომ ძვირათ დაუჯდათ საბრალო მთიულთ ხმის ამოღება და თავის პიროვნების დაცვა. მათი გმირული სისხლით შეიღება სამხედრო გზა, დარიალის ხეობა, ბრქუში ყინვარი, თერგი და არაგვი. 1804 წელს სისხლის ასოებით დასწერეს მათ შავს კლდეებზე საშინელ ტანჯვა-წამების ისტორია. თავის გმირობით და საარაკო სიმამაცით დაამტკიცეს, რომ ღირსეული შვილნი არიან იმ ზღაპრული ამირანისა, რომელიც ხალხის ლეგენდას მიუჯაჭვავს ქავკასიონის ფრიალო კლდეზე.

VII კახეთის პირველი აჯანყება 1812 წელს

I

მთიულეთის აჯანყებამ 1804 წელს და საშინელმა სისხლის ღვრამ ჭკუა ვერ ასწავლა რუსის ჯარსა და ჩინოვნიკებს. ისინი კვლავ განაგრძობდენ ქართველი ხალხის დარბევას, აწიოკებას, ქალების ნამუსის ახდას და სხვა მრავალს უგვანო საქციელს. მათი ველური მადა და ქვენა ვნებანი ვერ ალაგმეს ისეთმა ფხიზელმა და სასტიკმა მთავარმართებლებმა, როგორიც იყვენ პ. ციციანოვი, ტორმასოვი და მარკიზ პაულიჩი. სწორეთ ამ სალდათ-ჩინოვნიკთა საქციელმა მოთმინება დაუკარგა უაღრესათ გაბუნარებულ დინჯ კახელს, ააღებია ბასრი მახვილი თავის ოჯახის დასაცავათ და ააფრიალებია აჯანყების წითელი დროშა.

აი როგორ ამკობენ ამ რუსის ჩინოვნიკებს თვით რუსის მაღალი მოხელენი; რა სათნოების ატესტატს აძლევენ მათ.

„საქართველოში მყოფ სათემო პოლიციაზე ცუდი, გარყვნილი, უვარგისი და გაფუჭებული მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება“, სწერდა ტორმასოვი ღენ. ახვერდოვს. „კავკასიაში მოდიოდენ რუსეთიდან ჩინოვნიკებათ უმთავრესად ისინი, ვინც ცხოვრებას გაერიყა, ვისაც აღარ ედგომებოდა თვით რუსეთში, საეკვო ზნეობისანი, ხარბნი და გაუმაძღარნი, ვერცხლის მოყვარენი და ანგარებით სავსენი, შებღალული სახელის და რეპუტაციის ხალხნი,“ ამბობს შტაბს-კაპიტანი ნ. ანოსოვი. „მუქთა-ხორას და ფულის უკანონო ბოჭვას საზღვარი არ ჰქონდა, ძრთამის აღებაში ყოველი რიდი და თავაზიანობა მოიხსნა“, დასძენს იგივე ანოსოვი.

„უნამუსობა სუფევს აქაურ რუსის ჩინოვნიკთა შორის, ღმერთი ამათ არ სწამთ და ჯვარი. მრავალ დანაშაულს სჩადიან, ამიტომ ქვეყანა აივსო უზომო და მეტის-მეტ ბოროტმოქმედებით. სასურსათო უწყების მოხელენი ათასობით სჩადიან ლირფობას და საზიზღრობას. მცირე ხანია რაც ჯარის უფროსათ ვარ და ჯერ ვერ გამოვარკვიე ეს საძაგლობა, ვერ შევაჩერე, თუმცა გაფაციცებით ვადევნებ თვალ-ყურს. ღენ. პ. ციციანოვის სიკვდილის შემდეგ ხელს არ იღებენ მოხელენი ბოროტებაზე ქვეყნის დასალუპავათ და ხაზინის საზარალოთ“, სწერს მთავარმართებელი მარკიზ პაულიჩი თავის რაპორტში თვით ალექსანდრე იმპერატორს.

აქედან ნათლად ჩანს, ისე ღრმათ მოეკიდა ფეხი საქართველოში რუსის ჩინოვნიკთა ბოროტმოქმედებას, რომ თვით უსასტიკესი მთავარმართებელნიც კი სუსტი გამომდგარან მის აღმოფხვრაში.

უმაღლეს მართველობის პროკურორათ გამოგზავნეს ვილაც **პლახოტინი**, ქუჩის მეჭიანურე და უწმაწური ლექსების მომღერალი. ეს ქებული რაინდი გაუამხანაგდა თბილისში ვილაც საეკვო ებრაელებს, გამართა მათ-

თან ერთად მაგარი სასმელებით ვაჭრობა და იწყო უსაზღვრო მექრთამობა. პ. ციციანოვმა გააგდო იგი სამსახურიდან, როგორც ყოვლად გარყვნილი, მექრთამე და უვარგისი არსება. ტორმასოვმა თავი უკრა საპყროობილეში, როგორც კანონის შემლახველს. მაგრამ პეტროგრადის მთავრობამ გაამართლა იგი და დაადგინა ისევ თავის სამსახურში. აი რას სწერს ამის შესახებ დმიტრიევს მარკიზი პაულიჩი: „პლახოტინს წინათაც ვიცნობდი რა შვილიც ბრძანდებოდა: ბრიყვი, უზრდელი, გარყვნილი და გაუნათლებელი. მას არ ესმის თუ რა ხილია პროკურორობა, არაფერი გაეგება კანონების და არც შეუძლია გაიგოს. თავხედია და უზრდელი, მასთან ფრიად გაწაფული დავიდარაბის ატეხაში. ხრიკების ისეთ ქსელს გააბამს, რომ ადამიანი ადვილათ გაებმის ბადეში.“

აი რა კაცები უდგენ სათავეში კანონს და სამართალს! აი ვის ხელში იყო იმ თავითვე ქართველი ერის ბედი! ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, რა ჯოჯოხეთი უნდა დატრიალებულიყო ქართლ-კახეთში ამ ვაჟბატონების წყალობით! ერთი სიტყვით, არცერთ დაპყრობილ ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს მოხელეებს არ ჩაუდენიათ ის, რასაც შვრებოდენ ჩვენში, ე. ი. თავის ნებით რუსეთთან შეერთებულ საქართველოში, რუსის მხედრობა და ჩინოვნიკები. ამათ ქართველები მიაჩნდათ დაპყრობილ, უკულტურო ხალხათ, ამიტომ თამამად თარეშობდენ და დაუსჯელათ აწიოკებდენ უმწეო ხალხს. მათ არ სურდათ შეეგნოთ, რომ ხანგრძლივი ბრძოლით და შინაური გათიშვით დაუძლურებული, მაგრამ მაღალი კულტურის მქონე ნიჭიერი ქართველი ერი თავის **ნებით შეუერთდა დიდ რუსეთს, რომ** მით **დაეცვა** თავის **ეროვნული არსებობა და პოლიტიკური მთლიანობა.** 1811 წელს კახეთში იყო დიდი მოუსავლობა, რასაც მოჰყვა საშინელი შიმშილობა და ჟამი. მშიერი ხალხი იკვებებოდა ბალახით და მცენარის ძირებით. ულმობელმა ჭირმა მარტო ერთ წელს იმსხვერპლა 5000-მდე სული. მს უცნაური სენი არ შეწყვეტილა 1816 წლამდე და მისცა ხალ ქართველოს დიდი ზიანი. სწორეთ ამ შიმშილობის დროს 1811 წელს, დახმარების ნაცვლათ, მთავრობამ მოისურვა ჯარებისთვის შეეკრიბა პური, ისიც ორი წლის ერთად, და მოახდინა ხორბლის **რეკვიზიცია ე. ი. ძალით წართმევა.** ახლად ჩამოსულ მარკიზ პაულიჩის ბრძანებით კახეთის დამშეულ სოფლებს ჩაუყენეს **ეგზეკუცია,** რომ ძალით წაერთმიათ მშიერი ხალხისთვის უკანასკნელი ლუკმა. მთავრობა **კოდ პურში** (2 ფუთი და 10 გირვანქა) აძლევდა **ექვს აბაზს,** მაშინ როდესაც ბაზარზე ფასობდა კოდი პური **4—5 მანეთად,** კახეთში ხომ სულაც არ იშოვებოდა გასაყიდი პური.

სწორეთ ღვთის რისხვათ მოევლინა უბედურ კახეთს ეს ველურ მონგოლთა მოგონილი წამების მანქანა, ეს საშინელი ეგზეკუცია, რომელიც

აქამდე არ იცოდა ტანჯულმა საქართველომ. ეგზეკუციის უფროსმა ღენ. პორტნიაგინმა ჩააყენა ოქტომბერში 1811 წელს ძახეთისა და ძიხიყის დამშეულ სოფლებში სამხედრო კომანდები, რომლებიც როზგისა და მათრახის ცემით ართმევდენ ხალხს ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ: პურს, ქერს, ღვინოს, ფრინველს, წვრილფეხა ცხოველს, აცლიდენ მშიერ ბავშებს ხელიდან ლუკმას, იპარავდენ და იტაცებდენ ყველაფერს, ბილწავდენ ქალებს ქმრების და შვილების თვალწინ. ერთი სიტყვით, ეს „ქრისტეს მოყვარე“ მხედრობა სჩადიოდა ისეთ რამეებს, რასაც არ კადრულობდენ ჩვენში თვით უსასტიკესი მტარვალნი და აზიის ბარბაროსნი. რუსის ღენ. პორტნიაგინმა გადააჭარბა თვით უუსაშინელეს ლანგთემურს და შაჰ-აბაზს. უმწეო ხალხის კვნესა და წამება, მშიერ ბავშთა ჟივილი და ნამუს ახდილ ქალწულთა შემზარავი კივილი წვდებოდა თვით ზეცას, მაგრამ ზეცა თითქო სდუმდა და ითმენდა ამდენ უსამართლობას...

ამ საშინელების მიზეზი იყო სასურსათო უწყების უფროსი, ღენ. სტალი, რომელმაც თავის დროზე არ შეაგროვა ჯარებისთვის საჭირო პური, რითაც ჩააგდო ქართველობა დიდ ტანჯვა-წამებაში, მთავარმართებელი პაულიჩი და რუსის ჯარი კი დიდ ხიფათში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსის ჯარების რიცხვი უდრიდა 28,000 კაცს. ესენი გაბნეული იყვენ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეში.

აი, როგორ აგვიწერს დავით ბატონიშვილი ძახეთში პურის რეკვიზიციას და ეგზეკუციებს: „იყო დიდი შეწუხება ქართველების, მარკიზ პაულიჩის მიერ. რუსნი ართმევდენ ხშირათ ურმებს და ხარებს სახმარათ, სტანჯავდენ სოფლელთ ცემით, ტაცებით და რთმევით. იყო დიდი შიმშილი, კოდი პური ფასობდა 6 მანეთად. სწორეთ ამ დროს მარკიზმა უბრძანა ორი წლის პურის მოკრეფა ძახეთში და სოფლებში ეგზეკუციის ჩაყენება, 200—300 კაცის თითო სოფელში. სადაც მივიდოდენ იყო ვაება მათზედა. რუსები სცემდენ დედაკაცთ, ართმევდენ პურს ძალით; ძახნი ეკედრებოდენ: მიიღეთ ფული პურის ნაცვლათ 6 მანეთი კოდზე. ვისაც ფული არ ჰქონდათ აძლევდენ საკუთარ შვილებს, ძეთა და ასულთ, მაგრამ ფუჭი იყო ყოველივე ვედრება. იყო ვალალება ხალხში. სხვა მრავალ ბოროტებათა შორის რუსებმა ჩაიდინეს ესეც: მთვრალმა აფიცრებმა შეიპყრეს დედაკაცი და საშოსა შინა ჩაასხეს ძაბრით ღვინო. ველარ მოითმინეს ოიანელთ ასეთი სირცხვილი და იქნა შფოთი ქართველთა და რუსთა შორის“.

„ზოგიერთი პოლკები ისეთ სასტიკ თვითნებობას იჩენდენ, რომ სრულიათ გაანადგურეს და მოაოხრეს სოფლები, სადაც ბინას სდებდენ. საკუთრება აღარ შერჩა აოხრებულ ხალხს, რომელთა ღვინოს, ვეხახს‘

ბოტსანს, ბაღს, ფრინველს და საქონელს, ცხენსა და ურემს ისე ხმარობდენ, როგორც სურდათ. **აშკარათ, დაუსჯელათ იქცეოდენ და დამშლელი არავინ ყავდათ, რომ ვინმეს ეჩივლა, სცემდენ, დასჯიდენ და დაემუქრებოდენ, „უარეს გიზამთო“**, ამბობს თავის მოხსენებაში ალ. ჭავჭავაძე.

„ხალხი ევედრებოდა უფროსებს, ჯარი გაგვაცალეთ, ცოლ-შვილი წაგვიბილწეს, აღარ შეგვიძლია მეტის ატანა. **ოღონდ მოგვაშორეთ სალდათები** და საცა გვეტყვით იქ აგიშენებთ კაზარმებს ჩვენის ხარჯითო. **მაგრამ გამკითხავი არავინ იყო. „ჩქარა მოზიდეთ პური, ახლავე გაავსეთ მაღაზიები!“. ეს იყო ხალხის კვნესა-ვედრების პასუხი“**, ამბობს ალ. ფრონელი თავის წიგნში. **მასთან** პურის მომტანთ მთელი კვირაობით აჩერებდენ ურმებით მაღაზიებთან და არ იღებდენ პურს რუსის მოხელენი, სანამ ქრთამს არ მისცემდენ გლეხები. **ეოველივე** ეს ხდებოდა **ქართლ-კახეთში** ჩვეულებრივ დროს. **ადვილი** გასაგებია, თუ რას ჩაიდენდენ ეს სალდათ-კაზაკები და აფიცერ-ჩინოვნიკები ეგზეკუციის დროს, როცა მათ ებრძანათ ყოველგვარ ველურობის და ბოროტების ჩადენა.

„წინანდელმა შეწუხება-შევიწროებამ ერთიათად იმატა ეგზეკუციის დროს. ჯარებს ნაბრძანები ქონდათ, ხალხს ძალათ გამოართვით პურიო. რაც კი რამ ებადა სოფლელს უძრავი და მოძრავი ქონება სალდათების ხელში გადავიდა. ეს კიდევ რაა, თვით ოჯახის სიწმინდე ულმობელათ ილახებოდა“, ადასტურებს ამ სიტყვებით საეგზეკუციო კამანდების მოქმედების კაპიტანი ანოსოვი, ეს პატიოსანი რუსი.

ახლათ ჩამოსულს მთავარმართებელ **პაულიჩს** შეასმინა ღენ. **სტალმა**, **კახელები** პურის ბეგარას არ იხდიანო, პურს არ გვაძლევენო, ამის მიზეზი კი არ აუხსნა, არ უთხრა **რომ** დამშეულ ხალხს არ შეეძლო პურის მიცემა. **ამ** რიგათ **პაულიჩი** შეიყვანა **შეცდომაში** და გააცემია **უკანონო** ბრძანება ეგზეკუციის ჩაყენების **შესახებ**.

მარკიზ **პაულიჩი**, ტომით იტალიელი, ერთ დროს იბრძოდა **ნაპოლეონ** დიდის **უძლეველ** **არმიაში**. 1807 **წელს** იგი **წავიდა** **რუსეთს**, **სადაც** **მისცეს** **მაღალი** **სამსახური** **და** 6 **ივლისს** 1811 **წელს** **დანიშნეს** **ქუჯასიის** **მთავარმართებლათ**. **მან** **არ** **იცოდა** **კარგათ** **რუსული** **ენა**, **სრულიათ**, **არ** **იცნობოდა** **ქართველი** **ერის** **წარსულს** **და** **ზნე-ხასიათს**. **მარკიზი** **იყო** **უანგარო** **კაცი**, **მაგრამ** **მეტათ** **ფიცხი**, **სასტიკი** **და** **აჩქარებული**, **იგი** **საესებით** **ბაძავდა** **თ. პ. ციციანოვს**, **ხოლო** **აკლდა** **მისი** **ნიჭი**, **ჭკუა** **და** **გამოცდილება**. **მარკიზი** **დიდ** **პატივსა** **სცემდა** **ძველსა** **და** **ახალ** **გმირებს**. **მან** **გამოასვენა** **დიდებით** **პ. ციციანოვის** **ნეშთი** **ბაქოდან**, **სადაც** **ვერაგულათ** **მოკლეს** **იგი** 1806 **წელს** **და** **დაკრძალა** **სიონის** **ტაძარში**. **მანვე** **დაადგა** **ძეგლი** **ერეკლე** **მეფეს** **და** **ბიორგი** XII-**ს** **ქარ-**

თველი ერის სამარცხვინოთ Ივერიის ლომის, Ერეკლე გმირის სავანეს მცხეთის დიდებულ ტაძარში დღეს ამკობს პაულიჩის მიერ დაკრული სპილენძის ფურცელი და ზედ რუსული წარწერა...

აი ასე ვაფასებთ ქართველები ჩვენს ეროვნულ გმირებს! ასე დასცა და დასეტყვა მეცხრამეტე საუკუნემ ქართველის ძლიერი სული, სული იმ ერისა, რომელმაც მოგვცა წმ. ნინო, დიდი Დავითი, Თამარ მეფე, სულმნათი Შოთა, Პატარა Ქახი და გმირთა-გმირი Ბიორგი Საакაძე.

Პაულიჩიმ მოისურვა გაეგო Ქახეთის აჯანყების მიზეზი, რისთვისაც დააარსა კომისია, რომელიც შეუდგა მოქმედებას 13 მარტს 1812 წელს. საჭიროა გავეცნოთ მოკლეთ ზოგიერთ მასალებს, რომლებიც მიაწოდეს მარკიზს მარშლებმა, მოურავებმა და მღვდელმთავრებმა.

Აი რას სწერენ Ქიზიყის სოფლის Ბოდბისხევის გლეხნი მოურავს თ. Იოსებ Ანდრონიკაშვილს: „მთავარმართებლის ბრძანებით გვეკითხებით, თუ რამ გვაიძულა გვეღალატა ხელმწიფისთვის და აჯანყება მოგვეხდინა. ღალატი გულში არ გაგვიტარებია, მაგრამ **13 წლის განმავლობაში, რაც ხელმწიფემ ღირსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი ულვთოობა და უბედურობა არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმანთა ბატონობის დროსაც.** ვითმენდით, ვიტანდით თავზე მოვლენილ ჭირსა, რადგან ერთგულობის ფიცი მივეცით ხელმწიფეს, მაგრამ, როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლეჯეს, ველარ მოვითმინეთ და ავიშალენით... (აქვეა ჩამოთვლილი თუ ვისი ცოლები გააუპატიურეს რუსებმა ქმრების თვალწინ). Გარდა ამისა, თუ მამაკაცი რამეს დააშავებდა, წაავლებდენ ხელს დედაკაცებს, ჩახთიდენ ნიფხვებს და ჯოხებით უკანა ტანს უჭრელებდენ. Ამ სიშორიდან გაგვრეკეს ურმებით Ფოთში სურსათის საზიდავათ. Სულ 15 ურემი იყო ჩვენი და ერთი ხარიც კი აღარ დაგვბრუნებია ცოცხალი. Ნახევარი მეურმეც გაწყდა ლაშკრობაში. Ვინც დაბრუნდა, ისიც ველარ გამოდგა, რადგან სასტიკი ზამთრის გამო ხელ-ფეხი და ტანი დაძრული ქონდათ. Საითაც კი დაიძროდა ხელმწიფის მხედრობა, ჩვენც უკან მივდევდით ურმებით, დაგვქონდა სურსათი Ერევანს, Ბუმბრს, Განჯას და სხვაგან. Ბავდიოდით სადარაჯოთ და საომრათ, ასე რომ, თუ სალდათები ანთხევდენ სისხლსა, ჩვენც მათთან ვიჟლიტებოდით. Პური იყო ჩვენზე შეწერილი. Ქოდში ექვს აბაზს იძლეოდენ; მარტო გატანაში ვაძლევდით თითო მანეთს, ასე რომ ქოდზე აბაზი გვრჩებოდა. Მაგრამ რადგან შიმშილობის გამო ჩვენი საყოფიც არ გვქონდა, პურს სხვაგან ვყიდულობდით ოთხ მანეთად ქოდსა და ისე ვაძლევდით. Ერთხელ, სურსათს რომ აგროვებდენ, მარტო 350 ქათამი მოგვტაცეს სალდათებმა; პურს, ქერსა და ღვინოს ვიღა დასთვლის. Ღვინ. პორტნიაგინმა სოფელში ჯარი ჩაგვიყენა და სული ამოგვწვადა. 15

ურემი ხორბალი წაგვართვა, 4 ურემი ქერი, აურაცხელი ქათმები, პური და ღვინო. მრთხელ კაპიტან-ისპრავნიკმა იასაულის პირით შემოგვითვალა, ჩემთან ამოდითო. შეგვეშინდა და არ წავედით, რადგან ისპრავნიკი ბრალიანსა და უბრალოს არ არჩევდა, ყველას ფულს ახდევინებდა, ზოგს 20 მანეთს და ზოგს 30 მანეთს. ერთი ვაქირელი კაცი სადღაც გადავარდა. ბოდბელი ბოგია ოთარიშვილს ცილი დასწამეს, გაქცეული შენი ნათესავიაო, დაატუსაღეს და 180 მანეთი წაართვეს. ლაზარე ხუნაშვილი დაატუსაღეს და ვიდრე 70 მანეთი არ მისცა, არ გაუშვეს. ბოგია ხუნაშვილის ოჯახს 60 მანეთი გადაახდევიეს. სულ ტყუილ-უბრალოთ გაოკეს აბრამა ძმანაშვილი და მაშინ გაათავისუფლეს, როცა 70 მანეთი ქრთამი მისცა. ასევე მოექცენ ბოგიაშვილს, ნოდარაშვილს და დათია ბაღაშვილს, რომლებმაცრვა-რვა თუმნით დაიხსნეს თავი ნაობახტიდან. ბეგრის ურმების გასაყვანათ სალდათები მოდიოდენ. ვაი ჩვენი ბრალი, თუ ერთი-ორი საათი დაგვაგვიანდებოდა და დროზე არ შევაბამდით ხარებსა, **გამორეკდენ ხოლმე დედაკაცებს და ურემში აბამდენ. ვასმევდით, თუ ვაჭმევდით თუ ქრთამს ვაძლევდით, სულ ერთი იყო, მაინც განუწყვეტლივ გვამათრახებდენ.** სამართალი ხომ არ არსებობდა ჩვენთვის. ისპრავნიკი ნამდვილი ძილის გუდა იყო. **მომჩივანს კარებს არ გაუღებდენ, ვიდრე ქრთამს არ დაანახებდა.** ბავშვებს პურს გლეჯდენ ხელიდან, დედაკაცებს კისერზე ქვებს კიდებდენ. ისპრავნიკმა უდანაშაულო რევაზს და იოსებს 140 მ. წაართვა, მამუკასა და ზურაბს ცხრა-ცხრა თუმანი. ხორბლის საწყაო მოატანია ისპრავნიკმა და გამოგვიცხადა — ფუთიანიაო. ამ საწყაოთი იბარებდა ხორბალს ჯარისათვის. როცა გამოვზომეთ ისპრავნიკის საწყაო, აღმოჩდა, რომ **შვიდ ლიტრას იწონიდა.** ე. ი. **ერთ ფუთსა და 30 გირვანქას.** ჩვენი აჯანყების მიზეზი სულ ღენ. პორტნიაგინი და ისპრავნიკებია, სხვა არაფერი. ნეტა ხელმწიფეს რა სარფა ქონდა ჩვენი ასეთი დაწიოკება-დარბევისაგანო.“

ძიდევ უარესი ამბებია ანუსხული ქახეთ-ქიზიყის სხვა სოფლების მოხსენებებში. ფრიად საგულისხმო ფაქტებია შეკრებილი იოანე მიტროპოლიტის, სტეფანე რუსთველი არქიეპისკოპოზის და მარშლის თამაზ ორბელიანის მოხსენებებში პაულიჩის მიმართ, მაგრამ, სამწუხაროთ, უადგილობის გამო აქ ვერ მოგვყავს. მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ მთავრობის მიერ გამოცემულ აქტებში, დავით ბატონიშვილის „მასალებში“ და ალ. ფრონელის წიგნში, სათაურით „ამბოხება ქახეთისა.“ ყველა ამ მოხსენებებში ანუსხულია კაპიტან-ისპრავნიკების უნამუსო საქციელი და უსაზღვრო ქრთამები, სალდათების და საეგზეკუციო კომანდების ველურობა და მტარვალობანი, ქართველი ხალხის უკიდურესი გამწარება, დარბევა, ცარცვა-გლეჯა, აწიოკება, ცემა-ტყეპა, ქალების ნამუსის ახდა და

საზოგადოთ ადამიანის პიროვნების უსასტიკესი შებღალვა და შეურაცყოფა, რომლის მზგავსი არას დროს არ გადახდენია მრავალტანჯულ ივერიას.

ასეთი ამბები ხდებოდა მთელ ქართლ-კახეთში, მოასა და ბარში 15 20 წლის განმავლობაში!.. კითხულობ ამ მწარე მოთხრობას, ამ დაუჯერებელ ამბებს, ამ გლეხის გულიდან ამოხეთქილს მწვავე სინამდვილეს, კითხულობ ამ კეთილშობილ ქართველი ხალხის ჯოჯოხეთურს და უსაშინელეს წამებას, განცდილს ათეულ წლობით და გაოცებით ეკითხები შენს თავს: ნუ თუ ასეთი ამბები ხდებოდა საქართველოში რუსის სალდათ-ჩინოვნიკების მეოხებით მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებში?! ნუ თუ ქართველ მეფეთა მიერ მფარველ ანგელოზათ მოწვეული რუსები სჩადიოდენ ჩვენში ასეთ ზღაპრულ ველურობას და უმწვერვალეს სასტიკობას, რომელთა წინაშე ქრებიან აზიის უუსაშინელეს ბარბაროსთა მოქმედებანი?! ნუ თუ ჩვენი მოკეთენი, ერთმორწმუნე ქრისტიანი მხედრობა და რუსის ნასწავლი ჩინოვნიკები სჩადიოდენ ამას ტურფა ივერიაში?! ნუ თუ ამისთვის იშვერდენ ხელს საშველათ ჩრდილოეთით ორას წელიწადს ქართლ-კახეთის მეფენი, სამღვდელოება და დიდებულნი, ამისთვის ელოდენ ისინი სასოებით ორთავიან არწივის მფარველობას?! ნუ თუ ამისთვის ღვრიდა უკანასკნელ სისხლს ქართველი ერი და რუსეთის დროში სათვის აკლავდა თავს ლეკებს, ჩერქეზებს, თურქებს და სპარსებს?! ნეტა სად გაქრა ეკატერინე დიდის ტკბილი დაპირებანი და ალექსანდრე I-ის სათნო მანიფესტი?! ნეტა რა უყვეს იმ დათოფლულ სიტყვებს, ნუგეშს და იმედებს?! ნუ თუ ლაზარევ-ქოვალენსკით, პლახოტინ-პორტნიაგინით და უეცარ ისპრავნიკ-კაზაკებით სურდა რუსის უზენაეს მთავრობას დაედგინა ჩვენში აღთქმული მშვიდობა და სამართალი, განემტკიცა ერის პროგრესიული ლტოლვა და უფლებანი?! განა ამის შემდეგ მართალი არ იყვენ სარდალი მზეკაბუკ ორბელიანი და ვეზირი სოლომონ ლეონიძე, რომელნიც უშლიდენ ერეკლე მეფეს რუსეთთან კავშირს, რადგან სხვადასხვა არის რუსის და ქართველის ბუნება და რუსნი ვერ შეიყუებენ ქართველ ერსაო! რა დიდი პოლიტიკოსნი და ფსიხოლოგნი ყოფილან ეს ქებული მამულიშვილნი!.. ნეტა სად იყავ გმირო ერეკლე, რომ არ მზერდი შენს საყვარელ კახეთს, თუ რა ჯოჯოხეთურ ტანჯვებს აყენებდენ ღენ. პორტნიაგინის ველური რაზმები! შენ ამ დროს ხელდაკრეფილი ესვენე სამარადისო ძილით მცხეთის ტაძარში და ფოლად გულზე, მთის არწივო, დაკრული გქონდა პაულიჩის მიერ სპილენძის „ეესტი“ რუსული წარწერით..

ჰოი, მუხთალო ბედო! ჰოი, ისტორიის გესლიანო დაცინვავ!..

დიახ, კითხულობ ამ დაუჯერებელ ამბებს და გიკვირს, როგორ ითმენდა ამდენს ქართველი ერი, რატომ არ შეკრეს პირი და არ აჯანყდენ

ერთიანად ძალმომრეობის დასამხობათ?! აი რას ბძანებს ამის შესახებ თვით რუსეთის ძლიერი იმპერატორი ნიკოლოზ I როცა იგი, კავკასიაში მოგზრძანების დროს, გაეცნო საქართველოს და საერთოდ კავკასიის მართვა გამგეობას, სალდათ-ჩინოვნიკების ველურ მოქმედებას, იმპერატორი მიუბრუნდა მინისტრს ბეკენდორფს და გაოცებით წამოიძახა: „**მიკვირს, აქამდე რატომ არ წაშალა ხალხის გულში ერთგულობის გრძნობა ხელმწიფისადმი ამ ყოვლად საძაგელმა მართვა-გამგეობამ, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოთ, ასე დიდხანს ჩაგრავს ამ ქვეყანასო.**“

მართლაც ბევრს ითმენდა მრავალ მომთმენი და ტანჯვას ჩვეული ქართველი ერი, ითმენდა, რადგან ძლიერი იყო მასში რწმენა რუსეთის მიმართ და სიყვარული რუსის ხელმწიფისადმი.

ვერ აჯანყდა იგი ერთბაშად, რადგან ერის სული დიდი ხანია გაბზარული იყო და დიდათ სნეული ისტორიულ გრიგალის გამო, მისი სხეული კი დაგლეჯილი წვრილ სამეფო-სამთავროებათ. აღარ იყო ერთობა და თანხმობით მოქმედება. ბოლო საუკუნოებით დასეტყვილ ქართველ ხალხს თითქო დაეკარგა რწმენა და იმედი უკეთეს მომავლისა. მოღალატე ფეოდალთა, სამღვდელო პირთა და ვაჭარ სომეხთა სახით მას გაუჩნდა შინ მგესლავი მატლი, რომელიც ღრღნიდა ქართველი ერის მთლიანობას, მის პოლიტიკურ ძალას და აღატაკებდა მას ნივთიერად და სულიერათ. ამისთვის ნუ გვიკვირს, თუ რათ იფეთქა რუსთა წინააღმდეგ აჯანყებამ სხვადასხვა დროს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში და არ მიიღო ერთდროული და საერთო ეროვნული სახე! ნუ გვიკვირს, თუ რათ ჩააქვრეს ასე ადვილათ ეს აჯანყებანი რუსის ჯარებმა ქართველებისვე დახმარებით და რათ ჩაკლეს ქართველის სისხლში ერის სიმართლე და უზენაესი უფლებანი!..

II

რუსის მართვა-გამგეობის დამყარებით ხუთი საშინელი სიმძიმე დააწვა ტვირთად ისედაც წელში გაწყვეტილ ქართლ-კახეთს: 1. **დიდი სახელმწიფო გადასახადი ფულით თუ სურსათით, 2. ცხენ-ურმის ბეგარა ჯარის ბარგის საზიდავათ, 3. პურის ბეგარა, 4. ჯარების ბინის ბეგარა და 5. შარა-გზების კეთება ჯარებისათვის.** ამათში ყველაზე უფრო მძიმე და ხალხის გამანადგურებელი იყო ცხენ-ურმის სამხედრო ბეგარა. **რუსებს** ხანგძლივი ომები ჰქონდათ **სპარსეთ-ოსმალეთთან** და ქართველ ხალხს 300-400 ვერსზე, მაგ., **ფოთს, ყარს, ბანჯასა,** და **ერევანს** უნდა ეზიდათ ცხენით და ურმით ჯარების საკვები და სამხედრო სურსათი. **მთელი** თვეობით უნდებოდა ქართველი ხალხი ამ გძელ მგზავრობას, გზაზე ელუპებოდა ცხენი და ხარ-კამეჩი, ემტვრეოდა ურმები და ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ. **ბევრი** მათგანი სნეულდებოდა

კიდეც გზაში ულმელობით და უბინობით, ამ რიგათ იღუპებოდა ცხოველი და ადამიანი, იღუპებოდა მთელი ოჯახები და სოფლები. Iყო ისეთი წლები, როცა ასიათასობით გაყავდათ ბეგარაზე ცხენი და ურემი. Aდვილი წარმოსადგენია თუ რა დიდი ზიანი ეძლეოდა ქვეყანას! თუმცა მთავრობიდან დადგენილი იყო ქირა, ურემზე თვეში 40 მანეთი, მაგრამ ნამ-ვილათ რუსის „პატიოსანი“ ჩინოვნიკები გლეხებს ან სულ არ აძლევდენ არაფერს, ან მხოლოდ 5 6 მანეთს, დანარჩენ ფულს კი იდებდენ ჯიბეში. ზოგიერთ სოფელს დიდი ქრთამებით ათავისულებდენ დროებით ურმის ბეგარისაგან და მათი ტვირთიც აწვებოდა დანარჩენ სოფლებს. Iყო ამ ნიადაგზე გამეფებული საშინელი უსამართლობა და ბოროტმოქმედება. Aმიტომ სამართლიანად ამბობს კაპიტანი Aნოსოვი:

„ხალხი კვნესდა და გმინავდა ოჯახის ასაკლებ საურმე ბეგარისაგანო.“

„მარტო ქართლ-კახეთს, ყოფილა ისეთი დრო, **რომ გაუყვანიათ უსასყიდლოთ წელიწადში 112.154 ურემი და 99.780 საბარგო ცხენი.** Eს ციფრი აღნიშნულია თ. Aლექსანდრე ჭავჭავაძის წერილში და გამომძიებელ კომისიის საქმეებში. Aღარც ურემი და აღარც საქონელი აღარ უბრუნდებოდა პატრონს. Aნ რა ხეირი დაეყრებოდა ურემს და საქონელს მაშინდელ გზებზე ქართლ-კახეთიდან გასულს ფოთსა, ფაროსა, ერევანს და ამისთანა შორეულ მანძილზე! მეურმე და ცხენის გამყოლიც ნახევარზე მეტი დაავადებულ-დასნეულებული ბრუნდებოდა შინა“, ამბობს Aლ. ფრონელი.

Aმ ულმობელ ბეგარას დაერთო მოუსავლობა, შიმშილი, ჭირი და უზომო გაჭირვება. ყოველივე ამას დაემატა პურის რეკვიზიცია და ეგზეკუციები, ხალხის დარბევა და აწიოკება. Aმას შემდეგ რაღა რჩებოდა უსასოო ხალხს! ან უნდა გაწყვეტილიყო უენოთ, ან უნდა აეღო ხელში იარაღი მტარვალთა წინააღმდეგ. Dა აჰა, იფეთქა აჯანყებამ თებერვალში 1812 წელს! რევოლიუციის ალი ერთბაშათ მოედო მთელ კახეთს, ჭიზიყს, Aრაგვს და მთიულეთს. ხალხთან ერთად იძრო მახვილი კახეთის თავად-აზნაურობამ, ჩაუდგა მოძრაობას საათავეში და შესწირა თავისი თავი სამშობლოს კეთილდღეობას.

Sაგულისხმოა, რომ თვით მარკიზ პაულუჩიმ დაგმო შემდეგში თავის მიერ გაგზავნილი ეგზეკუციის მოქმედება.— „კახეთი ღელავდა და ბორგავდა. ზოგიერთი სწორეთ გიჟივით იყო გადარეული. Aმისთანა დროს ეგზეკუციის ჩაყენება სწორეთ იმახ გავდა, ცეცხლს რომ ზეთი მოასხაო“, ამბობს იგი თავის მოგონებაში. Aმ სიტყვებით რუსის დიდმა მოხელემ გაშოლტა თავისი თავი და წესი აუგო თავის „გონივრულ“ მოქმედებას.

როგორც ვთქვით, აჯანყების ყუმბარა პირველათ გასკდა სოფელ

ახმეტაში, თიანეთის ახლოს. ეს იყო თითქო ნიშანი ქახეთისათვის. 31 იანვარს დილით ეკლესიის ზარის რეკვამ ამცნო მცხოვრებთ ეგზეკუციის მოსვლა. ამ მოულოდნელმა რისხვამ შიშის ზარი დასცა მთელ სოფელს. უზომოთ აშფოთებული ხალხი შეიკრიბა ეკლესიის გალავანში და იწყო ბჭობა. მათ ნათლად დაეხატა ოჯახის აოხრება, ცოლ-შვილის აწიოკება და ნამუსის ახდა. ისინი არ მოელოდენ ეგზეკუციას, რადგან თიანეთის მაზრამ რამდენიმე თვით ადრე მისცა მოურავს ქრთამათ 600 მანეთი და მანაც აღუთქვა, რომ ხაზინა აღარ მოგოხოვთ პურსაო. ამის გამო ბრაზმორეული ხალხი მივარდა სალდათებს, სცემა და გარეკა უკან.

მეორე დღეს თელავიდან გამოგზავნეს ეგერების და დრაგუნების რაზმი. ახმეტელებს კი მოეშველენ ფშავ-ხევსურნი, საერთო ძალით და თოფის სროლით გაფანტეს რუსთა რაზმი.

ასეთივე ამბავი მოხდა სოფ. თიანეთში. შეგროვილი ხალხი ბჭობდა ეკლესიის გალავანში ეგზეკუციის შესახებ. ამ დროს შევარდა შუაგულ წრეში გააფთრებული ქალი, მივარდა ქმარს, მოგლიჯა ქუდი, დახურა თავზე და დაიკივლა. „დღეიდან შენ ცოლი, მე ქმარიო. ნამუსი ამხადეს; მივალ შენს მაგიერათ შური ვიძიოო!“ ამ სიტყვებთან ერთად წაგლიჯა ქმარს ხანჯალი და გაქანდა სახლისკენ, სადაც ბინა ქონდა საეგზეკუციო კამანდას. ამ ამბავმა გადარია თიანელები. ისინი აენთენ ცეცხლივით და გამოუდგენ დედაკაცს. შემოერტყენ ბინას და ხანჯლებით აკუწეს აფიცრები და სალდათები.

ახმეტა-თიანეთის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქახეთს და ჭიზიყს. მძულვარებით და შურის ძიებით აღბორგებული ქახნი მშიერი მგლებივით დაესიენ საეგზეკუციო კამანდებს და წაამწარეს ველური თარეში. დაილვარა ალაზნის ველზე რუსის სისხლი. უსამართლობამ და ულმო სასტიკობამ მოიპოვა თავის სასყიდელი.

დარაზმდენ მეამბოხენი. მათ ჩაუდგათ სათავეში სარდლებათ ორი ქებული ვაჟკაცი, თ. ოთარ ქობულაშვილი და სვიმონ ბებურიშვილი. ეოველივე ეს მოურავ-ისპრავნიკებმა სწრაფათ აცნობეს საგარეჯოში მყოფ ღენ. პორტნიაგინს. ამან მაშინვე დაგზავნა ჯარები ქახეთის სხვადასხვა კუთხეში. სანამ მაშველი რაზმი მოვიდოდა, ხალხმა შეიპყრო სიღნაღში მყოფი პოტლოგი, ბეინე და რამდენიმე აფიცერი, დასჭრა მათ ენები და ასჩეხა ნაკუწებათ. სალდათები კი დაატიტვლეს, უბრძნეს გაიქეცითო, გაქცეულთ დაახალეს თოფები და ამოსწყვიტეს. საბწუხაროთ, ჭიზიყში ასეთ მხეცობამდე მიაღწია ხალხის გამწარებამ და ჩაადენია არასაკადრისი საქმენი.

ქართლიდან წამოსულ რუსის ჯარებს აჯანყებულნი ჩაესაფრენ ვიწროებში და ბევრ ალაგას დაამარცხეს რუსნი. მაგ., სასტიკათ დაამარ-

ცხეს მაიორ ოსიპოვის რაზმი, გაწყვიტეს 158 კაცი და მოკლეს თვით ოსიპოვი. 4 თებერვალს ქახნი მოადგენ თელავს, შევარდენ ციხის გარე უბანში, აიკლეს რუსის აფიცერ-ჩინოვნიკების ბინები, მოკლეს რამდენიმე სალდათი და გაიტაცეს ჭური სასურსათო მაღაზიებიდან. ამ აკლებაში მეამბოხეთ შველოდენ სომხებიც, საზოგადოთ დიდი უნარს იჩენდენ ფარულ თუ აშკარა დარბევაში. რუსის მაიორი შმატოვი თავის რაზმით ჩაიკეტა ციხეში. მის საშველათ მოვიდა ბომბორიდან სამი როტა ჯარით მაიორი ქრონსკი, რომელსაც ჩაესაფრენ კახნი და დაუშინეს თოფები. ცხარე ბრძოლის შემდეგ ქრონსკიმ გაარღვია აჯანყებულთა წრე და შევიდა ციხეში.

ლენ. პორტნიაგინი ჩავარდა გასაჭირში. მან კიდევ მოითხოვა თბილისიდან მაშველი ჯარი. სამი როტა სალდათი სამი ზარბაზნით 5 თებერვალს გაეშურა თფილისიდან.

პატარ-პატარა გამარჯვებამ ააფრთოვანა ქახნი. ამათ ხელი გაუწოდეს მთიულებმა, არაგველებმა და თუშ-ფშავ-ხევსურებმა. „თქვენთან ერთად გავწყდებით და მტერს პოლოს მოუღებთო“, შეუთვალეს კახელებს და წამოვიდენ დასახმარებლათ.

ახლა კი მოძრაობამ მიიღო პოლიტიკური ხასიათი და გადიქცა ნამდვილ რევოლიუციათ. აჯანყებულებმა მოისურვეს რუსების განდევნა საქართველოდან და მოიწვიეს მეფეთ ქართლიდან იოანე ბატონიშვილის ძე გრიგოლი. ამავე დროს გადმოვიდა დაღესტნიდან ქახთა საშველათ 4.000 ლეკი.

რევოლიუციის მეთაურნი დაჰქროდენ სოფლებში და აჯანყებდენ ხალხს, რომელთაც არ ეპივრებოდათ ასისიანება, რადგან ამათზე უფრო სარევოლიუციოთ მოამზადეს ისინი თვით რუსის ჩინოვნიკებმა. ამავე დროს აჯანყების გრიგალში ჩაერია შორიდან რუსეთის დაუძინებული მტერი ალექსანდრე ბატონიშვილი და მოჰფინა ქართლ-ქახეთი, ხევი და მთიულეთი ტკბილი პროკლამაციებით, რითაც აქებდა და ამხნევებდა აჯანყებულთ, თანაც პირდებოდა დიდი ჯარით დახმარებას სპარსეთიდან. „ივერიის ქებულო ვაჟკაცნო, საყვარელი მეფის შვილებს „თავისუფლების გიხაროდესის“ ხმა გაგვაგონეთ! თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში ვზივარ და პირისპირ საყვარლათ შემოგფრენთ“, სწერს იგი აჯანყებულთ.

ასეთსავე ფირმანებს უგზავნიდა ქახელთ სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბასმირზა და პირდებოდა დიდი ჯარით დახმარებას, ხოლო ამ ფირმანებში უფრო მეტი და ტრაბახი, ბაქიობაა ვინემ სიმართლე. „ამ დღეებში თავრიზიდან ავიყრებით, თან მოგვაქვს ზარბაზნები, რომლებიც აკვესებენ ჯოჯოხეთის ნაპერწკლებს და მოგვყავს უშიშარი ცხენოსანი ჯარი,

წამოვალთ, ვითარცა ნიაღვარი, მთასა და ველს რომ გლეჯავს. მაღალ-ხარისხოვან ალექსანდრე მირზას (ე. ი. ალექსანდრე ბატონიშვილს) და მრევნის სერდარს ვუბრძანეთ ჩვენს ცხენოსანს და ქვეითა ჯარს ვერ გაუძლებენ რუსები და ამავე წელს თბილისი და მთელი საქართველო გასუფთავდება მათ საძაგლობისაგან. ყოველი ქართველი, დიდი-პატარა მოიპოვებს მყუდრო ცხოვრებას. სიცოცხლე, ქონება და სახელი ქართველი ერისა გახდება ხელუხლებელი", სწერდა თავის ერთ ფირმანში, აბასმირზა.

სასაცილო ის იყო, რომ ამ შვიდობას და მყუდრო ცხოვრებას ქართველები მოელოდენ რუსებისაგან და ამათ ნაცვლათ მას აწვდიდენ სპარსელები.

„ამჟამათ ჩვენი სარბაზები (გაწვრთნილი ჯარი) მონატრული არიან მშ ერი ლომივით შეხვრიპონ საქართველოში მყოფ რუსების სისხლი. გავჩდებით თუ არა მანდ, რუსის მთავარმართებელს და მის ჯარს გავწყვიტავთ. ამას შემდეგ თქვენ საშვალება მოგეცემათ დასტკბეთ წყნარი ცხოვრებით და მოისვენოთ თავ თავის ალაგას", ამბობს იგივე აბასმირზა მეორე ფირმანში, მაგრამ ყოველივე ეს იყო მარტო დაპირება. გაუბედავი აბასმირზა არ იძროდა ადგილიდან, არხეინათ იყო მრევნის ხანიც და ამიტომ ვერ ზოდიოდა ხელცარიელი ალექსანდრე ბატონიშვილიც. ის განიცდიდა საშინელ ტრაგიზმს, როცა ქახეთში უხვათ იღვროდა მოძმეთა სისხლი, თვითონ კი ამ დროს რეალური შველა არ შეეძლო. მხოლოდ თავის ბარათებით აქეზებდა ივერიის თავად-აზნაურთ რუსთა წინააღმდეგ. „რუსები ბუნებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მაგათში არ მკვიდრობს, სწორისა და მრუდის გარჩევა არ იციან, ერთგულისა და ორგულის მისაგებელი ციმბირიაო, სწერდა ქართველებს ალექსანდრე და იწვევდა საომრათ.

თელავის ციხეში ჩაკეტილი რუსები დიდ გაჭირვებას განიცდიდენ. ქახელებმა შემოარტყეს ალყა და შეუთვალეს მაიორ შმატოვს დაგვნებდით და არაფერს გიზამთ. მაგრამ მაიორი არ დანებდა და ელოდა მაშველ ჯარს. მართლაც სოფ. ანაგიდან გამოგზავნეს კაზაკთა პოლკი ბუზნეკოვის სარდლობით. აჯანყებულნი ჩაესაფრენ პოლკს და ისე დაამარცხეს, რომ თვით ბუზნეკოვი ძლივს გადარჩა ცოცხალი. ანაგის პურის მაღაზიებს კი ცეცხლი წაუკიდეს. შემდეგ წითელი რაზმელები დაეცენ ამავე პოლკის ესკადრონებს სოფ. მანავსა და ბაკაბეთს და თითქმის ერთიანად გაწყვიტეს.

დიდ ხიფათში ჩავარდა მთავრობა. მან ახლა გაიხსენა სამაზრო მარშლები, მოურავები და სამღვდელოება, დაუწყო მათ ლაქუცი და სთხოვა დახმარება, თანაც შეაჩერეს ეგზეკუციები და ძალით პურის მოკრება;

მაგრამ გვიანღა იყო. კრიტიკულ ყოფაში ჩავარდნილმა რუსის მთავრობამ მიმართა ახლაც ნაცად ხრიკს და უხვათ გადააბნია ანკესები მომხიბლავი საწუწკარით, ე. ი. ოქროები, ჩინ-ორდენები და ჯილდო-დაპირებანი, რასაც ისე ადვილათ ედებოდა ქართველი თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. მართლაც გასჭრა ამ ხრიკებმა, ქართლის თავადობა და სასულიერო პირნი, ორიოდ კაცის გარდა, დარჩენ რუსის მთავრობის ერთგულებათ და ხელი შეუწყვეს აჯანყების ჩაქრობას. მხოლოთ კახეთის თავად-აზნაურთა მეტი ნაწილი იდგა აჯანყების სათავეში და იბრძოდა ხალხის გათელილ უფლების აღსადგენათ.

რუსის მთავრობის ერთგულები იყვნენ ქართლის ერისთვები, ამილახვრები, თუმანიშვილები, მაჩაბლები, ერთის გარდა, მუხრან ბატონები და განსაკუთრებით ორბელიანები, მთაში კი ბაბრიელ ყაზბეგი, რომელმაც ადრევე ისახელა თავი მოიულთა აჯანყების დროს და ახლაც დიდი სამსახური დასდო რუსის მთავრობას. თვით კახეთში რუსის მომხრენი იყვენ: თ. ნინია ჩოლოყაშვილი, ზაზა და იოსებ ანდრონიკაშვილი, პაატა და ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხ. აგრეთვე დიდი ერთგული შეიქნა რუსების არქიმანდრიტი ელევთერ ზუკაკიშვილი. ეს ბოროტი სული, ღენ. ახვერდოვის მინდობილობით, ეწეოდა ნამდვილ ჯაშუშობას, აგებიებდა რუსებს აჯანყების ამბებს და აჩეზღებდა აჯანყების მომხრე თავად-აზნაურთ და სასულიერო პირთ. ეს სამშობლოს მოღალატე ბერი მივიდა ბოლოს იმ გამხეცებამდე, რომ თავის ხელით აგლეჯდა თმასა და წვერს აჯანყების მომხრე სამღვდელო პირთ. რუსებმა მაინც არ დაუფასეს საზიზღარ ჯაშუშებს ასეთი ერთგულება. არქიმანდრიტი ელევთერი მოელოდა დიდ ჯილდოს, მაგრამ გაუცრუვდა იმედი. ბოლოს სინოდასაც კი მიმართა თხოვნით და აუწყა თავის „საქმენი საგმირონი“; სინოდმაც კი ზურგი შეაქცია მოძმეთა გამყიდველს ქართველ იუდას.

6 თებერვალს აჯანყებულნი დაეცენ სოფ. ბოდბისხევს, სადაც იდგა მთელი ბატალიონი ჯარით პოდპოლკოვნიკი სტეფანოვი. შეიქნა სასტიკი ბრძოლა. სტეფანოვი მარჯვეთ იგერიებდა მტერს, მაგრამ ვერას გახდა. მას მოუკლეს ორი ოფიცერი და 212 სალდათი. ჯარის მთელი ბანაკი და 470 თოფი ხელში ჩაუვარდათ აჯანყებულთ. შეშინებული სტეფანოვი თავის ჯარით იმღამესვე გაიპარა ყარა-ალაჯს, სადაც იყო დრაგუნთა პოლკის მთავარი ბინა. კახელებმა ცეცხლი წაუკიდეს ბოდბისხევს და გადასწვეს რუსთა სასურსათო მაღაზიები, ცეიხჰაუზები, პოლკის კანცელარია, ურმები, სახაზინო ნივთები და სალდათ-ოფიცერთა საკუთარი ქონება. შემდეგ კახნი სვიმონ ბებურიშვილის სარდლობით მოადგენ ყარა-ალაჯს და შემოერტყენ ციხეს, სადაც სტეფანოვის ჯარის გარდა იდგა დრაგუნთა პოლკის ორი ესკადრონი და ეგერთა ერთი როტა. რუ-

სებს მეტათ გაუჭირდათ საქმე სურსათის სიცოტავის გამო და არ იცოდენ რა ექნათ. ამ დროს მათი შაშველი შეიქნა 1000 კაცით მაიორი ყაფლან ორბელიანი. იგი თავის ჯარით ოსტატურად გაუსხლტა კახელთ, შეასწრო ცხენში, იქიდან გაუმართა აჯანყებულთ ტკბილი საუბარი. ამ რიგად ორბელიანის წყალობით რუსის ჯარი ყარააღაჯთან გადარჩა ერთიანათ გაწყვეტას.

5 თებერვალს ოთარ ქობულაშვილი ძლიერი რაზმით დაეცა საგარეჯოში თვით ღენ. პორტნიაგინს და წაუკიდა ცეცხლი კაზარმებს, ლაზარეტს და აფიცრების ბინას. პორტნიაგინს ადრევე გაეკეთებია სიმაგრე და იყო შიგ ჩასაფრებული მცირე ჯარით. მთელი დღე არ შეწყვეტილა თოფის სროლა. რუსებს მოუკლეს 35 სალდათი. მეორე დღეს გაისმა ზარბაზნის გრიალი; ეს იყო მაიორი ბუხვოსტოვი თბილისიდან 500 კაცით წამოსული. ამათი მოსვლით გადარჩა ღენ. პორტნიაგინი ტყვეობას და მისი რაზმი გაწყვეტას. რუსებმა დასწვეს თავის ბარგი და ღამით გაიპარენ თბილისს.

თებერვლის შუა რიცხვებში ქახეთი გასუფთავდა რუსის ჯარებისაგან. მოისპო იქ რუსის მართვა-გამგეობა და ხალხმა ამოისუნთქა თავისუფლათ. ახლათ არჩეული მეფე ბრიგოლი მხნეთ განაგებდა სამეფოს საქმეებს. მან აცნობა საქართველოს ყველა კუთხეს თავის მეფეთ არჩევა და ითხოვდა შველას რუსის დანარჩენ ჯარების გასაწყვეტათ. მისი მიზანი იყო მთელი ივერიის განთავისუფლება რუსთა ბატონობისაგან.

აჯანყებულებმა მოიცეს ძალა და დაიკავეს მარტყოფამდე მთელი მიდამო. ბალალებულნი ასე ჩქარი გამარჯვებით, ისინი უკვე აპირებდენ თბილისზე დაცემას. წითელი რაზმები დაბარეშობდენ ლილო-ავჭალამდე და იგდებდენ ხელში რუსის ჯარის სურსათით დატვირთულ ურმებს. შიშის ზარი დაეცა თბილისში მყოფ რუსის მთავრობას და სომხის ვაჭრებს. ამ განსაცდელის დროს მთავარსარდლობა იკისრა ღენ. პორტნიაგინმა. მან გაგზავნა მარტყოფს პოლკ. ტიხანოვსკის სარდლობით მთელი ბატალიონი ოთხი ზარბაზნით. ამ ჯარში ერია ბევრი ქართველი თავადიც. ტიხანოვსკი თავის ჯარით და ზარბაზნებით დაეცა სოფ. ხაშმს, სადაც გამაგრებულიყვენ ვენახებში 4000 აჯანყებული, უმთავრესათ თუში და ფშავ-ხევსური. ამათ დაუშინეს რუსებს თოფები, მაგრამ ტიხანოვსკი არ შეუშინდა თოფებს და მხნეთ მიიტანა იერიში. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. რაზმელთა 200 კაცი იმსხვერპლა რუსის ხიშტებმა და ზარბაზნებმა. რამდენიმე კაცი ჩაუვარდათ ტყვეთ. რუსებსაც დაუხოცეს ბევრი სალდათი. ხიშტებს და მეტადრე ზარბაზნებს ვერ გაუძლეს რაზმელებმა, დასტოვეს ხაშმი და თავი შეაფარეს ცივ-ბომბორის მთებს.

III

რუსის ჯარის მოსასპობათ საჭირო იყო ჩაეგდოთ ხელში სამხედრო გზა, დარიალის ხეობა, საიდანაც მოსდიოდა რუსებს მაშველი ჯარი და სამხედრო მასალა. სწორეთ ამ გზას მიაქციეს ყურადღება აჯანყებულებმა, გაგზავნეს საიმედო კაცები ერაგვსა და მთიულეთში, სთხოვეს დახმარება. ამათ სიხარულით მიიღეს დესპანები და შემოუთვალეს ქახელთ: „თქვენთან ერთად გავწყდებით და მტერს ბოლოს მოუღებთო“.

აჯანყება სწრაფათ მოედვა მთელს ანანურის მაზრას. 10 თებერვალს ამათ გაჟლიტეს ფასანაურში რუსის რაზმი, ალყა შემოარტყეს ანანურის, ლართისკარის მეკიხოვნეთ და მოსპეს ერთიანად მიმოსვლა სამხედრო გზაზე. მთიულეთის ალაგმა და სამხედრო გზის გახსნა პორტნიაგინმა მიანდო რუსის ერთგულ ღენერალს თ. ქოსტანტინე მუხრანბატონს და მაიორს თ. თორნიკე ერისთავს. ამათ შეკრიბეს 200-დე თავის გლეხობა, თავად-აზნაური და გასწიეს ანანურისკენ, მაგრამ აჯანყებულთა სიჭრავლის გამო შეშინდენ და ვერ მიიტანეს იერიში. ღენ. მუხრანბატონი გაიქცა თბილისში და აცნობა მთავრობას, რომ მღელვარება მატულობს მთაში და მის ჩასაქრობათ დიდი ჯარია საჭიროო. თ. მუხრანბატონს გაატანეს ხუთი როტა სალდათით და ზარბაზნით ჰოდპოლკ. უშაკოვი, მამაცი და გამოცდილი სარდალი. უშაკოვი გაემართა დუშეთისკენ და თანაც აცნობა ლართისკარს კაპიტან საგინაშვილს, დუშეთთან მომეშველეო. უშაკოვი ეკვეთა დუშეთს და ორი საათის ბრძოლის შემდეგ აიღო ციხე, სადაც ებრძოდა რუსებს მხოლოდ 30 რაზმელი.

ისტორიკოსი დავით ბატონიშვილი აგვიწერს უშაკოვის ჯარისა და მთიულთა ბრძოლას სამხედრო გზაზე და მოგვითხრობს, რომ უშაკოვი თავის 1000 სალდათით და ქოსტ. მუხრანბატონი დაეცენ რაზმელთ ქობიანთკარს, სადაც მოხდა დიდი ბრძოლა, იძლიენ რუსნი და მოკლეს 150 კაცი. იმ ღამეს ქოსტ. მუხრანბატონმა ტკბილი სიტყვით და ფიცით მოიტყუა 70 კაცი ერაგვისპირელნი და მოაშთობინა, ე. ი. დაარჩობინაო. ასეთ ღალატს ბ ველურობას მეტათ აუშფოთებია დავით ბატონიშვილი და ეძახის მუხრანბატონის ასეთ მოქმედებას „უსჯულო სინდისს.“

უშაკოვმა დასწვა დუშეთი და ქობიანთკარი, აიღო და დასწვა აგრეთვე ანანური, პავლიაური, ციხის-ძირი და მოადგა ბულაჩაურს. აქ უშაკოვს მიემატა კიდევ 300-დი რუსის მხედრობა და მოხდა მკაცრი შეტაკება მთიულებთან. რუსნი დამარცხდენ პირველ ბრძოლაში, მაგრამ მათ მხსნელათ გაჩნდა ისევ ქოსტ. მუხრანბატონი, რომელიც თავის ჯარით დაეცა ბულაჩაურს მეორე მხრიდან და გადასწვა ერთიანად.

დიდ ერთგულობას უწევდა რუსის მთავრობას აგრეთვე ბაბრიელ ჟაზბეგი. მან არ გაიკარა ახლო ქახეთიდან გაგზავნილი კაცები და არ

ისურვა მათთან საუბარი. როგორც კი დაიწყო მოიულეთში მოძრაობა, ეს რუსის ყურმოჭრილი მონა მაშინვე გაიქცა კავკავში და იქიდან ჩამოიყვანა ლენ. დეპლოცო დიდი ჯარით და ზარბაზნებით. ამრიგათ შეაჩერა ჩრდილოეთით მოძრაობა და გახსნა სამხედრო გზა ლარსამდე. ასეთი მოქმედებით ამ ორმა ქართველმა, ე. ი. კოსტ. მუხრანბატონმა და ბ. ყაზბეგმა დიდი ამაგი დასდვეს რუსის მთავრობას და სამხედრო გზის გახსნით გადაარჩინეს დალუპვას ამიერ-კავკასიაში მყოფი რუსის არმია.

ლუშეთის დაკავების შემდეგ შუაკოვი სწრაფათ გაემართა ჯარით ანანურისკენ. გზაზე მას გადაეღობენ რაზმელები. მოხდა შეტაკება. ბრძოლამ გასტანა დიდხანს, დილის 6 საათიდან საღამოს 5 საათამდე. როგორც იყო, შუაკოვმა გაიკაფა გზა, ავიდა ანანურს და შეება იქ დაბანაკებულ აჯანყებულთ, დაამარცხა და შევიდა ციხეში. ამ გამარჯვებით არ დამთავრდა საქმე. ანანურის მაზრა ისევ ღელავდა. მარტო ქახელ რაზმელთა რიცხვი აქ ადიოდა 1000 კაცამდე. ამათ უფროსობდა თ. იოსებ სიდომან-ერისთავი. ისინი დათარეშობდენ მთელს მაზრაში და მოსვენებას არ აძლევდენ შუაკოვის ჯარს საათარეშო ბრძოლით. შუაკოვის სიბრაზეს არ ჰქონდა საზღვარი. ჯაშუშებმა აცნობეს 70 რაზმელის ბინა. შუაკოვი მიეპარა მათ ღამე 150 გრენადერით და ბაყლიტა ერთიანად. ბადარჩა სიკვდილს მხოლოთ 15 კაცი. ისინი წაიყვანეს ტყვეთ; მათ შორის იყო თვით რაზმის ბელადი, რომელიც მაშინვე ჩამოარჩეს. ამ ამბავმა თავზარი დასცა აჯანყებულთ და გასწყვიტა წელში.

ამრიგად გაიხსნა სამხედრო გზა, დაწყნარდა მღელვარე მთა. შუაკოვმა ერთგულობის ფიცი მიიღებინა ხალხს. რუსის მთავრობამ აიცდინა თავიდან უუდიდესი განსაცდელი. მხოლოდ ღელავდა ისევ ბრაგვის ხეობა, სადაც ბინადრობდა ი. ერისთავი თავის 1000 კაცით.

21 თებერვალს ყარაბახიდან დაბრუნდა თბილისში მარკიზ პაულიჩი და მხნეთ შეუდგა აჯანყების ჩაქრობას; შეკრიბა საკმაოთ დიდი ჯარი ზარბაზნებით და გასწია ქახეთისკენ, სადაც ამ დროს მოსულიყო აჯანყებულთა საშველათ 1000 ლეკი. პაულიჩიმ მისწერა ლარისკარში მაიორ ტრუბკოვს 150 კაცით დახვარებოდა შუაკოვს და დაემშვიდებინა ბრაგვის ხეობა. შუაკოვი და ტრუბკოვი ორის მხრით დაეცენ სოფ. საშაბეროსთან ი. ხიდომან ერისთავის რაზმს და დაამარცხეს, მოკლეს 100 კაცი. რაზმი აირია, მიაშურა ბრაგვს, მაგრამ მდინარემ იმსხვერპლა მრავალი. ამრიგათ ჩაქრა მთაში მეორეთ აგზნებული ცეცხლი. ახლაც მისი ჩამქრობი იყვენ უმთავრესად ქართველი თავადები, ქ. მუხრანბატონი, ბ. ყაზბეგი და სხვა, მხოლოდ ისევ ღელავდა და ბობოქრობდა ალაზნის ხეობა.

მარკიზ პაულიჩიმ თავის გალაშკრებას წინ წაუძღვანა ვრცელი პროკლამაციები, რომლებიც სავსე აბგებით გაატანა ქახეთში შიკრიკებს.

აი რას სწერს პაულიჩი სხვათა შორის: „ქახელებო, რას ჩადიხართ! რამ დაგიბრმავათ თვალები და გონება! რას ეტრფით, რა გწადიან! ნუ თუ გონება ისე დაგეკარგნათ და ისე გადაირიეთ, რომ ველარ ხედავთ რუსის მხედრობის ძლიერებას, იმ მხედრობისა, რომელმაც არ იცის რაა დამარცხება და უკან დახევა! ნუ თუ დაგავიწყდათ ქრისტეანობა და ველარ ხედავთ, რომ განგება უფლისა მზათაა შეგმუსროთ ვითარცა ფიცის გამტეხნი!“ შემდეგ განაგრძობს პაულიჩი, რომ იგი მოდის ქახეთში ურჩთა შესამუსრავათ და მშვიდობის ასაღგენათ. ბოლოს ეფიცება ხალხს, რომ არავის დავსჯი, ვინც იარაღს დაყრის, ოჯახს დაუბრუნდება და ცოდვას შეინანებსო. „მხოლოდ ვინც არ დაემორჩილება კანონიერ მთავრობას და შემხვდება იარაღით ხელში, ცოცხალს არ გაუშვებ, ღირსეულ სასჯელს გაუჩენ და ულმობელათ მოვეპყრობიო,“ ათავებს იგი ამ მუქარით თავის პროკლამაციას.

ქახელებმა მალე მიართვეს პასუხი იტალიელ მარკიზს. აი პასუხიც: „მთელი ქახეთის თემი, მთასა და ბარში მცხოვრებთ, რომ წიგნის ხალხი არავართ, გვაკლია გამოცდილება და ვერ გავიგეთ თქვენი მონაწერი. საიდან მოიგონეთ, რომ ჩვენ ქრისტე უარვყავით, ხელმწიფეს ვუღალატეთ და ფიცი გავტეხეთ! თუ რამე ჩავიდინეთ, მიზეზი და საბაბი თქვენ თვითონ ბრძანდებოდით. რაც მანიფესტით ნაბრძანებია უმოწყალეს ხელმწიფისაგან, არაფერი შეასრულეთ. ეველაფრის მიზეზი თქვენ თვითონ იყავით, ვინაიდან ბრალიანისა და უბრალოს გარჩევა არ იცოდით, ისე ხოცდით ხალხსა და არჩობდით. მხედავდით ამ უსამართლობას, მაგრამ ვითმენდით, რადგან შევფიცეთ ხელმწიფე იმპერატორს, ერთგული ვიქნებითო. ამას გარდა ეგზეკუციისა და ხიშტების საშვალებით მიგქონდათ რაც რამ გვებადა. გვიყლეტდით ცოლ-შვილს, საზრდო პური მოგვტაცეთ, შიმშილით გვხოცავდით და ნუგეშათ გვეუბნებოდით,—ბალახი სძოვეთო... იმდენი ბეგარა გაგვიჩინა მთავრობამ, რომ საქონელი გაგვიწყვიტა და ტყეში ურმის საშენი მასალა გამოლია. ველარ ავიტანეთ ასეთი გათახსირება, შეურაცყოფა და გულში ვიფიქრეთ: სჯობს კაცმა სხვას აუგოს ანდერძი, ვიდრე საკუთარი თვალით იხილოს ცოლ-შვილის აწიოკება და შიმშილით სიკვდილი. დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ ხელმწიფე იმპერატორს აზრათ არ მოუვა ხალხის გაჟლეტა. საბაბი არეულობისა თქვენ თითონ მოგვეცით. ჩვენ ველარ მოვრიგდებით, რაც იქნება იქნეს, თავი და ცოლ-შვილი გავწირეთ. კოდ პუჩში ერთ მანეთს და 20 კაპ. გვაძლევდით და ვისაც პური არ ჰქონდა კოდის საფასურათ 4 მანეთს აძლევდით. ხელმწიფისთვის არ გვიღალატნია და არც მოღალატენი ვართ. თქვენ თვითონ არღვევდით იმპერატორის ბრძანებას და ველარ ავიტანეთ ამდენი უსამარ-

თლობა ⁄ უნამუსობა. ჩვენსა ⁄ თქვენს შორის ხიდი ჩატყდა, ერთად ველარ მოვთავსდებით. ჩვენი სიცოცხლე რა სიცოცხლეა! ისედაც მკვდრები ვართ და ბარემც მართლა დავიხოცნოთ! თხოვნა გავუგზავნეთ იმპერატორს, თქვენ კი სადღაც მიმალეთ და ხელმწიფეს არ აცოდინეთ. ბვატყუებდით, თვალთ მაქცობდით და ჩვენც ვითმენდით... კმარა! მეტის ატანა აღარ შეგვიძლია. ბათავდა ყველაფერი! გადავწყვიტეთ სიკვდილი და დავიხოცებით კიდეც".

აი, ეს მწარე სინამდვილე, რომელიც ჯანყად მოსდებოდა მთელს ივერიას! ეს ხალხის გულიდან ამოხეთქილი პასუხი ნათლად გვიხატავს ქახეთის უზომო გაჭირვებას და მწარე სულის კვეთებას, გამოწვეულს რუსის სალდათ-ჩინოვნიკის სასტიკობით და ველური მოქმედებით.

ქახეთის აჯანყებულთა პასუხი არაფრათ იამა მარკიზს, მაგრამ რას იზამდა! მან ხელმეორეთ მისწერა მათ პროკლამაცია და ითხოვდა მორჩილებას. ამ ცდამაც უნაყოფოთ ჩაუარა. მაშინ ბრაზმორეული პაულიჩი ერთი ბატალიონი ჯარით და ზარბაზნებით გაემართა ქახეთისკენ. ამავე დროს აჯანყებულებმა გაუგზავნეს დესპანები ახალციხის ფაშას შერიფს და სთხოვეს დახმარება. შერიფი დასთანხმდა და თავის ჯარით დაეცა ახალქალაქში რუსის მეციხოვნეთ, მაგრამ ვერაფერს გახდა. აბდულ-ფაშა კი თავის ათასი კაცით, ეკვეთა რუსის მეგობარს ყარაბეგს. ამან აფრინა კაცი პაულიჩთან და სთხოვა დახმარება. ყარაბეგს ფიცხლავ მოაშველეს 200 კაცით მაიორი თ. სავარსამიძე. იგი შეუერთდა ყარაბეგის ცხენოსან ჯარს და სოფ. პეტრიშთან მოხდა ცხარე ბრძოლა. მამაცათ ეკვეთა სავარსამიძე აბდულა ფაშას და დაამარცხა. ამან შეაშინა შერიფ ფაშა, და ველარ გაბედა ახალი ბრძოლა და მიყუჩდა თავის ციხეში. ამრიგათ აქაც მესამე ქართველმა თ. სავარსამიძემ იხსნა რუსის ჯარი ახალ ხიფათისაგან.

26 თებერვალს პაულიჩი თავის ჯარით და ზარბაზნებით მიადგა სამების მონასტერს, რომელსაც შეფარებოდენ რამდენიმე ათასი აჯანყებულნი. ამათ გუშაგებს ეკვეთა პოლკ. ტიხანოვსკი და დაამარცხა. შეიქნა მედგარი ბრძოლა. რუსის ზარბაზნებს ვერ გაუძლო მონასტრის კედლებმა. ქახნი შეეფარენ მთებს. „აჯანყებულთ მოუკალით 400 კაცი და ორიც ტყვეთ წავიყვანეთ. ესენი იქვე ბრძოლის ველზე ჩამოვარჩვეთო", სწერს პაულიჩი რუსის იმპერატორს.

პაულიჩის გალაშქრებას სულ სხვა რიგათ აგვიწერს დავით ბატონიშვილი: „მაშინ მარკიზი მოსულიყო თბილისს. სცნა რა ესე, მოკრიფა ყოველსა ადგილსა რუსნი, წარემართა და მოვიდა ხაშმსა, შეესია სოფელს და მოასვრევინა (ე. ი. გაჟლიტა) უბრალონი ქრისტიანენი ვიდრე ასამდე ჩვილითურთ, მზგავსათ ეროდისა. და მუნ მოჰკლეს ხიშტითა მონაზონი აბაშიძის ასული მარიამ, დედიდაშვილი მეფისა ერაკლისა, ოთხმოცდაათისა წლისა დედაკაცი".

მემატიანეს ცნობით გამოდის, რომ მარკიზ პაულიჩს, ამ „განათლებულ“ იტალიელს გამოუჩენია დიდი მტარვალობა: თოფით, ცეცხლითა და მახვილით შესევია იგი უბედურ ქახეთს, გაუჟლეტია ბავშნი, დაურჩვია ტყვეები და ხიშტებზე აუგია ღრმათ მოხუცებული მონაზვნები. ასეთი სიმხეცე არ ჩაუდენიათ ივერიაში თვით უუსაშინელეს მტარვალთ, შაჰ-აბაზს და მამედ-ხანს.

რუსის ჯარის შესევამ და ასეთმა სასტიკობამ შიშის ზარი დასცა ქახეთის აოხრებულ და დამშეულ სოფლებს, მათ დაეკარგათ ყოველი იმედი. სასოწარკვეთილნი მოდიოდენ ისინი პაულიჩის წინაშე. ამათ პირველი მაგალითი, მისცა საგარეჯომ. მას მიჰყვენ ქაკაბეთი, ქანდაური და მანავი. ბანსაკუთრებით შეშინებული იყვენ თავადები. 29 თებერვალს რუსის ჯარი მიადგა ს. ქოდალოს, გაფანტა რაზმელები, ჩამოარჩო ტყვეები და გაათავისუფლა ციხეში დამწყვდეული 80 სალდათი. აქ ეახლენ მარკიზს ძიზიყის თავი კაცები და განუცხადეს მორჩილება. ამრიგათ მთელი ძიზიყი დამორჩილდა რუსის მთავრობას. ძიზიყის დამშვიდებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რუსის მომხრე თ-დ ანდრონიკაშვილებს, განსაკუთრებით სიღნაღის მოურავს იოსებ ანდრონიკაშვილს. ეს ვაჟბატონები დატრიალდენ ხალხში, მოხიბლეს ფიცით, დაპირებით და აყრილი ხალხი ცოლ-შვილით დააბრუნეს სოფლებში. ამრიგათ ძალამ და ხრიკებმა გაიტანა თავისი, ქუდი მოახდევინა ამაყს და გაბოროტებულ ძიზიყელს, რუსის მთავრობის წინაშე.

შემდეგ პაულიჩი დაიძრა თელავისკენ. სოფ. ჩუმლაყთან მას გზა შეუკრეს ქახელებმა. მათში იყო თვით ახალი მეფე ბრიგოლი. აქ კიდევ სკადეს ბედი და დაუშინეს რუსებს თოფები, მაგრამ დამარცხდენ და გაიფანტენ. რუსებმა აიღეს სოფელი, გადასწვეს ერთიანად და ჩამოარჩვეს ხუთი კაცი. ამ ბრძოლას დავით ბატონიშვილი აგვიწერს სულ სხვა რიგათ და აჯანყებულთა დამარცხებას აბრალებს მარტყოფის მოურავს ნინია ზურაბიშვილს, რომელმაც თურმე სულ სხვა გზით მიიყვანა რუსები სოფელში. 3 მარტს მარკიზი ავიდა ს. ველისციხეს. აქ მას ჩამოეგებენ თელავის მაზრის თავად-აზნაურნი, მოინანიეს ცოდვები და მიიღეს ერთგულობის ფიცი. მეორე დღეს პაულიჩი მივიდა თელავს. რუსის ჯარის დანახვაზე რაზმელებმა ახსნეს ალყა ციხეს და გაიფანტენ უომრათ. მხოლოდ ტრანშეებში მოხდა მცირე შეტაკება.

სოფ. არტაანი კიდევ ჯიუტობდა და არ იხრიდა ქედს. ტიხანოვსკის რაზმი შეესია სოფელს და გადასწვა ერთიანად. მაგრამ ყველას გადააჭარბა სიმკაცრით შუაკოვმა. მან სამაგალითოდ დასაჯა თიანელები; ტყვეთ წაყვანილ 15 კაცისაგან აარჩია 8, როგორც აჯანყების მეთაურნი, და შიგ სოფელში ჩამოარჩო. ერთი თვით მეფე ქახეთისა, ბედშავი

ბრიგოლი დანებდა მთავრობას. იგი გაგზავნეს რუსეთს და დასაჯეს ერთი წლის ტუსაღობით. რუსის ხელმწიფის ბრძანებით ბრიგოლ ბატონიშვილი ჩასვეს პეტრეზავოდსკის ციხეში. ამით დასრულდა ქახეთსა დ მთიულეთში პაულიჩის და რუსის ჯარების მოქმედებანი. დამთავრდა ქართველი ერის ტრაღედიის მეორე აქტი... ხიშტებით, ზარბაზნებით, სარჩობელათი, ცეცხლითა და მახვილით რუსის მთავრობამ ჩააქრო სიმართლე და დაუდუმა ენა საშინლათ დაჩაგრულ ქართველ ხალხს. ცრემლი და ვაება გამეფდა მთელს ქახეთში. არაგვის პირი, მთიულეთი და ალაზნის ტურფა ველი წარმოადგენდა უსასტიკეს მტრისგან აოხრებულ მდელოს. გმინავდა მწარეთ უნუგეშო ხალხი, ღვრიდა იგი მხურვალე ცრემლებს. მხოლოდ ლაღობდა ტლანქი ძალმომრეობა, ხაროობდენ რუსის მექრთამე ჩინოვნიკები... ქეიფობდენ ჩინ-ორდენის მოლოდინში სამშობლოს მოღალატე რაინდები. მშიერი, გვემული და სასტიკათ დარბეული ქახეთის ხალხი ისევ გმინავდა მწარეთ და ღვრიდა ცრემლებს...

XVIII ქახეთის მეორეთ აჯანყება

I

ჩააქრო თუ არა ქახეთში პირველი აჯანყება, პაულიჩიმ თავი დაანება მთავარმართებლობას და გასწია პეტროგრადს. დავით ბატონიშვილის სიტყვით, მას პირობა მიეცა ქახეთის ხალხისთვის, ვიშვამდგომლებ იმპერატორის წინაშე და მეფეთ გამოვაგზავნიებ რომელიმე ღირსეულ ბატონიშვილსაო. სხვათაშორის ქახეთის დაწყნარებაში ამ ხრიკსაც უმოქმედნია. პაულიჩიმ ძლიერ კარგათ იცოდა, რომ ეს დაპირება სულ ტყვილი ოცნება იყო და ამიტომ მარტშივე მოშორდა ივერიას. მის ნაცვლათ ამავე წელს აპრილში მთავარმართებლათ გამოგზავნეს **ნიკოლოზ რტიშჩევი**, უნიჭო და უმნიშვნელო ღენერალი, მასთან ქართველების მოძულე და სომხების დიდათ მოყვარული.

არ გასულა ერთი თვეც და რევოლიუციის ალი კვლავ მოედვა მთასა და ქახეთს. ახლა აჯანყების ამტეხი შეიქნა ალექსანდრე ბატონიშვილი, ეს „შეუდარებელი საბერველი ყოველგვარ ამბოხება—რევოლიუციისა.“ კვლავ გაისმა ალაზნის ველზე თოფ-ზარბაზნის გრიალი, კვლავ გადაიწვა სოფლები და დაიღვარა ქართველის სისხლი...

ჩვენის აზრით ეს მეორე აჯანყება იყო პირდაპირ სიგიჟე. ისედაც ფეხქვეშ გათელილს და მიწა-მტვრათ ქცეულ ხალხს აღარ ეჭივრებოდა ასისიანება რადგან აღარ ქონდა არც ძალა, არც სურსათი და ცოლ-შვილიც შიმშილით ეხოცებოდა. ნეტა ვისი იმედით მოქმედობდა ალექსანდრე ბატონიშვილი?! 12 წლის განმავლობაში მას კარგათ უნდა გაეცნო სპარსეთის შაი დ მისი მემკვიდრე, მათი ღნაყოფო დაპირება და ბაქიობა, მათი სილაჩრე დ გაუბედობა. დიდ იმედებს არც ოსმალეთი იძლეოდა. ახალციხის ფაშა

შერიფი, როგორც გავიცანით, იყო უნიჭო და მშიშარა, ერევნისა და ყარაბაღის ხანები კი რუსებისაგან მოსყიდულნი. ერევნის ხანმა ჰუსეინმა 20,000 მანეთიც კი ჩაჯიბა, რომელიც შაიმ გამოუგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილს აჯანყების მოსაწყობათ. დარჩა დაღესტანი; მაგრამ ლეკები არ იყვენ საიმედონი. თუმც კარგი ვაჟკაცნი, მაგრამ ჩვეულნი ხალხის დარბევასა და ცარცვა-გლეჯას, მათ არ შეეძლოთ გამკლავებოდენ რუსეთის გაწრთვნილ ჯარებს, აღჭურვილთ სამხედრო დისციპლინით და თოფ-ზარბაზნით. მაშ ვიღას იმედი ქონდა ალექსანდრეს! დასავლეთ საქართველო მას არ დაეხმარებოდა, რადგან იმ დროს საქმის ვითარება ისეთი იყო. ასე გაშინჯეთ, არც ქართლი გაყვებოდა მას, რადგან გლეხობა ხელში ყავდათ დიდ ფეოდალებს, ესენი კი მოხიბლული იყვენ რუსის ჩინ-ორდენებით და ჯილდო-ჯამაგირებით. შვითელი ოქრო და ზიზილები ჩადიოდა ნამდვილ სასწაულებს...

მიუხედავათ ამისა იყო ერთი მიზეზი, რამაც ააგიზგიზა აჯანყების ალი. ეს იყო **დიდი ნაპოლეონი**. საფრანგეთის გმირი-იმპერატორი იმ ხანებში ნაფოტივით ამსხვრევდა ევროპაში იმპერიებს და ქმნიდა ახალ სამეფოებს. მან დაამარცხა ავსტრია, იტალია, ისპანია, ინგლისი, პრუსია და ბოლოს სწორეთ 1812 წელს გაზაფხულზე ნახევარი მილიონი ჯარით წამოვიდა რუსეთის იმპერიის დასამხობათ. ბოროდინოს ველზე მოხდა დიდი ბრძოლა. ნაპოლეონის უძლეველი ჯარი სამ დღეს შეაჩერა რუსის მარცხენა არმიის სარდალმა გმირმა ქართველმა თ. **პეტრე ბაგრატიონმა**, რომელსაც ნაპოლეონმა ადრევე შეაძლია საქართველოს და მთელი კავკასიის მეფობა, ოღონდ ჩვენსკენ გადმოდიო. მაგრამ გმირმა არ უღალატა ფიცს და რუსეთის ერთგულობაში დალია სული. ბაგრატიონის მძიმეთ დაჭრამ ბრძოლის ველზე არია რუსის ჯარი; იგი დაფრთხა და მოაშურა მოსკოვს, რომელიც ადრევე გადასწვა რუსის მთავარსარდალმა **კუტუზოვმა**. ბამარჯვებული ნაპოლეონი თავის არმიით მიადგა გადამწვარ მოსკოვს, ამ რუსეთის გულს და დაბინავდა ქრემლში. შიშის ზარმა მოიცვა მთელი რუსეთი. შიშმა დავთრები აურია რუსის მთავრობას. ამ დროს არავის ცალოდა საქართველოსთვის. ველას უმთავრესი ფიქრი და ზრუნვა იყო რუსეთის გადარჩენა, რაც მოხდა შემდეგ საშინელი ყინვების წყალობით.

აი, ეს დიდი ამბები მოხდა აგვისტოში 1812 წელს. ამ ნაპოლეონის შემოსევამ და გამარჯვებამ დაუბადა დიდი იმედი ალექსანდრე ბატონიშვილს და ააფეთქებია აჯანყების ცეცხლი მთასა და ქახეთში. ხალხიც ააფრთოვანა ამ ამბებმა. ამას ალექსანდრემ მშვენივრათ აუღო ალღო, მაგრამ ახლაც მისი და ხალხის სურვილები ჩაკლეს ისევ ქართლ-ქახეთის თავადებმა, დიმიტრი და ივანე ოერბელიანებმა, ნინია ჩოლოყაშვილმა, იოსებ ანდრონიკაშვილმა, პაატა ჭავჭავაძემ და სხ. განსაკუთ-

რებით თავი ისახელა დიმიტრი ორბელიანმა, რომელიც შეესია ქახეთს ცეცხლითა და მახვილით და ქართველის სისხლში ჩაარჩო ხალხის წმინდა სურვილები.

ასეა ყოველთვის; სადაც არ არის ერთობა, იქ არაფერი კეთდება. საუკუნოებით დასუსტებულს, ჭირით ლ შიმშილით დაავათმყოფებულს, ახალი რეჟიმით და აჯანყებით წელში გაწყვეტილს პატარა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს ცალკე აბა სად ექნებოდა იმდენი ძალა, რომ გამკლავებოდა ზარბაზნებით შეიარაღებულს თუ გინდ მცირერიცხოვანს რუსის ჯარებს, მეტადრე როცა ამ ჯარს გვერდით უდგა დამხმარეთ მრავალრიცხოვანი ქართველი თავადობა, სამღვდელოება და სომხის ბურჟუაზია. ასეთ პირობებში უსათუოდ უნდა დამარცხებულიყო ქახეთ-მთიულეთი და დამარცხდა კიდეც, მით უმეტეს, რომ მათ არ ყავდათ ნიჭიერი სარდალი.

ქახეთის მეორე აჯანყებამ იფეთქა მაისში 1812 წელს, მაგრამ შეწყდა უცებ. იგი გაჩაღდა სეკტემბრიდან, როცა ქახეთში შემოიპარა ერევნიდან ალექსანდრე ბატონიშვილი. მისი აგენტები კი **ივანე ჯორჯაძე და რაფიელ ერისთავი** ადრევე დადიოდენ მთასა და ქახეთის სოფლებში და აწყობდენ აჯანყების საქმეს. ბლეხებს გარდა ამათ მიიმხრეს ბევრი თავად-აზნაური, მათ შორის სიღნაღის მარშალი ნინია ანდრონიკაშვილი. ბაიგო თუ არა ეს ამბები რტიშჩევმა მაშინვე შეაჩერა ქახეთში კომისიის მოქმედება და გაგზავნა ოთხი საიმედო თავადი აჯანყების ჩასაქრობათ სხვადასხვა დაპირებით.

ქიდევ მაისში დაღესტნიდან ჩამოვიდენ ლეკები და მოედვენ ქახეთის სოფლებს. თელავის კამენდანტი შმატოვი თავის რაზმით გავიდა ალაზანში, შეება ლეკებს, დაამარცხა და გაფანტა. დაბრუნების დროს გზაზე წააწყდა ჩასაფრებულ ქახელთ და საშინლათ დამარცხდა. ამავე დროს გაეშურა ქახეთისკენ ღენ. სტალი 600 სალდათით, შეებრძოლა აჯანყებულთ სიღნაღთან, დაამარცხა ისინი, გაიარა ქიზიყის სოფლები და დააფიცა ხალხი ერთგულობაზე; აქედან ავიდა თელავში, მეორე დღეს ბომბორის გზით ჩამოვიდა თელავში ღენ. დიმიტრი ორბელიანი, რომელსაც რტიშჩევმა დაავალა მიეღო ქახეთში მყოფ ჯარების უფროსობა. ორბელიანმა გაიარა ჯარით ალაზნის ორივე ნაპირებზე, ერთგულობის ფიცი მიაღებია ხალხს და დაბრუნდა თბილისში. ამასთან ერთად რტიშჩევმა დაავალა ბამბადილის მოურავს, გამოუცხადოს თათრებს, რომ **200 ბაჯაღლო ოქროს** (ე. ი. 6,000 მანეთს) **მიიღებს საჩუქრათ ვინც ცოცხალს მომგვრის ალექსანდრე ბატონიშვილსაო.** ამ კეთილშობილი ხალხის სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათ შორის არ აღმოჩნდა არცერთი პირი, რომ ჩაედინა ეს მზაკვრული საქმე. ამოდენა ოქრომ ვერ მოხიბლა ერთი უბრალო თათარიც კი, რათა გაეცა მათ შორის შეფარებუ-

ლი მრეკლე მეფის შვილი ალექსანდრე. სამი თვის შემდეგ სომეხმა იოსებ ბებუთაშვილმა აცნობა რტიშჩევს ჯაშუშის პირით შევიტყვე ბატ. ალექსანდრე 25 აგვისტოს წამოვიდა მრეკლეთან ქართლში და მიიღეთ ყოველივე ზომა მის დასაჭერათო. რტიშჩევის ბრძანებით მაშინვე შეკრეს ყველა შემოსასვლელი გზები. ალექსანდრე მაინც გაუსხლტა დარაჯებს, გავიდა მტკვარში და ავიდა თიანეთს.

ალექსანდრეს მისვლამ დიდი აღტაცება გამოიწვია ხალხში. იგი მაშინვე გამოაცხადეს მეფეთ. ქართველ ხალხს ისე შეაძულეს რუსის სალდათ-ჩინოვნიკებმა რუსული მართვა-გამგეობა, რომ იგი უზომო სიხარულით ელოდა ისევ ძველი რეჟიმის და მეფობის აღდგენას. ალექსანდრეს მოსვლამდე მთასა და ქახეთში ნიადაგი მოამზადეს მის დასახვედრათ **გოჯასპირ ნათანიშვილმა და პაპუა აბელაშვილმა**, ბატონიშვილი მობრძანდება და იარაღი აისხით რუსების გასაჟლეტათო. ამ-ტომ ალექსანდრეს ჩამოსვლა ელვასავით მოედო მთელ ქახეთს, მთასა და ოსეთს. იარაღ-ასხმული ხალხი დაიძრა თიანეთისკენ. ბატონიშვილის ხილვით მათ აღტაცებას არ ქონდა საზღვარი. იმათ ნათლად წარმოუდგათ ძველი დრო, მრეკლე გმირი და მტერთან ბრძოლა. ტკბილმა ოცნებამ და უზომო სიხარულმა დაავიწყა ხალხს ბნელი სინამდვილე, რუსის ტლანქი მართვა-გამგეობა, უნამუსო, მექრთამე ჩინოვნიკები და ველური სალდათი, დამცირება შიმშილი და გაჭირვება. საქორწინოთ მოიკაზმა 12 წლის დაქვრივებული ქვეყანა. მას ეწვია სასურველი სიძე, **მეფე ალექსანდრე**, ღვიძლი შვილი პატარა ქახისა. ეს დღე იყო ქართველი ერის დღესასწაული, ერის ზეიმი. იფეთქა ხალხის სულში იმედის სხივმა, ეს იმედი გაუძლიერა მას ნაპოლეონის გამარჯვებამ და მოსკოვის დაჭერამ. ამიერიდან ეკლებოდა ნიადაგი რუსეთის ბუმბერაზობას და მისი არმიის უძლეობის ლეგენდას.

ბატ. ალექსანდრეს ჩამოსვლამ ქახეთში მეტათ ჩააფიქრა რუსის მთავრობა. იგი სწრაფათ შეუდგა სამზადისს და გაგზავნა ჯარები აჯანყებულთა წინააღმდეგ. პირველი ბრძოლა მოხდა 20 სექტემბერს სოფ. ბილდასთან. აქ შეებენ პოლკ. ტიხანოვსკი და პოლკ. ერისთავი ალ. ბატონიშვილს ორი ბატალიონი ჯარით და ზარბაზნით; ცხარე ბრძოლის შემდეგ დამარცხდა ალექსანდრე და თავი შეაფარა სოფ. საბუეს. ტიხანოვსკიმ გადასწვა ს. შილდა და დაბანაკდა ფაშაანის ფონზე. ბატ. დავითის მოწმობით ამ ბრძოლაში მოუკლეს რუსებს 5 ოფიცერი და 200-დე სალდათი. ამ ბრძოლაშივე მოკლეს ლეკთა ბელადი მისაილი.

მთიულებმა დაკეტეს ორივე მხრით სამხედრო გზა და მოამწყვდიეს ფასანაურში პოლკ. პეჩორსკი თავის ჯართი. პეჩორსკის საშველათ ლ გზის გასახსნელათ ბორჩალოდან გაგზავნეს პოლკ. ძრაბბე ერთი ბატალიონი

ჯარით. ამავე დროს ქავკავიდანაც წამოვიდა მაშველი ჯარი, ეგერთა ორი როტა მაიორ ბურლებუმის უფროსობით. ამავე დროს დაიძრა ჯარით ქიზიყისკენ ქახეთის რისხვა ღენ. დიმიტრი ორბელიანი და 27 სეკტემბერს მივიდა სიღნაღს. აქედან მეორე დღესვე გასწია შაშაანის ფონისკენ. გზაზე ჩასაფრებული წითელი რაზმელები თოფის სროლით არ აძლევდენ მოსვენებას, მაგრამ მაინც უვნებლათ შეუერთდა ტიხანოვსკის. აქ შეიკრიბა, მთაში გაგზავნილთ გარდა, რუსის მთელი ჯარი. იგი არ იყო დიდი მაგრამ ეს ჯარი იყო გაწვრთნილი, ჰქონდა ზარბაზნები და სარდლობდა დიდათ ნიჭიერი კაცი დიმ. ორბელიანი. ბატ. ალექსანდრეს შეეძლო ამ ჯარის დამარცხება, მაგრამ ის ერიდებოდა ბრძოლას, რადგან მოელოდა შველას დაღესტნიდან და ერევნიდან.

ბატ. დავითის სიტყვით, დიმ. ორბელიანი შეებრძოლა კახელთ ნორჩებთან. აქ ორის მხრით ეკვეთენ კახნი რუსის ჯარს და მიაყენეს დიდი ზიანი, მოუკლეს 200-დე კაცი. აქ დიმ. ორბელიანს ტყვეთ ჩაუვარდა. ოსებ ძამანიშვილი, რომელიც მაშინვე ჩამოარჩვეს. შავ ტყეში მოხდა ბრძოლა; აქაც დაუხოცეს რუსებს 100 კაცი. დ. ორბელიანი მიადგა ს. ველისციხეს, წაუკიდა ცეცხლი და გადასწვა ერთიანად. შემდეგ მიადგა ალაზანს, გავიდა შაშაანის ფონში და შეუერთდა ტიხანოვსკის, ხოლო სოფ. შაშაანი ერთიანად გადასწვაო. ორბელიანი გაემართა საბესკენ, მაგრამ ბატ. ალექსანდრე მოერიდა ბრძოლას და გასწია ველისციხისკენ. ორბელიანი დაედევნა უკან სოფლების და ვენახების დაწვით. ალექსანდრე მივიდა ჩალაუბანს. აქ შეუერთდა მას ლეკთა ბელადი ალისკანტი 5,000 კაცით. ამოდენა ჯარით ალექსანდრე მიადგა სიღნაღის ციხეს ასაღებათ. აქ მოუხდა ბატ. ალექსანდრეს დიდი მარცხი; იგი მოექცა ორ ცეცხლ შუა: წინდაწინ მოეგებენ მეციხოვნენი, უკანიდან კი დაეცა დიმ. ორბელიანი თავის ზარბაზნებით. ეს იყო დ. ორბელიანის წინასწარ მოწყობილი გეგმა. რტიშჩევის სიტყვით, აქ, სიღნაღთან ბატ. ალექსანდრეს დიდი ზარალი მოუვიდა, დამარცხდა და გაიქცა. ბაქცეულს დაედევნენ რუსები და სიღნახის სომხებიო.

ბატ. ალექსანდრე 6,000 კაცით ავიდა ჩალაუბანს და აქედან გაემართა მანავისკენ, რადგან შეიტყო, რომ რუსებს მოსდით ჯარი ღენ. სიმონოვიჩის სარდლობითო. ეს სიმონოვიჩი სამი ბატალიონი ჯარით გაგზავნა მთაში რტიშჩევმა სამხედრო გზის გასახსნელათ. მაგრამ ამის მოსვლამდე ეს მძიმე საქმე გაეკეთებიათ ქრაბბეს, პეჩორსკის და ბურლებემს. ამათ დააწყნარეს მთიულთა აჯანყება და გახსნეს გზა. ღენ. სიმონოვიჩი მაშინვე დაბრუნდა შასანაურიდან და წამოვიდა ქახეთის გზით, რათა შეერთებოდა დიმიტრი ორბელიანს.

ბატ. დავითის მოწმობით სოფ. ჩალაუბანთან მომხდარა დიდი ბრძო-

ლა დიმ. ორბელიანსა და ბატ. ალექსანდრეს შორის. აქ ბრძოლაში გაწყდა 300 რუსი და ორბელიანი იძლიაო. ეს ბრძოლა არ არის აღნიშნული აქტებში.

28 ნოემბერს სოფ. მანავთან ღენ. სიმონოვიჩი შეუერთდა დიმ. ორბელიანს. აქ რუსის ძალა სამჩნევათ გაიზარდა. მათ შტიკებსა და ზარბაზნებს ძნელათ თუ გაუძლებდა ბატ. ალექსანდრეს ჯარი. ვაჟკაცობა და მამულიშვილობა აქ ვერას გახდებოდა. ეს კარგათ იცოდა თვით ალექსანდრემ, ამიტომ დასტოვა მანავის ციხე და გადავიდა ჩაილურს. ბატ. დავითის სიტყვით, აქ მომხდარა დიდი ბრძოლა. საღამომდი გაწყვიტეს 200 რუსიო. ამავე ბრძოლას აღნიშნავს თვით ღენ. რტიშჩევი; სიხარულით აღწერს რუსის ჯარის გამარჯვებას, მაგრამ სდუმს თუ რა საშვალებით მოიპოვეს ეს გამარჯვება. ბატ. დავითის მოწმობით კი, სოფ. ჩაილურთან ბრძოლაში რუსის ჯარის დიდი ზიანის შემდეგ, იმ ღამესვე რუსებმა გაუგზავნეს ჩუმათ დესპანი ლეკთა ბელადს ალისკანტეს, „მისცეს დიდი ქრთამი და აღუთქვეს უვნებლათ მხედრობითა თვისითა განტევება. ხოლო ალისკანტემ დაუტოვა ალექსანდრე და განიპარა ღამესა მას მხედრობითა თვისითაო.“ რაკი რუსის ოქრომ გასჭრა და ლეკებმა უღალატეს, ამის მხილველი კახნიც შეშინდენ და სათითაოდ გაიპარჭნ შინისკენ. თვით ბატ. ალექსანდრე გასცა თურმე **თ. ბარძიმ ჩერქეზიშვილმა**. დიმ. ორბელიანმა მისცა მას იუდას სასყიდელი, გაატანა ერთი როტა ჯარი და ორი ზარბაზანი. ბამცემი თავადი რუსის ჯარით დაეცა ღამე ჩუმათ ბატ. ალექსანდრეს და გაუფანტა რაზმი. ალექსანდრემ ძლივს მოასწრო გაქცევა, ავიდა ფშავში და იქიდან ხევსურეთს.

II

ასე უკულმართად დასრულდა ეს მეორე აჯანყებაც. დიმ. ორბელიანმა რუსის ჯარით, ზარბაზნებით და ქრთამებით ჩაარჩო კახეთის აფრთოვანებული იმედები. ამას არ დასჯერდა იგი; მიიტყუა ფიცით კახეთის თავადები, არაფერს ზიანს მოგცემთო, ყველას გაპატიებთ დანაშაულსაო, სტაცა მათ ხელი და თოკით გაკრულნი აახლა თბილისში რტიშჩევს. ამან კი ეს თავად-აზნაურნი გაგზავნა ციმბირსო. ამით გათამამებული დიმ. ორბელიანი შეიჭრა ჯარით ჭიზიყსა და კახეთში, ჩამოარჩო რაზმელთა ბელადი მამაცი **ჯალია ჯალიაშვილი** და სასტიკათ დაარბია აჯანყებულ თავად-აზნაურთა სახლ-კარი, მამული და ქონება. ამ საგმირო საქმეებს სჩადიოდა ეს „კახეთის რისხვა“ **იოსებ ანდრონიკაშვილის** და **ნინია ერასტიშვილის** დახმარებით.

ამ დროს თავი ისახელა აგრეთვე ცნობილმა ჯაშუშმა **არხ. ელევთერ ზუკაკიშვილმა**. ამ ავზნიანმა ბერმა დაიჭირა მრავალი უდანაშაულო მღვდელი და დიაკონი, სცემა თავის ხელით, დააგლიჯა წვერები და გა-

უგზავნა Tბილისში რუსის ერთგულ მიტროპოლიტს ვარლამ ერისთავს. ამან კი გაუკითხავათ გაკრიჭა ისინი და გადაკარგა ციმბირში. მხოლოდ ეს სულიერი მეუფე, ეს „წმინდა“ მამა მიტროპოლიტი ლმობიერათ ეკიდებოდა და ათავისუფლებდა იმათ ვინც მისცემდა ქრთამად ათასს მანეთს, რასაც იმ დროს მღვდელთა უმეტესობა ვერ შესძლებდა. ამ სულიერი მეუფის წყალობით ბევრმა უდანაშაულო მღვდელმა და დიაკონმა დასტოვა თავისი ძვლები შორეულ ციმბირის ცივსა და ტიალს მინდვრებში.

ბამარჯვებულმა რუსის მთავრობამ დაბეგრა ქახეთი და დაადო სამხედრო ხარკი (კონტრიბუცია); თითო კომლს შეაწერა 3 კოდი პური, 3 კოდი ქერი და 3 მანეთი. ადვილი წარმოსადგენია თუ რა აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდებოდა ისედაც დამშეულ-გაღატაკებული ხალხი ამ მძიმე დაბეგრით! კეთილმა ალექსანდრე იმპერატორმა არ მოუწონა რტიშჩევს აოხრებული ქახეთის დასჯა მძიმე ხარკით. ასეთი ხარკი უფრო გააბოროტებს ხალხს და ხელახლა ააჯანყებსო. მაშინვე ბრძანა შეეჩერებიათ ეს უგვანო მოქმედება, მაგრამ გვიანლა იყო. ყველაფერი უკვე აეყვლიფათ ხალხისთვის ცემით და მათრახით. იდგა ფეხქვეშ გათელილ მშიერ ხალხში უმწეო კვნესა, ზარი და მწარე ტირილი.

ასე დასრულდა კახელთა ტრაგედიის მესამე აქტიც... კვლავ შეიღება ალაზნის ველი ქართველთა სისხლით, კვლავ სტანჯეს გამწარებული ხალხი, კვლავ ეწამენ გმირულათ ბოლგოთაზე სამშობლოსა და თავისუფლების მოყვარულნი.

„ქახეთის ამბოხებამ ნათლად გამოაჩინა, თუ რა საძაგელი და აუტანელი მართვა-გამგეობის წესი იყო გამეფებული ჩვენში, რა უდიერათ იტანჯებოდა გარყვნილ და ბილწ მოხელეთაგან ქართველი ერი, რა გესლიანი ბოროტებით და ზიზღით ეპყრობოდა უცხო თესლის მოხელეობა ჩვენებურ კაცსა. ყველა ეს სიკეთე ვარდის გულივით გადაშალა ქახეთის ამბოხებამ და მარტო ბრმა თუ ვერ დაინახავდა, თორემ ხილულს არ გაუჭირდებოდა დანახვა იმ აზიურ ბარბაროსობის, რასაც სჩადიოდა ახალი მთავრობა და ქრისტეს მოყვარე მხედრობა მართლმადიდებელ ქვეყანაში,“ ამბობს ალ. ფრონელი.

მოტყუებით შეპყრობილ ქახეთის თავად-აზნაურთა რიცხვი აღემატებოდა 80-ს. ყველა ესენი მისცეს სამხედრო სამართალში, სხვადასხვა ვადით უკრეს თავი ციმბირსა და კატორღაში, მათი მამული და ქონება ჩაიცხეს სახაზინოთ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ზოგი მათგანი გაუგზავნიათ ციმბირს სრულიათ უდანაშაულოთ. ისინი დააბრუნეს უკან და მისცეს წართმეული ქონება. ეზით აუწერელი გაჭირვება, სიცივე, შიმშილი და დამცირება განიცადეს გზაში და ციმბირის სატუსაღოებში საქართველოს

პოლიტიკურმა დამნაშავეებმა. საოცარი მხეცობით ეპყრობოდენ მათ რუსის დარაჯები და სატუსაღოს უფროსნი.

4 წლის შემდეგ მოლბა ალექსანდრე იმპერატორი და აპატია დანაშაული მათ, ვინც მხოლოდ ერთჯერ მიიღო მონაწილეობა აჯანყებაში. დანარჩენები კი დასტოვეს ისევ ციმბირში. აი ამათი გვარები: იორამ თარხნიშვილი, პეტრე ავალიშვილი, ნინია ალექსიშვილი, სამსონ ნათალაშვილი, იპოლიტე თუხარელი, სიმონ ციმაკურიძე, ივანე ჩერქეზიშვილი, ალადაგი'შვილი, ივანე ალათაშვილი, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, დავით ჩოკაშვილი, იოსებ ერასტიშვილი, პაპუა აბელიშვილი, არსენ მაყაშვილი, პაატა მგალობლიშვილი, შარდან და გრიგოლ ჯანდიერი და ივანე ვაჩნაძე, სულ 18 კაცი. სრული პატიება (ამნისტია) ამ 18 კაცმა მიიღო მხოლოდ 1 სეკტემბერს 1820 წელს, ე. ი. 8 წლის უზომო წამების შემდეგ. ამ დამნაშავეთა შეწყნარება მოახდა ახალი მთავარმართებლის ღენ. ერმოლოვის შვამავლობით. აჯანყების მეთაურნი კი და მათ შორის ალექსანდრე ბატონიშვილი გადაიხვეწენ უცხოეთში, ზოგი ოსმალეთს და ზოგიც სპარსეთს, გაშორდენ სამუდამოთ სამშობლოს ფირუზა ცას და ტურფა ბუნებას.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას ორიოდ სომეხიც; მაგ., ავეტიკ ბეგი დიდ სამსახურს უწევდა ალექსანდრე ბატონიშვილის, კაცო ახანოვს კი მთელი რაზმი ყავდა შემდგარი და ებრძოდა რუსებს კახელებთან ერთად. მაგრამ საერთოდ სომხის ხალხი და მეტადრე მათი ბურჟუაზია იყვენ რუსის მთავრობის აშკარა მომხრენი. ბევრი სომეხი არ თაკილობდა ჯაშუშის სამარცხვინო როლს და ატყობინებდა რუსებს ქართველთა მოძრაობის ყოველი ნაბიჯს. სომხების ასეთი ამაგი შესაფერათ დააფასა მთავარმართებელმა რტიშჩევმა და გამოსთხოვა იმპერატორს მათთვის ეგრეთ წოდებული „ღრამატა“, ე. ი. უზენაესი ნდობა და მადლობა ერთგულობის ნიშნათ.

ჩვენ აქ შევჩერდით მთიულეთის და ქახეთის აჯანყებაზე, რადგან ბევრს საგულისხმოს გვამცნევენ ეს აჯანყებანი და მათი გამომწვევი მიზეზები. საჭიროა ამათ კარგათ გაეცნონ როგორც რუსის მთავრობა, ისე თვით ქართველი ერი. პირველნი შეიძლება ჩახვდენ თუ როგორი მართვა-გამგეობაა საჭირო იმპერიაში შესულ უცხო ტომთათვის, რომ გაიერთგულონ ისინი. ქართველები კი შეიგნებენ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით, კულტურული შრომით, თანხმობით და საერთო მოქმედებით შეუძლია პატარა ერსაც კი აღიდგინოს გაქელილი უფლებანი, შექმნას ცხოვრების საღი პირობანი და ჯასპედოს სასურველი მომავალი. ასეთი საგულისხმო მასალები უხვათაა გაბნეული თვით რუსის მთავრობის მიერ შეკრებილსა და გამოცემულ აქტების ულზარმაზარ ტომებში, რო-

მელთა გაცნობა ფრიად საჭიროა შეგნებულ ქართველისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საყურადღებო საბუთი არ დაიბეჭდა ამ აქტებში სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგი დასწვეს და ზოგიც გაგზავნეს პეტროგრადში, მაგრამ რაც დაიბეჭდა, ისიც საკმაოთ ნათელ ყოფს რუსის მთავრობის პოლიტიკას და მართვა-გამგეობას საქართველოში. ეს აქტები გვიშლიან თვალწინ რუსის სალდათ-ჩინოვნიკის მსუნაგობას, ველურ მოქმედებას, სიმხეცეს და მასთან ქართველი ერის საშინელ ტრაღედიას წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში.

ქართველი ერი არასდროს არ ყოფილა რუსების ორგული და მოძულე. მე-16-ტე საუკუნის დამლევიდან 200 წლის ხანაში ქართველი იშვერდა ხელს ჩრდილოეთით, თხოულობდა მფარველობას და შენატროდა რუსების შემოსვლას საქართველოში. მან გადასცა რუსეთის იმპერიას თავისი თავი, თავის სიცოცხლე, სისხლიანი ჯვარი, სარწმუნოება, იმედები და ის, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია ერისათვის, — **პოლიტიკური თავისუფლება**; გადასცა იმ ღრმა რწმენით, რომ დიდი რუსეთი იქნებოდა მისი მფარველი ანგელოზი, უზადო რაინდი, მშვიდობის დამყარებელი და იმ სასურველ გარემოს შემქმნელი, რომელშიაც შეეძლებოდა ქართველს სამოქალაქო ცხოვრების, ეკონომიკის და ეროვნული კულტურის აღორძინება და განვითარება. ასეთი მშვიდობა, ასეთი გარემო ენატრებოდა მას კიდევ მე-16-ტე საუკუნედან. ეს მშვიდობა და ბედნიერება დაპირდა ქართველ ერს იმპერატორმა ალექსანდრემ თავის ქებულ მანიფესტში. მაგრამ რუსის უსაზღვროთ ხარბმა, მექრთამემ, გარყვნილმა და უგულო მოხელეებმა, რუსის ტლანქმა მხედრობამ მალე გაუცრუეს რწმენა-იმედი ქართველ ერს დ თავის უგვანო საქციელით მიიყვანეს იმ ზომამდე, რომ ჩრდილოეთ-ევროპის ზოგიერთ კუთხეებს ააღებიეს ხელში მახვილი დ დაალვრევიეს რუსის სალდათის სისხლი თავის არსებობის, ოჯახის სიწმინდის, ეკლესიის და გაქელილ უფლებათა დასაცავათ. **და თუ ყოველივე ამას მოყვა საქართველოში** დიდი სისხლის ღვრა, სოფლების დარბევა და **დაქცევა, ბავშვების ყლეტა**, ქალების ნამუსის ახდა, ტყვე ქართველთა ჩაშორჩობა, ციმბირში გადასახლება, ხალხის უსაზღვრო აწიოკება და თავისი სხვა საშინელებანი, **ყოველივე ამის ერთადერთი მიზეზნი იყვნენ მხოლოდ რუსის ჩინოვნიკები და სამხედრო პირები.** ამას ამოწმებს აქტებში ანუსხული მასალები, ამას ადასტურებს თვით იმპ. ნიკოლოზ 1-ის სიტყვები რუსის მართვა-გამგეობის შესახებ საქართველოსა დ მთელ ძავკასიაში.

IX სომხები და ქართველები

ეარ იქნება მეტი ახლეთ-მთიულეთის აჯანყების ისტორიასთან ერთად შევეხოთ საქართველოში შემოხიზნულ სომხებს და გავეცნოთ მოკლეთ

თუ როგორი როლი ითამაშეს მათ იმ დროს, ან რაა ამ ხალხის სულისკვეთა და მისწრაფებანი.

„აქაური სომხები თავდადებით უწევდენ სამსახურს თქვენს უდიდებულესობის საქმეს. ᲨᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲙᲘ თავი ისახელეს ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ დროს. როდესაც მთელ საქართველოში კაცი არ დარჩა ჩვენი ერთგული (?!), მარტო სომხებმა არამც თუ არ მიიღეს არავითარი მონაწილეობა აჯანყებაში, არამედ სიცოცხლეს და ქონებასაც არ ზოგავდენ, რუსის მხედრობასთან ერთად იბრძოდენ მაშფოთართა გასაქლეტათ. ᲐᲛᲐᲡ გარდა აქაური მთავრობა სომხებს უნდა უმადლოდეს, რომ დროზე და წინდაწინ გებულობდა თუ რას აპირობდენ მეამბოხენი და სად ქონდათ ბინა. ᲥᲐᲮᲔᲗᲘᲡ სხვადასხვა კუთხეში გაბნეული ერთმანეთს მოწყვეტილი ჯარი თუ რამეს იგებდა ერთმანეთისას, ეს სულ სომხების წყალობით, რომელნიც სიამოვნებით და ხალისით ასრულებდენ ასეთ სახიფათო მინდობილებას, ხშირად სიცოცხლეს ესალმებოდენ სამსახურის ერთგულობის გამო,“ სწერს რტიშჩევი ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ I-ს.

ᲐᲘ, ის ერთგულობის ატესტაცია, რომელიც მიუბოძა რტიშჩევმა სომხებს რუსის იმპერატორის წინაშე! მან სომხებს მისცა ვაჟკაცობის ყალბი დიპლომიც კი, მაგრამ ნამდვილი ხოტბა შეასხა მათ მზვერაობას და ჯაშუშობას. ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲐᲐ: divide et impera, ე. ი. გაჰყავ, განხეთქილება მოახდინე ხალხთა შორის და იბატონეო. ᲐᲡᲔ მოქმედობდენ ძველად რომაელები, შემდეგ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ და ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲐ; ამ პოლიტიკას ᲐᲓᲒᲐ ერთ დროს ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ და ასევე იქცეოდა რუსეთიც. რუსის მთავრობისათვის მეტათ ხელსაყრელი იყო მძულვარება, შფოთი და განხეთქილება დაეთესა ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲥᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მკვიდრთა შორის და ამ მიზანს ადვილად მიაღწია ამ ასი წლის განმავლობაში. ᲐᲛ მიზნით იგი თანდათან ასუსტებდა ქართველ ერს და აძლიერებდა სომხებს საქართველოში გადმოსახლებით, დახმარებით და სხვადასხვა უპირატესობით.

რუსეთთან შეერთების დროს ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲑᲚᲝᲛᲐᲗ იყვენ საუკუნოებით შემოხიზნული სომხები; ისინი ბინადრობდენ უმთავრესად დაბა-ქალაქებში, მისდევდენ ვაჭრობას და ხელოსნობას. ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ მათ გაეგდოთ ხმალი და ხანჯალი, ნაცვლათ ხელთ ეპყრათ ნემსი, სადგისი, მარგატელი, არშინი და სასწორი.

მეთერთმეტე საუკუნეში სელჯუკის თურქებმა სამუდამოთ დაამსხვრიეს სომეხთა სამეფო. სომხეთის ჩრდილო ნაწილი დიდ. მეფე ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ დროს შევიდა საქართველოს სამეფოს მფარველობაში. ᲘᲛ დროს ᲑᲔᲕᲠᲘ სომეხი გადმოსახლდა ჩვენში. რვაასი წლის განმავლობაში საქართველოს მეფენი და მთავრობა ნამდვილ მამობას უწევდენ სომხებს და თავის სისხლით იცავდენ, მათ ქონებას და მშვიდობიან ცხოვრებას.

შეზადო რაინდმა, გულკეთილმა და შოვინიზმს მოკლებულმა ქართველმა ძმასავით შეიტკბო შემოხიზნული სომეხი და უწევდა მას ყოველგვარ დახმარებას. როგორც სასახლეში, ისე სამსახურში ბევრ სომეხს ეკავა საპატიო ადგილი, მაგ., არღუთაშვილებს, თუმანიშვილებს, ბებუთაშვილებს, მელიქიშვილებს, ყორღანაშვილებს და სხ. მათ ქონდათ მოპოებული დიდი ნდობა და პატივისცემა, მაგრამ სამწუხაროთ ასეთი პატივი დაგმეს თვით სომხებმა. მიწრო პირადმა ინტერესმა და კუჭის ალღომ ჩააქრო მათში მაღალი გრძნობანი და გახადა უმადურნი, დაავიწყა ძველი ამაგი და პურმარილი. დღეს მათ აღარ ეპივრებოდათ ქართველები. ჯერ კიდევ მრეკლე მეფის დროს სომხები აწარმოებდენ ორპოფა პოლიტიკას, ერთსა და იმავე დროს ღმერთსაც უნთებდენ სანთელს და ეშმაკსაც, ე. ი. რუსებსაც უშლიდენ გულს ფიანდაზათ და ეპატიჟებოდენ საქართველოში საბატონოთ, აღამამადხანსაც უგზავნიდენ ფულსა და ფეშკაშებს, მოუძღოდენ წინ ქართლ-კახეთის დასაპყრობათ.

ივერიის სამეფოს მოშლა და რუსის მართველობის დამყარება სომეხთათვის გადაიქცა ნამდვილ დღესასწაულათ. ამით ისინი მოელოდენ ლეკთა და თათართა ალაგმას, მყუდრო ცხოვრებას, თავის ვაჭრობა-ხელოსნობის აღორძინებას. სომეხთა ზოგიერთი მეთაურიც კი, როგორც მაგ., ქათალიკოსი იოსებ არღუთაშვილი, ოცნებობდენ კიდეც რუსის მთავრობის მეოხებით სპარსეთ-ოსმალეთის დამხობას და სომხების სამეფოს აღდგენას. ამ მიზნით სომხის ბურჟუაზია და გავლენიანი პირნი ტკბილი სიტყვით, ლაქუცით, ქრთამ-ფეშკაშებით და სხვადასხვა მანქანებით ძლიერ დაუახლოვდენ საქართველოში მყოფ რუსის მთავრობას და გავლენიან ჩინოვნიკებს, მოხიბლეს მათი გული ყალბი ეროგულობით და წვრილმანი სამსახურით. ასეთი მოქმედება და მისწრაფება იყო სომხის ხალხის მესვეურთა პოლიტიკის მთავარი ძარღვი; ამიტომ არ გვიკვირს თუ რუსის უნიჭო ღენერალი რტიშჩევი გაება სომეხთა უჩინარ ქსელში და იმპერატორის ღრამატის სახით მიუბოძა მათ ეროგულობის დიპლომი. ამავე დროს კი ამ რტიშჩევმა უწოდა ქართველებს „ბუნტოვშჩიკი“ და მისცა მგლის ატესტატი.

ამგვარ ქსელში გაებენ შემდეგ სხვა მთავარმართებელნიც, მაგ., ერმოლოვი, პასკევიჩი, დუნდუკოვ-ძორსაკოვი ბ ბოლოს მეფის ნაცვალი დაშკოვ-ვორონცოვი.

არ გვიკვირს, რომ ქართველი ხალხი რამდენჯერმე აჯანყდა სხვადასხვა ალაგას რუსთა წინააღმდეგ, ამავე დროს კი სომხები გვერდით უდგენ რუსის მთავრობას, ჯაშუშობით და ენატანიობით აყვარებდენ თავს. ქართველებს მოუსპეს მეფობა, ეროვნული მართვა-გამგეობა, ეროვნული ეკლესია, შკოლა და სამსჯავრო, ქართველ ხალხს დაადვეს მონობის მძი-

მე ულელი და უზომო ბეგარით გასწყვიტეს წელში. ქართლ-კახეთის და-ბა-სოფლებში გაბატონდენ რუსის მძარცველი ჩინოვნიკი და ველური სალდათი. ისინი უბილწავდენ და უწიოკებდენ ქართველს ცოლ-შვილს, ართმევდენ ფულსა და ქონებას, რეკვიზიციით, ეგზეკუციებით და მათ-რახის ცემით აცლიდენ სარჩოს, უკანასკნელ ლუკმას, აკეთებინებდენ უფა-სოდ სამხედრო გზებს და აზიდვინებდენ უფასოდ სამხედრო სურ-სათს, გაყავდათ ურმებით ბეგარაზე და მშიერ კაცსა და საქო-ნელს აჭვრეტდენ მთელი თვეობით 300 და 400 ვერსის მანძილზე. ერთი სიტყვით რუსის ადგილობრივი მთავრობა და სალდათ-ჩინოვ-ნიკები იჩენდენ ერთმორწმუნე ქართველი ხალხის მიმართ უსასტიკეს მტარ-ვალობას, რომლის წინაშე ქრებიან აზიის და აფრიკის მტარვალთა ჯო-ჯოხეთური მანქანებანი... რუსის მთავრობას თითქო დაესახა მიზნათ მო-ესპო ერთიანად ქოლხეთ-ივერიაში რაინდი, მამაცი და მშვენიერი ქართ-ველი ერი; ამავე დროს კი მთავრობას გადმოყავდა სპარსეთ-ოსმალეთი-დან ასიათასობით სომეხი და ასახლებდა საქართველოს მიწა-წყალზე. სო-მეხი გაურბოდა სპარსეთ-ოსმალეთში მტაცებელ ქურთებს და ბაშიბუზუკებს დ ეძებდა საქართველოში რუსის დროშის ქვეშ მყუდრო, გემრიელ ცხოვრე-ბას. ის აბამდა მტკვრისა დ ალაზნის აუზებში ჩარჩობისა დ მევახშეობის ოს-ტატურ ქსელს და ახვევდა შიგ გულუბრყვილო ქართველს და კახელს. სეს-ხით, ფეშქაშით და ლაქუცა ენით ის ბეგრავდა მძიმეთ გლეხსა და თავადს, მღვდელსა დ აზნაურს, აცლიდა მათ ხელიდან სარჩოს, მამულსა დ ქონებას.

ივერიის ვრცელი მაზრები, მთელი კუთხეები, დიდი მესხეთის მეტი ნაწილი დასახლებულია დღეს სომხებით; ამავე დროს ქართველ ხალხს სულ ეხუთება უმიწობით. სპარსთ-ოსმალთაგან შევიწროებულს, უმიწ-წყლო სომეხს სურდა მოეპოვა საქართველოში რუსის დახმარებით ახალი სამშობლო. ამიტომ არ ზოგავდა არავითარ საშუალებას, უძვრებოდა სულ-ში და აყვარებდა თავს რუსს მთავრობასა და ჩინოსნებს. სწორეთ ამი-ტომ იყო, რომ რუსი და სომეხი, ორივე ერთად წიხლავდენ დაგლეჯილს და დაბეჩავებულ ქართველ ერს.

რუსებს ხანგძლივი ომები ჰქონდათ სპარსეთ-ოსმალეთთან და მთის ხალხებთან. ამ ომების დროს ოქროს წვიმათ ცვიოდა მილიონები და ეს ამოდენა სიმდიდრე ჩადიოდა სომხის ჯიბეში. როცა ქართველი ერი უძ-ლოდა რუსის ჯარს სპარს-ოსმალთა წინააღმდეგ და ღვრიდა მამაცად თა-ვის სისხლს, როცა ქართველი ერი ასაზრდოებდა რუსის ლაშქარს, ეზი-დებოდა მის ბარგსა და სურსათს, უკეთებდა გზებს, როცა ქართველი ერი კვნესდა ბეგარის სიმძიმისაგან, ამ დროს არშინ-სასწორით და თვალთ-მაქ-ცობით აღმურვილი სომხის ვაჭარი, „პოდრიადჩიკის“ სახით უკან მისდევ-და რუსის ჯარებს, ყიდდა მათზე უზომო ფასებში პურს, ხორცს, სასმელებს, სანოვაგეს, სამოსელს და ხვეტდა მილიონებს, ხვეტდა ბაჯაღლო ოქროებს

და ივსებდა ყუთებს, ჯიბეს და ტუბეს. ამას შემდეგ განა საკვირველია თუ რათ ძულდა ქართველ ხალხს რუსის მართველნი და მოხელენი ან რათ უყვარდათ ისინი სომხებს?!

შნიპო რტიშჩევს უკვირს, სომხებმა არ მიიღეს მონაწილეობა ქახეთის ამბოხებაშიო. ბანა სომხები გიჟები იყვენ, რომ გარეოდენ აჯანყებაში! აბა რა ქონდათ სომხებს ასაჯანყებელი?! რა აკლდათ, რა აწუხებდათ?! რუსების წყალობით წარსული საუკუნე შეიქნა იმ ზლაპრულ სახედრათ, რომელიც აბნევდა სომხისთვის ოქროს ზოდებს და ბედნიერებას. ამიტომ მადლობის ნიშნად არ ზოგავდენ რუსის მოხელეთათვის ლაქუცს, ქრთამს, ფეშქაშებს, ჯაშუშობას და ენატანობას, თუ გინდ ეს ჯაშუშობა ყოფილიყოს დამლუპველი ქართველი ერისათვის. მათი აზრით საქართველო იღუპებოდა და, რაც უფრო კარგად მოითბობდენ ხელს ის სჯობდა. ამიერიდან მათი ოცნება შეიქნა ქართველი ერის პარტახზე აეგოთ ჰაისტანის სამეფო და თბილისი გაეხადათ სომხის დედაქალაქათ. კავკასიის მთავარმართებელნიც თავზე უსვამდენ ხელს სომხებს, „ამ ერთგულ ყმებს," აქებდენ ტახტის წინაშე და რუსის იმპერატორებიც უგზავნიდენ მათ ღრამატას, მადლობას და მოწყალებას.

რტიშჩევის მიერ მოპოებული სომეხთათვის უმაღლესი ღრამატა მოვიდა თბილისში 11 ნოემბერს 1813 წელს. შეინძრა ერთიანად თბილისის სომხობა, უსაზღვრო სიხარულმა აღიტაცა ისინი. დიდის ზეიმით გადმოიტანეს სასახლედან ეს ღრამატა ფარჩის ბალიშზე დასვენებული; თავზე დაიდვეს იგი სომხის მიტროპოლიტ-ეპისკოპოზებმა და შეასვენეს ბანქის ტაძარში. ბახარებულმა სომხებმა შეკრიკს აჩუქეს 100 თუმანი, გადიხადეს დიდი ლხინი და ნადიმი, სადაც მოიპატიჟეს რუსის მაღალი მოხელენი.

„დღევანდელი სომხები უსათუოდ შეუკურთხებენ რტიშჩევს, რომ საქართველოში დაბინაკებული სომხებს ჯაშუშის დამბლა დააკრა და სათაკილო სახელით შეაცურა ისტორიაში", ამბობს ალ. ფრონელი.

არ ვიცით თუ რას ფიქრობენ დღევანდელი სომხები, მაშინდელი სომხები კი უზენაესად გახარებული იყვენ რტიშჩევის ასეთი ატესტაციით და იმპერატორის ღრამატით. ილხენდენ, ქეიფობდენ გალაღებული სომხები, ამ დროს კი კვნესოდა და გმინავდა მწარეთ მონობის მძიმე უღელში „ბუნტოვშჩიკათ" მონათლული ქართველი ერი, მშიერი, მწყურვალე, აწიოკებული და ფეხქვეშ გათელილი... აშკარად ჩანდა, რაც ძირს უთხრიდა და სამარეში აგდებდა ქართველს, ის ამდიდრებდა და ბედნიერებას გვრიდა სომხებს...

ასეთი იყო ამ ორი ერის მდგომარეობა იმ დროს; ასეთია მათი ვითარება დღესაც. და ეს საანბანო ჭეშმარიტება ვერ შეიგნეს ჩვენი ზოგიერთმა პოლიტიკოსებმა. ბგონებ დროა შევიგნოთ, რომ უმიწაწყლო სომხის ერი მედგრათ ეძებს თავისთვის ახალ სამშობლოს და ასეთად მიაჩნია მას ჩვენი საქართველო, სადაც ამ ასოცი წლის განმავლობაში

გადმოსახლდა კიდეც **ერთ მილიონამდე სომეხი.** ამათ დაიჭირეს ბორ-ჩალო და მესხეთის მეტი ნაწილი, დაიკავეს თბილისი, ბორი, თელავი, სიღნაღი და საერთოდ ივერიის დაბა-ქალაქები, იძენენ ახლაც დიდ მამულებს და ფეხს იკიდებენ ქართლ-კახეთში. ამ ბოლო დროს კი სომხები ცდილობენ ჩაესახლონ ათასობით აჭარა-ქობულეთსა და აფხაზეთში, მოეჭიდონ შავი-ზღვის ნაპირებს.

ძველმა არამეელებმა, ე. ი. სომხებმა წაგვართვეს ქართველებს ჩვენი პირველი სამშობლო მცირე აზიაში, წაგვართვეს არეზის აუზი და ბანქის ტბის მიდამოები, ახლა მოგვდევენ უკან ამიერ-კავკასიაში და მზათ არიან წაგვართვან ეს მეორე სამშობლოც... ახლაც ამ მსოფლიო ომის დროს ოსმალეთიდან გადმოიხვეწენ, შემოეფარენ ამიერ-კავკასიასა და საქართველოს 300,000-დე სომეხი და იძენენ მამულებს სომხის ფარულ თუ აშკარა კომიტეტთა წყალობით. ამ ხალხს საუცხოოდ აქვთ შეთვისებული ცხოვრების ალღო და კარგად შეგნებული თანამედროვე პოლიტიკა. მათ აქვთ მჭიდრო ორგანიზაცია, ბევრი ფული, რაზმი, იარაღი და ერთობა. ისინი მოქმედობენ მწყობრათ და მუშაობენ ბეჯითად საერთო მიზნის მისაღწევათ. სომხები დიდიან-პატარიანათ გამსჭვალული არიან ეროვნულ შემეცნებით. ჩვენ ქართველები კი ყოველივე ამას მოკლებული ვართ, რაც ძლიერ აფერხებს ჩვენს ეროვნულ ლტოლვას.

ბგონებ დროა ჩაუფიქრდეს ქართველი ერი ამ ჩვენი მეზობლების მოქმედებას, დროა გავიღვიძოთ და ყიმოქმედოთ კულტურული საშვალებით ფხიზლად და ერთსულოვნად, თუ კი გვსურს შევინარჩუნოთ ჩვენი ძვირფასი მამული და ეროვნული არსებობა.

ფრიად საგულისხმოა ის, რომ ჩვენს დედაქალაქ თბილისში სომხები ისე გაძლიერდენ, რომ ჩაიგდეს ხელში თითქმის მთელი ვაჭრობა-მრეწველობა და ქალაქის თვითმართველობა. შუაგულ ქართლში მეფე ვახტანგ გორგასლანის მიერ აგებულ ქალაქში გადმოხვეწილი სომხები გადაიქცენ მასპინძლად დაქართველებისთვის ნასუფრალიც კი ენანებათ... ამაზე მეტი დამცირება განა შეიძლება?! აი საქამდე მიგვიყვანა ჩვენმა უგნურებამ და ბედოვლათობამ!..

ბიმეორებ, მიუხედავათ 116 წლის საშინელ ექსპლოტაციისა, რასაც ეწევიან სომხები ქართველი ერის მიმართ, ჩვენი ინტელიგენციის დიდი უმეტესობა კიდევ ბურუსშია გახვეული, დღემდი ვერ იცნობს ამ ხალხს და ვერ მზირს მის ფარულ პოლიტიკას და მისწრაფებას. საკვირველია, რომ ჩვენი წინაპრები უკეთ იცნობდენ სომხებს ვიდრე ჩვენ. აი რა აზრის იყო მათ შესახებ, მაგ., ივერიის უკანასკნელი მეფე ბიორგი XII.

„სომეხნი გაბნეულნი სპარსეთსა, ოსმალეთსა და სხვა ადგილთა არიან ყოვლად დაცემულნი ზრდილობითა; უქონელნი მამულისა არიან უქონელნი სიყვარულისა თვით კეთილის მომქმეთადმი მათისა. ერი ესე ახალ ისრაილად (ურიად) წოდებული იქმნა. ვაჭარი მსყიდავი ცრუ,

უპირო და უპურო, ერთგული მისი ვისგანაც აქვს გამოსარჩენი და რომელიც მას შეისყიდვის ანუ ფულითა, ანუ პატივითა, ანუ სხვითა საჩუქრითა. Ბავით Ალმაშენებელი, რომელმანცა შეიხიზნა იგინი და დაასახლა ბორსა, თვით ინანა, ოდეს იხილა გარყვნილი თესლი სოდომელთა ცოდვით, რომელმაც წარწყმინდა ბაბილონი და დაუკარგა მეფობა სომეხთა... Ვახუშტის აღწერით სომეხმა Ბორღანაშვილმა გასცა მეფე სვიმონ და შთააგდო თურქთა ტყვეობასა... სომეხსა შეარჩინე ერთი ბისტი (გროში), ერთ თვეზე გახდის ერთ თუმნად; ჩვენვე მოგვატყუებს და ჩვენითვე გამდიდრდება. Ადვილათ გამცემი ქვეყნისა სომეხი ერთ გროშზე გაჰყიდის მეფესა და მეფობასა, Აქა და სხვათაცა ქვეყანაში არა აქვთ რა შესატკივარი გულსა, არცა კოშკი მამაპაპათა, არცა ციხე ძველი, არცა ხმალი წინაპართა, არცა დროშა, არცა მატყური მეფეთა. დღესაც მოსაცდუნებლათ სპარსთა და თურქთა, სადაც არიან გაბნეულნი, მარადის მოვისყიდით ჯამუშათ სომეხთა უნებურთა და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომეხთა. ასეა მათი ბუნება. დიდათ სავნოა ჩემის სამეფოსათვის თესლი ესე გაბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოთა ნათესაობითა. Ვითარცა ვაჭარნი საჭირონი არიან. ქვეყნისა მცხოვრებნი დიდათ საშიშნი და მოსარიდებელნი; არა მეომარნი, მხდალნი და მაყურებელნი საწუთროისა, სადა და ოდეს დაედევნენ და ვისა მიეძხრონ: Ოსმალსა ანუ Ყიზილბაშსა. Თვით უპატივცემულესი მათ შორის ჩემს კარზე, პატივს სცემს ფულსა და გამოსარჩენსა. ეს არის მათი ღმერთი და მათ თაყვანს სცემენ.“ (იხ. „ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა“, გვ. 176 179, თხზულება პლ. Იოსელიანის.)

ამ სიტყვებს განმარტება არ ეჭივრება.

ქართველი ერის წინ ამართულა ორი საშინელი საფრთხე: ერთ უქადის მის მდიდარ კულტურის წაშლას, შოთა რუსთველის ღვთაებრივ ენის მოსპობას და სრულ გადაგვარებას, მეორე კი ემუქრება მამაპაპათ სისხლით მოარწყულ მიწა-მამულის, მის ტურფა სამშობლოს წართმევას და თვით ერის ეკონომიურათ დაპყრობას. Ვგონებ დროა გაახილონ თვალ ქართველებმა, შეიგნონ საშინელი ტრაგიზმი, და საერთო ძალით დასძლიონ ეს დიადი გასაცდელი ახალი ისტორიის მიერ მის დასაღუპავათ მოვლენილი. ქართველმა ერმა გაუძლო ათასი წლობით მქროლავს ისტორიის უცნაურ გრიგალს, იგი გადაურჩა უვნებელი კაცობრიობის რისხვას ლანგთემურს, ის გაუმკლავდა Ირანის ლომს შაჰ-Აბაზს, მან განიცადა წარსულ საუკუნეში უსაშინელესი წამებანი და მოვიდა ლაღი, ცოცხალი და უპოვარი. მაშ გვწამს, რომ ღირსეული შვილი Ამირანისა დღეს ამ უსაშინელეს ქარტეხილში გამოვა გამარჯვებული და განახლებული ვით ზღაპრული ფენიქსი ცეცხლის ალში ამოვლებული.

უმთავრესი შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი	არის	უნდა იყოს.
II	5-თე ზევიდან	არ მივიღებთ	თუ არ მივიღებთ
„	ბოლოში უნდა მიეწეროს		1916 წ. თბილისი
15	7-დე ქვემოდან	სხეულს	სახელს
17	4-ე ზემოდან	წლის წინათ	ერთი წლის წინათ
18	15-ტე ზემოდან	დავლა	დამბლა
„	3-დან 10-დე ზემოდან უნდა წაიშალოს 6 სტრიქონი წერტილებს შორის		
25	5-თე ქვემოდან	ჩანთქა	ჩაენთქა
26	3 ზემოდან	ზვირთებში	კირთებში
27	უნდა წაიშალოს ქვეშ მიწერილი: რომელმაც თავის მხრ ვ თავის უფლებანი გადასცა პავლე პოტემკინს.		
37	11-ტე ქვემოდან	შექმნის ერსა	შეიქმნის ერისა
48	2-რე ზემოდან	სახელიც	სახლიც
33	17-ტე ქვემოდან	მერიდატი	მიტრიდატი
76	8-ვე ქვემოდან	მართველთან	მართველად
78	9 ქვემოდან	200,000	20.000
„	10 ქვემოდან	გაგზავნა	გაეგზავნა
33	9 და 10 ქვემოდან უნდა წაიშალოს: ღვნ. პ. ციცინავას ს·კვდილის შემდეგ		
110	2 ზემოდან	საყურადღებო	ბევრი საყურადღებო
114	4 ქვემოდან	ჩვენი	ჩვენმა
„	14 ქვემოდან	დამბლა	დამღა
115	3 ქვემოდან	ზრდილობითა	ზნეობითა

(არის შეშლილი ნუმერაცია, 48-ვე გვერდის შემდეგ სწერია 33—48, უნდა იყოს 49—64.)

947.922
ქ 451

წიგნის გამომცემლობის „შკოლის“ გამოცემანი:

1. ლ. ჩიმაკაძე და ა. შუბლაძე—არითმეტიკული ამოცანების კრებული ნაწ. I (მოწონებულია დასავ. საქართვ. სახალხო მასწ. კავშირის მიერ).
2. ლ. ჩიმაკაძე და ა. შუბლაძე—არითმეტიკული ამოც. კრებული ნაწ. II (მოწონ. დასავლეთ-საქართვ. სახალხო მასწ. კავშირის მიერ).
3. ს. როგაქიძე—სამშობლოს აღწერა (მოწონ. დასავლეთ-საქართვ. სახალხო მასწავლებელთა კავშირის მიერ).
4. ს. ქვარიანი—საქართველოს ისტორია—(მიღებულია სახმარებლათ სახალხო შკოლებსა და გიმნაზიის დაბალ კლასებში).
5. ა. ნიკარაძე—ბუნებისმეტყველება ნაწ. I, უსიცოცხლო ბუნება, სახალხო შკოლებისათვის.
6. ა. ნიკარაძე—ბუნებისმეტყველება ნაწ II, ცოცხალი ბუნება (ბოტანიკა). სახალხო შკოლებისათვის.
7. ი. იცხელი, სამ. ყიფიანი და დ. იყრეშიძე—„მ ნ ა თ ო ბ ი“ პირველი წიგნი ანბანს შემდეგ სახმარებელი, მრავლათ დასურათებული.
8. ლ. ჩიმაკაძე, ა. შუბლაძე და ე. ცაგერეიშვილი—არითმეტიკული ამოცანების კრებული(გიმნაზიის I კლასისა და უმაღლესი დაწყებითი და ორკლასიანი სასწავლებლებისათვის).
9. გ. ხითარიშვილი—გერმანული ენის სახელმძღვანელო, წელიწადი პირველი.
10. ს. ქვარიანი—ქართველი ერის ისტორია (მე-XVIII—XIX საუკ.), უფროსი კლასებისათვის.
11. დ. იყრეშიძე—საქართველო და რუსეთი (მე-XVIII საუკ.).
12. ტ. ჩუბინიძე (ეკიმი)—ბავშის მოვლა და საზრდოება დაბადების პირველ დღიდან.

საწყობი: ქუთაისი, თბილისის ქუჩის შესახვევი, ი. იცხელის სახლი.

---

8 მან.—10 შაური.